

10
1967



10

• 1967

1967 •

სა სა სა სა

125

გამოცემის მეთერთმეტე წელი

10

ოქტომბერი

1967

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



ზინაჯსი

კოეზია და პროზა

ნელი გაბრიანიძე — ლექსები	3
თამაზ ზილაძე — თეთრი კვამლი. მოთხრობა	7
სვანური კოეზია	77
შტიფან ცვიბიძი — სახლი ზღვის პირას. პიესა. თარგმნა რევაზ მარგიანმა	82
შალვა ფორჩხიძე — ლექსები	117
გორის შატბერაშვილი — შეხვედრა. მოთხრობა	120
გიორგი ავალიანი — „ბუბა ქაქუჩელა“. ლემენა	126

ღიადი 50 წელი

შოთა აფრიდონიძე — ხალხთა ლენინური მე- გობრობის ბრწყინვალე ფურცელი	131
--	-----

ჩვენი აღაშინებები

გიორგი სანაღირაძე — ტაძრისის მაღალი მთები	137
---	-----

ქრივიკა და პუბლიცისტიკა

ფილიპე ბერიძე — პოეტური ლექვა გრძელდება	141
ბენიკ სარანაული — „სასწაული“	146
მამუკა წიკლაური — რეზო ამაშუკელის ახალი წიგნი	149
ნოდარ ალანია — ახალი რომანი დიდი სამამუ- ლო ომის თემაზე	152

ი უ მ რ ი

რევაზ მიშველაძე — არამოდერნიზებული მო- თხრობები	158
--	-----

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარიდაქმნო კოლეგია: გურამ ასათიანი, აბაკი ბაქრაძე, გივი გეგეჭკორი, გურამ გვარდუთელი, მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, როინ მებრეველი, ოტია გაპოტია (პ.გ. მღივანი), ნოდარ წულუისკირი, ტარიელ ვანბურია, სერგი ზილაძე, თამაზ ზილაძე, ლაშა ჯანაშია

ნალი ბაბრჩიძე

ახალგაზრდული

ისევ დავლამჭრავთ, კვლავ შევებმებით,
 ახალ მწვერვალებს, ახალ ნამჭერებს,
 დახუნძლულები ოქროს მტევნებით
 ასალ ვარსკვლავებს ვარქმევთ სახელებს.

რა შეაჩერებს ქარიშხალს კეთილს,
 კეთილ ტალღათა ისმის გრიალი
 და ჩვენი სისხლის ყოველი წვეთი
 სავსეა მზის და მიწის ტრფიალით.

ჩვენ მივატოვეთ ფართო ქუჩები
 და შევაჩერეთ მკერდით ენგური,
 დაფიცებული, მკვრივი ტურებით
 ვთქვით სიმღერები მთებისეური.

ჩვენ ვიცინოდით და დიდ კოცონთან
 ფხიზლობდნენ ჩვენი მუქი ლანდები,
 ვიღაც გვიყვარდა, ვიღაც მოგვწონდა
 და ზურგჩანთებში გვეწყო ვარდები.

რა შეაჩერებს ოცნებას მართალს,
 ზვიად ზურვილით გულს რომ ამღერებს,
 ეს ჩვენ ვმადლდებით თბილისის კართან
 და ახალ ქუჩებს ვარქმევთ სახელებს.

ეს ჩვენ ვისურვეთ — სიცოცხლე ვხატოთ
 იისფერ ზერებად, მწვანე სახლებად,
 შენთვის, ო, შენთვის, მშობელო ხალხო,
 შენი დიდების ასამაღლებლად.

სამადლობელი

და მაინც გამადლობ, რომ გაგზინდი ქალად,
 რომ არის ქვეყნად ჭაბუკი კოლბი,
 მე მადლობელი ვიქნები მარად,
 რომ გააჩინე ვარსკვლავები, მდინარე, ჭალა,
 და სულ უბრალო,
 უბრალო ქოხი.

მადლობა, ღმერთო, რომ ქარი უცხო
 ველურ გვირილებს თვალბში გვაყრის,
 რომ შეგვიძლია შეეჩერდეთ უცბათ
 და გავისხენოთ მყუდროება სიონის თაღის.

ეს — სიჭაბუკე დაბიჯებს მიწაზე ახლა
 და თმას უფარავს შეფოთილი
 გვირგვინი ლერწის,
 ის ადის მალლა, ძალიან მალლა
 და გაზაფხულის ელვარებით თვალები ეწვის.

ის არის ჩვენთან ძალიან ახლოს,
 ერთობ ძლიერი, ნებიერი, ერთობ ნატიფი,
 ნალურსევი ის არის ახო,
 პირმშვენიერი არის სათიბი.

და სულ უბრალო, უბრალო ქოხი
 მას მიაჩნია ჭერმაღალ სახლად,
 ო, გამადლობ, ღმერთო,
 რომ არსებობს ჭაბუკი
 კოლბი,
 რომ სიჭაბუკე მოაბიჯებს ჩემს გვერდით ახლა.

ა ტ ა მ ი

ყველამ თავისი ზიდა მარილი
 და მიუღწევი არა დარჩა რა,
 ჩემში კი ეჭვი ფეთქავს ქარივით,
 ერთად ჭანაობს ყველა ფანჯარა.

წითლად ვარვარებს ფესვები ატმის,
 სისხლივით უდუღს წითელი წვენი,
 მაგრამ ის შფოთავს მომავლის დარდით,
 ის ცოცხლობს მხოლოდ თხუთმეტი წელი.

და მაინც სისხლის უმცირეს წვეთსაც
 აპრილის დამდეგს ყვავილებს აძლევს,
 ის გაზაფხულზე ივიწყებს სევდას
 და ქარში წითელ სიმღერას არწევს.

სხვადასხვა ფერად ჰყვავიან ხენი,
 რა დააშავა ატამმა იმით,
 რომ ყველაფერზე აიღო ხელი
 და გაგვაოცა წითელი წვიმით.

* * *

ყველამ თავისი განვლო სავალი,
 ყველამ თავისი ჩამარცვლა დღენი,
 ისევ იქაა მზის დასავალი,
 სად ერთხელ თვალი მიაპყარ შენი.

ისევ ამოდის მინდვრად შროშანი,
 ისევ ვასხენებთ ზღაპრებში ქვესკნელს,
 მხოლოდ დამდგარა სულ სხვა დრო-ჟამი
 და სულ სხვაგვარად ხატავენ ფრესკებს.

დროშებს სხვაგვარი ფერი აქვთ სულაც,
 ახლადგაშლილი ყაყაროს ფერი,
 მამულის სულში ნათელი ცურავს,
 კალოზე ვერცხლის ტრიალებს კვერი.

და თუმც ქალი ვარ და მმართვეს რიდი,
 მის საგალობელს ვჩურჩულებ გზნებით,
 ვერ გაფრედები, ისეთი დიდი
 ცისარტყელები მგონია გზნები...

* * *

ასე მაღალი,
 ასე ძლიერი,
 ასე ალალი,
 ასე უხეში,
 სადაურს საით შემომხვდი გზაზე,
 როდემდე უნდა ვიაროთ ასე,
 როდემდე უნდა ვფერიცვალობდე,
 ხან გავირბოდე,
 ხან გვერძალვოდე.

როდემდე უნდა გითხრა ლექსები,
 რომლის სათავე შენვე დასძარი,
 ჩამორეცხილი ჩემი ფრესკებით
 როდემდე უნდა ვიდგე — ტაძარი.

და ვინ ამივსო მკერდი ლოდებით,
 ან ვინ ისმენდა ჩემს უხმო კვნესას,


მუხლმოდრეკილი ქარში ვგოდებდი
და ხუროთმოძღვარს ვეძებდი ჩემსას.

შემდეგ გამოჩნდი და იის ნაწი
შუქით ავივსე ბჭიდან თალამდე,
ნეტავ სულ ჩემთვის მღეროდე ასე
და არასოდეს აღარ დაღამდეს.

მაგრამ მზე ჩადის და შენ არ იცი,
რას ირეკლავდა თვალები მშვიდი,
ციცინათელას უებრო ციმციმს
მწუხარე ტაძრის სინათლედ თვლიდი.

და მახსენდება, რომ ვიწრო სარკმელს
მიფარავს ნისლი უაზრო კდემით.
და ის, შენ რასაც ღვთაებას არქმევ,
მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილია ჩემი.

რომ სევდიანი, ჩუმი კედლებით
მე სხვათა დროთა სიმალლეს ველტვი,
... და სასოებით რას მვეუდრები,
თუ არც ქალი ვარ და აღარც ღმერთი.



თეთრი ყვავილი

1

უპირობო პირი

სახლი ტრიალ მინდორში იდგა. ცოტა მოშორებით თავმონგრეული ძველისძველი კოშკი მოჩანდა, შორს, მინდვრის ბოლოს — სამი კვიპაროსი, კვიპაროსების უკან — კრამიტით დახურული ქვიტკირის სახლი. იმ სახლში ტასო ძალო ცხოვრობდა.

ტასო ძალო თუ მომიხელთებდა, კოცნით დამაოსებდა ხოლმე.

— შვილი გინდა, შვილი! — ეუბნებოდა ზაქარა პაპა და შინისკენ მოვყავდი.

ზაქარა პაპა მაღალი იყო. ბზის გრძელი ჯოხი ეჭირა, თუშური ქული ეხურა და გახუნებულ ახალუხზე წვრილი ქამარი ერტყა, ვერცხლის ბალთიანი.

დედაჩემი სახლის წინ ქვაზე იჯდა და სიმიინდს ფშენიდა. სახლი ხისა იყო, დაბალი. ლედვის ხის ძირას მიყრილ ნაცარში ქათმები იქექებოდნენ. ლედვის ხეზე სახედარი იყო მიბმული, მე სახედარზე ვიჯექი.

მე და დედაჩემი ხიზნები ვიყავით. ეს ბიჭებთან თამაშის დროს გავიგე, დამიძახეს: ხიზნაო! გარდა ამისა, მიტოვე-

ბულებიც. ჩემს ახალ ამხანაგებს არც ერთს არ ჰყავდა მამა, მაგრამ ისინი მიტოვებულები მაინც არ იყვნენ. მათი მამები ფრონტზე იბრძოდნენ, ჩამოვიდოდნენ და ისევ ოჯახს დაუბრუნდებოდნენ. მე და დედაჩემი კი ნამდვილი მიტოვებულები ვიყავით. ამასთან ერთად — ქალაქელებიც! ეს რატომღაც ყველაზე მწარე დაცინვად ისმოდა.

— ქალაქელებო, მუქთაზე ჩამოხვედით არა!

— შიმშილი ძნელია, — იტყოდა ზაქარა პაპა, — ქვრივს მოშვიდა თურმე, ქმრის კუბოზე ფეხი შედგა და ისე მიწვდა პურს...

მე არ ვიცი, რა არის შიმშილი. პური მავთულებზე ჩამოკიდებულ ხარხებზე გვიწყვია. დედა ლობიოთი ჯამს გამოვსებს, შიგ ქერის ხმელ პურს ჩამიმტვრევს და მადიანად შევექცევი. ზაქარა პაპა ზის და მიყურებს. ხელები მაგიდაზე უდევს, ორი ქანგიანი ლოდი.

წვიმს. სახლში ბნელა. სველი მიწის სუნი ტრიალებს. სახლსაც მიწის იატაკი აქვს, მაგრად დატყვნილი. კედელთან უზარმაზარი ტახტი დგას, ზედ დაგლეჯილი ფარდავია გადაფარებული და მუ-

თაქა ვდია, ფქვილით გატენილ ტომარასავით. ეს მუთაქა ჩემი ცხენია...

მოულოდნელად ოთახი განათდება და ცოტა ხნის მერე ქუხილი აზანზარებს კედლებს. ქერის პური ნაცრისფერია და მწარე, ამას წინათ ზაქარა პაპამ რაც ხორბალი გვექონდა, სახედარს აჰკიდა და სოფელში ჩაიტანა, იქიდან ორჯერ მეტი ქერი ამოიტანა. წისქვილი ხევშია. ხევი ახლა მოდიდება. იქ ბავშვი მარტო არ უნდა ჩავიდეს, შეიძლება გრძელკუდა შეხედეს და მოიტაცოს.

გრძელკუდა დედაბერს ქვია. ჩქარ-ჩქარი, პატარა ნაბიჯებით გადაიბრუნს ხოლმე მინდორს, თან რაღაცას ჩიფჩიფებს.

ელავს.

თუ სამამდე დავთვლი და დაიქუხებს...

რა იქნება?

დედა კარგად მეყოლება!

ადვილად ვასწრებ დათვლას.

— ილია დაბრძანდება ცაზე ეტლით! — ამბობს ზაქარა პაპა.

— ვინ ილია?

— ილია წინასწარმეტყველი. ეტლში ორი ცხენი უბია, თეთრი და შავი.

— თეთრი ცხენი,

შავი ცხენი,

ღმერთო, ღმერთო,

ღამიხსენი!..

— რატომ არ მიჰყავთ ილიას ცხენები ფრონტზე?

ჩვენი სახედარი გუშინ წაიყვანეს. აღმასკომის რწმუნებულმა ქალადი მისცა პაპას, სახედარს თოკი შეაბა და წაიყვანა. პაპა მინდვრის ბოლომდე გაჰყვა, მეც ავედევნე.

— ორი ბიჭი ფრონტზე მყავს, სახედარი მაინც დამიტოვეთ, კაცო!

— პა, პელო როგორ არის? — გაიღრიჭა რწმუნებული...

პაპამ ჯოხი მოუქნია, რწმუნებულმა თავი დახარა და აიცდინა. თოკს ხელი გაუშვა და თავდაღმართში ჩაქანდა. კოჭლი იყო, ისე სასაცილოდ გარბოდა, რომ ხმამაღლა გამეცინა. რწმუნებული შეჩერდა:

— გამოავდე, ზაქარო, ეგ სამგლე ეგა!

— მოდი და წაიყვანე, გიშლის ვინმე?

თან ორივე ვიცინოდით, მეც და ზაქარა პაპაც.

რწმუნებული შეშინებული მოგვიახლოვდა:

— იცოდე, არ დამარტყა, ზაქარო, აი!

— წაიყვანე, შენზე უკეთესად მაინც იომებს!

ამაზე კიდევ უფრო გამეცინა. მართლა სასაცილო იყო, ჩვენი სახედარი რწმუნებულ სიკაზე უკეთესად რომ იომებდა.

— მაგ ნაბიჯვარს რაღა აცინებს, ნეტა! — დაიძახა სიკამ.

უკვე კარგა შორს იყო, სახედარი ჩაქჩაქით მისდევდა, თითქოს საომრად მიუხაროდა. რაღაცა ჩამწყდა მკერდში, თითქოს ვიღაცამ რკინის თითები მომიჭირა გულზე.

ბიჭები გზის პირას ვსხედვართ. შიშველი ფეხები წყალში გვიყრია, თხრილში რომ მოედინება, ტალახისფერი. მაღალ, გაშეშებულ ბალახში კალიები დახტიან. მაყვლის ბარდებიდან ჩიტო უსტვენს. შუა გზაზე გუბე დვას, გუბეში კამეჩი წევს, მზეზე ისე ბრწყინავს, თითქოს ტალახიდან ახლახან გამოუძერწავთო. ამ კამეჩის მწყემსი კოლა ჩემს გვერდით ზის და ამბობს:

— დედაჩემი გუშინ ტყიდან მომავლებულა, უტვინოს გორასთან რომ ჩამოუვლია, ტასო ძალოს სიცილი გაუგია...

— ტასო ძალოს უტვინოს გორაზე რა უნდოდა? — ეკითხება გოდერძი.

— იქვე, ხეზე, თავმჯდომარის ცხენი ყოფილა მიბმული, მაშ!

კოლაც და გოდერძიც ჩემზე უფროსები არიან. მათი ლაპარაკის არაფერი გამეგება, თუმცა ყურადღებით ვუსტმენ.

უტვინოს გორაზე სასაფლაოა. ასეთი პატარა სასაფლაო არსად მინახავს. სულ რამდენიმე საფლავია, რკინის მესრით შემოღობილი და ჭერმის რამდენიმე დაგრეხილი ხე დვას, უნაყოფო. ერთიც მთლად ახალი საფლავია, ვარსკვლავიანი. აქ ტაჯიკი ლეიტენანტი ასაფლავია,

მფრინავი. აეროდრომი ჩვენი სოფლის ახლოს, ზედ ალაზნის პირას არის. ჩვენ გვეგონა, სამხედროები მარტო ფრონტზე კვდებოდნენ. ლეიტენანტი რომ დაასაფლავეს, ჩვენს პატარა სასაფლაოს თითქოს რაღაც მოემატა და გაზვიადდა.

— მეც უტვინოს გორაზე დამასაფლავებენ, — ამბობს ფარნა.

ფარნა შორიახლოს ზის. მწვანე ფერი ადევს და მიძიმედ სუნთქავს. მაგას გული მარჯვნივა აქვს, — ამბობენ ბიჭები. ყველამ ვიცით, რომ ფარნა მალე მოკვდება. თვითონაც იცის. ზის ახლა მოშორებით და შემოგვეტყერის, ხანდახან თუ იტყვის რამეს. ჩვენ მაშინ ვჩუმდებით ცოტა ხნით. ძალიან გვეცოდება ფარნა.

— მეც ვარსკვლავს დამადგამენ! — ამბობს ის.

ვიცით, რომ ტყუის, მაგრამ არ ვეკამათებით. ფარნას ყველაფერი ეპატიება.

— გუშინ ალაზნაზე ვიყავი და ლოქო დავიჭირე, — ამბობს გოდერძის.

კოლა თავისთვის იცინის, თან სახრით მიწას ჩიჩქნის.

— რა გითხრა? — ეკითხება გოდერძის.

— რა უნდა ეთქვა?

— ლოქომ რომ ლაპარაკი იცის, არ ვაგიგონია?

— ჩემი ლოქო მუხჯი იყო!

ვხედავ დედაჩემი მოდის გზაზე, ალბათ, მე მეძებს, ბიჭების მრცხვენია, რომ წამოვხტე და შევეგებო.

— აგე დედაშენი! — მეუბნება კოლა.

— ვიცი, — ვპასუხობ ისეთი სახით, ვითომ არაფრად ვაგდებ, დედა რომ მეძებს.

— რეზო! — იძახის დედა, — რეზო!

— გეძახის! — მუჯლუგუნს მკრავს კოლა.

— ვიცი.

დედა ვერ მხედავს, ცოტა ხნის მერე უკან ბრუნდება.

— თქვენ მართლა მიტოვებულები ხართ? — მეკითხება გოდერძის.

— ჰო, — ვამბობ და თავს ვლუნავ, ცრემლი მაწვება ყელში.

— თქვენ, აბა, გულზე ზელი დამადებინე! — კუბნება გოდერძის ფარნას.

— ვირო! — უწყურება კოლა გოდერძის.

— მოდი! — ამბობს ფარნა და პერანგის საკინძეს იხსნის.

გოდერძის უბეში ხელს უყობს. ნელ-ნელა სახე უბრწყინდება:

— როგორა სცემს, ე!

ფარნა იღიმება, ეტყობა, ამით ამაყობს.

— შენც მოდი, — მეუბნება მე, — შენ ხომ არ გინახავს!

მე რატომღაც მეშინია, არ მინდა, მაგრამ მაინც მივიღივარ.

— მარჯვნივ, — მეუბნება ფარნა, — მარჯვნივ!

ხელში თითქოს ჩიტი მიჭირავს და საცოდავად ფართქალებს, თითქოს ფარნასი კი არა, ჩემი გული მიჭირავს ხელში და მეც მალე მოვკვდები და უტვინოს გორაზე მიწაში ჩამდებენ.

— რა გატირებს, ე? — მეკითხება გაოცებული ფარნა.

მე უკვე გზაზე მივდივარ. უცებ ვხედავ, გუბეში შემიტოპია, კამეჩს დავდგომივარ თავზე.

— აქეთ გამო! — მეძახის კოლა.

მე კი, ტალახში ამოგანგლული და გულდათუთქული, კამეჩს ვეხვევი და ხმამაღლა ვტირი.

უტვინოს გორაზე პატარა საყდარი დგას, უფუშბათო. ისეთი პატარაა, ადრე სასაფლაოს დარაჯის სახლი მეგონა, თურმე საყდარი ყოფილა.

მე და ფარნა საყდრის კედლის ჩრდილში ვსხედვართ. შუადღეა; ჭრიჭინობლები ქეიფობენ.

— უტვინოს გორას რატომ ეძახიან? — ვეკითხები ფარნას.

— იმიტომ რომ სიკვდილი უტვინოა! — მპასუხობს ფარნა, — დედამ მითხრა, სიკვდილი უტვინოა.

ვჩუმდებით.

გზაზე სახედარზე გადამჯდარი უტვი-

თამაზ ბილაძე

თითრი ავალი



ნო სიკვდილი მოდის. ფეხებს მიწაზე მოათრევს. აბრჭყვიალებული მტვერი ფარშევანგის კუდივით მოსდევს. თავი გვერდზე გადავარდნია და რალაცას ღიღინებს, ქელეხიდან დაბრუნებულივით. ნელ-ნელა ვარჩევ, რასაც ღიღინებს:

— ფარნა... ფარნა... ფარნაოზ...

— იცი, — იწყებს ფარნა, ეტყობა რალაც უნდა მითხრას, მაგრამ წვალობს, ვერ ამბობს. სახედარზე ამხედრებული კაცი ახლა ორღობეში მოდის და ჯოხს კაკლის ტოტებს ურტყამს. ვამჩნევ, ფეხშიშველია და ცერი თითების ნაცვლად, ნამგლის პირები აქვს, მსიარულად რომ მოკისკისობენ მზეში.

— მეც მიტოვებული ვარ, — ამბობს ფარნა ჩუმად.

— რას ამბობ, შენ მამაცა გყავს და დედაც!

— მაინც მიტოვებული ვარ...

სახედარს ყელზე დიდი ზარი ჰკიდია და ის ზარიც წკრიალებს:

— ფარნა... ფარნა... ფარნაოზ...

წვიმს.

მე, პაპა ზაქარა, დედაჩემი და ბიძაჩემის ცოლი პელო ვენახში ყურძენს ვკრეფთ. ტასო ძალო და მისი ქმარი ალე გვეზმარებინან. ალე ამ სამი დღის წინ დაბრუნდა შინ.

ცალი სახელო ქამარში აქვს ჩატანებული. მკერდზე მედალი უბრწყინავს, რომელსაც ყოველ დღილით სამოვრის მიწით ხეხავს. სამი დღე სულ სადალაქოს წინ ვაატარა. ხალხით გარშემორტყმული გაიძახოდა:

— ტრა-ტა-ტა-ტა, ასე ისვრიან სულა, მაშ! ტრა-ტა-ტა-ტა...

— სწორეა! — თავს უქნევდა ბრიგადირი გიგო, რომელიც იმპერიალისტურ ომში გერმანელებს ებრძოდა, — ასე ისვრიან...

ვხედავ, ძია ალე ტალახში გდია და ტირის, იქვე ტასო ძალო დგას.

— რაღა ხელში მომხვდა ის ოხერი ტყვია, გული აქვე არ იყო!

— ჭორია, ჭორი, — სლუქუნებს ტასო ძალო.

პაპაჩემისკენ გავრბივარ, ვაზთან რომ

ჩამკლარა და დანით მტევანს კრანს გვერდით უკვე სავსე ვედრო უდგას.

— რა იყო? — მეკითხება პაპა.

— ძია ალე ტირის! — ეს ჩემთვის წარმოუდგენელი რამ არის: ფრონტიდან დაბრუნებული, მედალოსანი ძია ალე რომ ტირის!

პაპაჩემს ვითომ არც კი გაუგია, რაც ეუთხარი, ყურძნის კრეფა განაგრძო, მტევანი გამომიწოდა:

— ამას რქაწითელი ჰქვია, დაილოცოს ამის მომგონი...

მოდრუბლული დღეა. ქარი უბერავს. გორები გაყვითლებულა. ეს ყვითელი ფერი კარგა მანძილზე მიჰყვება ცასაც. პელო ძალო სარეცხს ფენს და ამბობს:

— ჩემი ქმრის ნაჯაფი სხვას უნდა მოხმარდეს, შვილი მაინც დარჩენოდა იმ უბელურ დღეზე გაჩენილს...

დედაჩემი იქვე დგას და ტირის...

პელო ძალო, დედა და მე უტვინოს გორაზე, საყდარში ვართ. პელო ძალო თაფლის სანთელს კედელზე აწებებს ცერით. სანთელი თითივით იღუნება და წვეთავს. ხელს ვუშვერ, ხელისგული თბილი ღვეთით მევესება.

— ღვთიშობელო მარიამ, შენ მოგვხედე, ნუ მიგვატოვებ. უშველე ჩემს საწყალ ილოსა, შინ მშვიდობით დააბრუნე, მტერი დაუმარცხე, მოკეთე უცოცხლე, ღვთიშობელო მარიამ! ნუ მიგვატოვებ! ნუ მიგვატოვებ! ნუ მიგვატოვებ! — ყრუდ მეორდება ნახევრდბნელ საყდარში.

„ნუთუ ვერ ხედავენ, — ვფიქრობ მე, — ღვთიშობელო შინ რომ არ არის? ამ ცარიელ სახლში როგორ უნდა იცხოვროს, არც საწოლი აქვს... არც სკამი...“

კედელზე სხვა სანთლების ნამწვავებიც მოჩანს, პეპლებივით შესრესილი.

პელო ძალო კედელთან ფაფით სავსე ჯამს დგამს და ზედ პურს აფარებს. იქვე სხვა ჯამებიც აწყვია მწკრივად.

უტვინოს გორაზე ქარი სისინებს. სოფლიდან ქალის კვილი ისმის.

— კოკაანთ მელანოა, — ამბობს პე-

ლო ძალო, — შეილის ამბავი თუ გაი-
გო...

ლამით მესიზმრება, დაქანცული და
ჩამოძონძილი ღვთისმობელი შინ ბრუნ-
დება. კენსით ჯდება მიწაზე და კალ-
თაში ჯამს იღვამს, ფაფას შეექცევა.
ზოგჯერ თავს მალდა სწევს და რაღაცას
უსმენს.

— კოკაანთ მელანოა, — ჩიფჩიფებს
ის.

აღმართში სახედარზე გადამჯდარი
უტვინო სიკვდილი მოდის ღიღინ-ღიღი-
ნით.

— ეგ ვისი ფაფაა? — ეკითხება
ღვთისმობელს.

— კოკაანთ მელანოს ბიქისა.

— მაშინ ცოტა მეც მაქამე!

— ცეცხლი ქამე შენა, ცეცხლი!

— ილოს ფაფა მაინც მომე!

— ილოს ხელი არ ახლო!

— მშო! მშო! მშო! — ყვირის უტ-
ვინო.

მეღვიძება, ფანჯრისკენ გაგრბივარ
ფეხშიშველი, მგონია, რაღაცას უცნა-
ურს დავინახავ. მოვარეს ისე გაუნათე-
ბია ეზო, რომ ყველაფერი ბრწყინავს.
შუა ეზოში თორა თავის კუდზე დამჯ-
დარა და ყმუის.

ძია ალუ შინიდან გამოიქცა და ახლა
კოშკში ცხოვრობს. კოშკის თავზე ჩელ-
ტი გადო, ჩელტზე ჩალა დაყარა. თივა
მოიტანა და ღამით იმ თივაში სძინავს,
ფარაჯაგადახურულს.

გვესმის ღამით ტასო ძალო მოდის და
ეძახის:

— ალუ, კაცო, ალუ!

ძია ალუ ხმას არ სცემს.

— წამოდი შინ, კაცო, ვაგიედი?

პელო ძალოს დერეფანში თავი დაუ-
ბანია. ახლა თუნუქის ღუმელთან ზის,
წინ გადმოყრილი თმა იატაკამდე ჩამო-
უშლია, იშრობს.

— ალუ! ალუ! — იძახის ტასო ძალო.
თორა ყვეფით ეხმაურება.

— ძაღლი ძაღლს ელაპარაკება! —
ამბობს ზაქარა პაპა, — კაცი რომ ში-
ნიდან წავა, ქალმა ნამუსი უნდა შეუ-
ნახოს.

— ჩვენი ომია, ჩვენი! ქალების! —
ამბობს პელო ძალო, თან თმას შუაზე
იყოფს, თმა ქრატის შუქზე პრიალებს, —
ჩვენა ვართ უბედურები!

— უნდა მოითმინოთ, შვილო!

— მოითმინოთ! აი, მეც ავდგები და
გავთხოვდები!

დღეაჩემი ზაქარა პაპას უყურებს შე-
შინებულ. ზაქარა პაპა ხმას არ იღებს.

— ჰო, გავთხოვდები, სიკას გავყვები.
კოჭლია, ომში არავინ წაიყვანს...

— იმ სიკას უთხარი, — ამბობს დინ-
ჯად ზაქარა პაპა, — აქეთ სიარული
მოიშალოს, თორემ...

— თორემ რა? — ეკითხება პელო
ძალო.

— თორემ იმ ფეხს გავუსწორებ!

პელო ძალო იცინის.

ღამით რაღაც ხმაურზე მეღვიძება.
თურმე პელო ძალო ტირის. კი არ ტი-
რის, ისიც ყმუის:

— ილო... ილო... ილო...

მე და დედა წყალზე ვართ ჩამოსუ-
ლები. გვიანი შემოდგომის დღეა. ვინე-
ლლავს. ახლა ვამჩნევ პირველად, რომ
დღეაჩემი სოფლელ ქალს დამსგავსე-
ბია. ქალაქში სულ სხვანაირი იყო. გულ-
ხელდაკრეფილი დგას და კოკას დასც-
ქერის. კოკა ნელა ივსება.

შარაზე ოცეული მოაბიჯებს, გვერ-
დით ლეიტენანტი მოჰყვება. ჯარისკაცე-
ბი გუბე-გუბე მოატყაბუნებენ ჩემებს.
გორაკიდან ძია ალუ ჩამორბის, ხელ-
ში ბოღჩა უჭირავს. ატალახებულ ბი-
ლიკზე ფეხი უსხლტება.

— დაიცადეთ! — უყვირის ჯარის-
კაცებს.

ჯარისკაცებს არ ესმით. ლეიტენანტი
არც კი იხედება ძია ალესკენ, ჩვენსკენ
მოდის. მანიშნებს, წყალი დამალევიყო.
ჯარისკაცებიც ჩერდებიან, კოკა ხელი-
დან ხელში გადადის.

ძია ალუ ლეიტენანტთან მიიჭრა აქო-
შინებულ:

თამაზ ზილაძე

თეთრი კვამლი



— დამიცადეთ, კაცო, რომ გეძახით, არ გესმით?

ლეიტენანტი გაკვირვებული უყურებს. დაწითლებულ თვალებს, ეტყობა, წამებით ახელს, ვერ ხვდება, ძია ალე რას ეუბნება.

— წამიყვანეთ, კაცო, წამიყვანეთ!— ეუბნება ძია ალე და სხვებთან ერთად მწყობრში ჩადგომას აპირებს.

ლეიტენანტი რალაცას ეუბნება ჩუმად, არ მესმის, ძია ალე მოჭრილ ხელზე უჩვენებს. ლეიტენანტი თავს აქნევს. ალე მედალს იხსნის და ლეიტენანტს ცხვირთან უტრიალებს. ლეიტენანტი მიდის, ჯარისკაცები მიჰყვებიან.

ძია ალე შუა გზაზე დგას, ხელგაშვერილი. ბოხჩა ფეხებთან უგდია. იღიმება, მერე ის ღიმილი ნელ-ნელა შორდება სახიდან.

ჩვენ უკვე აღმართზე მივდივართ. დედას კოკა ზურგზე აქვს მოგდებული, მე ხელადა მიჭირავს.

უკან ვიხედები:

ძია ალე ისევ ისე დგას წვიმში... მიტოვებულივით...

ბ ა ბ ა ლ ე

დედათა მონასტრის ქვიტიკრის შენობას თეთრი სამსართულიანი სახლი ჰქონდა მიდგმული. ორივე სახლი კვიპაროსებით იყო გარშემორტყმული. მონასტრის მაღალ სამრეკლოზე ჯერ კიდევ ეკიდა პატარა ყვითელი ზარი, რომლის თოკის ბოლოც დაბლა კვიპაროსზე იყო გამობმული. ზარს მოხუცი მოწყალეების და რეკავდა ხოლმე. მონაზონი ბაღში გამოსულ ავადმყოფებს სადილად ან ვახშმად მოუხმობდა.

რაინის მთავარი საავადმყოფოს ეზო მტრედებით იყო სავსე. ეზოს ბოლოში აგურის პატარა სახლი აეშენებინათ, სამზარეულოსა და სამრეცხაოსთვის. ძეძვის ღობის გადაღმა, მზისგან გადაძოვილ პატარა მინდორზე სარეცხი იყო გაფენილი, გაშეშებული და ლილისგან გამოლურჯებული.

სამრეცხაოში მონაზონი ბაბალე ტრი-

ალებდა. ბაბალე მონასტრის გაუქმების მერე საავადმყოფოში დარჩენილიყო. ოთხმოცი წლის ჩამომხმარი დედაბერი თითქოს ვაზის ტოტებისგან შეეკოწიწებინათ და ზედ კაბა ჩამოეცვათ. სიბერეს მაინც არ იმჩნევდა. მისი გამრჯობა ბევრ ახალგაზრდა ქალს შეშურდებოდა. ზოგჯერ, მუშაობაში ვართუელი, ბავშვივით ჩივიისკისებდა, თავსაფრის ბოლოს პირზე აიფარებდა და იტყოდა:

— არ გათავდა, ქა, არ გათავდა...

— რა იყო, ბაბალე, — შეეხმიანებოდნენ მრეცხავი ქალები, თუმცა წინდაწინ იცოდნენ, რასაც უპასუხებდათ მონაზონი, — რა არ გათავდა?

— რამოდენა ყოფილა, ქა, ეს სიცოცხლე, რამოდენა!

ზარს მარტო ბაბალე რეკავდა. სხვას არავის ანებებდა. უნდა გენახათ მაშინ, რა სახე ჰქონდა: უკბილო პირი მაგრად მოეკუმბა, თითქოს ტუჩებით რალაც უჭირავსო, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ცრემლი დამკნარ ლოყებზე, ღარღარ, ნიკაპისკენ მოდიოდა. დედაბრის წაწვეტებულ ნიკაპზე ერთ დიდ გორგლად იკვრებოდა, რომელიც ლოლუასავით წვეთავდა.

— რა გატირებს, ბაბალე? — ჰკითხავდა ხოლმე ექიმი.

ბაბალე არ პასუხობდა. თუმცა ეს ექიმში გამორჩეულად უყვარდა. დილით ჩაის უდღულებდა, ოთახსაც ულაგებდა. დედასავით დასტრიალებდა თავს. ექიმს ვერაფრით აეხსნა ბაბალეს ასეთი მზრუნველობის მიზეზი. თვითონ თავის თავს გულჩათხრობილ და მიუტარებელ კაცად თვლიდა. იშვითად თუ გაუღიმებდა ექთნებს, რომლებიც თვალებში შესციცივებდნენ. ფიქრობდა, ყველას ვეცოდებო და ამიტომ კიდევ უფრო ბრაზიანი და ენამწარე ხდებოდა. სხვა ექიმს ამდენი რომ ეყვირა ექთნისთვის. ექთანი უსათუოდ სამსახურს თავს დაანებებდა, მის ყვირილს კი ყველანი თავდახრილები უსმენდნენ, უხმოდ, მორჩილად, თითქოს იცოდნენ, როგორ იტანჯებოდა ის ღამით, როცა მარტო რჩე-

ბოდა. საწოლზე გაუხდელი იწვა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, ღია ფანჯრიდან მაღალი კვიპაროსი მოჩანდა, რომელსაც ხანდახან მთვარე მოადგებოდა და ეკიდა მერე კვიპაროსზე, როგორც ზღაპრული, უაზრო ნაყოფი.

ბაბაღე მეზობელ ოთახში ცხოვრობდა. ისმოდა, როგორ დაფლასუნობდა ერთი კუთხიდან მეორეში.

ავადმყოფები გვიანობამდე ისხდნენ ბაღში წარწერებით აჭრელებულ მერხებზე. ზოგს ცოლ-შვილი ჩამოსდიოდა, მოლზე სუფრას გაშლიდნენ და ვახშამს ერთად შეექცეოდნენ. რატომღაც ყველანი ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქმის ჩურჩულით, არავინ იცოდა, ვის ან რას ერიდებოდნენ. შორიდან ჩამოსული მნახველები აქვე ბაღში ათევდნენ ღამეს. ავადმყოფებს კი ძალით ერეკებოდნენ ექთნები პალატებში. ექიმი თავის ოთახს უთმობდა მამინ ბავშვიან ქალებს. ხშირად ჩასძინებია ბაღში მერხზე ჩამომჯდარს, ალიონის სუსსს გამოუღვიძებია. ბაბაღე უკვე ფეხზე იყო, ცოცხით კიბეს გვიდა. ექიმი რომ მიუახლოვდებოდა, თავს ასწევდა და დილა მშვიდობისაო — ეტყოდა. მონაზონს მკერდზე გვარდიელის ნიშანი უბრწყინავდა. ბევრმა არ იცოდა, საიდან ჰქონდა ბაბაღეს ეს ნიშანი. ვინც იცოდა, აი, რას ჰყვებოდა:

ომის დროს ამ საავადმყოფოში ლაზარეთი ყოფილა თურმე. წნორის სადგურიდან მანქანებით ამოჰყავდათ დაჭრილები. ეზოში კარვებიც იდგა, რადგან დაჭრილებს ადგილი არ ჰყოფნიდათ. ლაზარეთს უამრავი ხალხი ეხვეოდა: დაჭრილების მშობლები, ცოლ-შვილი, ნათესაობა. ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოდიოდნენ ზურგზე ბარგაკიდებულნი. ტყის პირას მიწურებს თხრიდნენ და შიგ ცხოვრობდნენ, ქმრებთან ახლოს რომ ყოფილიყვნენ, შვილებისთვის ხმა რომ გაეცათ, შორიდან მაინც დანახებოდნენ.

ლაზარეთში ერთი ფეხმოჭრილი ჯარისკაცი ყოფილა. ექიმებს მასზე ხელი ჰქონიათ ჩაქნეული. თვითონაც იცოდა

თურმე, რომ არაფერი ეშველებოდა. საჭმელს პირს არ აკარებდა, ძალით აჭმევდნენ, მაინც ახერხებდა და ინახავდა ნაწილს, ექთნებს ეხვეწებოდა, იმას მიუტანეთო, იმას!

ლაზარეთის კართან ქალი იდგა. კაბაზე ჯარისკაცის კალთებგადაჭრილი მისზარა შემოეცვა. ფეხებიც ჯარისკაცის ვეება წალღებში ჩაეყო, გაზეთში გახვეულ თუთუნს ეწეოდა. თუმცა თმაგაჩეჩილი და სახეგამურული იყო, სარკეს მაინც მაღიმალ იღებდა ჯიბიდან და შიგ იხედებოდა. არავის არაფერს თხოვდა, არც ელაპარაკებოდა ვინმეს. იდგა და იცდიდა. ყველა იცოდა, ფეხმოჭრილ ჯარისკაცს რომ ელოდებოდა. ექთანს ქვაბურით საჭმელს რომ გამოუტანდა, მადლობას გადაუხდიდა, იქვე კედელთან მიჯდებოდა, მისზარის ჯიბიდან კოვზს ამოიღებდა და ჭამას შეუდგებოდა. ისე კოპწიად ჭამდა, თითქოს სადღაც წვეულებაზე ზრდილობის გულისთვის მიერთმევს საჭმელსო. უნებურად ყველა პატივს სცემდა, გადაბრუნებულ სიტყვას არავინ ეტყოდა. ჯარისკაცები, კარებთან ყარაულად რომ იდგნენ, თუთუნს ამლევენ ხოლმე. ლაპარაკს კი ვერ უბედავდნენ, თუმცა სხვა ქალებს საათობით ელაზღანდარებოდნენ.

ერთ დღილთ ჯარისკაცი გარეთ გამოვიდა. აღმათ, გამოიპარა, ყავარჯნებზე დაყრდნობილი კალიასავით მიხტოდა გზაზე. ქალი ლაზარეთიდან მოშორებით ელოდებოდა. ჯარისკაცმა დაინახა და ყავარჯენი ჰაერში გაიქნია. მერე ერთად წავიდნენ ტყისკენ. ქალი რალაცას უყვებოდა, თან ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, ჯარისკაცი სწრაფად მიხტოდა. მერე ორივენი ტყის პირას ჩამოსხდნენ. ამ დროს ბაბაღე ბრუნდებოდა თურმე ტყიდან. მხარზე ფიჩხის კონა გაედო. ჯარისკაცს რომ დაუნახავს, სახე უცნაურად შეცვლია, წამომდგარა და არააღამიანური ხმით დაუბღავლია:

— დედა! დედა!

თამაზ ბილაძე
თითრი ავალი

ჯარისკაცი მკერდში ჩაჰკვრია ბაბაღეს და ტირილი ავირდნია. ბაბაღეც ატირებულა თურმე. ის დღე იყო და ის, ბაბაღეს ჯარისკაცის მეგობარი ქალი აღარ მოუშორებია. წამოიყვანა, თავის ოთახში მისცა ბინა. საიდანღაც ტანსაცმელიც გამოუძებნა. ქალი საქმეში ეხმარებოდა. ტყიდან ფიჩხი ერთად მოჰქონდათ, ერთად რტყავდნენ დაქრილებს საცვლებს.

ჯარისკაცი ხშირად ეძახდა ბაბაღეს. ბაბაღეც ადიოდა პალატაში, გაფთვლილ შტოს აიტანდა ხოლმე, ჯარისკაცს თავთან ჩამოუჯდებოდა და ბუზებს უგერიებდა სიციხიანს. ჯარისკაცი კიდევ უფრო ცუდად გამხდარა. შფოთავდა, აბოდებდა. ბაბაღეს ხელი ეჭირა, არ უშვებდა.

— დედა, — უძახდა, — დედიკო!

ქალი სამრეცხაოს კიბეზე იჯდა და თუთუნს სწევდა. ახლა თმადავარცხნილი იყო, სუფთად ჩაცმული. ისევ ისეთი ჩუმი იყო, არავის აწუხებდა. ჩიტვივით ქალიაო, — ამბობდა ბაბაღე. მართლაც ჩიტვივით კენკავდა საქმელს. ერთი ნამკეცი პური ყოფნიდა, ერთი ყლუბი წყალი. ტყიდან ისე არ დაბრუნდებოდა, ყვავილები რომ არ მოეტანა თან. ღამით გვიანობამდე იჯდა კიბეზე და მთვარის შუქზე გვირგვინებს წნავდა. მერე გვირგვინებს კედელზე კიდებდა. მთელი ოთახი გვირგვინებით იყო სავსე.

ერთ საღამოს ჯარისკაცს ქალის დამახება უთხოვია. ქალი პალატაში ასულა. ჯარისკაცს რაღაც უთქვამს მისთვის ჩუმად. ქალს უხმოდ დაუქნევია თავი და გარეთ გამოსულა. იქ ცოტა ხანს მდგარა სახეზე ხელებფარებული. უცრემლოდ ტიროდა. უცრემლოდო, — ამბობდა მერე ბაბაღე. — ყველაზე მწარე უცრემლოდ ტირილიაო. ქალი მთავარი ექიმის კაბინეტში შესულა. არავინ იცის, ექიმისთვის რა უთქვამს. ცოტა ხნის მერე მთავარ ექიმს სანიტრები გამოუძახია და მის კაბინეტში პიანინო რომ მდგარა, პალატაში შეუტანინებია. სანიტრებს ქალიც შეჰყოლია და კარ-

თან ატუშულა. გაკვირვებული დაქრილები ქალს შეაცქერდნენ თურმე. ჯარისკაცი ლოგინზე წამოწეულა და ჩახლექილი ხმით მიუმატრავს ამხანაგებისათვის:

— გთხოვთ მოუსმინოთ, გთხოვთ! — მეტი ვერაფერი უთქვამს და ბალიშზე გადაწოლილა.

ქალი პიანინოსთან დამჯდარა, სახურავი აუხდია და გაუღიმია. ასე იღიმებოდა სულ, სანამ უკრავდა. ყველანი დაძაბულები უსმენდნენ.

უცებ ჯარისკაცს ხელი აუწევია და დაუყვირია:

— აი! — ისეთი სახე ჰქონია, თითქოს რაღაც ყველაზე კარგი რამ გაახსენდაო. ხელი ჩამოვარდნია და მომკვდარა.

ჯარისკაცის ნივთები ქალს წაუღია. გვარდიელის ნიშანი ბაბაღესთვის დაუტოვებია...

— დილა მშვიდობისა, — ეუბნებოდა ბაბაღე ექიმს, — დილა მშვიდობისა!

მერე დოქით წყალი მოჰქონდა და ხელობის აბანინებდა. ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო, პალატებში შესვლა არ შეიძლებოდა, ავადმყოფებს ეძინათ. ფერდობზე მუხის ტყეს ჯერ კიდევ ნისლი ეხურა, ნისლში ჩამალულ ხეობიდან მატარებლის კივილი ამოჰქონდა ნიავს. სამზარეულოს მოღებულ კარიდან ქალების სიცილი ისმოდა. წითელი მამალი ძეძვის ღობეზე შემებტარიყო და ყიოდა.

მერე დილიდან შუადღემდე ოპერაციებს აკეთებდა. დაქანცული ბრუნდებოდა შინ. საწოლზე მიეგდებოდა და თვლემდა. კედელზე, ჩარჩოში ჩასმული პატარა გოგონას სურათი ეკიდა. გოგონას ბაბთიანი ნაწნავები მკერდზე ეყარა...

ერთ საღამოს ექიმი თავის ოთახში უნახავთ მკვდარი. მაგიდასთან მჯდარა. ბაბაღეს უფიქრია, სძინავსო...

მეორე დღეს თბილისიდან ექიმის ცოლ-შვილი ჩამოვიდა. ექიმი თავის ოთახში მაგიდაზე ესვენა, ზეწარგადაფარებული.

მატარა გოგონა ცოტა ხანს იდგა ოთახში, მერე გარეთ გამოვიდა და კიბეზე ჩამოჯდა. ეზო მტრედებით იყო საყვ. ქვიტიკრის ჩამონგრეული კედლის იქით რომელიღაც მაღალი ხე ყვავოდა წითლად. მერე ბაბალემ გოგონას ხელი ჩაავლო და ტყისკენ წაიყვანა.

— რა გქვია, გოგო? — ჰკითხა ბაბალემ.

— შია!

ფერღობი სულ აყვავებულ ასკილის ბუჩქებით იყო მოფენილი...

2

მარო

რჩხო დიდხანს დაყილობდა ქალაქში. შიოდა, მაგრამ კაპიკი არ ჰქონდა, რომ რამე ეჭამა. რაც ფული ჰქონდა, ავტობუსის შოფერს მისცა.

რა უნდოდა აქ, გორში, რისთვის ჩამოვიდა?

ცივი ქარი უბერავდა. მოყინული ქუჩები ნათურის შუქზე თუნუქგადაკრულებით ელავდნენ. თავისი საქციელის უაზრობით შემკრთალი სადგურისკენ გაემართა. მატარებელში უბილეთოდ ავიდოდა. დააჯარიმებდნენ, მაგრამ გადახდას, ალბათ, დააცდიდნენ, მერე გადაიხდიდა.

სადგურში მორიგეს ჰკითხა, თბილისამდე მატარებელი როდის იქნებაო?

მატარებელი თორმეტ საათამდე არ იქნებოდა!

წამოვიდა, ლიანდაგს გაუყვა. გორში აღრეც იყო ნამყოფი და იცოდა, რომ სადგურთან ახლოს ლიანდაგს სამანქანო გზა ჰქონდა. იქ გაჩერდებოდა, იქნებ მანქანაში ჩამჯდარიყო. სადგურს ცოტათი იყო გამოცილებული, რომ მატარებლის ხმა მოესმა. იფიქრა, ნუთუ მორიგემ მომატყუაო; მაგრამ მატარებელმა გვერდით რომ ჩაუქროლა, დაინახა, სატვირთო იყო. ბოლო პლატფორმას ჩამოეკიდა, წვალბებით აიწია ხელებზე და ავიდა. ფეხზე ვერ გაჩერდა, ქარმა კინალამ გადმოავლო, თითქოს ქარი მატარებლის დარაჯი ყოფილიყო. ცარიელი

პლატფორმის კუთხეში ჩაჯდა და მიიყუჟა. გაუელვა, იქნებ ეს მატარებელი სადმე თბილისამდე გაჩერდესო, მაგრამ რადგან სხვა გზა არა ჰქონდა, ამაზე აღარ უფიქრა.

ქარი ზუზუნით გადადიოდა მის თავზე. ცრემლი თავისთავად მოსდიოდა. არ თოვდა, ის კი ნატრობდა, რომ წამოებარდნა, თითქოს თოვლი დაიფარავდა ქარისაგან. ქარი კი არა, ეს იყო გაათრებული, ჰკუზაზე შეშლილი ცხოველი, რომელსაც ტრიალ მინდორში მხოლოდ ის შერჩენოდა ხელში და აღტაცებული იმით, რომ მას — გონიერს — შეეძლო დაეფასებინა მისი სისასტიკე, სიამოვნებით უგლეჯდა სხეულს.

რადგან პლატფორმის ბოლოში იყო მიყუჟული, გადაწყვიტა ადგილი შეეცვალა, წინ გადასულიყო, იქნებ ქარი იქ ნაკლებად მიწვდომოდა. წამოდგომა ისევ ვერ შეძლო, ამიტომ გაფოფხდა, მაშინვე ხელის გულები და მუხლები გადაეგლოჯა. პლატფორმის იატაკზე ნახშირი ეყარა. ალბათ, დაცლის ღროს მთლიანად არ გადაეწმინდათ.

თბილისში სადგურამდე ჩამოხტა მატარებლიდან. თოვლში წაიქცა. ცოტა ხანს გაუნძრევლად ეგდო. წამოდგომა არ უნდოდა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე გამეფდა, თითქოს ჯოჯოხეთური კინოლენტი გამწყდარიყო უცებ.

მერე ქუჩაში შირბოდა. ეგონა, რომ შირბოდა, ნამდვილად კი ძლიერ მილასლასებდა, გამურული, დაყრუბული, რადგან უცებ შემწყდარი ქარის ზუზუნის მერე არაფერი ესმოდა. შიას სახლთან რომ მივიდა, აზროვნების უნარი დაუბრუნდა. მიხვდა, რომ გიყვივით იქცეოდა და გაუკვირდა, რატომ იქცეოდა ასე.

სადარბაზოში შევიდა და გაჩერდა. ხელებზე დაიხედა, თითქოს შავი ხელთათმანები ეცვა, აქა-იქ თეთრად გადამსკდარი. ამ ღროს ფეხის ხმა მოესმა, თავი ასწია, კიბეზე კარლო ჩამო-

თამაზ პილაძე
თმთრი კვალი

დიოდა. ის რომ დინახა, შეჩერდა. რეზოს მოეჩვენა, თითქოს უკან აბრუნებაც კი დააპირა. ასე შესცქეროდნენ ერთმანეთს უხმოლად.

— რა გინდათ ჩემგან, მე რას მერჩით, რა ჩემი ბრალია? — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ კარლოს.

ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა, ამიტომ ჰკითხა:

— რა თქვით?

კარლოს ხმა აღარ ამოუღია, თვალ-მოუშორებლად უყურებდა, შემკრთალი. რეზომ გაიფიქრა, ალბათ, საზარელი სანახავი ვარო და შერცხვა კიდევ კარლოსს: ქუჩის პატარა ბიჭივით იდგა ახლა მის წინ და ალბათ, კარლო ფიქრობდა, რომ ცემას უბირებდა. ასეთი დამცირებული ჯერ არ ყოფილა. კარლოს რომ აღარ შინებოდა, უთხრა:

— მატარებელში გავიშურე ასე! — და გაიცინა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამან კიდევ უფრო შეაკრთო კარლო.

— მეჩქარება! — უთხრა მან, თან ადგილიდან არ იძვროდა.

რეზო ქუჩაში გამოვიდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ იქ, სადარბაზო კართან, მანქანა იდგა. ცოტა ხნის მერე კარლოც გამოვიდა და პირდაპირ მანქანისკენ წავიდა. ჰიბიდან გასაღები ამოიღო. რეზო ხედავდა, როგორ უცახცახებდა ხელი, როცა მანქანის კარს აღებდა.

რეზოს იმდენად რცხვენოდა იმის, რასაც ახლა კარლო მასზე ფიქრობდა, რომ გადაწყვიტა კიდევ რაღაცა ეთქვა:

— იცით რა, — დაიწყო, მაგრამ კარლომ აღარ მოუსმინა და მანქანის კარი შეიჭახუნა. რეზო იმ წუთას იმდენად გულწრფელი იყო კარლოს მიმართ, რომ გაოცდა, მისი მოსმენა რომ არ მოინდომა. თან იმასაც გრძნობდა, რომ ჯობდა თავი დაენებებინა, მაგრამ ამავე დროს რაღაც არ უშვებდა. ფანჯარაზე მიუკაკუნა, კარლოს მისკენ არ გამოუხედავს, მანქანას ჭოჭავდა. ცოტა ხნის მერე მანქანა ათახთახდა.

რეზო მანქანას წინ დაუდგა:

— დაიცადეთ! დაიცადეთ! — თვითონ

არ იცოდა, რამ უბიძგა ამის გასაკეთებლად.

უცებ საშინელი დარტყმა იგრძნო და ისიც იგრძნო, როგორ აიწია მძლეა და რაღაცას კეფით შეასკდა. მერე გონება დაკარგა.

საავადმყოფო

თვალი რომ გაახილა, ექიმმა უთხრა:

— მომილოცავს გადარჩენა!

წინ გადმოხრილი თვალეში ჩასცქეროდა და იღიმებოდა.

რეზოს არაფერი ახსოვდა, როგორ მოხვდა აქ, ან რა დაემართა. ექიმს გადმობრუნებული მსუქანი ტუჩები ჰქონდა. ნიკაპზე დიდი, შავი ხალი აჯდა. ეს ხალი რეზოს ჯერ ქერზე დამჭდარი ბუზი ეგონა, მერე ნელ-ნელა მიუახლოვდა და და ხალად იქცა.

— ახლა შეგიძლიათ ჰკითხოთ! — მიმართა ექიმმა ვიღაცას, რომელსაც რეზო ვერ ხედავდა, რადგან თავს ვერ აბრუნებდა.

ექიმი მოშორდა.

ახლა სხვა სახე დაადგა თავზე, სარზე ჩამომხობილი ცხენის ქალასავით გრძელი, მე მილიციიდან ვარ! — თითქოს მისმა თვალეებმა წამოისროლეს ეს სიტყვები, რადგან თვალეები უცნაურად გაუფრთხოვდა.

— ჩაუ! — გაისმა ექიმის ხმა.

— მანქანის ნომერი ხომ არ გახსოვთ? — ჰკითხა მილიციელმა.

— არა, — წაიჩურჩულა წვალებით. თან უკვირდა, რატომ უჭირდა ლაპარაკი. თვალეები შუქმა ატკინა, დახუჭა.

— დაარტყა და წავიდა, ნახევარი საათი ასე ეგდო, — გაიგონა ცოტა ხნის მერე.

— ვიცი! — უპასუხა ექიმმა.

უცებ ჩაეძინა... თუ ძილით სავსე ორმოში ჩასრიალდა. ვიღაცამ ფეხებში ჩაავლო ხელი და ჩაათრია. არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, იმდენად სისაიმოვნო იყო ორმოს ფსკერზე წოლა.

მერე თავისი მეგობარი გელა დინახა.

— მილიციელი სად არის? — ჰკითხა გელას.

— რომელი მილიციელი, მე აქ არავინ დამხვედრია?

— რა დამემართა? — ჰკითხა.

თუმცა უკვე ყველაფერი ახსოვდა. ახლა უნდოდა შეემოწმებინა, სხვებმაც იცოდნენ თუ არა. არ უნდოდა, ვინმეს რომ სცოდნოდა.

— რა ვიცი... მანქანა დაგეჯახა მგონი... სერიოზული არაფერია... ნომერი ხომ არ გახსოვს?

— არა.

— რა მანქანა იყო?

— არ ვიცი.

— ფერი მინც რომ გახსოვდეს...

— არა, არ მახსოვს... სიგარეტი ჩამიდე პირში, — უთხრა. ბინტებით იყო გაკრული მუმიასავით.

სანამ სიგარეტს პირში ჩაუდებდა, გელამ ერთი-ორჯერ თითონ დაარტყა ნაფაზი. თუთუნის კვამლი ჩაისუნთქა, თავბრუ დაეხვა.

— კარგი, გეყოფა! — უთხრა გელამ.

თვალი დახუჭა. საწოლი დატრიალდა, ეგონა, გადმოვარდებოდა.

თვალი გაახილა, მოეჩვენა ოთახში არავინ იყო.

— გელა! — დაიძახა.

— აგერა ვარ, ბიჭო, ნუ გეშინია! — მოესმა უცხო ხმა.

მოულოდნელად მისი კარის მეზობელი, ბორის მაკალათია დაადგა თავზე, შოფერი.

— როგორა ხარ, ბიჭო, აღარ აპირებ შინ დაბრუნებას?

სკამზე ჩამოჯდა, ორივე ხელი შარვალზე ჩამოსისვა და თქვა:

— გაზაფხულდა, ძამია, გაზაფხულდა!

„ნუთუ ასე ცუდად ვარ, — ფიქრობდა რეზო, — რომ ბორისი ჩემს სანახავად მოვიდა?“

— ტორტი მოგიტანე, — განაგრძობდა ბორისი, — ჰა, შეხედე! — გადაიხარა, მაგიდიდან ტორტის ყუთი აიღო და მუხლებზე დაიდო, ხელი გადაუსვა, — ამოიღე, ბიჭო, ხმა! — შეუყვარა.

— გამარჯობა, ბორის! — უთხრა რეზომ.

— აგაშენა ღმერთმა! — შესძახა ბორისმა. თითქო აქამდე ეჭვი ეპარებოდა, რომ რეზოს ლაპარაკი შეეძლო.

„გელა სად გაქრა, — ფიქრობდა რეზო, — სად დაიკარგა...“

— ცოლი შევირთე, — უთხრა ბორისმა, — გაიგებდი! — და რატომღაც გამომცდელად დააკვირდა.

— არ ვამიგია.

— კი ვარ ჩემთვის ბედნიერად!

— მომილოცავს!

— რა ექნა აბა! — თქვა ბორისმა.

უცებ წამოიძახა:

— რას დამსგავსებხარ, ბიჭო, პატრონი არა გყავს? გაბურძნულხარ ზოსიმე მღვდელივით! — წამოხტა. ტორტის ყუთი ისევ მაგიდაზე დადო:

— დედას ვუტირებ მაგ წვერს, დიციად!

ჭიბიდან სამართებელი ამოიღო, დაიქნია და გაშალა.

— ა!

— ნუ წუხნები, ბორის, დღეს აპირებდნენ სწორედ ჩემს გაპარსვას...

ბორისმა ყური არ დაუგდო, ოთახიდან გავარდა. ცოტა ხნის შემდეგ ფიზჯნით ცხელი წყალი შემოიტანა, მეორე ხელში ალუმინის პატარა ჯამი ეჭირა, შიგ საპონი ააქაფა.

— ნუ გეშინია, კაი პარიკმახერს ვაჯობებ პირის გაპარსვაში. ჯარში სულ მე ვპარსავდი ბიჭებს. მახსოვს, ერთი მამხალასავით ბიჭი იყო რაჟველი, გაბრიჩიძე, გავპარსე და კი არ მომიკლეს ნახევარ საათში? — ეუბნებოდა ბორისი და თან პარსავდა, — მეორეც გავპარსე და ისიც მომიკლეს. მაშინ ვთქვი, დეანებებ ამ ხელობას თავს-მეთქი და ახლა შენ გპარსავ მას მერე პირველად! გაჩუმდა, სამართებელი ქალღლის ნაგლეჯზე გაწმინდა და თქვა:

— ახლა კი არაა ომი, ნუ გეშინია! გადაიხარხარა ხმამაღლა, გულიანად.

თამაზ აილაძე
თეთრი კვამლი



და მხოლოდ ახლა, როცა მის ხარხარს უსმენდა, რეზოს ბორისის მიერ აღრე ნათქვამი სიტყვების აზრი ჩაწვდა: გაზაფხულდა! თითქოს დიდხნის გაჩერებული საათი უცბად ამუშავდა და იგრძნო, დრო როგორ დაიძრა და ისიც მორივით აატივტივა, წაიღო.

ერთხელ ექთანმა, რომელიც ნემსს უკეთებდა, უთხრა:

— ნეტავი ანა სად დაიკარგა?

რეზოს ძალიან გაუკვირდა:

— ვინ? — იფიქრა, ხომ არ მომეს-
მაო.

— ანა ვიდრე შენ ცუდად იყავი, სულ აქ იყო, აქ აღამებდა. რამდენი ხანია აღარ გამოჩენილა...

„მაია! — გაიფიქრა რეზომ, — მაია!“

ექთანი როგორც კი ოთახიდან გავიდა, წამოდგა, ახლა მხოლოდ თავილა ჰქონდა შეხვეული, ფანჯარასთან მისვლა დააპირა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ მაიას დაინახავდა. მაგრამ შუა გზაზე სკამს რომ არ წაპოტინებოდა, უსათუოდ წაიქცეოდა. ასე სკამზე ჩამომჯდარს მიუსწრო ექთანმა.

— ვინ მოგვცა ნება, რატომ ადექი?

— რა რიცხვია დღეს?

— თოთხმეტი აპრილია.

რეზოს უცებ გაახსენდა ის, რაც აქამდე სიზმარი ეგონა, რომ მაია აქ მის სანახავად იყო, კარლოსთან ერთად და რაღაც მოხდა. ის კი ვერაფრით მოიგონა, თუ რა მოხდა, ალბათ, მაშინაც გონება დაკარგა.

— აპრილია! აპრილია! აპრილია! — ამბობდა და თან იცინოდა.

— იცოდე, ექიმს დავუძახებ! — უთხრა რატომღაც შემინებულმა ექთანმა.

— ფანჯარასთან მიმიყვანე! — თხოვა რეზომ ექთანს.

ძლივს დაითანხმა...

დაბლა სახურავებს შორის მოქცეული ეზოს ნაწილი მოჩანდა. ეზოში ვიღაც პიემიანი კაცი მიდიოდა. ცისფერ ბურუსში გახვეულ მთაწმინდას საავადმყოფოს კვიპაროსები ეფარებოდნენ. სა-

ბავირო გზის ვაგონი წითელი ჩიტვივთ გადარბოდა კვიპაროსიდან კვიპაროსზე...

რძე

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა საავადმყოფოდან ერთი წლის გამოსული იყო.

— ჩუმა! რა დაგემართა? — უთხრა ჩურჩულით მაიამ.

ოთახში ბნელოდა. ფანჯარაზე ფარდა იყო ჩამოფარებული.

— ბოთლები ბადეში ჩააწყვე.

— ჰო, — გავპასუხა რეზო.

— რა გაყვიერებს?

რეზოს ისევ ეძინებოდა, თვალს ძლივს ახელდა.

„სამამდე დავთვლი და წამოვდგები...“

— სანდლები ჩაიცივი, კარადასთან ყრია, — უთხრა მაიამ.

— კარგი, — რეზო წამოდგა, კარადასთან მივიდა, დაიხარა, ხელები იატაკზე ისე მოაფათურა, რომ ძირს არ დაუხვდავს. სანდლები მაინც იპოვა, წამოიღო და ისევ საწოლზე ჩამოჯდა, სანდლების ჩაცმა დაიწყო.

— რძეს რომ მოიტან, თაროზე დადგი, ხომ იცი...
— ვიცი...

მხოლოდ იმიტომ პასუხობდა, რომ მაია დაერწმუნებინა ნამდვილად მღვიძავსო. თვითონ არ იყო დარწმუნებული, მართლა ეღვიძა თუ არა. ეგონა, სიბნელებში სხვების ლაპარაკს უსმენდა. კი არ უსმენდა, უნებურად ესმოდა მათი ლაპარაკი. მერე ეს ლაპარაკიც მიეუჩინა, უეცრად გაჩენილ სიჩუმეში ჩაიკარგა.

„ერთი, — დაიწყო გულში დათვლა, — ერთხანხვარი... ორი...“

— ფარდა არ ასწიო! — უთხრა მაიამ.

— არა.

ქუჩაში გამოვიდა. ხელში ბადე ეჭირა, ბადეში ორი ბოთლი იდო. ქუჩა მოერწყათ. ისე გრილოდა, ცოტათი შესცივდა კიდევ.

ქუჩის ბოლოში პატარა გასტრონომიული მაღაზია იყო. იქ დილაობით რძეს ჰყიდდნენ ხოლმე.

ხელი ნაბიჯით შეუყვავა აღმართს.

„ნამდვილი მეოჯახე კაცი ხარ, — ეუბნებოდა თავის თავს, — აი, მესმის! შენ ქორწინების სახლის ვესტიბულში უნდა იდგე, ასე — ტილოს შარვლით, სანდლებით. ხელში რძით სავსე ბოთლები უნდა გეჭიროს, მკერდზე დიდი ასოებით გეწეროს: იდეალური ქმარი! ხომ გინდოდა, ასეთი ყოფილიყავი? აი, მიაღწიე კიდევ, მომილოცავს! ტყუილად იბრანტები, რას ხედავ ამაში ცუდს. რძე შენს ბავშვს სჭირდება, სხვას ხომ არა! ვინ უნდა მოუტანოს რძე ბავშვს თუ არა მამამ? „ძუძუებით რძე მომაჭვს, პირით ბალახს!“

მალაზია დაკეტილი დახვდა. ნუთუ მაია შეცდა და ადრე გააღვიძა?

— ახალგაზრდავ! ახალგაზრდავ! — შემოვსმა ამ დროს რეზოს.

გაიხედა და მათი უბნის ხარაზი დაინახა.

რეზომ მკერდზე ხელი მიიღო, მე მეძახიო?

ხარაზმა თავი დაუქნია:

— ერთი წუთით აქ მობრძანდით!

რეზომ ქუჩა გადაჭრა და ხარაზთან მივიდა.

ხარაზი დაბალი კაცი იყო. გადამბული, ხშირი წარბები და მხიარული, მბზინავი თვალები ჰქონდა. რეზო რომ მიუახლოვდა, ხარაზმა მკლავში ხელი ჩაავლო, რეზომ უნებურად ხელი გაიქნია.

— დაიცა, — გაიცინა ხარაზმა, — მოდი აქ, რა გაჩვენო!

ჯიხურთან მიიყვანა:

— ხედავ?

ჯიხურში ვიღაც კაცი იჯდა, რეზოს ამღვრეული თვალებით შემოხედა.

— რატომ მეძახდი? — მიუბრუნდა რეზო ხარაზს.

— იმიტომ გეძახდი, რომ ხაში მიირთვი-მეთქი, მამ! შედი! შედი! — და რეზოს ხელი უბიძგა.

ჯიხურში დაბალი მაგიდა და ტყავის თასმებით მოწესული სკამი იდგა. ხარაზმა რეზო სკამზე დასვა, თვითონ მაგიდასთან ჩაცუკქდა ისე, რომ ზურგი ქუ-

ჩაში ჰქონდა გაყოფილი, მაგიდაზე მდგარ ქვებს სახურავი ახადა.

— პა, პა, პა, პა! — შესძახა. მერე ხელი რეზოს ზურგს უკან გადაყო, იქ კედელზე მიკიდებული პიჯაკის ჯიბიდან ტილოში შეხვეული კოვზები ამოიღო, ერთი რეზოს მისცა, მეორე თვითონ დაიჭირა. ამასობაში კაცმა, რომელსაც აქამდე კრინტი არ დაეძრა, პური დაამტვრია და ქვებში ჩაყარა, ჯიბიდან კოვზი ამოიღო, მკერდზე ჩამოსვა და ქვებში ჩაყო.

— ეს წესიერი ახალგაზრდაა, ყოველ დილით რძეზე ამოდის-მეთქი, ჩვენს უბანში ახალი ვადმოსუღია, მოდი დავუძახოთ-მეთქი, — ამბობდა ხარაზი და ხაშს ქვებიდან გემრიელად შეეჭკეოდა, — ჭამე, რაღას უყურებ!

ხარაზმა მაგიდის ქვევიდან არყით სავსე ნახევარლიტრიანი ამოაძვრინა, მღუმარე კაცმა ჯიბიდან ჭიქა ამოიღო და მაგიდაზე დადგა. რეზომ მხოლოდ ახლა შეამჩნია, იმ კაცს ცალი ფეხი არ ჰქონდა.

— ხაშს რა უხდება და არაყი! — თქვა ხარაზმა.

თუნუქის ტოლჩა ამოიღო, არაყი ჯერ მღუმარე კაცს დაუსხა თავის, ჭიქაში, ტოლჩით კი რეზოს გაუწოდა:

— დალიე!

რეზომ ტოლჩა ჩამოართვა, დაიცადა, ლეო, ალბათ, სადღეგრძელოს იტყვისო, მაგრამ ლეომ არაფერი თქვა, ჭიქა გამოცალა.

— პა, ლეო, გეამა? — გაიცინა ხარაზს და თავისთვისაც დაისხა არაყი, — ერთი სახარება! — ტუჩი ხელისზურგით მოიწმინდა და ჭიქა ისევ გაავსო.

რეზომაც დალია. ხარაზმა კიდევ დაუსხა.

— ორი სახარება!

რეზოს დასცხა.

— რა გქვია? — ჰკითხა ხარაზმა.

— რეზო.

— რეზო კარგი სახელია. არა, ლეო?

თამაზ ბილაძე
თეთრი კვამლი

ლემ არ უპასუხა.

— დედამ დამარქვა, — თქვა ღიმილით რეზომ.

ხარაზმა მეორე ბოთლი გახსნა:

— გაგიმარჯოთ, ბატონო ლეო, — რეზოს ხმა აუტაცახდა, სიტყვა ვეღარ გაავრძელა, ტოლიში ჩარჩენილი არაყი დალია, — ეგ არაფერი, ბატონო ლეო, არაფერი... — გადაიხარა და მოჭრილ ფეხზე ხელი ფრთხილად ჩამოუსვა.

ლეომ ხელი აუკრა, რეზო სახტად დარჩა, ხარაზს შეხედა, ხარაზმა ხმამალა გაიცინა. ცოტა ხნის მერე რეზოს ქალის ფეხსაცმელი ეჭირა ხელში.

— საბრალო იორიკი, — ამბობდა სიცილით, — საბრალო იორიკი!

რომ მოდიოდა, დინახა, ლეოს ყავარჯენები ჯიხურზე გარედან იყო მიყუდებული.

ხელში ბადე ეჭირა.

ნუთუ ასე ეჭირა სულ, ნუთუ ჯიხურშიც ხელიდან არ გაუშვია?

შეუძლებელია! მერე ესეც დაავიწყდა.

მერე ტრამვაიში იჯდა და სადღაც მიდიოდა. მოთენთილს, ძალიან ეძინებოდა. ხანდახან თავი მკერდზე ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მაშინვე მალა სწევდა და მის წინ მჯდომ მოხუც ქალს უღიმოდა.

ოთხსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა, კიბეს აუყვა.

მეორე სართულის ბაქანზე სამი კარი გამოდიოდა. მარჯვენა კართან მივიდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, თითქოს მეორეზე კი არა, მეათე სართულზე ასულიყოს. ბადე კედლთან დადო, ზარს ფრთხილად დაჭირა თითი. ბინიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა. ისევ დარეკა ზარი. რაღაც განმიანდა და ფლოსტების ტყაპა-ტყუმი მოისმა.

— ვინ არის? — იკითხა ქალმა ჩურჩულით.

ჩურჩულითვე უპასუხა:

— მე ვარ, გააღე.

კარი მაინც არ გაუღეს. ცოტა ხნის მერე ქალმა ისევ ჰკითხა:

— ვ-ი-ნ-?

— რეზო.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ქალის ხმა საერთოდ მოსჩვენებოდეს. ეს სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა. ისევ ზარის დარეკვას აპირებდა, რომ ამ დროს ქალმა გასაღები ორჯერ გადაატრიალა და კარი გაუღო. რეზო ისე სწრაფად შევიდა ბინაში, რომ წინ შეფეთებული ქალი კედელს მიაწყდა:

— რეზო?

— ჩუ! — უთხრა რეზომ და მკლავში ხელი ჩაავლო! — ჩუ! კარი მიხურე!

კარი თვითონვე მიხურა. ქალს ვარდისფერ ღამის პერანგზე ხალათი შემოეცვა, მკერდი ვაღელვოდა და თეთრი, პატარა ძუძუ მოუჩანდა. რეზომ ორივე ხელი წელზე მოხვია და მკერდზე დაუწყა კოცნა.

— რეზო?

— ანა! ანა! — მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

უცებ მოეჩვენა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო, მხოლოდ ეს ახალგაღვიძებული, ჯერ კიდევ ძილისგან გამოურკვეველი ქალი იყო სინამდვილე, გრილი მკერდით, სუსტი, დამყოლი წელით, თითქოს ზერზემალი არც კი ჰქონდა.

ქალმა თმაში ჩაავლო ხელი და თავი აუწია:

— რა დაგემართა?

— ანა!

— რა დაგემართა-მეთქი?

მერე თავი განთავისუფლა, შიშველ მკერდზე ხელი დაიფარა, პერანგის საკინძე არ ეკერებოდა, განზე გადაა და ისე შემოხედა:

— მთვრალი ხარ?

— არა. მოდი ჩემთან!

შეეშინდა, ეს ქალიც არ გამქრალიყო.

— მოდი აქ! — წაუპოტინა, მაგრამ ქალმა მისი ხელი ადვილად მოიშორა.

რეზომ წონასწორობა დაკარგა და კედელს მიეჯახა.

— მთვრალი ხარ ნამდვილად! — ანამ ორივე ხელით თმა უკან გადაიწია და საყვედურით სავსე თვალებით შეხედა, — ოთახში შემოდი.

ქალს უნდოდა როგორმე კარისთვის მოცილებინა რეზო, რადგან აქედან ხმა აღვილად გადიოდა გარეთ.

— ოთახში შევიდეთ!

— ანა!

— დათვერი და გაგახსენდი, არა? — უთხრა ქალმა და გაუღიმა. დაყვავება არჩია, ასე უფრო ნაკლები ხმაური იქნებოდა, — შემოდი, — მაჯაში ხელი ჩაავლო, — რას უღვებარ!

ქალის ნებას დაჰყვა, უცებ ბურთს წამოჰკრა ფეხი, ბურთი მინის კარს მი-აწყდა.

— ჩუ! — ანამ ტუჩზე თითი მიი-დღო, — ბიჭს ღვიძავს!

თან თვალთ მერე კარზე აჩვენა.

— ჰო, — თქვა რეზომ, — ჰო.

ოთახში დერეფანთან შედარებით მე-ტი სინათლე იყო. ამან რატომღაც შე-აკრთო, კართან შეჩერდა.

— რა იყო? — ჰკითხა ანამ და ჩუმად გაიცინა, — რა კარგად მეძინა, რა დროს მოსვლა იყო? თავისუფალი დღე მქონ-და, ვიფიქრე, გამოვიძინებ-მეთქი, — აშლილ ლოგინთან მივიდა და საბანი გაასწორა, — დაწეჭი, თუ გინდა, დაი-ძინე.

— არა!

— დამიჯერე, მოდი, სარკეში ჩაიხე-დე, რას გვებარ!

თვითონ სარკესთან იდგა და თმას ის-წორებდა.

რეზო მივიდა და გვერდით დაუდგა. ჯერ ვერაფერი დაინახა, თითქოს სარკე შეორთქლილი ყოფილიყოს, მერე თავისი სახე გაარჩია, იცნო მხოლოდ იმი-ტომ, რომ იცოდა, სარკეში იხედებოდა.

ანა მოუტრიალდა და პერანგზე ღი-ლი შეუხსნა:

— დაწეჭი!

— არა! — უპასუხა მან, თუმცა პე-რანგი კი გაიხიდა.

ქალს მხარზე მოხვია ხელი:

— ანა!

— ანა! ანა! ანა! რა ანა? რა გინდა? — შეუწყრა ქალი და მხარი გაიჭინა.

რეზოს ხელი ჩამოუვარდა. წამოვიდა, მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია

და დაჯდა. მაგიდაზე გადაშლილი რვე-ული იყო. უჯრებიან ფურცელზე რაღაც ეწერა. დააკვირდა და მისდაუნებურად, ხმაშალდა წაიკითხა:

— „ორ ქალაქს შორის მანძილი 744 კილომეტრია. ამ ქალაქებიდან ერთმა-ნეთის შესახებდრად ორი მატარებელი გამოვიდა. ერთი გადის საათში 32 კი-ლომეტრს, მეორე — 30 კილომეტრს. რამდენი საათის შემდეგ შეხვდებიან მატარებლები ერთმანეთს?“ გაეცინა.

— რა გაეცინებს? — ჰკითხა ანამ.

რეზომ წელზე მოხვია ხელი და მუ-ცელზე მიადო ლოყა. ამ დროს კართან გაჩერებული ბავშვი დაინახა, კარის მი-ნას მოკრული, მათ უყურებდა. სასწრა-ფოდ გაუშვა ხელი ანას.

— რა იყო? — ანა შეკრთა. მერე კა-რისკენ გაიხედა და ბავშვი დაინახა.

— არჩილ! — დაუძახა ბავშვს, — შე-მოდი, რვეული წაიღე!

ბავშვი შემოვიდა, თავჩაღუნული მო-ვიდა მაგიდასთან, რვეული აიღო და გა-ტრიალდა.

— გამარჯობა, არჩილ! — დააწია რე-ზომ.

ბავშვი არ შეჩერებულა, არც უპასუ-ხია, ოთახიდან გავიდა, ცოტა ხნის მერე გაისმა, როგორ გაიჯახუნა ბინაში შე-მოსასვლელი კარი.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ანამ თქვა:

— ისეთი ჰკვიანია, მე არც კი მალვი-ძებს, ისე მიდის სკოლაში, — გაჩუმდა, ფანჯარასთან მივიდა, — დამიჯერე, და-წეჭი, გამოფხიზლდები!

რეზო მოულოდნელად წამოდგა. ქა-ლი აიტაცა და ლოგინისკენ წაიყვანა.

— გამიშვი, — ქალი იცინოდა, თუმ-ცა ნამდვილად კი ცდილობდა თავის განთავისუფლებას, — გამიშვი...

ქალი დააწვინა და გაშმაგებულმა კოცნა დაუწყო.

— ნიერის სუნით ქოთხარ, არ მიყ-ვარს, გამიშვი... არ მიყვარს...

თანავ აილაძე
თერთი კვანძი

— არც მე... არც მე... არც მე...

ქალი ჯერ უძალიანდებოდა, მერე მო-
ეშვა. ორსულივით დახეტიალი და შე-
შუპებული ტუჩები ჰქონდა. თვალი მიე-
ლულა და სუსტი, აცახცახებული ხმით
ერთსადამივეს იმეორებდა: — არ მიყ-
ვარს... არ მიყვარს... მომშორდი! —
უბრძანა მერე, — მომშორდი!

რეზო მაშინვე დამორჩილდა და თავი
ბალიშში ჩარგო.

ქალმა შიშველ ზურგზე ხელი ჩამო-
უსვა, ერთხელ, მერორე და ჩუმი, ალე-
რსიანი ხმით უთხრა:

— დაიძინე... დაიძინე...

გვირაბში ლიანდაგზე მიაბიჯებდა.
გვირაბში ორივე მხრიდან მატარებლები
შემოდოდნენ. უცებ გვირაბი გაქრა.
ახლა ქალაქის ქუჩაში მიდიოდა. ამ ქა-
ლაქს ერთადერთი ქუჩა ჰქონდა და ქუ-
ჩაზე ერთმანეთის შესახვედრად ორი
მატარებელი მოდიოდა.

ლიანდაგზე ბავშვი მორბოდა, ხელში
გადაშლილი რვეული ეჭირა და ეძახდა:

— შემომოწმე! შემომოწმე!

— გადადი ლიანდაგიდან!

ბავშვი ხმაბაღლა, ბოხი ხმით იცინო-
და. სიცილი ქალაქის კედლებზე თანაბარ
ნაწილებად იმსხვერვოდა და სხვადასხვა
კუთხიდან სხვადასხვანაირად ისმოდა:—
ჰა-ჰო-ჰე-ჰუ-ჰი!

მერე ლიანდაგზე დაწოლილი კაცი
ღაინახა. კაცს მშვიდად ეძინა, თითქოს
საკუთარ ლოგინში წევსო. ამ სიმშვი-
დემ ისე გააბრაზა, უსათუოდ მი-
ვარდებოდა და ცემით გადაათრევდა
ლიანდაგიდან, უცნაური რამ რომ არ
ეგარძნო: ორივე მატარებელს თვითონ
მართავდა, თვითონ იყო ორივე მატა-
რებლის მემანქანე. ლიანდაგზეც თვი-
თონ იწვა და მშვიდად უცდიდა, როდის
გადაუვლიდა ორივე მატარებელი.

— როდის შეხვდებიან მატარებლები,
როდის?

— არასოდეს! არასოდეს! — იძახდა
ვილაც.

— მალე! მალე! — უნდოდა იმ ვილა-
ცისთვის ეპასუხნა, მაგრამ ყელიდან ხმა
არ ამოსდიოდა.

მერე ლიანდაგზე დაღვრილი რძე დაი-
ნახა, რძის გუბზე. გუბზე სწრაფად იზრდე-
ბოდა. მალე ქალაქი აიტაცა, აატივტი-
ვა. თვითონ აღარსად იყო, აღარც მატა-
რებლები მოჩანდნენ. იყო თეთრი სიერ-
ცე, რძის ზღვა, მეტი არაფერი.

— აჰ! — შეჰყვირა მან, — აჰ!

— რა დაგემართა? — ჩაესმა ქალის
ხმა.

თვალის გახელის ეშინოდა, ისეე სიზ-
მარში ეგონა თავი.

— როდის, როდის იკითხა:

— რომელი საათია?

— თერთმეტია. დაიძინე. დაიძინე.

ანა, ეტყობოდა, ოთახში დადიოდა.
მისი სიტყვები სხვადასხვა მხრიდან ის-
მოდა. მაშინვე მის შეგნებაში ბავშვის
სიცილი გახმიანდა:

— ჰა-ჰო-ჰე...

გულაღმა გადმობრუნდა და თვალი
მხოლოდ ახლა გაახილა. ანა ოთახში არ
იყო, ალბათ, ეს წუთია, გავიდა.

„თერთმეტია... თერთმეტია...“

პირი ისე გაშრობოდა, ნერწყვს ვერ
ყლაპავდა.

— ანა! — დაიძახა ჩუმად.

— რა გინდა? — გამოეპასუხა ანა
შორიდან.

— წყალი... წყალი მომიტანე.

ანამ წყალი მოუტანა, ერთი ყლუბი
მოსვა, ჭიქა დაუბრუნა.

— გამოფხიზლდი? — ჰკითხა ანამ
ღიმილით, — ადექი, ვისაუხმობ!

— არ მინდა...

— შე საწყალო, შინ რას გიზამენ, —
გაიცინა ანამ, — ნეტავი ახლა მაია და-
მანახვა, — წავიდა, ჭიქა მაგიდაზე დად-
ვა, დაბრუნდა, საწოლზე ჩამოუჯდა, —
ნანობ არა?

— რას ვნანობ?

— ჩემთან რომ მოხვედი.

— რატომ უნდა ვინანო?

„როგორ მიხვდა, რომ ვნანობ...“

— არ უნდა შემომეშვი, — უთხრა
ანამ.

— რატომ?

— იმიტომ... იმიტომ...

— მაინც?

— კარგი, დავანებოთ ამას თავი.
 ცოტა ხანს გაჩუმდნენ. მერე რეზო წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

ანა სარკესთან მივიდა, თავის გამოსახულებას დააკვირდა:

— არა და ჭერ არაფერი მინახავს ცხოვრებაში... არაფერი...

უცებ რეზოს მიუტრიალდა:

— რა სასაცილოდ გაცივია!
 რეზომ ანას შეხედა, ანა არ იღიმებოდა.

— კლოუნს გავხარ! — ახლა კი გაიცინა ანამ, ოღონდ მისი სიცილი მწარედ გაისმა, დაცივნასავით.

რეზო კარისკენ წავიდა, კართან შეჩერდა და ისე, რომ ანასთვის არ შეუხედავს, ჩაიბურტყუნა:

— წავედი!

— ჰო.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

რეზომ კარი გამოაღო და გარეთ გამოვიდა. კიბეზე ჩასვლას აპირებდა, ანამ რომ დაუძახა:

— ბოთლები გავიწყდება!

რეზო მიბრუნდა, ანას ბადე ჩამოართვა და უხმოდ წამოვიდა...

3

ველოსიპედით მთვარეზე

მე ყველაფერი მახსოვს, თუმცა ვცდილობ, რომ დავივიწყო. ზოგჯერ ვფიქრობ, ხომ ნამდვილად გათავდა ყველაფერი, რაც ჩვენ გვაკავშირებდა-მეთქი, ისედაც ძალიან ცოტა რამ გვქონდა საერთო, ან უფრო სწორად — არაფერი გვქონდა, ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარდა! — აი, რა იყო მთავარი, რასაც ვერაფრით შევეუბრებოდით. შენ თავს ატყუებდი, ისე ჭიუტად და ისე გამწარებით, რომ უნებურად მეც ამიყოლიე, დამაჯერე, ოღონდ წამით... დღეს, მას შემდეგ, როცა უკვე დიდმა დრომ გაიარა, ის რამდენიმე თვე თუ მიუღო წელიწადი ახლა წამად მეჩვენება. მე შენ ერთი წამით მიყვარდი. მიყვარდა შენი ხმა, სიარული. ფიქრში გხედავდი, როგორ

იდექი ტრამვაის გაჩერებაზე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და მიცდიდი, მიცდიდი მარტო მე, სხვას არავის. მთელ ქვეყანაზე არც ერთი ქალი, ჩემზე გაცილებით ლამაზი და ჰკვიანი, შენთვის არ არსებობდა. ეს ფიქრი გულს უცნაური სიხარულით მიევსებდა. სასწრაფოდ გამოვრბოდი შენთან, ვდგებოდი იმ ადგილას, სადაც ფიქრში დაგინახე. ახლა მე ვიწყებდი ლოდინს და ის გრძნობა, რომ შენ არ მოხვიდოდი, კიდევ უფრო დიდ საიამოვნებას მანიჭებდა, რადგან ჩემს თავს მაშინ მიტოვებულ და უიმედოდ შეყვარებულ გოგონად წარმოვიძგენდი ხოლმე.

მახსოვს, ერთ დილას ჩვენ სასაფლაოზე წავედით, დედაშენის საფლავის სანახავად. გაზაფხული იყო, მაისი. იასამნები ვიყიდეთ და ტრამვაით ქალაქის ბოლოს გავეშურეთ. ჩუმად იდექი და ფანჯარაში იყურებოდი, ხელი ჩემს მხარზე გედო და მეუცხოვებოდა, რადგან არ მეფერებოდა, როგორც ყოველთვის სხვა დროს, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით თუ კი ის წამით მაინც ჩემს სხეულს შეეხებოდა. ნუთუ ამის გამო მჯეროდა, რომ მიყვარდი? თვისება, რომელიც ბუნებამ მიანიჭა ქალს — ერთი წამით მაინც გახდეს მეორე ადამიანის სავანე — მე, გამოუცდელს, სიყვარული მეგონა. ნეტავი არასოდეს მიგხედრილიყავი, რომ თავს ვიტყუებდი. ნეტავი ის გრძნობა ხელუხლებლად შემრჩენოდა.

სასაფლაო დილით ლამაზი იყო. მინდოდა მეთქვა შენთვის ეს, მაგრამ ვერ გავბედე. თუმცა ჩემს გვერდით მოდიოდი, ეგრძნობდი, რომ აქ არ იყავი, სხვაგან მიაბიჯებდი სრულიად მარტო და, ალბათ, არც კი გახსოვდი, თუმცა ხელს მაინც არ მიშვებდი. იასამნები მომქონდა და ოდნავ თავბრუდახვეული ვიყავი მათი სუნით. ვფიქრობდი, ყუავილები, დედაშენის საფლავზე რომ მიმქონდა, კიდევ უფრო შეგაყვარებდა

თამაზ ბილაძე
 თეთრი კვამლი

ჩემს თავს. იმაზე კი არ ვფიქრობდი, შენ ამ წუთას რას განიცდიდი. დედაშენი ჩემთვის არაფერი არ იყო, ნუ გავიკვირდება ეს სიტყვა, ნუ მიაწერ მას ჩემს გულგრილობას. რადგან მჭეროდა, რომ მიყვარდი, მინდოდა ისიც მყვარებოდა. მეცოდებოდა კიდევ, ოღონდ მეტი არაფერი. მეცოდებოდა მხოლოდ, რადგან ამ მზიან მისის დილას ის საფლაგში იწვა. უცნაურად ნუ მოგეჩვენება და, მგონი, მიხაროდა კიდევ რომ საფლაგში იწვა, რადგან ჩვენ ორნი, დასველიანებულები მისი საფლავის სანახავად მოვდიოდით და მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით ამ საერთო მწუხარე ფიქრით შეპყრობილნი, თითქოს ყველაზე ძვირფასი საიდუმლო გამანდე და მე უაღრესად მაღლობელი ვიყავი ამის გამო. რაც არ უნდა გეთქვა, რაც არ უნდა გაგეკეთებინა ჩემი სიყვარულის დასამტკიცებლად, ამაზე კარგს შენ ვერ მოიგონებდი.

იმ დამეს დამეისიზნრა, თითქოს ორივენი სადგურში ვისხედით. მერე მღვდელი დავინახე, დილით სასაფლაოზე რომ შეგვხვდა, გახსოვს რას ამბობდა: ღმერთო, რა დაგემართა, ნუთუ შენც ჩემსავით დაბერდიო! მღვდელი გზაზე მიდიოდა ფეხშიშველი და ხელში ჩემი იასამნები ეჭირა. შენ სადღაც გამჭრალიყავი და მე სიმარტოვის მეშინოდა. უცებ ვიგრძენი, რომ პატარა ვიყავი, ქიანჭველასავით. წამოვხტი და გავიქეცი, მაგრამ კედელმა არ გამიშვა, ზედ შევასკდი და სწორედ ამ დროს გამომდვდიო, ვტიროდი. ავდექი, შუქი ავანთე და სარკესთან მივედი, მინდოდა ჩემი თავი დამენახა. და როცა დავინახე, უეცრად დავმშვიდდი.

შუქი ჩავაქრე და ფანჯრის რაფაზე შემოვჩეკი, მუხლებზე ნიჟაბი დაეაყრდენი და გავინახე. უცნაური იყო, ველოდებოდი, რომ შენ დამიძახებდი. თითქოს ახლა უნდა მომხდარიყო ის, რასაც გულის სიღრმეში უკვე დიდი ხანია ვუცდიდი. არც ერთმა გოგომ არ იცის იმის სახელი, არც მე ვიცოდი. დაბლა, შუა ქუჩაში მილიციელი იდგა, მე

ვერ მხედავდა. ქუჩა გადაჭრა და მალაზიასთან მივიდა, იქ ვიტრინაში მანეკენები იდგნენ. კარგა ხანს უყურა, მერე მიწაზე თითი დააკაკუნა. შუალამისას ის კაკუნის ისე გაისმა, რომ უნებურად შეეკრთი. ისიც ვილაცას ელოდებოდა, ეძახდა. თითქოს მთელი ქალაქი ამ მოლოდინით იყო დაძაბული. მავთულებიც თითქოს სხვანაირად იყო დაქიმული, სახურავებიც უცნაურად ბრწყინავდნენ მთვარის სინათლეზე. მერე ვილაკეები გამოვარდნენ მოსახვევიდან ღრიალღრიალით და მილიციელიც მათ გაეკიდა.

ფანჯრიდან ჩამოვხტი, ფარდა ჩამოვეშვი და სინათლე ავანთე, სარკესთან გავჩერდი, თმა გავიშალე. მერე ცეკვა დავიწყე, ოთახში ვტირალეხდი ხელებგაშლილი. მეგონა, რომ ქვეყანა მიყურებდა და მე ძალიან ლამაზი ვიყავი. უცებ მოვიწყინე, ისევ ტირილი ამივარდა. საკვირველი ის იყო, რომ ყველაზე მეტად ეს ტირილი მსიამოვნებდა. მინდოდა სულ ასე მეტირა. ესეც ჩემი არსების ერთ-ერთი საიდუმლოებათაგანი იყო, რომლის ამოხსნასაც უკვე თვითონ არსება მოითხოვდა დაჟინებით. მე კი მეშინოდა და ეს შიშიც ნეტარებას მგვრიდა.

მკერდზე ხელი მივიღე და გავინახე, გული აჩქარებულად მიცემდა. ნელ-ნელა უმატებდა ფეთქვას, თითქოს რალაცის სათქმელად ემზადებოდა და თავს იღიზიანებდა. მეც, სულელი, ველოდებოდი, რას იტყვის-მეთქი, მერე ცოცხალ არსებასავით შემეცოდა, თითქოს ჩიტი ყოფილიყოს, გალიაში გამომწყვდეული.

„რა გინდა, — ვუჩურჩულებდი მე, — რა გინდა მითხრა, შე საცოდაოვ?“

ისევ დავიწყე ცეკვა, კინაღამ მაგნიტოფონიც ჩავრთე, მაგრამ დედა გაიღვიძებდა და მოვერიდე. ისევ ჩავაქრე შუქი, ფარდა გადავწიე და ფანჯრის რაფაზე შევხტი. ვიდექი ფანჯარაზე და ქუჩას გადავცქეროდი. სახურავებს იქით ვერცხლისფერი ბალი მოჩანდა. იქვე მტკვარი იყო, რომელსაც თუმცა ვერ

ვხედავდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ მის ნაპირზე ვიდექი ახლა და მდინარის ტალღებს ჩავცქეროდი. მას კი ბავშვივით ეძინა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უცებ ტელეფონმა დარეკა. გიჟივით ჩამოვხტი ფანჯრიდან და საწოლს მივაშურე, ტელეფონი იქ მედგა, ბალიშთან. დიდხანია უკვე ველოდებოდი, რომ ვილაც უსათუოდ დამირეკავდა. ყურმილი ისე სწრაფად ავიღე, რომ ტელეფონმა მეორედ დარეკვა ვერც კი მოასწრო.

— გისმენთ! — ვთქვი მე.
 — მაია... მაია... — მომესმა შენი ხმა.
 — არა, — ვთქვი მე, — არა...

ყურმილი მკერდზე მივიკარი და ხელი ჰაერში გავიქნიე, თითქოს მკოცნიდი და მე კი თავს გარიდებდი. ცუდად გავხდი, მოწყვეტილი, უღონო ხილით ყურმილი დავკიდე.

ყოველთვის ასე მემართებოდა, მეშინოდა, როცა ის მისრულდებოდა, რასაც ვნატრობდი, მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ავად გავხდი. მამა ჩვენთან არ ცხოვრობდა, რაიონში მუშაობდა, თბილისში იშვიათად თუ ჩამოვიდოდა. სიცხიანი ხამაღლა, განუწყვეტლივ ვიმეორებდი, მამა მინდა, მამა მინდა-მეთქი, მამა დიდი ხანია მენატრებოდა, მაგრამ სანამ ავად არ გავხდი, ამის თქმა ვერ გავებდე. დედა მამაზე თითქმის არასოდეს არ ლაპარაკობდა და მეც ნელ-ნელა შევეჩვიე იმ აზრს, რომ უნდა გავჩუმებულიყავი.

რა თქმა უნდა, ცოტა რომ წამოვიზარდე, ყველაფერს მივხვდი, მაგრამ მაშინ ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი მთრგუნავდა. დღემდე რაღაც დანაშაულის გრძობა არ მშორდება, თითქოს მე რამე შემეძლო გამეკეთებინა.

იმ დღეს მთელი ღამე ვბოდავდი:
 — მამა... მამა... მამა...

ღილით ჩემს საწოლთან ჩამომჯდარი მამა დაეინახე. წამოვვარდი და ყელზე მოვხვხვიე... უცებ საშინლად შემეშინდა, მეგონა, ესეც მესიზმრებოდა და შეიძლებოდა უცებ გამქრალიყო.

მთელი დღე მის კალთაში ვიწევი, მუხლუბზე მარწევდა. ვცდილობდი, არ დამძინებოდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, როგორც კი ჩამეძინებოდა, მაშინვე წავიდოდა.

— წამიყვანე შენთან! — ვუთხარი მამას და მუდარით შევხედე თვალუბში. დალილი სახე ჰქონდა, წვერმოშვებული იყო, თვალები კი უციმციმებდა, უბრწყინავდა, თითქოს ცრემლით ჰქონდა საესე. სწორედ ასეთი დამამახსოვრდა სამუდამოდ, დაქანცული, ალერსიანი და ჩუმი. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი ბედნიერი ვიყავი. მამის მკერდზე თავმიდებული ვფიქრობდი, რომ ეს დღე არასოდეს გათავდებოდა, თითქოს ნაეში გულაღმა ვიწევი და ვირწვოდი. ის იყო და ის, მას მერე მამა აღარ მიხახავს.

მინდოდა დედაც ჩვენთან მოსულიყო, ჩამომჯდარიყო, მაგრამ დაძახებას ვერ ვებდავდი. ის მირღვევდა სრულ ბედნიერებას, რომ დედა მეორე ოთახში იყო და იქ უცდიდა, როდის წავიდოდა მამა.

დღემდე ვერ გავარკვიე, რა მოხდა, რატომ შეიძულეს ასე ერთმანეთი, ვისი ბრალი იყო. თუმცა ჩემი ცხოვრებაც ხომ ასევე აეწყო!

ტელეფონმა ისევ დარეკა, ყურმილი ავიღე:

— მაია, — თქვი შენ, — რა დაგე-მართა?

— არ ვიცი...
 — რატომ არ გძინავს?
 — საიდან მირეკავ?
 — აქვე ვარ, დაბლა, შენი სახლის საღარბაზოში.

— რეზო, — ვთქვი, მაგრამ უცებ ხმა ჩამიწყდა, რადგან ვერ გავებდე მეოთხეა ის, რაც ენაზე მომადგა.

— გისმენ! — მოდი დავშორდეთ ერთმანეთს, — ვთქვი ბოლოს მტკიცედ.
 — რა-ა?

თამაზ ბილაძე
 თითონი კვაზლი

— ნურასოდეს ნულარ შევხვდებით... ასე სჯობს.

— ვისთვის?

— ორივესთვის.

— თუ მარტო შენთვის?

— რეზო, დამიჯერე...

— მითხარი, შენთვის არა?

— გახვოვ...

— ასეც ვიცოდი.

— რა იცოდი?

— ახლავე შენთან ამოვალ!

— არ გაბედო!

— მაშინ შენ ჩამოდი!

— რეზო!

— ჰო, ჩამოდი ახლავე!

— არ შემიძლია.

— როგორც გენებოს... როგორც გენებოს...

— რეზო!

ყურმილი დაკიდევ.

კარგახანს ვიდექი ფანჯარასთან, თითქოს დამავიწყდა კიდევ ჩვენი ლაპარაკი. არაფერზე არ ვფიქრობდი, უაზროდ გავცქეროდი სახურავებს. უცებ მოვტრიალდი და ჩაცმა დავიწყე. თითქოს ვილაც უჩინარი მკარნახობდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. მეც მის ნებას უსიტყვოდ ვემორჩილებოდი.

გარეთ რომ გამოვედი, ფეხსაცმელი ხელში მეჭირა, მხოლოდ მაშინ ჩავიცვი, როცა კარი ჩუმად გამოვიხურე. მეშინოდა, დედას არ გაღვიძებოდა.

კიბეს ნელა ჩავუყევი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მელოდებოდი. მართლაც კიბის საფეხურზე იჯექი, მხრებში მობუზული, შემეცოდე. რატომ, მე თვითონ არ ვიცი. რატომ უნდა შემეცოდებოდი? მაგრამ ისე იჯექი... როგორ ვითხრა... პატარა, უპატრონო ბიჭივით.

მოვედი და მეც შენს გვერდით კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი. დიდხანს ვისხედით ასე, ხმა არ ამოგვიღია. მერე წამოდექი და მითხარი:

— წამო, გავიაროთ!

ავდექი და მხარზე ხელი დავადე:

— რეზო...

— გაჩუმდი!

მართლაც არ შეიძლებოდა ახლა რაი-

მეს თქმა. ასე პირისპირ ვერასოდეს ვერ გეტყვოდი იმას, რაც ტელეფონით გითხარი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩვენი ტელეფონით ლაპარაკი მომჩვენებოდა.

ქუჩები ცარიელი იყო. ჩვენ ხელჩაკიდებულები მივიდიოდით. ქუჩებში კატები დარბოდნენ, წამდაუწუმ გადაგვირბენდნენ ხოლმე წინ. ამდენი კატა ჩემს ცხოვრებაში არ მენახა.

ვფიქრობდი, რა კარგია ასე რომ დავდივართ და ხმას არ ვიღებთ-მეთქი. ამ ქვეყანაზე შეყვარებულებზე მეტს ვერაფერ ივლის, ალბათ, ჯარისკაცებიც კი დაწყებოდნენ, ამდენი რომ ევლოთ. თუ ბიჭსა და გოგონე თქვეს ერთად დადიანო, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ერთმანეთი უყვართ. ისინი უდაბნოშიც ისე ივლიან, რომ ვერც წყურვილს იგრძნობენ და ვერც სიცხეს-მეთქი.

ფიქრში გამეღიმა, რადგან ამას წინათ გაზეთში ნანახი სურათი გამახსენდა უცბად: უდაბნოში გზაარეული, დაქანცული და გაწამებული მოგზაური ნიშანსვეტანაა გაჩერებული. ეტყობა, ამ ნიშანსვეტის დანახვამ მას დიდი იმედი ჩაუსახა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, იფიქრა მეშველო და ნიშანსვეტთან მივიდა. ნიშანსვეტზე კი ისარია დახატული და აწერია: „მირაფი მარცხნივია!“

ალბათ, ასაკის გამო, სულ მირაფებით ვიყავი გარშემორტყმული. თუმცა, რა თქმა უნდა, ამას მტკივნეულად სრულებითაც არ განვიცდიდი. ეს იყო ქალაქები, მდინარით ცისფრად განათებული ველები. ქალაქებში ძალიან ცოტანი ცხოვრობდნენ, მხოლოდ ისინი, ვისაც არასოდეს ტყუილი არ ეთქვა. ყველაზე მეტად ტყუილისა მეშინოდა, რადგან მას უკვე მოესწრო და ერთიორჯერ მწარედ დავეჩხვლიტე.

მთაწმინდის უბანში, მაღაზიის წინ, მოხუცი დარაჯი იჯდა. მუხლებზე თონის პური დაედო, რომელიც აქეთ-იქიდან თითის წვერებით ეჭირა, ეტყობოდა, ცხელი იყო. ჩვენ რომ გავუსწორდით გვითხრა:

— მიირთვით, ყმაწვილებო, მიირთ-
ვით! — და პური გამოგვიწოდა.

ცოტ-ცოტა მოვიტყხეთ და მადლობა
გადავუხადეთ.

რუსთაველის პროსპექტზე ჩავედით.
წყაროსკენ გავიქეცი, წყალი დავლიე და
იქვე, ქვის სკამზე ჩამოვჯექი.

— რა კარგი ყოფილა ღამით ქუჩაში
სიარული... მოდი, აქ დაჯექი.

ხეს ზურგით მიყრდნობოდი და სიგა-
რეტს ეწყოდი, რუსთაველის თეატრის
წინ მილიციელები იდგნენ და ჩვენ გვი-
ყურებდნენ.

მე ის მაწუხებდა, რომ შენ თითქმის
არ მელაპარაკებოდი. ნუთუ კიდევ ბრა-
ზობდი, ნუთუ კიდევ გახსოვდა?

— მე არაფერი მითქვამს! — თვა-
ლებში შეგხედე, ველოდებოდი, როდის
გაიღიმებდი. გვერდზე გაიხედე.

— დამუწადი? — გკითხე და ნაძალა-
დევად გავიციანე, — მოდი, შევერიგდეთ!

სიგარეტი გადაავადე და წყალი და-
ლიე. რამდენიმე ნაბიჯი გადადგი ისე,
რომ ჩემთვის არც კი შეგხედავს. წა-
მით შემეშინდა, მართო ხომ არ მტო-
ვებს-მეთქი. სწორედ ამ დროს გაჩერდი
და მომიბრუნდი:

— წავიდეთ!

— სად?

— რა ვიცი...

ახლა კი ჩემი გაბრაზების დროც დად-
ვა. როგორ? მე ყველაფერი დაგვიწყე,
შუალამისას ლოგინიდან წამოვხტი და
ქუჩაში გამოვვარდი, მთელი გზა თვა-
ლებში შეგვიციანებდი, იმას ვფიქრობ-
დი, რა მეთქვა ისეთი, შენ რომ მოგწო-
ნებოდა, შენ კი ბეგვიით გაბერილი, ზე-
დაც არ მიყურებდი, ერთ სიტყვასაც კი
არ იმეტებდი, თითქოს შენი მოძულე-
ბული ცოლი ვყოფილიყავი. პაწაწინა
გოშისავით ირგვლივ გირბენდი, თა-
თებზე ვდგებოდი, ვტრიალებდი, ვცეკ-
ვავდი, ვყავდი, შენ კი...

— კარგი, წავიდეთ, — ვთქვი მე და
იმის ნაცვლად რომ შენ წამოგყოლოდი,
პროსპექტი გადავქერი. ამ ადგილას გა-
დასასვლელი არ იყო, თანაც პირდაპირ
მილიციელებისკენ წავედი.

— სად მიდიხარ? — დამიძახე, —
სად მიდიხარ?

შუა ქუჩაში გავჩერდი, სწორედ იქ,
სადაც თეთრი ხაზი იყო გავლებული,
მოგიბრუნდი და ვითხარი:

— რა ვიცი...

ცოტა ხანს ვიდექი ხაზზე, ჩემი მოუ-
ლოდნელი გამბედაობით აღტაცებული.
მერე ქუჩის იქითა მხარეს გადავედი,
ველოდებოდი, მილიციელები დამიძა-
ხებდნენ:

— მოქალაქე!

ისე დაძაბული ველოდებოდი ამ სი-
ტყვის გაგონებას, რომ უცებ მეგონა,
მართლაც გავიგონე. შემოვტრიალდი,
მაგრამ ჩემს ახლოს არავინ იყო, მილი-
ციელები წასულიყვნენ. თეატრთან ვი-
დექი, ვიცდიდი. მოხვიდოდი და ჩვენც
უცებ შევერიგდებოდი.

— რეზო! — დავიძახე ჩუმად. ჩემმა
ხმამ შემაერთო, მაგრამ მაინც გავიმეო-
რე, — რეზო!

არ ჩანდი. წავიდა-მეთქი, გავფიქრე
და ახლა კი ნამდვილად შემეშინდა. რა
უნდა მექნა? ამ ცარიელ ქალაქში მარ-
ტო დავჩრდი...

„გავიქეცი, — ვიფიქრე, — გავიქ-
ეცი...“

მაგრამ ფეხი ვერ გადავდგი, თითქოს
იმ ადგილას დაბმული იყავი.

— რეზო! — დავიძახე ახლა უფრო
ხმამაღლა.

— მაია! — მომესმა უცებ შენი ხმა.
თურმე აქვე მდგარხარ, ხეს მოფარე-
ბული.

გამოვქანდი და კისერზე ჩამოგეკიდე:
— უსვინდისო...

იცინოდი, ხმამაღლა და გულიანად და
მე შიშოც დამავიწყდა და საერთოდ ყვე-
ლაფერი დამავიწყდა. მივხვდი, რომ შენ
ჩემზე აღარ ბრაზობდი, აღარ გახსოვდა
ის, რაც დღეს ტელეფონში სულელუ-
რად მოგახალე და სხვისი არავისი და-
ნახვა ახლა აქ, ცარიელ ქუჩაში, არ გა-

თამაზ ზილამე
თითორი კვანძი

მიხარდებოდა, არც დედაჩემის, არც არავის.

მხარზე ხელი მომხვეი და მკითხე:
— მართლა გიყვარვარ?

იცი რა გავიფიქრე მაშინ?

მე უნდა გთხოვდე სიყვარულს, პატივებს უნდა გთხოვდე-მეთქი. შენ არსებობდი ამ ქვეყნად და მე კი სხვასთან დავდიოდი, ბატივით ვცხოვრობდი აქამდე, არაფერი ვიცოდინებ-მეთქი. ზედაც არ უნდა შემომხედო, რადგან შენამდე სხვა მიყვარდა, უფრო სწორად, მეგონა, რომ მიყვარდა და ის შენ ფრჩხილადაც არ ღირდა, თუმცა მაშინ მეგონა, რომ ბედნიერი ვიყავი, რადგან ნამდვილი ბედნიერება არ ვიცოდინებ-მეთქი. მაინც მაღლობელი ვარ ღმერთისა, რომ ის შეცდომა ჩამადგინა, ის რომ არა, შენ ვერ შეგხვდებოდი, ვერ შეგიყვარებდი-მეთქი...

მე მართლა მეგონა, რომ კარლო მიყვარდა. თუმცა ჯობია ყველაფერი დაწერილებით მოვიყვე.

ერთხელ უნივერსიტეტიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩემს ახლოს მანქანა გაჩერდა, იქიდან კარლომ დამიძახა:

— მაია, მობრძანდით, შინამდე მივიყვანო!

კარლოს აქამდე საღმრთო ვიცნობდი მხოლოდ. გზაში სულ ხუმრობდა და მე გულიანად ვიცინოდი. მანქანიდან რომ გადმოვედი, გული დამწყდა, ასე უცებ რომ მოვედი შინ.

კარლომ მეორე დღეს დამირეკა. მე და ქეთი კინოში დაგვბატოვა. საიდან გაიგო, ქეთი რომ ჩემი ყველაზე კარგი ამხანაგი იყო, არ ვიცი. ძალიან კი მესიამოვნა. კინოდან რომ გამოვედი, გეტხოვა, ფეხით გავისეირნოთო. ქეთი მანიშნებდა, წავალო, მაგრამ ხელი ჩაუჭიდე და არ გავუშვი. მინდოდა კი, რომ წასულიყო.

კარლომ შინ რომ მიმაცილა და გამოვეთხოვე, ნაბიჯი ძლივს გადავდგი, რადგან ვგრძნობდი, იდგა და მიყურებდა. საღარბაზოში რომ შევედი, შვებით ამოვისუნთქე. ბევრ ბიჭს ვიცნობდი, მაგრამ ასეთი რამ პირველად დამემართა.

იმ დამეს დიდხანს არ დამძინებია... ვფიქრობდი, აშკარად მოვწონვარ-მეთქი. ამაში არ შეიძლება გოგო რომ შეცდეს.

მერე სულ მირეკავდა, თითქმის ყოველ დღე. ნელ-ნელა შევეჩვიე, გავთამამდი, ენა ამოვიდგი. უმეტესად წიგნებზე ვლაპარაკობდი. ძალიან ნაკითხი იყო. ისეთ მწერლებს ახსენებდა, რომლებიც საერთოდ არც კი გამეგონა. შემძლო სხვა გოგოებივით თავი მექნია, ვიცი, ვიცი-მეთქი, მაგრამ თავიდანვე გადავწყვიტე, მისთვის ტყუილი არ მეთქვა. შევატყვე, წიგნს თუ ვთხოვდი, სიამოვნებდა. ამიტომ ჩქარა ვკითხულობდი წიგნს, ის რომ მიძლევა და ახლა სხვას ვართმევდი. ჩვენ უნივერსიტეტში ვხვდებოდით. ის ქვემოთ, მეცდარბაზოში მუშაობდა, ყოველ შესვენებაზე ამოდიოდა და მეც მისკენ გავრბოდი.

ტელეფონის ნომერი მომცა და მთხოვა, დამირეკო. ძალიან გამიჭირდა დარეკვა. ტელეფონი უცებ ისეთი უცხო გახდა, თითქოს არასოდეს დამერეკოს.

ყურმილი ვიღაც ქალმა აიღო:

— გისმენთ!

— კარლოს თხოვეთ, თუ შეიძლება!

— ვინ კითხულობს?

ვინმე, ასე როცა ჩამაცივდებიან... უნებურად დაუშალე, ვინც ვიყავი:

— ამხანაგი ვარ...

— მაინც, მაინც?

— მაია დიდძე!

— აჰ! — შესძახა ქალმა, მერე რატომღაც სიცილგარეული ხმით დაიძახა, — კარლო! კარლო! — ეტყობოდა, ყურმილს არ იშორებდა, თითქოს ეშინოდა რამე არ წამომცდენოდა და ვერ გავგო, — ახლავე, გენაცვალე! — დამამშვიდა ცოტა ხნის შემდეგ.

კარგა ხანს ვიცდიდი, მესმოდა, როგორ სუნთქავდა ის ქალი ყურმილში. ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს რაღაც უნდოდა, რომ ეკითხა.

კარლო, როგორც იქნა, მოვიდა ტელეფონთან:

— გისმენთ!

— კარლო, მაია ვარ!
 — გამარჯობათ! — ეტყობოდა, ის ქალი იქვე იდგა, მის გვერდით.
 — გამარჯობა, კარლო!
 — ვისმენ, მაია! — ხმადაბლა მითხრა კარლომ.

თვალნათლივ დაეინახე, როგორ მოშორდა ქალი, მაგრამ ოთახიდან კი არ გასულა, კარებში გაჩერდა. კარლომ მას ზურგი შეაქცია და ისევ ხმადაბლა მითხრა, ისე რომ ძლივს გავიგებ:

— როგორ გამიხარდა!
 — არ მესმის? — ვთქვი მე.
 — ოჰ, ეს ჩვენი ტელეფონები! — თქვა კარლომ ხმამაღლა.

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, გავჩუმდი.
 — მაია!
 — ბატონო?
 — მე შეგონა, გავგთოშის!
 გამეცინა.

— მე დღეს არ მცალია, — მითხრა კარლომ, — სამწუხაროდ!

შევერთი. განა მე ვთხოვდი გარეთ გამოდიო?

— ა-ა-ა! — თითქოს ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

— უკაცრავად, მაია, — მითხრა კარლომ, — ხვალ დამირეკე!

— ნახვამდის! — ვთქვი მე ძლივს-ძლივობით.

— მაია, ხვალ უსათუოდ დამირეკე! ყურმილი დავკიდე და გაოგნებულნი ჩამოვვყები სკამზე.

დღეა მეტყუოდა ხოლმე:

— მერე რა, რომ გოგო ხარ, მეტი სიმტკიცე გმართებს. არ მომწონს ასეთი გულჩვილობა, უბედური იქნები. ადამიანი რაც უფრო გულჩვილია, მით უფრო უმწეოა. ქვასავით უნდა იყო...

ქვასავით!

— რატომ უნდა ვიყო ქვასავით, რატომ?

საბაზანოში შევედი და სარეცხის რეცხვა დაიწყო. ნელ-ნელა გადამიარა.

„რა სულელი ვარ, — გავიფიქრე, — ნუთუ იმას ველოდებოდი, რომ კარლო გაჟივით გამოვარდებოდა გარეთ? ყველაფერს თავს დანებებდა და გამოვარ-

დებოდა! ეს მინდოდა?“ იმაზე კი არ მინდოდა მეფიქრა, რომ სიტყვაც კი არ წამომცდენია, გარეთ გამოდი-მეთქი.

მართალია, ადრე სხვანაირად ვფიქრობდი. სიყვარული ცოტათი შემლილობის მსგავსი რამ მეგონა.

რეცხვას თავი დავანებე და სარეცხთან მივედი. სარეცე შეორთქლილი იყო, ხელისგულით გადავწმინდე და სარეცეში ჩემს თავს მივემართე:

— და ყველანი სხვანაირი იქნებოდნენ, კარგები და ყველას ვეყვარებოდი და მეც ყველა მეყვარებოდა და არავინ მომატყუებდა და თუ დაგიძახებდი, გამოვარდებოდი, ხელში ამიყვანდი და გამიტაცებდი, სულერთია სად, რადგან ყველგან ერთმანეთი გვეყვარებოდა.

უკვე ხმამაღლა ვყვიროდი და არ ვფიქრობდი, რომ ყვირილს დედა გაიგონებდა. პირიქით, მინდოდა, რომ მოესმინა, ოღონდ დამთანხმებოდა.

რანაირ ავტომატს არ იგონებენ ქვეყნად. ნუთუ არ შეიძლება ისეთი ავტომატიც მოიგონონ, რომელსაც შენს სისულელეს ჩასძახებ, რასაც სხვებთან ვერ იტყვი, იმიტომ, რომ შეიძლება გიჟიც ეგონოთ. ის ავტომატი მოგისმენს და სამაგიეროდ მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვის: მართალი ხარ!

ვფიქრობდი:

— რად გვინდა, რომ ვცდილობთ ძალიან ჭკვიანებად მოვაჩვენოთ თავი ყველას, რად გვინდა, რომ ძალიან ჭკვიანები ვიყოთ-მეთქი. ღმერთო ჩემო, შეიძლება ვაგვიდღეს ადამიანი, თუ ზოგჯერ სისულელეც არ თქვა, ან რამე სულელური არ გააკეთა-მეთქი. ბოლოს-დაბოლოს, ვინ რა იცის, რა არის ბრძნული და რა არის სულელური-მეთქი...

კარლომ ნელ-ნელა, დაბეჯითებით შემაჩვია იმ აზრს, რომ ამ ქვეყნად თურმე ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. ჩვენი ქვეყნებიც თურმე ისეა მოწყობილებული, რომ მისი მცირედი დარღვევაც მთელი საზოგადოების წამიერ მოშლას

თამაზ პილაძე
 თითირი ავაშლი

იწვევს. ეს დიდი სიკეთეა და ადამიანის გულისთვისაა მოგონილი. ასე უფრო უმტკივნეულოა თურმე უცხოვრება და ამის გამო ადამიანს უფრო მეტი რამ შეუძლია შექმნას.

და მე თუ ზოგჯერ გაუბედავად შევეკამათებოდი, ღიმილით მეტყვოდა:

— მაია, შენ ბავშვი ხარ, დიდი ბავშვი!

კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა ყოველი შეგნებული ადამიანისგან ენერჯის მაქსიმალურ დახარჯვას მოითხოვს. რა იქნება ხვალ, არავინ იცის. ჩვენი საუკუნე ტექნიკის საუკუნეა და ტექნიკა მოწოდებულია უშველოს ადამიანს. ამდენად, ის ყველაზე უფრო ჰუმანიური მოვლენაა დღეს. პირველი მეცნიერების ასკეტებში ახლა ისევ საჭირო გახდა და ბედნიერი ვიქნები, თუ შენ ამას გამოიგებ, სხვა, ქაღალდულა გოგოებივით არ გაიცინებ და მომეხმარები, ჩემი საქმე კეთილსინდისიერად შევასრულო.

მე თუ გავიგონე — „კაცობრიობა“, „ადამიანი“, „ჰუმანიზმი“ მეტი კი არ მინდა, უკვე ცრემლი მაწვება ყელში. მთელი დღე გაბრუებული ვიყავი ამ სიტყვებით და კიდევ იმით, რომ შეიძლება მეც, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ამ დიდი საქმის მონაწილე გავმხდარიყავი.

ერთ დღეს კარლომ რუსთაველის თეატრში წამიყვანა პრემიერაზე. საგანგებოდ ახალი კაბა შევიკერე, დიდხანს ვტრიალებდი სარკის წინ. თეატრში პროფესორ სოლომონ აბაზაძის უკან ვისხედით. კარლო ბატონ სოლომონის ასპირანტი იყო. პროფესორს სამი ქალი ახლდა. კარლომ მიჩურჩულა, ესენი პროფესორის დები არიანო.

— ცოლი არა ჰყავს? — ეკითხე მეც ჩურჩულთ.

— არა...

პროფესორმა მოიხედა, მასთან ერთად სამივე ქალმა ერთდროულად შემოხედა კარლოს. ქალები ერთმანეთს ჰგავდნენ, ტყუბებივით. შავი, თეთრბაბთიანი კაბები ეცვათ. კარლო მიესალმა.

პროფესორმა თავი დაუქნია და მე დამაკვირდა.

— ეს ჩემი საცოლეა! — უთხრა კარლომ.

— აჰა! — თქვა პროფესორმა და თავი მიიბრუნა.

ამ დროს სინათლე ჩაქრა.

„საცოლე! — გავიფიქრე, — მე მისი საცოლე ვარ!“

ეს სიტყვა კარლომ პირველად ახსენა. თუმცა მესიამოვნა, მაინც ვგრძნობდი, რომ ჩვენ რაღაც გამოვტოვეთ, ან დაგვაიწყადა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, რისი დაიწყებაც ყველაფერს ძალიან ჩვეულებრივს ხდიდა.

ფიქრიდან რომ გამოვერკვიე, მოქმედებაც დამთავრდა.

პროფესორის დები წამოდგნენ, სამივე მაღალი იყო, შუახანს გადაცილებული. პროფესორი ჯერ კიდევ უკრავდა ტაშს და იცინოდა, იმ კაცივით, რომელიც თეატრში იშვიათად დადის. ხშირი, თეთრი წარბები ჰქონდა და პატარა, ცისფერი თვალები. არწივის ნისკარტით მოღუნული, დიდი ცხვირი მის სახეს მედიდურ იერს აძლევდა.

კარლომ დაუცადა, სანამ ისინი გაივლიდნენ, მერე ჩვენი წამოდგეკით. ისე მოხდა, რომ პროფესორსა და მის დებს შესვენების დროს კიდევ შევხვდით, ბუფეტში. პროფესორს ერთმა დამ ჰქია მიაწოდა. მეორემ კი ნამცხვარი, მესამემ ჰქიაში ლიმონათი დაუსხა. გავიფიქრე, ეს ქალები უსათუოდ შინაბერები არიან-მეთქი. ძალიან მწყუროდა. ყინულივით ცივ ლიმონათს ვსვამდი, თან პროფესორსა და მის დებს თვალს არ ვაშორებდი. ვფიქრობდი: წლები რომ გავლენ, მეც ასე უნდა მოვუარო-მეთქი კარლოს. დები იდგნენ და შესცქეროდნენ, როგორ ჰამდა ნამცხვარს პროფესორი. მერე ერთმა ხელსახოცი მიაწოდა.

კიბუზე რომ ამოვედით, ისევ დავეწყით მათ. პროფესორმა უთხრა კარლოს:

— როგორ მოგწონთ, კარგია არა!

— ალტაცებული ვარ, — უპასუხა.

კარლომ, მერე რატომღაც უხერხულად გაიღიმა და უთხრა, — ვაიცანით, ეს ჩემი საცოლეა!

დები ცოტა მოშორებით იდგნენ და შემოგვეკვიროდნენ.

პროფესორი მომიბრუნდა:

— რა გქვია, გოგონა?

— მაია, — მივუქმე.

პროფესორი ჩაუფიქრა:

— მაია... მაია...

თითქოს რაღაცას იხსენებდა, დები ახლოს მოვიდნენ, თითქოს იგრძნეს, პროფესორი რაღაც მნიშვნელოვანი რამის თქმას აპირებდა.

კარლო იღიმებოდა.

— მაია, — გაიმეორა პროფესორმა, მერე სახე გაებაღრა და დაუმატა, — აჰა, გასაგებია, მაია წყნეთელი, ყოჩაღ! — და ლოყაზე ხელი მომიტათუნა.

დებმა ჩაიღიმეს.

კარლომ მითხრა:

— მაია წყნეთლო, ბატონი სოლომონი ჩვენი დროის უდიდესი ფიზიკოსია!

ამ დროს მესამე ზარი დაირეკა და პროფესორი ჩქარი ნაბიჯით გაემართა დარბაზისკენ, დები აედევნენ.

თეატრში ბიჭები მოურიდებლად მიყურებდნენ და, რაც მთავარია, გოგონები მაყოლებდნენ თვალს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კარგად მეცვა.

დიდი ზამთარი იდგა. არ მიყვარს ზამთარი იმიტომ, რომ ძალიან მცივანა ვარ. თოვლში უსუსური ვნდები, როგორც ბუდიდან გამოვარდნილი ბარტყი. არ ვიცი კიდე ვინმეზე თუ ასე მოქმედებს თოვლი. რადგან სულ იმას ველოდები, როდის გაივლის ზამთარი, რადგან სულ იმაზე ვფიქრობ, გაზაფხული როდის დადგება, ამიტომ ზამთრობით თითქოს ბურანში ვცხოვრობ. აი, ისე ვილაც რომ გელაპარაკება და შენ კი იმ დროს სულ სხვა რამეზე ფიქრობ, მერე იხსენებ, რა ვითხრა, მაგრამ არაფერი გაგონდება.

იმ ზამთრიდან რა დამამახსოვრდა? აი, ის პრემიერის დღე და კიდეც ის

დღე, როცა კარლო ჩვენთან მოვიდა. და კიდეც ის დღე... საავადმყოფოში...

ტორტი გამოვაცხვე. ათი თებერვალი იყო. „თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა“, — ვმღეროდი და სამზარეულოში ვტრიალებდი. დედასთან სტუმარი იყო, ქალბატონი დორა. მასზე იმდენი რამ ვამეგონა, კარი რომ გავუღე, მაშინვე ვიცანი, თუმცა ახლა ვხედავდი პირველად. პალტო გაიხადა, მუქი ლურჯი შალის კოსტუმი ეცვა; თეთრი გულისპირით, მკერდზე დეპუტატის ნიშანი ეკეთა. ხელი ჩამომართვა, ხმელი და ღონიერი ხელი ჰქონდა, კაცივით. მაღალი იყო, გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი, სიარულიც კაცს უგავდა; გრძელ ნაბიჯებს დგამდა. ძალიან მაინტერესებდა რას ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ მერიდებოდა იქ შესვლა.

მაგიდაზე სუფრა გადავავარე, სუფრის შუაში ტორტი დავდე, აქეთ-იქიდან შამპანურის ბოთლები მივუდგი, მურაბებიც ვადმოვიღე კარადიდან, ჩურჩხელები დავეჭერი და ორ თევზზე გავანაწილე. ყვავილები რომ მჭონოდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა, მიყვარს, როცა სუფრაზე ყვავილებია. შემეძლო ყვავილების ყიდვა, ჩვენს ახლოს, მაღაზიაში სათბურებიდან მოაქვთ ხოლმე, მაგრამ ქუჩაში გასვლა დამეზარა.

დღემ შემოიხედა:
 — რატომ იგვიანებს?
 — რომელი საათია? — ვკითხე.
 — რვა.
 — მე კი არ ჩამიცვამს ჯერ! — შევიცხადე.

ისევ ის კაბა ჩავიცვი, თეატრში რომ მეცვა. სარკის წინ ვიდექი და თან ვფიქრობდი: ასე სჯობს, ყვავილები რომ არა მაქვს, კარლო უსათუოდ მოიტანს და იმ ყვავილებს დავდგამ მაგიდაზე.

დღემ დამიძახა:
 — მოდი აქ, მაია!
 დედაჩემის ოთახში შევედი. ქალბატონი დორა რადიატორთან იდგა, ცა-

თამაზ პილაძე
 თითქორი კვალი

ლი ხელი რადიატორზე ედო, ცალში კი პაპიროსი ეჭირა.

— აი, ეს გახლავს ჩემი ქალიშვილი! — უთხრა დედამ ქალბატონ დორას.

— ლამაზი გოგოა! — თქვა ქალბატონმა დორამ.

— გათხოვებას აპირებს, — უთხრა დედამ.

თავი ჩავდუნე, ვიგრძენი, როგორ გავწითლდი.

— ძალიანაც კარგი! — თქვა ქალბატონმა დორამ.

წამოვიდა, პაპიროსი საფერფლეში ჩაჭყლიტა და მომიახლოვდა, ჩემს წინ გაჩერდა:

— აბა, მოტრიალდი!

დავემორჩილე.

— კარგი, მობრუნდი!

მერე სკამზე ჩამოჯდა და დედას მიმართა:

— მაშ, ახლა ასეთი მოდაა, მოკლე კაბა!

— ჰო, ასეთი მოდაა და დღითიდღე უფრო მოკლდება!

ქალბატონი დორა წამოდგა, კაბა ოდნავ აიწია მუხლებს ზევით, თან თავის ფეხებს დასცქეროდა:

— მეც სიამოვნებით ჩავიცვამდი, მაიასავით კარგი ფეხები რომ მქონდეს.

— კარგი ერთი! — გაეცინა დედას.

— რა, ბებერი ვარ თუ?

— მე და შენ უკვე დავბერდით, — უთხრა დედამ.

— შენი არ ვიცი, მე არ ვაპირებ ჯერ დაბერებას! — შემომხედა, — შენ რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაერთის.

— ოცდაერთის... ოცდაერთი წლისა მეც კარგი გოგო ვიყავი!

— ეჰ, ჩვენ სხვანაირად ვცხოვრობდით, — თქვა დედამ. — სულ სხვანაირად.

— ნუ გეშინია, — ქალბატონმა დორამ ისევ მოუკიდა პაპიროსს, — ჩვენ-ზედაც ამბობდნენ მაშინ, სხვანაირი ახალგაზრდობა მოვიდაო, არც ჩვენ მოვწონდით.

— აი, შენ ფრონტზე იყავი, შენისთანა რამდენი იბრძოდა...

— მოკლედ, ძალიან ბუზღუნები გავხდით, ეს კი უკვე ნამდვილად სიბერეა. მე კი მინდა ახლა ოცდაერთი წლისა ვიყო და მაიკოსავით ლამაზი ფეხები მქონდეს და რაც გინდა ილაპარაკეთ, იკითხეთ სახარება ჩემს თავზე, ერთი წუთითაც არ ვაგჩერდები თქვენთან, ბებრუტუნებთან, თავისი თავი რომ თვითონ გამოიშტერეს, დაიბერეს მორალზე ამდენი ფიქრით, ვის რად უნდა შენი მორალი, შინაბერების კოდექსი, გაზაფხულის ერთი მზიანი დღე სულ აგიორვეს მთელ შენს ფილოსოფიას...

— დორა! — დედამ საყვედურით შეხედა.

— ერთი დღეც, ერთი წუთიც კი. აქეთ რომ მოვდიოდი, ბიჭები და გოგოები გუნდაობდნენ. ისე მომინდა გუნდაობა, ტირილი კინაღამ დავიწყე, ჩვენ კი ამის ყველაფრის გვრცხვენოდა, თამაშის, სიყვარულის და აი გავხში ხესავით, რა ვარ ახლა მე? საფრთხობელა, რომელსაც უნდა ყველანი დაიხსვავსოს, იმიტომ რომ შურით გულზე სკდება. ზოგჯერ ჩემთან მიტოვებულ, ორსულ გოგოს შემოიყვანენ ხოლმე, აზლუქუნებულს; დამეხმარეო, მთხოვეს, ვუყუარებ და მინდა ვუთხრა: შევილო, არ იცი რა ბედნიერი ხარ-მეთქი. უყვარდი, მიგატოვა, იტანჯები, შევილი გეყოლება, ცხოვრობ.

— დორა! — დედამ თვალით ჩემზე ანიშნა.

— მე კი რას ვაკეთებ, — განაგრძო ქალბატონმა დორამ, — ვტუქსავ, ვიღებ ტელეფონს, ვიძახებ დამნაშავეს, გესმის — დამნაშავეს! შემოდის საცოდავად მობუზული, შეშინებული, გაოფლილი. ვუყვირი, მაგიდაზე მუშტს ვარტყამ, აღშფოთებული ვამბობ სიტყვას, აი, შენ რომ ლექციებს კითხულობ, და აზლოვებით ისეთს. და უკვე ვატყობ, რომ გოგოს ბიჭი ეცოდება, ცდილობს დაიხსნას ჩემი კლანჭებიდან და ორივეს ერთად მე ვძულვარ! აი, ეს არის ჩემი დახმარება. მინდა კანონის შანთით ამო-

ვწვა ის, რაც თვითონ ბუნებამ ჩვენს სულში ჩაბეჭდა. მინდა, რომ ყველანი ერთნაირები იყვნენ, როგორც პიონერთა სასახლის ბავშვები. საზეიმო საღამოებზე პედაგოგების მიერ დაწერილ ლექსებს რომ კითხულობენ და ყველანი კმაყოფილები არიან — პედაგოგებიც, მშობლებიც და საზოგადოებაც.

— მაია, სუფრა გაშალე! — მითხრა დედა.

ვერ ვუთხარი სუფრა უკვე გაშლილია-მეთქი, რადგან მივხვდი, დედას უნდოდა, რომ აქედან წავსულიყავი.

ამ დროს ზარმა დარეკა. გავიქეცი და კარი გვაღე. კართან კარლო იდგა, ხელში ყვავილეზა ეჭარა.

— მაპატიე, მაია, — მითხრა მან, — ძალიან დავივიანე!

— შემოდი!

კარლომ ყვავილები გამომიწოდა.

— დიდი მადლობა! გაიხადე!

კარლომ პალტო გაიხადა და მაშინვე საჩქესთან მივიდა. ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და გამეჩხვრებული თმა გულდაგულ გადაივარცხნა. არ მიყვარს, ბიჭებს სავარცხელი რომ დააქეთ. თანაც დაკვირვებული ვარ, სავარცხელი იმას უღვევს ჯიბეში, ვისაც თმა აღარა აქვს.

კარლომ თითქოს შემატყო, რასაც ვჭიჭრობდი:

— ჩემს თმას აღარაფერი აღარ უშველის! — თქვა სიცილით.

ამ ხუმრობით უცებ სხვებისგან გამოიჩინა.

— აბა, ვამიძეხი! — მითხრა მან. ძალიან თამამად იყო, თუ ასე მაჩვენებდა თავს, არ ვიცი. მე კი ძალიან ვღელავდი.

— წამოდი, — ვუთხარი და ხელი ჩაკვიდე, მაგრამ სასწრაფოდ მაშინვე გაეტყვი. ასეთი ფამილარული ქცევები მან თავიდანვე მოაშორა ჩვენს დამოკიდებულებას. ამდენი ხანია ერთად დავდიოდით და ერთხელაც არ უცდია ეკოცნა ჩემთვის ან თუნდაც მხარზე ხელი მოეხვია. სიმართლე უნდა გითხრა, მე კი გამუდმებით ველოდებოდი ამას. მომწონდა ბიჭებს ქუჩაში გოგოები

ხელგადახვეულები რომ მიჰყავდათ, არ ვიცი რატომ, მაგრამ ნამდვილად ძალიან მომწონდა. ჩემს თავს ვარწმუნებდი, კარლო სხვა არის, როგორ შეიძლება მან ჩემთან ქუჩაში ასე გაიაროს-მეთქი, ასეთი ბრიყვული სურვილები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამევიწყებინა, თუ, რა თქმა უნდა, მისი შეგობრობა მინდოდა.

წარმოვიდგენიათ, ჩვენ ქუჩაში მივდივართ, კარლოს ჩემთვის ხელი აქვს მოხვეული და ამ დროს ბატონი სოლომონი მოდის!

სუფრა რომ დაინახა, ზელები მოიფშვნიტა:

— ოოო...

ახლოს მივიდა, ტორტს ჭახედა:

— შენი გამომცხვარია?

— ჰო.

— დიდებულო! ყოჩაღ!

ძალიან გამიხარდა. სამზარეულოში გავვარდი, სურაში წყალი ჩავსახი, ყვავილები შიგ ჩავდე, შემოვიტანე და მაგიდაზე დავდეგი.

კარლოსკენ არ ვიხედებოდი, რადგან ძალიან მომწონდა და რატომღაც არ შემეძლო მისთვის შემეხედა.

თვითონ დამიძახა:

— მაია!

ტახტზე გადაწოლილიყო, ფეხი ფეხზე გადაედო და ახალი შავი ფეხსაცმელი უპრიალებდა.

— მოდი აქ!

მივედი, ტახტთან გავჩერდი.

— დაჯექი!

ჩამოვკეჭი. წამოიწია, გასწორდა, ხელები მუხლებს შორის ჩაიწყო და თქვა:

— ესეც ასე!

ამ დროს ოთახში დედა და ქალბატონი დორა შემოვიდნენ. წამოვდექით, მინდოდა გამეცნო მათთვის კარლო, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, დედას შეეაჩერდი. დედა მოვიდა და კარლოს ხელი ჩამოართვა, ქალბატონი დორაც ასე მოიქცა.

თავაზ ბილაძე
თეთრი კვავლი

— ქალბატონო ნელი, — დაიწყო კარლომ, — აქამდისაც უნდა მოვსულიყავი, მაგრამ ხომ იცით, ძალიან დაკავებული ვარ. ახლაც არ მიშვებდა ჩემი პროფესორი. თქვენ აღბათ, იცნობთ, სოლომონ აბაზაძეს, ერთი წუთით არ მიშორებს.

— სოლომონი, — გაიცინა ქალბატონმა დორამ, — კარგი მაგარი მუღოა! კარლო უხერხულად შეიმშუშა, მაგრამ ღიმილი არ შეეცვლია, განაგრძო:

— შორიდან მე თქვენ კარგად გიცნობთ, მე და მათა ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე თქვენზე...

შევკრთი, არასოდეს არ მილაპარაკია დედაზე კარლოსთან.

— დავსხდეთ, რატომ ვდგავართ? — თქვა ქალბატონმა დორამ. მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია და დაჯდა.

— მობრძანდით მაგიდასთან! — უთხრა დედამ კარლოს.

ყველანი მაგიდას შემოვესხედით.

ქალბატონმა დორამ პაპიროსის კოლოფი, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, მაგიდაზე დადო, გახსნა და კარლოს მიუჩინა:

— მოწიეთ!

— გმადლობთ, — უთხრა კარლომ, — არ ვეწევი!

დედას შევხედე, ვიცოდი მოეწონებოდა, კარლო რომ არ ეწეოდა.

— ჩააქრე პაპიროსი, — უთხრა დედამ ქალბატონ დორას, — მათა, ტორტი დაჭერი!

— ნება მომეცით, მე დავჭრა ტორტი! — თქვა კარლომ.

— კი, ბატონო!

— გმადლობთ!

კარლომ ტორტი დაჭრა. მე ასე კარვად ნამდვილად ვერ დავჭრიდი. ყველას სათითაოდ ჩამოართვა თეფში და ტორტის ნაჭერი გადაუღო.

— ესეც მე! — თქვა ბოლოს. დაჯდა. ხელსახოცი გაშალა და მუხლებზე გადაიფარა.

ბოთლიც თხტატურად გახსნა, უხმოდ. ღვინო ჭიჭიბში დაასხა. მერე ხელსახოც-

ზე ხელები შეიწმინდა და ისევე მუხლებზე გადაიფარა.

ქალბატონმა დორამ ჭიჭა ასწია:

— მოდი, ეს გაუმარჯოს იმას, ვინც ასეთი კარგი ტორტი გამოაცხობ!

ქალბატონმა დორამ ჭიჭა ბოლომდე გამოიკალა, კარლომ კი ცოტა მოსვა და დადგა.

— რატომ არ სვამთ? — ჰკითხა ქალბატონმა დორამ, — ბოლომდე უნდა დალიოთ მათას სადღეგრძელო!

— დავლევ, დავლევ, ცოტ-ცოტას, მათა მპატიებებს, ხომ მათა?

თავი დაუქნიე, თუმცა ქალბატონ დორასიც მერიდებოდა.

— ავად ხომ არა ხართ, — ჰკითხა ქალბატონმა დორამ კარლოს, — რატომ არ სვამთ ღვინოს? არ გესმევთ?

— როგორ არა, — გაიცინა კარლომ, — ვცდილობ არ დავლიო.

— აჰა, მაშ, ცდილობთ!

დედას შევხედე, რას გადაეკიდა-მეთქი შენი ამხანაგი კარლოს, სირცხვილია!

— თქვენ წელს ამთავრებთ ასპირანტურას, არა? — ჰკითხა დედამ კარლოს.

— დიახ, — კარლო გადაიხარა, მურაბა მიაწოდა ქალბატონ დორას: — ხომ არ მიირთმევთ, ქალბატონო?

— არ მივირთმევ! — უპასუხა ქალბატონმა დორამ.

კარლომ არაფერი შეიმჩნია, მე კი ცეცხლი წამეკიდა უცებ, ვიფიქრე, წამოხტება და გაიქცევა-მეთქი. კარლომ ახლა დედას მიაწოდა მურაბა:

— თქვენ ხომ არ მიირთმევთ?

— გადავიღებ ცოტას, გმადლობთ.

ახლა მე მომიბრუნდა კარლო:

— მათა, გადაიღე! — თითქოს მიბრძანა.

მურაბა გადავიღე.

— ჩაის ხომ არ დალევთ? — ჰკითხა დედამ კარლოს.

— სიამოვნებით.

წამოვხტი, აქამდისაც ერთი სული მქონდა, სანამ ავდგებოდი, ისეთი დამბული ვიჭექე.

ჩაი შემოვიტანე.

უცებ ქალბატონი დორა წამოღდა და თქვა:

- მე წავედი!
- დედას გაუკვირდა:
- რა გეჩქარება?
- მეჩქარება!

მაგიდიდან პაპიროსის კოლოფი და ასანთი აიღო და წავიდა. დედა გაჰყვა. კარლომ ფინჯანი ჩამომართვა:

- გმადლობთ, მაია.
- გავაცილებ, — ეთქვი მე.
- კარგი, — თან შაქარს იყრიდა ჩაიში.

დერფენში გამოვევარდი. ქალბატონ დორას უკვე პალტო ჩაეცვა, ახლა სარკესთან იდგა და თავშალს იხვევდა.

- რატომ მიბრძანდებით? — ვკითხე.
- მაია, — მომიბრუნდა ქალბატონი დორა, ეტყობოდა, კიდევ რალაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა, დაიხარა და ლოყაზე მკოცა.

ვიგრძენი, ამ ქალს ვეცოდებოდი. გაებრაზდი, რატომ უნდა შევეცოდებოდი, რა მჭირდა მისი შესაცოდი?

„იქნებ შურს ჩემი ამ ჭოკივით გამხმარ ქალს!“ — ესეც კი გავიფიქრე.

— რა უნდოდა ამ ქალს, რა? — მივევარდი დედას, როცა ქალბატონი დორა წავიდა.

- ეგ ვგეთი უცნაურია, — მიპასუხა დედამ.
- შენ... შენ...
- რა?

უცებ ხმა წამერთვა და ძლივსძლივობით წავილულულე:

- შენ თუ მოგწონს კარლო?
- მომწონს, — მითხრა დედამ. მეტი არაფერი! მე კი უფრო მეტი მინდოდა მისგან, მინდოდა ეთქვა: ძალიან, ძალიან, ძალიან მომწონსო!

მეორე დილას კარლომ დამირეკა.

- მაია, — მითხრა კარლომ, — როგორმე უნდა შეგზვდე ახლავე...
- რა მოხდა? — ვკითხე.
- გადაუღებელი საქმე მაქვს.
- სად მოვიდე?
- მე თვითონ მოვალ. თხუთმეტ წუთში დაბლა ჩამოდი.

— კარგი.

კარლო ტაქსით მოვიდა. მანქანა მაშინვე გაისტუმრა.

- რატომ არ ამოხვედი? — ვკითხე.
- არა, ასე მირჩენია.
- შენი მანქანა რა უყავი?
- რა ვიცი... წამო, გავიაროთ ცოტა.
- რა მოხდა?
- მაია, — დაიწყო კარლომ, — ძალიან ცუდი ამბავი შემემთხვა.
- მაინც? — გული გადამიქანდა.
- აი, ის...
- ვინ?

— აი, შენს სახლთან რომ დგას ხოლმე, — რატომღაც მიყვირა კარლომ.

- რა გაცვირებს? — ძალიან გამიკვირდა.
- უკაცრავად... მე თვითონ არ ვიცი, რას ვაკეთებ.
- რა მოხდა ასეთი?
- წუხელ შემთხვევით მანქანა დავაჯახე!

- ვის?
- არ ვიცი რა ქვია სახელი.
- რეზოს?
- ჰო... მანქანა დავაჯახე.
- რატომ? — ვკითხე ჩემდა უნებურად.

— შემთხვევით, შემთხვევით! — ისეე მიყვირა კარლომ, მერე უცებ მხრებში ხელი ჩამავლო, — მაპატიე, მაია, მაპატიე... ჰო, შემთხვევით...

- მერე?
- მხარი გავიქნე და ხელი ჩამოვადებინე.

კარლო მიტრიალდა, ზურგი შემაქცია. მივედი და წინ დავუღეკი:

- მერე?
- არ ვიცი... საავადმყოფოში წაიყვანეს.
- შენ წაიყვანე?
- ჰო, — თქვა მან, მერე გვერდზე გაიხედა და დაუმატა, — არა...
- რატომ?

თამაზ ბილაძე
თითრი კვამლი

— სხვებმა წაიყვანეს... არ დამაცალეს...

— მოკვდა? — ამ სიტყვამ ყელი ამომგლოჭა, მაგრამ მაინც ვთქვი.

— არა...

— რა იცი?

— ამ დილით დავრეკე...

— როგორ არის?

— ცუდად... სულ ამ ყინულის ბრაღია, სულ! — იყვირა ისევ კარლომ.

— დამშვიდდი.

— მანქანა გასრიალდა... რა უნდა მექნა?

— უცებ გამოვტრიალდი და წამოვფედი, არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. კარლო დამედევნა:

— მაია!

გავჩერდი. ცუდად ვიყავი, მეგონა, წავიქცეოდი.

— გავიყინე, — ვთქვი მე, — გავიყინე.

— ნუ წახვალ, მაია, — მითხრა კარლომ, — მომისმინე.

— წადი, კარლო, — ვუთხარი, — წადი.

— სად?

— საავადმყოფოში.

— არა, — თქვა კარლომ, — მე იქ ვერ წავალ, არ შემიძლია. მარტო ვერ წავალ, შენც წამოდი, მაია, გთხოვ. წამოყევი, მაია. ხომ გიყვარვარ?

— ჰო, — თან მივირბოდა, ჩემი წაყვანა რად უნდა-მეთქი.

— უცებ იმ აზრმა გამიელვა, რომ კარლოს ვჭირდებოდი, ის ახლა, ალბათ, როგორ იტანებოდა!

— მე ამას ვერავის ვეტყვი, შენს გარდა, ვერავის ვაფუხებულ, გესმის, მაია, შენს გარდა... შენს გარდა...

„რატომ? რატომ? რატომ?“ — ფიქრობდი, როცა ამას ვისმენდი. ეს ფიქრი მაშინვე მოვიშორე, რადგან კარლოსი მჭეროდა და რადგან მჭეროდა, მეცოდებოდა კიდევ. ხმაძალა ვთქვი:

— ჰო, წადიდეთ, მე წამოგყავები.

— მანქანას გავაჩერებ...

— არა, ახლა არა, ნახევარ საათში, — ვთქვი მე, — ახლა არა...

ფეხები ძლივს ავიტანე კბიჭზე. ვკანკალელებდი. საწოლთან მივედი და გაუხდელად დავემხე ზედ. მაშინვე მკვდარივით ჩამეძინა. ტელეფონის ზარის ხმამ გამომალღვიძა, კარლო მირეკავდა:

— მაია, გელოდები!

— რა? — ვკითხე მე, ჭერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავი ძილისაგან.

— ხომ დამპირდი წამოვალო?

ძალიან უცხოდ მომეჩვენა მისი ხმა.

„რატომ მეხევეწება ასე?“

— მოვდივარ! — ვთქვი მე და ყურმილი დავკვიდე, აღარ მინდოდა, კიდევ რამე რომ ეთქვა.

საავადმყოფოში არ შეგვიშვეს, ცუდად არის და ექიმმა მნახველების მიღება აკრძალაო.

გავიდა ერთი კვირა. კარლო ყოველდღე მირეკავდა, ყოველდღე მხედებოდა. ოღონდ არც ერთხელ კინოში არ წავსულვართ, ქუჩაში ვსეირნობდით და სულ შენზე ვლაპარაკობდით. კარლო თითქოს დამშვიდდა, იმასაც ვატყობდი, ნანობდა, ეს ამბავი მე რომ გამიმხილა.

— განა მე არ უნდა მცოდნოდა? — ვეკითხებოდი.

— რა საჭირო იყო, — მპასუხობდა კარლო, — მალე მორჩება. ყოველდღე ვკითხულობ მის ამბავს, თანაც აბსოლუტურად დამნაშავე არა ვარ. მაია, შენც ნუ იტყვი ნურსად... მომეცი პირობა, რომ არსად არ იტყვი! ხომ იცი, ხალხის ამბავი, გაბერავენ, ერთი ათად გაზრდიან და მე სულ ტყუილებრად უსიამოვნება უნდა შემხედეს.

ერთი კვირის მერე შენთან შემოგვიშვეს. როდესაც პალატის კარი შემოვალე და ბინტებში გახვეული დაგინახე, მაშინ ვიგრძენი, რომ არ უნდა მოესულიყავი. ნუთუ ისეთი გულქვა ვიყავი, რომ ასე საცოდავად დაღწევისთვის კიდევ ერთი დიდი ტკივილი მომეყენებინა, კარლოსთან ერთად დაგნახებოდი და შენისმენებინა: აი, მიაღწიე არა? ეს გინდოდა არა? იწევი ახლა; შენს თავს დააბრალებ! ხომ ხედავ შენ რა გორი კარგები ვართ, მაინც მოვედით

შენს სანახავად, თუმცა სრულებითაც არ ვიყავით მოვალენი მოვსულიყავით. ყველაფერი შენს თავს დააბრალე... ყველაფერი...

მარტო თვალები ვიჩანდა, დავინახე, როგორ გაგვიკვირდა ჩემი შემოსვლა. მერე კარლოც შემოვიდა, შენი თვალები ჩაქრნენ, თითქოს თვალგახელილს ჩაგვიძინაო.

საწოლთან ჩამოვსხედით. სიჩუმე ჩამოვარდა. შენ ხმის ამოღებას არ აპირებდი, ალბათ, არც გქონდა ლაპარაკის თავი. კარლო რალაცას მანიშნებდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რა უნდოდა.

მერე კარლომ რატომღაც მწარედ ჩაიციხა, ხელი მუხლზე დაიტყუა, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან გაჩერდა ცოტა ხანს, მერე ისევ სკამზე ჩამოჯდა.

— თქვენ უნდა მპატიოთ ის წამიერი სისუსტე, მაშინ გონება დაკარგე... თქვენ ისეთი კეთილშობილი ყოფილხართ, სამაგალითოდ დიდბუნებოვანი... მე და მიაა თქვენი დიდი მადლობელი ვართ... არა, მიაა?

შემკრთო მისმა სიტყვებმა, კარლოს ამკარად რალაცის ეშინოდა. კარგით, ვთქვათ ასეცაა, მე რატომ უნდა ვიყო მისი მადლობელი? ან თვითონ კარლო რაზე უხდის მადლობას? რა მოხდა?

ნუთუ?...

მაგრამ ჩემი ფიქრი აქ გაწყდა და ისევ კარლოს დავუვადე ყური.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო აჩენდა, როგორი შეშინებული ყოფილა. სკამის კიდეზე იჯდა, წინ წამოწეული, ხელები მუხლებზე ეწყო და ლაპარაკობდა და ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვერაფერს ხედავდა, თვალები სადღაც დაკარგოდა, საერთოდ, ძალიან დაქანცული კაცის სახე ჰქონდა. შიში გადამდები ყოფილა, მეც ავკანკალდი, ხელები გამეყინა, მაგრამ არ კი ვიცოდი, რისი მეშინოდა, ეს გაცილებით ცუდი იყო, ჯობდა მცოდნოდა... ჯობდა... ახლა უკვე ვიცოდი, რომ რალაც მოხდა, საშინელი, რომელშიაც მეც მივიღე მონაწილეობა, მაგრამ როგორ და რანაი-

რად, ეს კი არ ვიცოდი, ეს გრძნობაც ჩემს შიშს გავდა.

— მე და მიაა სამუდამოდ თქვენი მადლობლები დავრჩებით, — ამბობდა კარლო. ხელი უნებურად მისკენ გავიშვირე, მინდოდა გამეჩერებინა, თითქოს გულმა მიგზნო, რომ ახლა, ამ წუთას ისეთი რამ უნდა თქმულიყო, რისი გავგონებაც თავზარს დამცემდა, გამსრესდა, მომკლავდა. და, ალბათ, თავდაცვის ინსტინქტმა ფეხზე წამომავლო და მიკივლებინა:

— კარლო!

კარლომ ერთი კი შემომხედა, ისიც მოასწრო რომ გაეღიმა, და თქვა:

— გავიგე, თურმე გიჭირთ... ეს არაფერია, ამის გამოსწორება უცებ შეიძლება. აღამიანები ვართ...

და უბეში ჩაიყო ხელი და; მე კი არ ვიყვირე, ამოვიხრიალე:

— არა! არა! ნუ!

და მერე ყველაფერი აირია, ვიღაცეები შემოცვივდნენ, რალაცა გატყდა, მე იატაკზე ვეგლე და ვიღაც სველ ხელს ყელზე მისვამდა, ძალიან მრცხვენოდა და წამოდგომა არ მინდოდა და საერთოდ მინდოდა, რომ ცოცხალი არ ვყოფილიყავი...

წამომაყენეს და სკამზე ჩამომსვეს. თავს მალა არ ვწევდი, მაგრამ ეგრძნობდი, რომ მიყურებდი და ამიტომ თავს ძალა დავატანე და ჩურჩულით, წვალეობით ვთქვი:

— მპატიეთ... ჩემს გამო, რომ... მპატიეთ...

მერე წამომაყენეს და ჩვარივით ევკილე ვიღაცის ხელზე და მეც ვფიქრობდი, ჩვარი ვარ-მეთქი... ჩვარი...

მეორე დღეს კარლომ დამირეკა. ჯერ არ მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ სულერთი იყო, დავლაპარაკებოდი თუ არა.

— გამარჯობა, მიაა!

— გამარჯობა!

თამაზ ბილაძე
თეთრი კვამლი

— დღეს უნივერსიტეტში რატომ არ მოხვედი?

— თავი მტკიოდა...

— მე კი გელოდებოდი.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ? — კარლო ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე ისევ გაიმეორა: — გელოდებოდი.

— ტყუილად გელოდებოდი, — თან პატარა სარკე მეჭირა და ჩემს თავს ვათვალიერებდი, თმა კარგად მქონდა დავარცხნილი თუ არა.

— მაია, — თქვა კარლომ, — რაც გუშინ მოხდა, ეს გაუგებრობის ბრალია.

— ალბათ, — ვთქვი მე და შუბლზე ჩამოწეული თმა ოდნავ ავიწიე საჩვენებელი თითით.

— პასკალმა ადამიანს მოაზროვნე ლერწამი უწოდა...

— ვინ? — ვითომ ვერ გავიგონე.

— პასკალმა.

— რას მეუბნები?

— ადამიანი სუსტია, მაია...

— ერთი წუთით დაცადე, — ვუთხარი მე. ავდექი, სარკე მაგიდაზე დავდე, ვითომ არ შემეძლო იქვე ტახტზე დამეგდო, ცოტა ხანს დიდ სარკესთან გავჩერდი. მერე ყურმილი ავიღე:

— ჰო, პასკალზე ვლაპარაკობდით, — ვთქვი მე.

— არა, პასკალზე კი არ ვლაპარაკობდით...

— როგორ არა, — გავაწყვეტინე მე, — ნამდვილად პასკალზე ვლაპარაკობდით!

— პასკალზე კი არა ჩემზე!

— კი, მაგრამ შენ რა შუაში ხარ? — ვიკითხე გულუბრყვილოდ.

— გამოდის, რომ ყველაფერი ერთ წუთში დამთავრდა, არა?

— რომელი ყველაფერი?

— რაც ჩვენ გვაკავშირებდა, გვამეგობრებდა, ერთ წუთში წყალში გადაყარე, არა? მეგონა, მეგობრობა შეგეძლო!

— ადამიანი სუსტია, კარლო! — ვთქვი მე.

— მაია! — იყვირა მან.

— არ ისმის! — და ყურმილი მოვიშორე.

ცოტა ხნის მერე შევეკითხე:

— რა თქვი?

— რა დაემართა ამ ტელეფონს?

— არ ვიცი. გინდა, დაკიდე და ხვალ დამირეკე.

— არა, მომისმინე!

— მოიცა, მგონი, ვიღაც კარზე რეკავს.

სამზარეულოში გავედი, იქიდან ტოლჩით წყალი შემოვიტანე, ფანჯრის რაფაზე ყვავილის ქოთანს დავასხი, მერე ტოლჩა ისევ სამზარეულოში შევიტანე. დავბრუნდი და ყურმილი ავიღე:

— ფოსტალიონი იყო! რას ვაშობდით?

— შენ ცდები, მაია, იცოდე, რომ ცდები.

— ადამიანი სუსტია, კარლო.

— მერე ინანებ, იცოდე.

— კარლო, დღეს რა დღეა?

— ოთხშაბათი.

— მე კი ხუთშაბათი მეგონა, წარმოგიდგენია!

— მაია!

— გისმენ!

— კარგად დაფიქრდი, გთხოვ.

— აი, დაფიქრდი. თუ გინდა, კიდევ მთხოვე რამე. სამ თხოვნას შეგისრულე, როგორც ზღაპრებშია. პატარა რომ ვიყავი, ზღაპრებზე ვვიყდებოდი, ყველას ვთხოვდი, მომიყევით-მეთქი. გახსოვს „ირმისა“, „წიქარა“, წიქარას რომ რქა მოტყდა, გახსოვს?

— გასაგებია, — თქვა კარლომ, — გასაგებია...

ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით.

— კარლო! კარლო! — დავიძახე მერე.

— გისმენ! — გამომეხმაურა მაშინვე!

— გახსოვს თუ არა?

— რა?

— წიქარას რომ რქა მოტყდა?

— მე მეგონა, შენ სხვა გოგონებს არ გავდი, არც გავხარ, მაგრამ გინდა, რომ დაემსგავსო.

— ცდები, კარლო, მე სწორედ ისეთი



ვარ, სულელი, ქაარფშუტა და მეტიჩარა და ძალიან მიხარია, რომ ასეთი ვარ.

— ცღებო, მაია, ცღებო. შენ ძალიან ჭკვიანი ხარ, გამგები, — მეცინებოდა, — არ უნდა წააყვანე იქ, შენ ისეთი გულჩვილი ხარ, მგრძნობიარე, ჭიანჭველა სპილოდ მოგჩვენება.

— მე სპილო ძალიან მიყვარს. მახსოვს, ბავშვი რომ ვიყავი...

— მაია, რა გინდა მითხარი, მითხარი და შეგისრულე!

— მე მინდა მქონდეს ათი კაბა, მყავდეს ხუთი შვილი, მქონდეს მანქანა და ავარაჯი და მყავდეს ძალიან ბევრი მეგობარი და კიდევ მინდა მქონდეს მაგნიტოფონი „ზენიტი“.

— ნუ იცინი!

— განა ეს სასაცილოა? უცებ საშინლად მომბეზრდა მასთან ლაპარაკი:

— კარგი ახლა, კარლო, საქმე მაქვს.

— მაია, მოიცადე...

— ვიცდი.

— ჩვენ მეგობრებად მაინც დავრჩებით ხომ, მაია?

აი, თურმე რატომ მირეკავდა! საავადმყოფოში იმიტომ მიმიყვანა, რომ იცოდა, ჩემი ხათრით დათანხმდებოდი იმაზე, რომ ხმას არ ამოიღებდი, არ გაამხელდი ამ ამბავს. ეშინოდა, რომ ეს ყოველ წუთს შეიძლებოდა მომხდარიყო. ზუსტად და სწორედ მოზომა ეს, მაგრამ ჩემს სიბრიყვესა და სიყვარულში დარწმუნებულმა, ჩემი თანდასწრებით კიდევ ერთი ზედმეტი ნაბიჯი გადადგა.

და თუმცა მან იცოდა, რომ ამ სისაძაგლეს მე ხმამალა ვერსად ვიტყოდი, დღეს მაინც შემაოწმმა და ფეხქვეშ გამეგო, რომ ხმა არ ამომეღო: „ჩვენ მეგობრებად დავრჩებით!“

ამ ლაპარაკის მერე ისე ცუდად გავხდი, რომ ორი კვირა ლოგინიდან ვერ ავდექი. დიდი სიცხე მქონდა, მაგრამ მეგონა ვიყინებოდი, მეგონა თოვლში ვიწექი, თოვლი მეყარა გულზეც, პირზეც და ვიხრჩობოდი. როცა ჩამეძინებოდა, ისეთ სიზმარს ვნახავდი, რომ კივილით

ვიღვიძებდი და ცივი, გაყინული ოფლი მასხამდა. დაძინების მეშინოდა, თუმცა როცა მეღვიძა, მაშინაც ვხედავდი სიზმრებს. ხმამალა ვბოდავდი და დედას ვეხეწებოდი, ბაბაღე მოიყვანე-მეთქი და დედამ ვერაფრით გაიხსენა, ვინ იყო ბაბაღე, მე რომ ასე ჭიუტად ვეძახდი.

მონასტრის ზარი რეკდა. შუადღე იყო, თუმცა ცაზე დიდი ვარსკვლავები ანათებდნენ. საავადმყოფო ცარიელი იყო და ერთადერთი ავადმყოფი იხედებოდა ფანჯრიდან მოწყენილი. ამ ავადმყოფს ვეძახდი, ხელს ეუქნევდი, რადგან ვიცნობდი, მაგრამ მას ჩემი არ ესმოდა, მერე ბაბაღე გამოვიდა ეზოში და ხელში მკვდარი ბავშვი ეჭირა. ბავშვს თვალები ჰქონდა ღია და მე მიყურებდა, ღობის იქით მალაღი ხე იდგა და წითლად ყვავდა. ის ხე თითქოს მამაჩემი იყო და მე ხნულში მივრბოდი, ხნულში ვარსკვლავები ეყარა თესლივით და ვარსკვლავებს მტრედები კენკავდნენ. მერე ბაბაღემ დამიძახა, ხელში ამიყვანა და ახლა უკვე ის მკვდარი ბავშვი მე ვიყავი. ბაბაღეს დიდი, დამჭკნარი ხელები ჰქონდა და ერთი ხელი ჩემს მკერდზე ესვენა. ჰადრის ხმელი ფოთოლივით. შუა ეზოში ვიღაც მთვრალი იდგა და ფანჯრებს ქვებს ესროდა. ფანჯრები ჩარჩოებიანად მოდიოდნენ დაბლა და უზარმაზარ ნათურებივით სკდებოდნენ ქვებზე.

მერე წითელი ხე ქარმა მოიტაცა და ღრუბლებში გადაკარგა. იმ ადგილას, სადაც ის იდგა, ბაბაღემ კოცონი დაანთო. ძალიან მიხაროდა, რადგან უკვე თოვლი მოდიოდა და მციოდა, მაგრამ ცეცხლი არ ათბობდა.

მერე ტრიალ მინდორში, პატარა სახლის კიბეზე ვიჭექი ფეხშიშველი და ირგველი თოვლი ფენია. ბაბაღე წყალზე მიდიოდა, მხარზე კოკავადებული და ნელ-ნელა ქრებოდა. მერე ვიღაცამ ბანჯგელიანი ხელები დამაწყო მხრებზე და რაღაც მითხრა, გაურკვეველად და ყრულ,

თამაზ პილაძე
თეთრი კვამლი

თითქოს დიდმა საათმა დარეკაო. მე გული გადამიქანდა შიშისაგან, დაყვირება მინდოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, მერე იმან, ბანჯგვლიანი ხელემა რომ ჰქონდა და ჩემს ზურგს უკან იდგა, მი-თხრა, წითელი ხე მაჩუქეო, მე წითელი ხეც ვაჩუქე და ყველაფერიც, რაც მიყ-ვარდა, რადგან ძალიან მეშინოდა. ბან-ჯგვლიანმა გაიცინა და გაქრა.

ლოგინიდან რომ წამოვდექი, ძლივს დავდიოდი, თითქოს სიარულს ახლა ვსწავლობდი. ქუჩაში ქეთისთან ერთად გამოვედი სასეირნოდ, მარტომ ვერ გავ-ბედე. უკვე მარტი იყო. მამადავითზე, ტელევიზორის ანძის წვეროზე თეთრი ქათათა ღრუბლის ფთილა იდგა და ცალ ფეხზე დაყრდნობილ წეროსავით მოჩანდა. დიდხანს ვუყურებდი მას და მიხაროდა, რომ უკვე გაზაფხული დად-გა, მიწა სველი იყო და ხეებსაც სველი ტოტები ჰქონდათ. ზოოპარკის კართან ბოშა ქალები რეზინზე დაკიდებულ ქრელ ბურთებს ყიდდნენ. ზოოპარკში მხეცებს ჯერ კიდევ ზამთრის ბინებში ერჩივნათ ყოფნა და გარეთა გალიები ცარიელი იყო, მაგრამ რომელიღაც პა-წაწინა, ქრელი ჩიტო ისე უსტვენდა, ექ-ვი არ შეგეპარებოდა, ნამდვილად გა-ზაფხული რომ იყო.

პატარა აგურის სახლიდან ირემი გა-მოვიდა და მზის გულზე გაჩერდა. თვა-ლები ამიპრელდა და თავბრუ დამეხვა, დამცხა და პალტოს ღილები გავიხსენი.

ნელ-ნელა გამოვკეთდი, ახლა უკვე მარტოც შემძლო სეირნობა. იმ ავად-მყოფობიდან უცნაური რამ გამომყვა: მჯეროდა, რომ მართლა ვაჩუქე ვილა-ცას, ვაჩუქე თუ სამუდამოდ დავკარგე ყველაფერი, რაც მიყვარდა. თავაც და გულიც გამოცარიელებული მქონდა, სკამზე ვიჯექი და ბავშვების თამაშს ვუ-ყურებდი და არაფერზე არ ვფიქრობდი. ერთხელ აქეთ-იქიდან ჯარისკაცები მო-მისხდნენ და იმ დღეს პირველად გავი-ცინე, მას შემდეგ, რაც ავად გავხდი. ძა-ლიან მხიარული ბიჭები იყვნენ, ტელე-ფონის ნომერი მკითხეს და დიდის ამ-ბით ჩაიწერეს უბის წიგნაკებში, გატე-

ნილი რომ ჰქონდათ გოგოების სურა-თებით.

უკვე ლექციებზეც დავდიოდი. რო-გორც იქნა, აპრილიც მოვიდა. ჩემი საყ-ვარელი თვე. უნივერსიტეტის წინ ჰად-რებმა უცებ იფეთქეს და გამოჩნდნენ, თითქოს აქამდე აქ არ მდგარანო.

წინათ ამხანაგებთან ერთად ვბრუნ-დებოდი შინ, ახლა მარტო მოვდიოდი, შეიძლება ზოგჯერ ქეთი გამოაკოლო-და.

შენზე სრულებით არ ვფიქრობდი, არც მახსოვდა.

გვრძნობდი, რომ რალაცისგან გავთა-ვისუფლდი, თეგზი რომ ბადეს გაგლეჯს და წავა, ისე. მაგრამ არ ვიცოდი, ასე თავისუფალი, ახლა საით წავსულიყავი. თითქოს ბადიდან თავდაღწეული ახლა რიყზე ვფართხალებდი. ვილაცას უნდა ავეყვანე და ისე მდინარეში გადავეგ-დე, ვის? საშინლად მეშინოდა ვინმეს ხელის შეხება, ვფიქრობდი, ყველას ეკ-ლიანი ხელები აქნა-მეთქი.

აპრილი უცებ გათავდა, მიილია, ასან-თივით ჩაქრა. პირველ მაისს დემონსტ-რაციაზე გავედი, უნივერსიტეტის ფრე-ნბურთელ გოგოებთან ერთად. ერთი წე-ლი იყო, რაც ფრენბურთისთვის თავი დანებებული მქონდა, მაგრამ ახლა ჩვენ-მა მწვრთნელმა, ძია დიმიტრიმ, მაინც დამიძახა. თეთრი კაბა მეცვა და ხელში ბურთი მეჭირა. უნივერსიტეტის კოლო-ნას ჩვენ მიეუძღოდით წინ. ჩვენს უკან დიდი ღროშები მოჰქონდათ და მერე— ბროფესორ-მასწავლებლები მოდიოდ-ნენ, მათ სტუდენტები მოჰყვებოდნენ. ჯერ მზე აცხუნებდა მწარედ, მერე კი უცებ წვიმამ დასცხო. ჩვენ მაინც მწყობ-რად გავიარეთ მთავრობის ტრიბუნის წინ. აღლუმიდან ფეხით დავბრუნდით. რადგან არც ავტობუსები და არც ტრო-ლეიბუსები არ მუშაობდნენ. ისეც წვიმ-და და ჩვენ წვიმაში მოვბროდით, გავი-წუწუეთ.

შინ რომ დავბრუნდი, ტანსაცმელი გა-მოვიცვალე და ფანჯარასთან დავჯექი. ქუჩაში კიდევ მობრბოდნენ ბიჭები და გოგოები. ვილაც ორს, წელზევით შიშ-

ველ ბიქს რესპუბლიკის უზარმაზარი ღერბი მიჰქონდა შუა ქუჩაში. აუჩქარებლად მიდიოდნენ, დინჯად, თითქოს სრულგზობაც არ სველდებოდნენ.

ჯერ იმ ჯარისკაცებმა დამირეკეს, ბაღში რომ გავიციანი, პირველი მისი მომილოცეს. მერე ქეთიმ დაჩეკა. ქეთიმ მითხრა, დღეს ჩვენი ჯგუფხელის იაკობის ქორწილია. მთელი ჯგუფი დაპატივებული ვართ, უსათუოდ წამოდი, რადგან იაკობმა მთხოვა მათა აუცილებლად მოიყვანო.

მე და ქეთი ტაქსით წავედით და ტაქსის შოფერმა ძლივს იპოვა ღრმადღეღეში ის ქუჩა, სადაც იაკობი ცხოვრობდა. იაკობს ერთი ოთახი ეჭირა სოფლურ ყაიდაზე აშენებულ სახლში. იაკობმა ცოლი გამაცნო, იამზე, მსუქანი და ლოყაწითელია გოგო, წითელწყაროელი მასწავლებელი. იამზეს ხელში ორი წლის ბიჭი ეჭირა, მასავით ლოყაწითელია. იაკობმა სიცილით გვითხრა: ეს ჩემი ცოლის შვილიაო. მერე ჩვენი ბიჭები უცებ დათვრნენ და მე და ქეთი გამოვიპარეთ.

ჯერ ხუთი საათიც არ იქნებოდა, წვიმას გადაედო, ქუჩები უცებ გამშრალიყო. ისევ ცუდ გუნებაზე დავედქი, ისევ თავბრუ მეხვეოდა. საზაფხულო კაფე დავინახეთ და მივაშურეთ. მაგიდები პირდაპირ ქუჩის პირას იდგა. ქოლგების ქვეშ, ერთ-ერთ მაგიდას მივუსხედით, ჩვენს გარდა იქ არავინ იყო.

ქეთის ვუთხარი:

- მგონი სიცხე მაქვს!
- სიცხე კი არა, ის არ გინდა!
- დედას გეფიცები!
- იმიტომ რომ სულ მაგაზე ფიქრობ!
- არა, ქეთი, არ ვფიქრობ.
- წამო, წავიდეთ!
- არა, ყველაფერმა გამიარა, გინდა ვიმღერო?

— რატომ უნდა იმღერო? — გაუკვირდა ქეთის, ქეთის ყველაფრის ეშინია.

— ისე, — სიმღერა დავიწყე: „წითელი ქული მახურავს,

თვალსა და გულს უხარია, ბებციოს მოქსოვილია, ბებციოს ნაჩუქარია“..

— გაჩუმდი! — ქეთიმ ორივე ხელი პირზე მიიფარა.

- კარგი, მაშინ ლექსს ვიტყვი.
- არ მინდა, არ თქვა!
- „დღეს პირველი მათია და პირველი გაზაფხული...“
- კარგი, მათა, გეყოფა! — მთხოვა ქეთიმ.

შემეცოდა:
— ჰო... მეყოფა... აი, გათავდა... მეყოფა!

— დაწყნარდი! — მითხრა ქეთიმ, — გთხოვ!

ამ დროს ბიჭმა ჩაგვიარა გვერდით. ველოსიპედით. ბიქს ტრუსები და მაისური ეცვა, მხარილივ ატლასის ლენტე ჰქონდა გადაპემული, ლენტეზე უამრავი მედალი ეკიდა. ცოტათი გაგვცდა. მაგრამ მაშინვე დაბრუნდა და ჩვენს მაგიდას ველოსიპედით წრე დაარტყა. მე ამ დროს ისევ ვმღეროდი:

— „წითელი ქული მახურავს თვალსა და გულს უხარია...“

— გაჩუმდი, სულელიო! — მითხრა ქეთიმ და ბიქსიკენ გაიხედა, რომელიც აღარ გვეშორდებოდა, მაგიდის ირგვლივ წრეებს არტყამდა.

— რატომ უნდა გაჩუმდე? — ვკითხე ქეთის.

- სირცხვილია!
- სირცხვილია? — ხმამაღლა გავიცინე და განვაგრძე:
- „ბებციოს მოქსოვილია, ბებციოს ნაჩუქარია“.

— სირცხვილია! — თქვა ისევ ქეთიმ.
— სირცხვილია? — ვკითხე მე სპორტსმენს.

- ბიჭმა ხელი დამიქნია.
- შენ რა გქვია? — ვკითხე იმ ბიქს.
- მათა, რას შვრები? — შეიცხადა ქეთიმ.
- გავი! შენა?

თამაზ ბილაძე
თეთრი კვამლი

— მაია! ამას ქეთი!

გაგიმ ქეთისაც დაუქნია ხელი, თან ველოსიპედს არ აჩერებდა. დაბნეული ქეთი თავჩალუნული იჯდა.

— მოგწონს ჩემი სიმღერა? — ვკითხე ბიჭს.

— კიდევ იმღერე!

— ვიმღერო? დიდი სიამოვნებით!

მაგრამ უცებ გუნება შემეცვალა. აღარც სიმღერა მინდოდა, აღარც არაფერი.

— შენ მსახიობი ხარ? — მკითხა ვაგიმ.

არ ვუპასუხე, თუმცა პირდაპირ იმას ვუყურებდი.

— მსახიობები ხართ? — ჰკითხა ახლა ქეთის.

— ჰო, — ქეთიმ თავი დაუქნია. ძალიან დაბნეული იყო და, ალბათ, იმიტომ.

— ძალიან მომწონხართ! — თქვა ვაგიმ.

— მაია, წავიდეთ, — ქეთი გადმოიხარა და ხელი მუხლზე დამადო, — გთხოვ!

— კინოში თუ დადიხართ? — გვკითხა ვაგიმ.

ქეთიმ თავი დაუქნია. კიო, ყველაფერზე ეთანხმებოდა, ოღონდ როგორმე მოეშორებია.

— დღეს ხომ არ წამოხვალთ?

— დებილო! — ვუთხარი მე მოულოდნელად, — თავს რატომ არ დაგვანებებ?

— ოჰო?

— მაია? — ქეთის შეეშინდა.

— ქეთი, უთხარი, რომ წავიდეს!

— მე? მე ვუთხარა? — დაიბნა ქეთი.

— თუ გინდა, მარტო შენ წამოდი, — შითხრა ვაგიმ. — შენ უფრო მომწონხარ, ქეთის არ ეწყინება, ხომ ქეთი? კარგი, თუ გინდა, ხვალ იყოს, ზუსტად რვა საათზე ამ ადგილას გელოდები.

— არა! — ვთქვი მე.

— ხვალ აქ ვდგავარ, რვა საათზე!

— არა! ქეთი, უთხარი, წავიდეს!

— წადით, თუ შეიძლება — წამოიხნავლა ქეთიმ.

— მაია, გელოდები!

— ქეთი, გთხოვ, წავიდეს, გთხოვ!

— წადით, გეხვეწებით, წადით, გთხოვთ, — ქეთი წამოდგა და ხელები მისკენ გაიშვირა, — გთხოვთ.

ახლა მართლა მსახიობს ჰგავდა და კინალამ გამეცინა.

— წავედი, კარგად იყავით, — დავვიძახა ვაგიმ, — ხვალამდი!

„წითელი ქუდი მახურავს“ — დავიწყე მე:

— შენ სულელი ხარ, — მითხრა ქეთიმ.

— ქეთი... რა ვქნა, ქეთი?

— რა იყო, ისევ ცუდადა ხარ?

— არა.. რა ვქნა...

— მადლობა ღმერთს, რომ ულამაზო ვარ, — თქვა ქეთიმ, — ასე სჯობია! — მერე სასატიკლოდ მოჭუტა თვალები და დამაკვირდა.

— რა იყო? — ვკითხე.

— შენ ადგილას...

— რა?

— ეჰ, — ამოიოხრა ქეთიმ.

— არ იცი... არც შენ იცი...

— აი, თუნდაც ვაგი, — დიწყო ქეთიმ, თვალები გაუბრწყინდა, — აი, თუნდაც ვაგი!

— ვინ?

— ვაგი! წადი, გაისეირნე, რატომ არ უნდა წახვიდე. შემომჩერდი აბა მე და იძახე, რა ვქნა, ქეთი, რა ვქნა, ქეთი!

— ვაგი...

— ლამაზი ბიჭია... სპორტსმენი.

ცხოვრებაში თურმე არაფერი არაჩვეულებრივი არ ხდება, აღამიანებს უყვართ ან სძულთ ერთმანეთი, ხვდებიან, ან შორდებიან და ამ ამბავს ძალიან ადვილად ეჩვევიან. როგორც თითებს შორის სილა, ისე იბნევა და ქრება სიტყვები და დაპირებები, ცრემლი და ალტაცება, აღთქმა და ფიცები და კაცი ყველაფერს ეჩვევა. არსებობს ერთი ყველაზე დიდი ნუგეში, ბუნების წყალობასავით, ეს არის დავიწყება. და ქვიშით დაფარული ქალაქით, ან მიწით ამოვსებულ ჭასავით უცხო ხდება ჩვენთვის ის, რაც ადრე გვიყვარდა და ამი-

ტომ ტკივილს გვაყენებდა. რომ იცხოვრო, ყველაფერი ზედმეტი უნდა მოიშორო, თუ სწრაფად გინდა სირბილი, მაშინ ფეხებიდან წისქვილის დოლაბები მოიხსენი. მოიხსენი და გადაავდე, დაიწყო. ვისაც ეს არ შეუძლია, ის სიმარტოვის მსხვერპლი ხდება. სიმარტოვემ კი ხავსი იცის. ხავსი სიჩუმეა, სიმშვიდეა. ღმერთო, როგორ გრილა ხავს-მოკიდებულნი ნანგრევების ჩრდილში! და როგორი შემადრწუნებელია სიჩუმე! და როგორი მტანჯველია სიმშვიდე! გესმის, როგორ იწრიტება შენი სიცოცხლე, როგორც ბალახში წაქცეული კოკიდან წყალი...

აი, როგორი ფილოსოფოსი გავხდები! გაგის ფოლადისფრად მოელვარე კოსტუმში ეცვა, ძალიან უხდებოდა. ჩვენ კაფე „მეტროს“ მეორე სართულის აივანზე ვისხედით. ჩვენს გარდა იქ არავინ იყო. მაგიდაზე ნაყინის ფინჯნები და მიხაკები ეწყო და კიდევ გაგის პატარა, იპონური მაგნიტოფონი.

გ ა გ ი: თუ შეამჩნიე, სამი მიხაკი რომ მოგიტანე?

მ ა ი ა: ვხედავ... გმადლობთ.

გ ა გ ი: რატომ არ კითხულობ, რატომ მაინც და მაინც სამი?

მ ა ი ა: არ ვიცი...

გ ა გ ი: იმიტომ რომ მესამე დღეა, ასე გამწარებული დაგდევ.

მ ა ი ა: სამი დღე...

გ ა გ ი: სამი დღეა, ჩემი მწვრთნელი გაგიყვებოდა.

მ ა ი ა: რატომ?

გ ა გ ი: სევდიანი დავდივარ.

მ ა ი ა: თქვენ სევდიანი?

გ ა გ ი: ძალიან გთხოვ, შენობით ვილა-ლაპარაკოთ.

მ ა ი ა: კარგი.

გ ა გ ი: ჰო, იმასაც უკვირს.

მ ა ი ა: რატომ უკვირს, სევდიანი სპორტსმენი არ შეიძლება?

გ ა გ ი: სევდა დროზე თამაშობს.

მ ა ი ა: დროზე?

გ ა გ ი: სამ წუთს მეტს ვაჩვენებ.

მ ა ი ა: სამი წუთი სევდა.

გ ა გ ი: სამი წუთი მესამე ადგილია.

მ ა ი ა: მერე რა?

გ ა გ ი: პირველად ვხედავ გოგოს, სპორტზე რომ აზრზე არ არის.

მ ა ი ა: რატომ, მეც მიყვარს სპორტი, მე თვითონ სპორტსმენი ვარ, ფრენბურთს ვთამაშობდი.

გ ა გ ი: სპორტი ყველაფერია!

მ ა ი ა: მაგისი კი რა მოგახსენო.

გ ა გ ი: აბა, სხვა ვინც გინდა გამოიყვანე მოედანზე — გინდა ძწერალი, გინდა მათემატიკოსი, გინდა მხატვარი, ასი ათასი კაცი თუ მოვა!

მ ა ი ა: მართალი ხარ, არ მოვა.

გ ა გ ი: საყუთარი თავის მრცხვენია.

მ ა ი ა: რატომ?

გ ა გ ი: იმიტომ რომ მიყვარხარ. რას ვიფიქრებდი, რომ შემიყვარდებოდი.

მ ა ი ა: ჯერ არავინ გყვარებია?

გ ა გ ი: არასოდეს! ვინ გგონივარ?

მ ა ი ა: ახლა რა გეშველება?

გ ა გ ი: დავიღუბე. როგორ შევხედო ჩემს მწვრთნელს თვალებში! ოღონდ იცოდე, მე ყველაფერი მისრულდება.

მ ა ი ა: მე კი არაფერი არ მისრულდება.

გ ა გ ი: მაინც რა გინდა, თქვი და აგისრულე!

მ ა ი ა: რა მინდა?... რა ვიცი... მინდა მთვარეზე ვიყო!

გ ა გ ი: მაგაზე ადვილი რა არის, წავიდეთ!

მ ა ი ა: რითი?

გ ა გ ი: ჩემი ველოსიპედით!

მ ა ი ა: ველოსიპედით მთვარეზე?

გ ა გ ი: დამიჯერე, რომ შეიძლება და ძალიან ადვილია.

მ ა ი ა: ველოსიპედით მთვარეზე...

გ ა გ ი: ასე სჯობს, მაია!

მ ა ი ა: შენ რა იცი?

გ ა გ ი: ამას რა ცოდნა უნდა?

მ ა ი ა: რომ ყველაფერი ადვილია, არა? გაგი, შენ კარგი ბიჭი ხარ... იქ-

თამაზ პილაძე
თითრი კვაპლი

ნებ მართლაც ადვილია... რატომ დავიწყეთ ეს ლაპარაკი?

გ ა გ ი: არ ვიცი.

მ ა ი ა: გაგი, შენ ყველა გოგოს ასე ელაპარაკები?

გ ა გ ი: არა, ყველას არა. ეს საიდუმლოა, მაგრამ მაინც გაგიმხელ: ერთვ მავნიტოფონს, ეამბობ, ეს კაუნტ ბეისია, გოგო ალტა-კუბულია: ო, კაუნტ ბეისი, როგორ მიყვარს! მერე ვიღებ კონიაკის ჭიქებს, ო, რა ლამაზი ჭიქებია! — ამბობს გოგო. მე კონიაკს არ ვსვამ, ვეუბნები. თქვენ, თუ შიირთმევეთ? ცოტა დამისხით, ძალიან ცოტა, — მე-პრანჭება გოგო, — ო, ეს კაუნტ ბეისი! ვიცეკვოთ? ვეკითხები ჩუმად და ვიღივები, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივს ვამბობდე. ვიცეკვოთ, — მპასუხობს ის, ო, ვიცეკვოთ. ვატყობ, გოგოს უნდა თანამედროვე იყოს.

მ ა ი ა: მერე?

გ ა გ ი: მეტი არაფერი; გოგო ძალიან კმაყოფილია.

მ ა ი ა: მეტი არაფერი... ნუთუ კმაყოფილი რომ იყო, ამისთვის სისულელეა საჭირო? გაგი, კონიაკი მინდა.

გ ა გ ი: ახლავე. ოღონდ მე არ ვსვამ, იცოდე.

მ ა ი ა: დამისხი!

გ ა გ ი: ძალიან ცოტა, არა?

მ ა ი ა: ბევრი დამისხი!

გ ა გ ი: მგონი, ახალ სტილს წავაწყდი! მავნიტოფონიც ჩავრთო?

მ ა ი ა: ჩართე!

გ ა გ ი: ეს კაუნტ ბეისია!

მ ა ი ა: ო, კაუნტ ბეისი! მოდი, სისულელეს გაუმარჯოს, გაგი, იმ ველოსიპედს გაუმარჯოს, მთვარეზე რომ წავალთ. მე მინდა, რომ ძალიან ადვილად გავხდე ბედნიერი! ბედნიერი მინდა ვიყო!

გ ა გ ი: მერე მაგას რა უნდა! ახლა სიყ-

ვარულის გულისთვის არავენ-
იკლავს თავს, თოკით არ ეკიდე-
ბა, მანქანის ქვეშ არ ვარდება...

ეს რომ ითქვა, უცებ წამოვდექი, თითქოს აქამდე მე კი არა, სხვა ყოფილიყოს აქ, სხვას ელაპარაკოს ამდენი, მე კი ამ ხნის განმავლობაში სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, რაღაცის გახსენებას ვცდილობდი და როგორც იქნა გამახსენდა. უცებ დაგინახე, თითქოს აქვე იყავი, რამდენიმე ნაბიჯის იქით, საწოლში იწეკი და მიყურებდი.

— მე ახლა წავალ! — ვუთხარი გაგის.

— სად წახვალ? — გაგიც წამოხტა.

— ნახვამდის, გაგი! — ვუთხარი და წამოვდექი. გამოვძეკეცი.

კიბეზე რომ ჩამოვრბოდი, გაგის ძახილი მომესმა:

— მაია! მაია!

შინამდე სიბილით მივედი, ტროლეიბუსში არ ჩავჯექი, რატომღაც ვიფიქრე, რომ ასე უფრო ჩქარა მივიღოდი.

გელას დავურეკე. შენ თურმე კიდეც საავადმყოფოში იწეკი, ათში აპირებდნენ შენს გამოწერას.

— კი, მაგრამ, ასე რატომ გაინტერესებს? — მკითხა გელამ.

ვიჯექი და ვფიქრობდი, ამდენი ხანია საავადმყოფოში წევს, შეიძლება არც არაფერს აკითხავს, მე კი...

— მე კი დროს ვატარებ! — ვუთხარი დედას, რომელიც დამის ბერანგის ამარა შემოვიდა ჩემს ოთახში და მკითხა:

— რატომ არ წვები?

— დროს ვატარებ! — გავიმეორე და უცებ მივეარდი, მოვეხვიე და შევეხვეწე:

— დედა, დედიკო, დავწვები შენთან რა?

დედას ძალიან გაუკვირდა, ამოდენა ისე გავიზარდე, ჯერ მასთან არ გწოლილვარ. როგორ გამეგებინებინა, რომ მე ახლა მარტო დარჩენა არ შემეძლო, ვერაფრით გავაგებინებდი. მინდოდა, თვითონ მიხვედრილიყო, რა დღეში ვიყავი-

ვაეალტრემლიანი ჯიუტად ვთხოვდი იმას, რასაც აქამდე ვერ ვუბედავდი, რაც თვითონვე უსიტყვოდ, თავისი ქცევით ამიკრძალა.

დედის მკერდზე თავი მედო და ორივენი ჩუმად ვიწექით. მინდოდა სულ ასე ვყოფილიყავი, დედასთან ახლოს, თითქოს ბავშვი ვიყავი და მომეჩვენა, რაც თავს გადაშხდა. იქნებ მართლაც თვითონ ვავაზიადე ყველაფერი, და ასე რომ ვფიქრობდი, ნელ-ნელა ვმშვიდდებოდი და ეცდილობდი, არ დამძინებოდა, რათა ეს ნეტარების ბურანი არ გამქრალიყო. მთავარი მაინც ის იყო, რომ შენ გიყვარდი და ეს სიყვარული მეც უნდა განმეცადა მალე და ის, ვინც ჩემი გულისთვის ამდენ ხანს ეწამა, ბედნიერი უნდა გამეხალა და ის გრძნობა, რომ შემეძლო ბედნიერი გამეხალა ვინმე, საოცრად მამშვიდებდა.

უცებ მომეჩვენა, რომ დედას გული არ უცემდა. თავი წამოვწიე და შევხედე. თვალდაბუქული იწვა, ფანჯრიდან შემოსული ნათურის შუქი ბნელში მის სახეს უცნაურად თეთრად აჩენდა. და სძიებდი, რომ ისიც სულ მარტო იყო და მე კი ამაზე არასოდეს მეფიქრნა. მოთლოდნელად ისე შემეცოდა, რომ კინაღამ ავტირდი, თავი ისევ მკერდზე დავადე და ჩურჩულით ვკითხვ:

— ძია ვივი რატომ აღარ მოდის?

და თუმცა დედა ოდნავადაც არ განძრეულა, ვიგრძენი, უცბად როგორ გამოიცივლა, როგორ დაიძაბა და როგორ აღამისხლტა ხელებიდან. რატომღაც მეგონა, ხმას არ გამეცემდა და ამიტომ ძალიან შევკრთი, როცა მისი ხმა ვავიგონე:

— ახლავე აღექი და წადი აქედან!

უსიტყვოდ ავდექი და წამოვივდი.

ძია ვივი ამ ერთი წლის წინ მოვიდა ჩვენთან. მას მერე კვირაში ორჯერ მაინც რომ არ მოსულიყო, არ შეიძლებოდა. ორმოცი წლის, მაღალი, მოსული კაცი იყო, ლამაზი თვალები ჰქონდა, წაბლისფერი თმა ერთიანად გაქალარავებოდა. უკვე იმაზეც ვცნობდი, ზარს როგორ რეკავდა.

ათი მაისის მოსვლა თან მეჩქარებოდა და თანაც მაშინებდა იმიტომ, რომ გადავწყვიტე მოვსულიყავი და საავადმყოფოს კართან დაგზვედროდი. თუმცა ეს უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ წარმოდგენა იმისა, რომ ეს მალე უნდა მომხდარიყო, შინით მავსებდა.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ ამ ხნის განმავლობაში შეგძლებოდი? წესით ასეც უნდა მომხდარიყო. რატომ უნდა გყვარებოდა ის, ვისი გულისთვისაც ასე დაიტანჯე? ის ხომ შენსკენ არც კი იხედებოდა?

მაგრამ არ შემეძლო ეს დამეჩერებინა. ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა ჩემთვის. ვგრძნობდი, რომ ჩემს თავზე ვზრუნავდი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო.

უნდა მიხედრილიყავი, უნდა მიხედრილიყავი, რომ მე ახლა შენზე ვფიქრობდი. არა, არ გქონდა უფლება, რომ მე არ გყვარებოდი. უნდა გყვარებოდი ძალიან. თავდავიწყებით, ვიყვივით. აი, რა მინდოდა მე და შენ არ გქონდა უფლება, რომ ეს არ შეგესრულებინა.

საკვირველია, ახლა ყველას ვავადებულებდი ჩემს სიყვარულს. არა. ყველას არა, დედაჩემს და შენ, მაგრამ განსაკუთრებით მინდოდა, რომ შენ გყვარებოდი. დედასა და შენზე ერთდროულად ვფიქრობდი, ორივეს სიყვარულს ღმერთს ვებეწებოდი, რადგან დედისგანაც მაკლდა გულს და რადგან ორივეზე ერთად ვფიქრობდი, შენ ჩემთვის ნელ-ნელა ძალიან მახლობელი ხდებოდი და, ნუ გაგეცინება, ძმასავით მიყვარდი. მე ხომ არ გამომიცდია ძმის სიყვარული. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ძმასავით მიყვარდი. ახლა ვფიქრობ, ნეტავი მე და შენ მართლაც და-ძმა ვყოფილიყავით, მეტი არაფერი... რა ბედნიერი ვიქნებოდი!

ათ მაისის დილის ცხრა საათზე საავად-

თამაზ ბილაძე
თითრი კვამლი

მყოფოს ჰიშვართან ვიდექი. ჰიშვარის იქით თელეზით დაბურული ხეივანი მოჩანდა. ხეივანში სკამები იდგა. ჯიხურის პატარა სარკმლიდან დარაჯი იყურებოდა. ერთი-ორჯერ გაალო ჰიშვარი და მანქანები გაატარა, ალბათ, ექიმები მოვიდნენ სამსახურში. მერე ხალხი მოგროვდა, ჰიშვარს მიაწყდა, რიგი გაჩნდა. ხეივანში სკამზე პიემოიანი კაცი იჯდა, მუხლებზე ორი პატარა გოგო ეჯდა. მათგან ცოტა მოშორებით გამხდარი ქალი იდგა.

უცებ შენ დაგინახე, ისე გამოვიკვრდა, თითქოს არ ველოდი, რომ დაგინახავდი. ხეივანში მოდიოდი და ხელში გაზეთში გახეული რალაც გეჭირა. ვიდექი და გიყურებდი და შენ ჩემსკენ იხედებოდი.

თითქოს ვილაცამ მიბრძანა, რომ გამოეტრიალებულიყავი და წამოვსულიყავი:

„თუ დამიძახებს, ვუყვარვარ! თუ დამიძახებს, ვუყვარვარ! თუ დამიძახებს...“ და კინალამ ჩავიკეცე, როდესაც შენი ხმა მომესმა:

— მაია!

და აი, ახლა შუალამისას შენტან ერთად ქალაქში ვსვირნობდი. შენ წინ მიდიოდი, მე უკან მოგდევდი. ასე ავედით უნივერსიტეტამდე. უნივერსიტეტის ბაღში ქვებზე ჩამოვსხედით. ბალი მოერწყათ.

თავზე სავსე მთვარე დავექათათებდა. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ზოგჯერ წვეთები მოწყდებოდნენ ფოთლებს და ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა სიჩუმეს.

— რომელი საათია? — ვიკითხე.

— წამო, წავიდეთ! — მითხარი პასუხის ნაცვლად.

წამოვდექით.

— რეზო!

— რა?

მაგრამ არაფერი მქონდა სათქმელი, შენი სახელის ხმამაღლა თქმა მინდოდა. აღმართს ავუყევივით და მრგვალ ბაღთან ავედით.

— როგორ მიყვარს ეს ბალი! — მაგრამ შენ წინ იყავი წასული და ჩემი ნათქვამი არ გაგიფონია, — რეზო, დამიცადე!

გაჩერდი.

— აქვთ სად მივდივართ? — ვკითხე-როცა მოგიახლოვდი.

— ჩემთან.

ხელი მომხვიე და გაიმეორე:

— ჩემთან!

და თითქოს ეს უსათუოდ უნდა მომხდარიყო და ამისთვის უკვე მზად ვიყავი და ახლა ამ წუთას მე თვითონ მინდოდა, რომ ეს მომხდარიყო და ამიტომ ხმა არ ამოვიღე და უხმოდ გამოგყევი გვერდით. ოღონდ ის კი არ ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო.

— მცირე, — ვთქვი ჩურჩულით.

— თენდება...

— მცირე...

თან ამ სიტყვის მრცხვენოდა, თითქოს ვილაცის წინაშე თავს ვიმართლებდი, რეზოსთან იმიტომ მივდივარ, რომ მცირე-მეტეი. მე კი თავის მართლება არ მჭირდებოდა.

ქუჩის პირას სამსართულიანი აკურის სახლი იდგა, ხის გრძელი აივნებით. სახლს ხის კიბე ჰქონდა მიდგმული გარედან და ჩვენც იმ კიბეს ავუყევივით. მესამე სართულზე აივნის ბოლოს შენი ოთახი იყო. ჯიბიდან გასაღები ამოიღე და კარი გააღე.

— ჯერ არ შემოხვიდე, — მითხარი ჩურჩულით, ალბათ, მეზობლებისა გერიიდებოდა. — დახუთული ჰაერი იქნება.

ამ ჩურჩულმა ბურანიდან ცოტა გამომაფხიზლა.

— რეზო, — ვთქვი მეც ჩურჩულით, თან ვიტანჯებოდი, რომ ასე ვლაპარაკობდით, ქურდებივით, — მოდი, წავიდეთ აქედან!

— შემოდი!

შუეი არ აგინთია.

ოთახში შემოვედი, ვერ დაგინახე.

— რეზო!

— მაია, — მომესმა შენი ხმა ოთახის სიღრმიდან, — მოდი ჩემთან!

უცებ ძალიან შეემშინდა, ალბათ, სიბნელის; უკან დავიხიე:

— არა... არა...

— მაია!

და მე სიბნელეში შენსკენ წამოვედი, ხელები წინ მქონდა გაშვებული, რამეს არ დავეჭახო-მეთქი...

დილით, თვალი რომ გავახილე, ოთახში მარტო ვიყავი. ლოგინში წამოვჯექი, ფეთიანივით, მოულოდნელად თავზარი დამეცა, რადგან გამახსენდა, სადაც ვიყავი. ისევ დავწექი და საბანი თავზე წავიფარე, საშინლად მრცხვენოდა, ამ უცხო ოთახისაც კი. კარგა ხანს ვიწექი ასე, მერე საბანი გადავიხადე, იატაკზე გადავაგდე: არა, არაფრისაც არ მრცხვენია, უსირცხვილო ვარ! — ლოგინზე წამოვდექი პერანგის ამარა. პერანგის ერთი სამხრე გაწყვეტილი მქონდა, მეორეც ჩამოვიწყვიტე გამწარებულმა, პერანგი ჩაუტურდა და ფეხებში გამებლანდა, ფეხი რომ გადავდგი, თავი ვერ შევიმაგრე და ისევ საწოლზე წავიქეცი, საბანი ავიღე, გადავიხურე და გავუჩინდი, ოთახს თვალი მოვავლე.

ოთახში იმ საწოლის გარდა, რომელზედაც მე ვიწექი, მაგიდა და ორი სკამი იდგა, კედელზე წიგნებით გატენილი თაროები მოჩანდა. მეორე კედელზე ჩემი სურათი იყო ქინძისთავით მიმაგრებული. ჩუმიად, ოდნავ გასაგონად დავიძახე:

— რეზო! რეზო!

ერთდროულად მინდოდა და არც მინდოდა შენი დანახვა. თან მეზიზღებოდი ისევე, როგორც ჩემი თავი, თანაც ისე მიყვარდი, რომ მეგონა, დავიხრჩობოდი, რომ არ გამოჩენილიყავი.

— რეზო!

ნელ-ნელა დამიბრუნდა აზროვნების უნარი. წამოვდექი, საბანი ტანზე მქონდა მოხვეული, ისე მივედი კარდასთან, ნემსსა და ძაფს დავუწყე ძებნა, პერანგის დასაყვრებლად თაროზე მართლა ვიპოვე ნემსი და ძაფი. იქვე შენი თეთრი პერანგი იდო, ჩავიცვი, იმ სიგრძე იყო, მუხლები დამიფარა. სკამზე ჩამოვჯექი და პერანგის გაწყვეტილი სამხრე-

ები დავაკერე. თან მსიამოვნებდა, შენი პერანგი რომ მეცვა. წამოვდექი და სარკესთან მივედი, სასაცილო ვიყავი, ფეხშიშველა, შენს პერანგში ჩავარდნილი, სახელოები ლამაზად გადავიკეცი, ასე არა უშავდა.

ტანზე ჩავიცვი.

ამ წუთას მჭეროდა, იმ მოხუცი დარაჯის ბრალი იყო ყველაფერი, ქუჩაში გნომივით რომ იჯდა და მუხლებზე პური ედო, ეს პური რომ არ მეჭამა, არაფერი მოხდებოდა.

ჩემდა უნებურად, ოთახის დალაგება დავიწყე. ჯერ საწოლთან იატაკზე მიმოყრილი წიგნები ავკრიფე და თაროზე დავაწყვე, მერე ლოგინი გავასწორე, შენი პერანგი დავკეცი და ისევ თაროზე დავდე. მაგიდაზე ქუჭყიანი თეფშები იყო ერთმანეთზე დახეავეებული, ზედ გავთეი გადავაფარე. ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, ოღონდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩვენ აქ ვერ ვიცხოვრებდით. ამ ფიქრმა ნელ-ნელა გამიტაცა, უკვე ვხედავდი, როგორ ეტრიალებდი, როგორ ვრცხვენდი, როგორ ვამზადებდი საჭმელს და ვგვიდი იატაკს ჩვენს ახალ ბინაში.

უცებ თითქოს ვილაცამ ჩამძახა, რომ ტყუილად ფიქრობ ამაზე, შე სულელო. ვერ ხედავ, უკვე მიგატოვავო. ოთახიდან გამოვევარდი და გამოვიქეცი. თავდაღმართში მოვრბოდი და ვერაფერს ვხედავდი. მეგონა, ქუჩის ბოლოში ვილაც მელიოდებოდა, ხელებგაშლილი და მეც მისკენ მივრბოდი, რომ გულში ჩავკროდი, ჩავკარგულიყავი მის მკერდში, მისაღერსიან ხელებში და ყველაფერი გამიქრალიყო. და ზარი რეკდა და წითელი ზე ყვოდა და უამრავი წითელი ზე ერთად ყვოდა. მთელი ტყე წითელი ზეებისა მე მელიოდებოდა და ტყის პირას ბებერი ქალი იდგა და ისიც მე მიცდიდა, რადგან გულიდან სისხლი მდიოდა და მან ერთადერთმა იცოდა წამალი და მე გავრბოდი, რადგან მინდოდა, რომ მოვ-

თამაზ ბილაძე
თითონ კვამლი

რჩენილიყავი და მაღალ წითელ ხედ გა-
დაქექულყავი.

— მაია! — მომესმა უცებ, — მაია!

თვალში გამოვიხედე. უნივერსიტეტის
წინ ჩამოვსულიყავი. ქუჩის პირას მან-
ქანა იღგა და იქიდან კარლო მეძახდა:

— მაია!

გავჩერდი. კარლო მანქანიდან გადმო-
ვიღა და ჩემთან მოვიდა.

— გამარჯობა, მაია!

ალბათ, რაღაც შემატყო უცნაური,
რომ მკითხა:

— რა დაგემართა?

— გამარჯობა, კარლო! — ვუთხარი
და სახეზე ხელი ჩამოვისვი. ახლა გამახ-
სენდა, პირდაუბანელი რომ ვიყავი, თმა-
დაუფარცხნელი.

კარლოს დანახვამ სინამდვილეში და-
მაბრუნა.

— ო, კარლო, — ვთქვი მე, — სად
დაიქარგე?

— ამ დილაადრიანად აქ რა გინდა? —
მკითხა მან, თან გაკვირვებული მათვა-
ლიერებდა.

და რადგან მე ისედაც მრცხვენოდა,
მისმა ცქერამ კიდევ უფრო გამაღიზი-
ანა და მთლად უტიფარი გავხდი:

— უნივერსიტეტის ბაღში მეძინა, —
ვუთხარი, — და ახლახან გამაღვიძეს
ღარაჯებმა და მომამაგდეს.

— რა?

— არა, ბაღში კი არ მეძინა, წუხელ
ცაზე ვიყავი მიბმული თმით და ფეხებ-
ზე წისქვილის ქვები მეკიდა...

— მაია?

— და ასეთი ბედნიერი ჩემს სიცოცხ-
ლეში არ ვყოფილვარ.

ეს რომ ვთქვი, შევეკრთი, რადგან მიე-
ხვდი, კი არ მივხვდი, მთელმა ჩემმა
არსებამ დამიძახა, რომ სიმართლეს ვამ-
ბობდი.

— შენ სად მიდიხარ, კარლო, საით
მიეშურები, — მსიამოვნებდა, ასე თა-
ვისუფლად რომ ველაპარაკებოდი.

— საცურაო აუზიდან ვბრუნდები, —
თმაზე ხელი გადაისვა, სველი ჰქონდა.

— კარგია, — ვუთხარი მე, — ჯანმ-
რთელობისთვისაა კარგი.

— ჰო, — თქვა მან.

უცებ გაჩუმდა და შემომამოშტერდა.

— რა იყო? — ვკითხე.

— იცი, მაია, მე ისევ მიყვარხარ!

— რას მეუბნები? — ამ სიტყვის გა-
გონებაც კი არ შემეძლო.

— და მზადა ვარ, თუნდაც ამ წუთას
მოგიყვანო ცოლად.

— ამ წუთას?

— ჰო, ამ წუთას.

— მაშინ წავიდეთ, რაღას ვუცდით?

— მაია?

— წავიდეთ!

— მოიცა, მაია, ასე...

— რაღას დავეუცადოთ?

— ამას თავისი წესი და რიგი აქვს,
ასე როგორ...

— მე წესი და რიგი არ ვიცი, თუ
გინდა ასე წამიყვანე.

ხელი რომ მოეკიდა და წავეყვანე.
წავეყვებოდი, არც ის იყო მეტის ღირსი
და არც მე.

— ეჰ, ჩემო კარლო, — ვუთხარი ბო-
ლოს, — ეჰ! — და წამოვედი.

ამედევნა, მაგრამ არ გავჩერებულვარ,
ისე მივდიოდი, თითქოს მისი ხმა არ
მესმოდა.

შინ მისვლა არ მინდოდა, დედაჩემი
ალბათ გადარეული იყო. მაგრამ სად
უნდა წავსულიყავი, სად მქონდა წასას-
ვლელი?

— სად იყავი? — მკითხა დედამ.

— არსად...

სააბაზანოსკენ წავედი, პირის დასა-
ბანად.

— სად იყავი-მეთქი?

ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ
მეთქვა, სადაც ვიყავი, რა დემარტებო-
და! თუმცა გულის სიღრმეში მჯეროდა,
რომ იცოდა, სადაც ვიყავი. ღამით გავი-
პარე და დილას დაებრუნდი, ამას რაღა
ახსნა უნდოდა? მაგრამ არავინ არ უნდა
დაიჯეროს ცული რამ, ყველა ერიდება,
რაც შეიძლება შორს იქერს, ურჩევ-
ნია ტყუილი უთხრა, ამას ჩაეჭიდება, ეს
უფრო უმტკივნეულოა, ასე სჯობს!
ვგრძნობდი, რომ მეთქვა მთვარეზე ვი-
ყავი მეთქი, დამიჯერებდა, ოღონდ ის

ბრ მეთქვა, რასაც გუშინთ ხვდებოდა. ჩემგან არ გავგონა და რადგან ჩემგან არ გაიგონებდა, შეიძლებოდა თავის თავიც დაერწმუნებინა, ვცდებოდით.

— ამხანაგთან ვიყავი!

— ვისთან?

— არის ერთი გოგო, შენ არ იცნობ. როგორ უნდა მეთქვა სიმართლე? ის ხომ მთელი თავისი სიცოცხლე მორალზე ლექციებს კითხულობდა, ის ხომ სხვებს ასწავლიდა. როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ყველაფერი არითმეტიკულ ამოცანასავით ჰქონდა ამოხსნილი და თავის ადგილას დალაგებული. და სწორედ მას დაემართა ის, რაც თელსაჩინო და შემადარწმუნებელ მაგალითად შეიძლებოდა მოეყვანა ლექციაზე.

უცებ ხმამაღალი ისტერიული სიცილი წამსკდა.

— რა გაცინებს? — მიყვარა დედამ.

მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ ვიცინობდი, მეგონა, ისევ ჩემთვის ვფიქრობდი. მივეპარდი და სველი ხელებით მოვეხვიე.

ბათუმში წვიმდა. სასტუმრო „ინტურისტის“ ფანჯრიდან მოჩანდა ზღვა, მაგნოლიების იქით გალიაში ჩამწყვდეული მხეცივით რომ ბრღღვინავდა. სასტუმროში დღისითაც ნახევრად ბნელოდა, ოდნავ ციოდა კიდეც. ორი დღე სასტუმროდან არ გამოვსულვარ. მესამე დღეს გადაიღო, მზემ გამოანათა. მაშინვე ქუჩაში გამოვედი და ზღვისკენ გავიქეცი. დედა ქობულეთში იყო წასული, ლექციის წასაკითხად.

ზღვა დღელავდა. დამშვიდებულ და მზიან ამინდში ის გაუგონარსა და ჭიუტ არსებას გავდა, რომელსაც უღალატეს, მარტო მიატოვეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მარტო განაგრძობდა ბრძოლას.

ბაღის დაბურულ ხეივანებში დიდი გუბეები იდგა, სხვაგან კი უკვე მოესწრო მზეს და წაეშალა წვიმის კვალი. საზაფხულო თეატრის წინ მაღალი ცისფერი ყვავილები ხასხასებდნენ, თმადბანნილ გოგონებივით.

თუმცა არავინ ბანაობდა, ნაპირი მაინც სავსე იყო მზემონატრებული დამსვენებლებით.

ვიფიქრე, გავცურავ-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე, შემეშინდა. წარმოვიდგინე კი, როგორ ვებრძოდი ტალღებს და ისიც წარმოვიდგინე, როგორ ვიღრჩობოდი, ვილუბებოდი და ვერავინ ვერ მშველოდა. და მერე, ალბათ, მეც ისევე გალურჯებული ვესვენებოდი პლიაჟზე, ხალხით გარშემორტყმული, როგორც შარშანწინ ჩემი მეგობარი ნანი.

ნანის რომელიღაც ფილმში უღებდნენ. „ინტურისტში“ ცხოვრობდა, ჯგუფთან ერთად. მე და ქეთის კი ოთახი გექონდა ნაჭირაკები სადგურის ახლოს.

— ჩვენგან ზღვა ისე ახლოა, — გვეუბნებოდა ნანი, — შიშველი გამოვრბივარ ნომრიდან, ასი მეტრეც არ იქნება...

მე და ქეთი გულზე ვსკდებოდით შურით, ნანის შორტები ეცვა და თმა ბიჭურად ჰქონდა შეკრეპილი. ჩვენც გექონდა შორტები, მაგრამ ვერ ვებედავდით ქუჩაში შორტებით გამოსვლას. ჩემოდნებში გვედო, მუდამ თან დავათრევდით, აუხდენელ ოცნებებივით.

ფილმს პლიაჟზე იღებდნენ. ქეიშაში ჩასობილ ბოძებზე თოკი გაებათ, რათა ცნობისმოყვარეები შეეკავებინათ. ნანი და ვიღაც ლამაზი ბიჭი ქვებზე იწვნენ. ასე იწვნენ მთელი კვირა და სულ ასე იღებდნენ. ქეთი შურისგან ვახდა და სულ იმას მეჩურჩულებოდა, რომ ნანის მოღრეცილი ფეხები აქვს და იმიტომ უღებენ დაწოლილსო. მაგრამ ნანის სწორი, ჩამოქნილი ფეხები ჰქონდა ბრიჯიტ ბარდოსავით და როცა სასტუმროში ბრუნდებოდა, ოცი ბიჭი მაინც მოჰყვებოდა უკან, თითქოს ცნობილი ფეხბურთელი ყოფილიყოს. ქალაქში „ვოლგით“ დასეირნობდა და რესტორანში სულ ბიჭებთან ერთად იჯდა და ხმამაღლა იცინოდა და იმ ლამაზ ბიჭთან ერთად ცეკვავდა და ყველანი ტაშს უკრავდნენ, ისე კარგად ცეკვავდა.

თამაზ ზინაძე
თმითრი კვამლი

იქაც, რესტორანში ვაზეთის კორესპონდენტები სურათებს უღებდნენ და მე და ქეთი სადღაც კუთხეში მიყუყულები ვისხედით და ოფიციანტი ზედაც არ გვიყურებდა. ალბათ, ვერც კი შეგვაჩინებდა, ფული რომ არ გადაგვეხადა და ისე გაეპარულიყავით, რადგან ისიც ნანის შესტკეროდა და თავს ღიმილით აქნევდა.

ნანის ვარშემო სულ ცნობილი მსახიობები ტრიალებდნენ, წვერმოშვებულები, სასულიერო აკადემიის მსმენელებივით. ისინი ყავის დასაღვად პორტში დადიოდნენ მებაღურებისა და მეზღვარების კაფეში და ნანი ამერიკულ სიგარეტებს ეწეოდა და ერთი ღერი ქეთისაც აჩუქა, რომელიც ქეთიმ ყუთში შეინახა სამახსოვროდ.

ერთხელ დილით, როცა ბაღის კართან, სასწორზე ვიდექი (მე და ქეთი დღეში ორჯერ ვიწონებოდით, დილით და საღამოს), ნანიმ ჩავვიქროლა მანქანით. რატომღაც ძალიან შემრცხვა, სასწორზე შემდგარი რომ დამინახა, რომ ჩვენ რეჟიმს ვიცავდით, ვსდებოდით, ან ვსუქდებოდით ფერმის ბატებივით, ის კი...

მანქანა ახლოს გაჩერდა, ნანი ვადმოვიდა და სასტუმროსკენ გაემართა, სასტუმროს ჭიშკართან შეჩერდა და მოტრიალდა:

— ქეთი, მაია, მოდით აქ!

ჩვენ მისკენ გავიქეციით, თუმცა შეთანხმებულები ვიყავით, მასთან ჩვენც დამოუკიდებლად დაგვეჭირა თავი: ვინ არის ბოლოს და ბოლოს! მაგრამ პირველსავე დაძახებზე ისეთი ამბით მივაშურეთ, თითქოს მასწავლებელი გვეძახდა.

— გოგოებო, ამოდით ჩემთან, არ გინდათ?

როგორ არ გვინდოდა? აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, რას ნიშნავს თვრამეტი წლის გოგოებისთვის კინოფარსკვლავის ოთახში შესვლა, თუნდაც ის კინოფარსკვლავი მათი თანაკლასელი იყოს!

ნანის ორთახიანი ნომერი ჰქონდა და ამ ორ ოთახში მარტო ცხოვრობდა.

ჩვენ კი სასტუმროს ადმინისტრატორმა, მაღალმა და გამზდარმა კაცმა გვითხრა, ნომერი კი არა, ფანქარი სად დავდო არ ვიცით.

— დასხედით, გოგოებო! — გვითხრა ნანიმ და კაბა გაიხადა:

— ცხელა არა?

თავები დავუქნიეთ, ღარიბი ნათესავეებივით ვისხედით და შევეცქეროდით.

მაგიდაზე დიდი ჭილოფის ქული იღო.

— ეს ქული ჩაქვის მეურნეობაში სოცილისტური შრომის გმირმა მაჩუქა შეხვედრახე! — თქვა ნანიმ და ქული დაიხურა, სარკესთან მივიდა, — მიხდება არა?

— ძალიან! — წამოიძახა ქეთიმ. ახლა მისი გული მთლიანად ნანის ეკუთვნოდა.

ნანიმ ქული მოიხადა და საწოლისკენ გააფრიალა, ქული კოხტად დაესვენა ბალიშზე.

ქულს თვალი ვაგაყოფეთ და მერე ერთმანეთს შეგხედეთ აღტაცებულებმა. თითქოს სხვა ვერაფერს შეძლებდა ამის გაკეთებას. მერე ასეთივე ქული ქეთიმ მაღაზიაში იყიდა და სულ ასე ისროდა საწოლისკენ.

— აი, ეს ნელსაცხებელი „შანელია“, — გვითხრა ნანიმ და პაწაწინა ქილა გვაჩვენა, — მოსკოვიდან ჩამომიტანეს.

— ოჰ! — ამოიკენესა ქეთიმ.

— დაისხით, გოგოებო, დაისხით, მე კიდევ მაქვს!

მერე საწოლზე გადაესვენა, ოთახში ორი საწოლი იდგა და თქვა:

— რომ იცოდეთ, როგორ დავიღალე!

— ძნელია? — მორიდებით ჰკითხა ქეთიმ.

— რა?

— თამაში.

— არა. სრულებითაც არ არის ძნელი, მაგრამ დამღლელია. ვახსოვს, ქეთი, შენგან ალგებრას რომ ვიწერდი?

— ვახსოვს, — თქვა ქეთიმ და რატომღაც გაწითლდა.

ნანი უცებ წამოხტა, ტელეფონთან მივიდა, ნომრები აკრიფა:

— ალო! ბიძინა ხარ? ლაშა არ მოსულა? კარგი... ნუ ეტყვი... ტელეფონის ყურმილი შუბლზე მიიღო, ასე იდგა კარგა ხანს, ჩვენ თვალმოუშორებლად შევეცქეროდით, საიდუმლოებით მოცული იყო ყველა მისი მოძრაობა, სიტყვა. ნანიმ ყურმილი დადო. ჩანთა გახსნა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო, გამოგვიწოდა:

— არ გინდათ?!
 — ჩვენ არ ვეწევით! — ვუთხარი მე. ქეთიმ უკმაყოფილოდ შემხედდა.
 — მომიცი! — უთხრა ნანის, სიგარეტი ცხვირთან მიიტანა, — რა კარგი სუნი აქვს! — გამომიწოდა, — ნახე!
 — ვიცი, — ვუთხარი, და პირი მოვიბრუნე.

ნანიმ ასანთი აანთო.
 — მოუკიდე! — უთხრა ქეთის.
 — არ მინდა, ასე შევიწინახავ.
 — კიდევ მოგცემ, სულელო! — გააცინა ნანიმ.

— არა. მეტი არ მინდა.
 — მაია, — მომიბრუნდა ნანა, — შენ რა, ჩემზე გაბრაზებული ხარ?
 — არა? რაზე შემატყვევ?

— რა ვიცი...
 ტელეფონმა დარეკა, ნანი წამოხტა:
 — გისმენთ! — სახე შეეცვალა, — არა, ბიძინა, არ მინდა. უჩემოდ ჩადით, არ მშობია. ნახვამდის.

ცოტა ხანს მაინც ვერ მოშორდა ტელეფონს, საწერ მაგიდასთან იდგა. უსათუოდ ვილაცის დარეკვას ელოდებოდა, ნომრიდანაც, ალბათ, იმიტომ არ გადიოდა.

უცებ ქეთის მზერა დავიჭირე, მანიშნებდა, თუ ხელავ როგორ ცხოვრობსო! ამან კიდევ უფრო გამაბრაზა, წამოვდექი:

— ქეთი, არ წავიდეთ?
 — რა გეჩქარებათ, — გვითხრა ნანიმ, — დაიცადეთ, ახლავე დაეურეკავ და ყავას მოგვიტანენ!
 — საქმე მაქვს, უნდა წავიდე...
 — რანაირი ხარ, მაია, ყოველთვის ასე იცი...
 — ნანი, არ გეწყინოს, საქმე მაქვს

ნამდვილად, ჯერ ხომ არ მიდინარ, კიდევ მოვალთ.

— მაშინ ქეთი მაინც დარჩეს, ქეთი მაინც დამიტოვე.

ქეთი ხან მე შემხედავდა, ხან ნანის, შევატყვე, დარჩენა უნდოდა, თუმცა ისიც ჩემსავით კართან იდგა.

— ქეთი, შენ თუ გინდა დარჩი, — გავიმეორე, — თუ გინდა! — ვიფიქრე მიხედება და არ დარჩება-მეთქი.

ქეთი ვერ მიხვდა:
 — კარგი, მე დავრჩები.
 ქეთის ლალატს შეჩვეული ვიყავი, არ მწყინდა:

— სადილად მაინც მოდი! — ეუჩხეულიტე.
 არაფერი...

— სადილად უსათუოდ მოვალ! — უკვე სარკესთან იჯდა და ნანის სურათებს ათვლიერებდა.

ქეთი სადილად არ მოვიდა. ამას კი უკვე არ ველოდი.

შვიდ საათზე პორტში „ნახიმოვის“ შემოსვლა უნდა გვენახა. არც ამ დროისთვის მოვიდა. შემეშინდა, ვიფიქრე, დავურეკავ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, ძალიან გაბრაზებული ვიყავი.

ქეთი ცხრა საათზე მოვიდა. ეზოში ვიჯექი და დიასახლისის ქალიშვილებს კარტს ვეთამაშებოდი ლედვის ხეზე ჩამოკიდებულ ნათურის შუქზე. ქეთი ეზოში რომ შემოვიდა, ვითომ ვერ შევამჩნიე, ვითომ კარტის დარიგებით ვიყავი გართული. არც ქეთიმ გამცა ხმა, კიბე აიბრინა და ოთახში შევიდა. გამიკვირდა.

— ქეთი, — დაუძახა დიასახლისის უფროსმა ქალიშვილმა ნორამ, — მოდი ჩვენთან, კარტი ვითამაშოთ!

ქეთი საწოლზე იწვა. ისე იყო მიყუჩებული, კბილი ხომ არ სტკივა-მეთქი. ვარჩიე, დიდსულოვანი ვყოფილიყავი:

— არ მოგვიდა მაინც? — ვკითხე ქეთის.

თამაზ ბილაძე
 თითოი კვაპლი

ამით იმის თქმა მინდოდა, რომ უშენოდ პირში ლუკმა არ ჩამიდვია და დარწმუნებული ვარ შენც არაფერს ქამდიმეთქი.

— მე ვისადილე, — ამოიკვნესა ქეთიმ.

— რა-ა? — ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— ნანისთან ერთად ვისადილე, — უცებ თითქოს შემატყო რა გუნებაზეც დავდექი და ამიტომ სასწრაფოდ დაუმატა, — შენ რომ იცოდე, რა უბედურია ნანი?

— უბედური კი არა ის არ გინდა, უბედური მე ვარ, შენს ლოდინში შიმშილით მოვეკვდი...

— უბედურია, უბედური...

ქეთი წამოდგა, შუქი აანთო და საწოლზე ჩამოჯდა, დასიებული, ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

— ყველა შენ გატყუებს, — ვუთხარი, მივედი და გვერდით ჩამოვუყექე, — რა გატირებს?

— ნანის შვილი ეყოლება, — თქვა ქეთიმ.

ყველაფერს ველოდი, ამას კი არა, გავშრი:

— შვილი?

— ჰო...

— მერე?

— რა მერე?

და უცებ, ჩემდა უნებურად, მეც დავიწყე ტირილი. ხელგადახვეულები ვისხედით და ეტიროდით და ეგრძნობდით, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი და თითქოს ის სულ დაგვავიწყდა, ვისი გული-სათვისაც ეტიროდით.

— ახია! — უცებ ვიყვირე მე, — ახია!

— არა, მაია, შენ რომ მოგესმინა...

— მე რატომ არ მომიყვა? — მაშინვე ვიგრძენი, ნანიმ ქეთი რალაცის მოსაყოლად რომ დატოვა. ქეთი სწორედ ისეთი გოგოა, ყველაფერს მოუყვები და რაც არ უნდა მოუყვე, უსათუოდ შენ გაგამართლებს. შენს მხარს დაიჭერს.

— რა ვიცი...

— რატომ არ თხოვდება?

— იმას არ უყვარს...

— არ უყვარს?

ეს ჩემთვის უკვე წარმოუდგენელი რამ იყო.

— და ნანის უყვარს, არა?

— არც ნანის უყვარს...

— ტყუის! ტყუის! ტყუის! — ისე ავლელდი, წამოვევარდი და ოთახში დავიწყე სიარული, — შენ გატყუებს!

— დედას გეფიცები, არ უყვარს, — ისე გულწრფელად დაიფიცა ქეთიმ, რომ ნანის ხმა შემომესმა: „ქეთი, დედას გეფიცები, არ მიყვარს!“ — უყვარს კი არა, გიყვება! ის მალალი იდიოტია, პლიაქზე რომ ერთად იწვნენ?

— ჰო.

— ახია.

— გულქვა ხარ, — ქეთიმ ისევ ტირილი დაიწყო, — გულქვა...

— ჰო, — ვთქვი, — გულქვა ვარ, შეუბრალებელი და კიდევ ივანე მრისხანე ვარ! შენ კი ბატი ხარ და ტირილის მეტი არაფერი იცი. ნუ იფრენდა და ასე არ მოუვიდოდა...

— პროფესია აქვს ასეთი, მაია, როგორ არ გესმის?

— ეს ახალი პროფესიაა ეტყობა, ბავშვების გაკეთების...

— ნუ გშურს! — მითხრა უცებ ქეთიმ და სასწრაფოდ დაუმატა, — მეც მშურს...

პირდაპირ გულში მომხვდა მისი სიტყვა, მაგრამ არ შევიმჩინე; მშვიდად კეითზე:

— რატომ უნდა მშურდეს?

— მაპატიე, — მითხრა ქეთიმ.

— კარგი. ახლა რას აპირებს?

— ხვალ ექიმთან უნდა წავყვე.

— ექიმთან რატომ?

— იმიტომ.

— მაინც?

— იმიტომ.

ქეთიმ ახლა აშკარად ჩემზე მეტი რამ იცოდა და ამით მეტად კმაყოფილი იყო.

— არ გაბედო! — ვუთხარი ქეთის, — არ გაბედო იცოდე.

— რა არ გაბედო?

— შენ არ წაყვე, მე იმასთან არაფერი მესაქმება. შენ გაფრთხილებ!

— რატომ, განა ის შენი ამხანაგი არ არის?

— არა.

— შენ მეც ასე გადამაგდებ.

— შეიძლება.

— შენ ამპარტაყანი ხარ და ყველაზე ყარგი გგონია შენი თავი.

— შეიძლება.

— ნანი შენ ათასჯერ გჯობია და თანაც... თანაც უბედურია... გამოდის, რომ მე რომ ასე დამემართოს...

— შენ ასე არ დაგემართება, — ვუთხარი შეუბრალებლად.

მიხვდა:

— იმიტომ რომ მიხინჯი ვარ, არა? ეს ვინდა მითხრა?

— არა, შენ მოწყალების დად ხარ დაბადებული და ყველამ იცის ეს. მაშინ რატომ არ დაგიძახა, მოსკოველ მსახიობებთან რომ ეკეკავდა?

— შენ რომ დაგემართოს? — მკითხა უცებ ქეთიმ, — შენ ხომ ლამაზი გოგო ხარ!

— ნუ გეშინია, მე არ დამემართება.

— რა იცი...

— ვიცი.

— დამაფიცა, მაიას არ უთხრო და მაინც გითხარი...

— ჯობდა არ გეთქვა.

მეორე დღეს ქეთი მაინც გაიტყა ნანისთან. ერთი კვირის მერე კი ნანი ზღვიდან გამოათრია ვიღაც სომეხმა ბიჭმა, გალურჯებული და გონებადაკარგული. ქეთი კიოდა: მოკვდა, მოკვდა, თავი მოიკლა! და ვიღაც ჭალარა კაცმა უყვირა:

— გაჩუმდი, დაიკარგე აქედან!

მეორე დღეს ნანის მშობლები ჩამოვიდნენ და თბილისში წაიყვანეს, ჩვენც მალე წამოვედით ბათუმიდან, რადგან აღარ შეგვეძლო იქ გაჩერება.

ახლა, როცა აღელვებულ ზღვას ვუყურებდი, მინდოდა შევსულიყავი, მის ტალღებში ჩავკარგულიყავი, მაგრამ მეორე სურვილი მაკავებდა, რომელიც უფრო ძლიერი იყო. ეს სურვილი, რა თქმა უნდა, აქამდისაც მჭონდა, მაგრამ ასე ცხადად და ძლიერად ჯერ არ გან-

მეცადა: მინდოდა მეცოცხლა, ცოცხალი ვყოფილიყავი სულ, სულ, დაუსრულებლად. და ეს სურვილი მეტად უცნაურად მეჩვენებოდა, შეიძლება იმიტომ, რომ აქამდე არ ვგრძნობდი, ამაზე არ ვფიქრობდი. მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ რალაცის მეშინოდა და სწორედ იმის გამო ვფიქრობდი ასე, თითქოს არაფერი არ შეცვლილა ჩემს არსებაში, ყოველ შემთხვევაში ჩემს თავს ვერავითარ ცვლილებას ვერ ვატყობდი, მაშ, ეს შიში რა იყო? რისი მეშინოდა? საოცარია, მაგრამ რადგან მეშინოდა, თითქოს კიდევ ერთი ახალი მიზანი გამიჩნდა — თავი დამეცვა.

და ახლა მივხვდი, რომ ნანი არ ტყუოდა. ის ბიჭი მას მართლა არ უყვარდა, რადგან მეც არ მიყვარდი შენ. შენი გახსენებაც კი არ მინდოდა, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა და როცა სასტუმროში დავბრუნდი და ვესტიბიულში სავარძელში ჩამჯდარი დავინახე, ვიყვირე:

— რეზო, აქა ვარ, აქ! — იმიტომ რომ დარწმუნებული ვიყავი, მეძებდი და მე კი ბავშვით სიბნელეში გემალეობდი. სანამ ძალიან არ შეემეშინდა.

მერე ჩემს ნომერში ავედი, მერე შენ ფანჯარასთან იდექი და სიგარეტს ეწეოდი, მე კი ლოჯინში ვიწექი და გიყურებდი. შენ თმა გქონდა ჩამოზრდილი კეფაზე და ძალიან გამხდარი მეჩვენებოდი, გული გაბერილი მჭონდა ნეტარებისაგან და მკერდში არ მეტეოდა.

— სად წახვდი მაშინ, რატომ მიმეტოვე? — გკითხე.

პასუხი არ გაგიცია, თითქოს არც გაგიგონია.

მეც ვიცოდი, რომ ამას ისე გეუბნებოდი, რალაც ხომ უნდა მესაყვედურა... თორემ იმ დღით, შენს ოთახში რომ გავიღვიძე და შენ იქ დამხვედროდი, ალბათ, სამუდამოდ შეგიძულედი. და მე მადლობელი ვიყავი შენი, რომ შენ მარტო დამეტოვე და კიდევ ბევრი რა-

თამაზ ზილქაძე
თითარი კვანძი

მისთვის ვიყავი მადლობელი, ოღონდ რომ გეკითხა, ვერ გეტყვოდი, კერძოდ, რისი მადლობელი ვიყავი.

მერე ქალაქში ვსეირნობდით დიდხანს. ნავსადგურში მოაჯირთან ვიდექით და ზღვას ვავცქეროდით. ნაპირთან დაყრილ ლოდებზე ზანგებოვით შავი, პატარა ბიჭები დაფუსფუსებდნენ, კიბორჩხალებს იჭერდნენ. ზღვაში შეჭრილი რესტორნის გასწვრივ მეთევზეთა სეინერები ირწოდნენ. შორს, ამწყების ქვეშ, გოლიათ რომბებს რომ გავდნენ, თეთრი ტანკერი იდგა. ზღვა აქ თითქმის სრულებით არ ლეღავდა და სხვანაირი ფერისაც იყო — მომწვანო, რომელიც ალაგ-ალაგ, ცისარტყელას ნაგლეჯებით, ათასფრად ბზინავდა. ნავსადგური თოლიებით იყო საესე, ისე უაზროდ და თავგამეტებით აწყდებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს ეს წუთია გალიიდან გამოცვივდნენო.

ნავსადგურის მარჯვნივ მზით განათებული მწვანე მთები მოჩანდა და მთების კალთებზე წითელსახურავიანი სახლების ფანჯრები ბრწყინავდნენ. მთების თავზე ზვიადად დაგრაგნილი თეთრი ღრუბელი იდგა, შორიდან ისეთი მკვრივი მოჩანდა, თითქოს მარმარილოს-გან იყო გამოთლილი.

— შენ არ იფიქრო, რეზო, — გითხარი მაშინ, — თითქოს იმის გამო, რომ რაღაც მოხდა, ვალდებული იყო, — ხმა ამიკანკალდა. სრულებითაც არ მინდოდა ეს მეთქვა, რატომ ვთქვი არ ვიცი.

ისეთი აბდა-უბდა წინადადება გამოვიდა, შეიძლება ვერც კი გაგეგო. ასე მერჩია, მაგრამ შენ გაიგე და ძალიან მშვიდად, ისე რომ ჩემსკენ არც კი მობრუნებულხარ, მითხარი:

— მე შენ მიყვარხარ!

ისეთი ბუნებრივი იყო შენი სიტყვები, რომ ხმა არც კი გამიგია, სხივებით შეისრუტა ჩემმა სხეულმა.

მაგრამ მე მაინც ჩემსას განვაგრძობდი, ოღონდ თვითონვე მიკვირდა, რა მაიძულებდა, ასე რომ მელაპარაკა:

— არ მინდა, რომ შენ გეცოდებოდე, გესმის. არც ის მინდა, რომ ჩემი გულის-

თვის რაიმე დათმო. ნუ გეშინია, არაფერი მომივა. იცი, რისი მეშინია, ჩვენ ხომ თითქმის არაფერი გვაკავშირებს, მერე რა იქნება?

შეიძლება იმიტომ ვლაპარაკობდი ასე, რომ მთელი ჩემი არსება, როგორც ღვინომონატრებული ლოთი, ავადმყოფური ენით მოთხოვდა დაუსრულებლად მოესმინა შენგან: მიყვარხარ! მიყვარხარ! რადგან შენ თვითონვე ჩაუნერგე ეს სურვილი.

— მე ამაზე არ ვფიქრობ, — თქვი შენ, — მთავარია, რომ ახლა მიყვარხარ!

— მე კი ისე არ შემიძლია, თუ მომავალზე არ ვიფიქრე. არა, მე იმაზე კი არ ვფიქრობ, როგორ ვიცხოვრებთ, შვილებს როგორ გავზრდით, ის მაწუხებს, გეყვარები თუ არა სულ, სანამ ცოცხალი ვიქნები!

ეტყუოდი, სწორედ იმაზე ვფიქრობდი, როგორ ვიცხოვრებდით ერთად, შვილებს როგორ გავზრდიდით.

გაგეცინა:

— რატომ იცინი?

ამ დროს ტანკერმა დაიხმუვლა, ზანტად და გაბმით. ზმუილი სოლივით მიანყდა მთებს, გაიშალა და ასე გაშლილი დაუბრუნდა ნავსადგურს და უნებურად შემკრთალი ჩემი ხმაც აიტაცა, წაიღო, შეიძლება იმიტომ, რომ ამ ხმაშიც იგრძნო რაღაც ნათესაური და მერე დიდხანს ზრიალებდა თოკებსა და მავთულეებში, ტალღებსა და ხავსიან ქვებზე, ტრაგიკული, როგორც ყველა გემის საყვირი.

იმ ღამით მე და დედა თბილისში დაგბრუნდით, შენც იმავე მატარებლით წამოხვედი, ოღონდ სხვა ვაგონში იყავი. დილით რომ გამეღვიძა, გორს ვუახლოვდებოდით. ჩავიცვი და კუბედან გამოვყვდი. შენ ჩვენი კუბის კარის წინ, ფანჯარასთან იდექი.

— დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა!

და ორივეს ერთდროულად გაგვეღვიძა, შეთქმულებივით.

— შენ თუ გეყვარები, სანამ ცოცხა-

ლი ვიქნები? — მკითხე, თან ღიმილი არ გშორდებოდა.

— მთელი დამე ამაზე ფიქრობდი?

— ჰო, მთელი დამე ამაზე ვფიქრობდი.

— ნუ დამცინი, რეზო!

მერე სულ უცნაურად წავიდა ჩვენი ცხოვრება. ჩვენ უკვე ცოლ-ქმარი ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს ახლა უფრო იშვიათად ვხვდებოდით. შენ არ მოინდომე ჩვენთან გადმოსვლა, ყველა გონიერი ადამიანი დათანხმდებოდა იმაზე, რაზედაც შენ უარი თქვი. ჩვენ სამოთახიანი ბინა გვქონდა, ყველანი თავისუფლად დავეტეოდით, შენთან კი ნამდვილად არ შეიძლებოდა ცხოვრება, იმიტომ კი არა, რომ მე ნებევრად ვიყავი გაზრდილი, ან ვუკადრისობდი ერთ თთახში ცხოვრებას.

ისევ ისე მაღულად მოვდიოდი შენთან, ღამით, როცა აივანი ცარიელდებოდა. ისე მრცხვენოდა, თითქოს შენი ცოლი არ ვყოფილიყავი. დილით ადრე მოვიპარებოდი შენ, მართალია, ახლა მართო აღარ მივდიოდი, შენ მაცილებდი. არც შენ მეუბნებოდი, დარჩიო. მინდოდა დარჩენა, მაგრამ რადგან არ მეუბნებოდი, არ ვრჩებოდი, განა არ გინდოდა, რომ დავრჩენილიყავი? ვგრძნობდი, რომ ძალიან გინდოდა, მაგრამ რადგან იმ დღეს, როცა ხელი მოვაწერეთ, დედასთან გავიქეცი, ალბათ, გადაწყვიტე, რომ ჩემს დარჩენაზე ხმა არ ამოგვლო. და ასე ორივე ერთმანეთს ვეჭიბრებოდით სიკერპეში.

მერე უკვე შენთანაც აღარ მოვდიოდი, რადგან ბავშვს ველოდებოდი. ღამით გვიან დამირეკავდი. ჩამოვიდოდი და ქუჩაში ვესიერნობდით. წინათ ყოველთვის რატომღაც მეცოდებოდა კაცი, ქუჩაში ორსული ქალის გვერდით მიმავალს რომ ვხედავდი. ვფიქრობდი, არასოდეს ჩემს ქმარს გვერდზე არ გავიტარებ, როცა ორსულად ვიქნებიმეთქი. ახლა კი ხელჩაჭიდებული დაგყვებოდი და ნამდვილად მეშინოდა, რომ შეიძლება უცებ გაქცეულიყავი. მინდოდა სულ ჩემს გვერდით ყოფილიყა-

ვი. თურმე ათასი ხიფათით ყოფილა სავსე ქვეყანა, მე კი აქამდე ვერ ვამჩნევდი. ასფალტი ქუჩაში ალაგ-ალაგ გახეთქილი იყო, შეიძლებოდა შიგ ფეხი ჩამვარდნოდა, რკინის ღობეზე ერთი სარი ისე იყო გადმოღუნული, რომ შეიძლებოდა ზედ თვალი წამომეგო. ფანჯრების რაფაზე ქოთნები ისე წყობად ეწყო, რომ შეიძლებოდა ყოველ წამს თავზე დამცემოდა. და ათასი სხვა ამის მსგავსი. იმ ცოცხალ არსებასთან ერთად, რომელიც ჩემს სხეულს ნელ-ნელა პირამდე ავსებდა, თითქოს ის შიშში იზრდებოდა და შიშით ასევე ვიყავი სავსე. დღისით კიდევ არა უშავდა, ის შიში ღამით იღვიძებდა, კბილის ტკივილივით. დედაჩემის ოთახში მეძინა. იმაზე სრულებით არ ვფიქრობდი, ვინც უნდა დაბადებულიყო. ჩემი თავი მეცოდებოდა.

მერე სამშობიარო სახლში ვიწეკი და შენი სასაცილო წერილები მომდიოდა, მინდოდა ყველასთვის წამეკითხა, მაგრამ მეზბთრებოდა. მეგონა, მე რადგან მომწონდა, იმათაც უსათუოდ მოეწონებოდათ. ოღონდ ვიას როცა მომიყვანდნენ ძუძუს საჭმელად, იმას ჩავჩურჩულე: რომ იცოდე, ვია, შენ როგორი მამა გყავს... სასაცილო...

ჩემი მეზობელი ქალები სულ ქმრებს აქებდნენ და მეც მინდოდა სულ შენზე მელაპარაკა. ჩემს მეზობლად ერთი ორმოც წელს გადაცილებული ქალი იწვა, ყველანი დეიდა მაროს ვეძახდით, რადგან დანარჩენები მასთან შედარებით პატარა გოგოები ვიყავით. დეიდა მაროს სულ იმისი ეშინოდა, ბავშვი არ შეეცვალოთო და ფეხზე თავისი ოქროს ძეწკვი შეაბა, რისთვისაც ექიმებმა სასტიკად დატუქსეს. ორმოცი წლის ქალს პირველი შვილი ახლა ეყოლა და, ალბათ, ამიტომ ეშინოდა.

— ჩემი ქმარი ყარაჩოხელია! — ამბობდა დეიდა მარო, — ახლანდელ მამლაყინწებს კი არა ჰგავს!

თამაზ ბილაძე
თეთრი კვამლი

მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს ქუჩიდან დუღუქების ხმა შემოგვესმა და ვისაც შეგვეძლო, წამოგვივიდით და ფანჯრებს მივაწყდით. მარტო დეიდა მართო არ წამომდგარა, სახეგაბადრული იწვა და უსმენდა, იცოდა, მისი ქმრის დასტა რომ უკრავდა.

ეს ამბავი მოგწერე და თან დავაყოლე: აი, როგორ უყვართ ქმრებს ცოლები, ნეტავი შენც ყარაჩოხელი ყოფილიყავი-მეთქი.

რა ვიცოდი, ჩემი სიტყვები წინ თუ დამხვდებოდა.

საავადმყოფოდან რომ მიშვებდნენ, დედაჩემისთვის არ შემიტყობინებია, მარტო შენ მოგწერე, ხვალ დილით გამოვდივარ-მეთქი.

საავადმყოფოს კართან შემეგებე ხელგაშლილი, ნასვამი იყავი. რატომღაც მესიამოვნა კიდეც, რომ ნასვამი იყავი. მანქანას დაუწყეუე ძებნა, მაგრამ ვერ დავინახე, მის მაგივრად ქუჩის მეორე მხარეს ფაეტონი იდგა, თეთრ ცხენებშებმული. კოფოზე ცილინდრიანი მეეტლე იჯდა, ცილინდრზე წითელი ლენტის შემოეხვია. შავი ფიჭაკი ეცვა და წითელი ყელსახვევი ეკეთა, მწვანე, დანაოქებული შარვალი მოუჩანდა. თვითმოქმედი დასის მსახიობს უფრო ჰგავდა, ვიდრე მეეტლეს.

მეგონა, მთელი ქვეყანა ჩვენ გვიყურებდა და, ალბათ, მართლაც გვიყურებდა. ბავშვი მეჭირა ხელში და თავჩაღუნული ვიჯექი, სახეზე ცეცხლი მეიკიდა. ჩემთვის მხარზე ხელი შემოგეხვია და უდარდელად ღლინებდი. ფაეტონი ძალიან ნელა მიდიოდა. თანაც გადასასვლელებთან წითელ შუქზე მანქანასავით ჩერდებოდა და ყველაფერზე არაბუნებრივად ეს მეჩვენებოდა.

მერე ერთი კვირა ჩვენთან ათევედი დამეს, რადგან მე გთხოვე. ყოველ დღე მთვრალი ბრუნდებოდი შინ და მკვდარივით გვიძინა, ვერც გიას ჩხავილი გაღვიძებდა. მაინც ბედნიერი ვიყავი და ღამით, როცა გიას აკვანს ვურწევდი და შენ გვიყურებდი, უდარდელად რომ ფშვინავდი, შენც პატარა ბავშვად მეჩ-

ვენებოდი და თითქოს შენთვისაც ისე უნდა მომეველო, როგორც ვიასთვის.

ერთხელ კი ღამის სამ საათზე ამხანაგებთან ერთად მოხვედი. ისინი სამნი იყვნენ, თითისწევრებზე შემოიძღრწნენ ოთახში. შენ ყვიროდი: მოდი, ჩემი ბიჭი გაჩვენოთ, მოდი! და შენმა ამხანაგებმა ლოგინი სულ ყვავილებითა და შოკოლადებით ამივსეს. შამპანურით, თან რომ მოეტანათ, ჩემი სადღეგრძელო დალიეს და კიდეც ქართველი ხალხის გამრავლების სადღეგრძელო და მგონი მთვარიანი ღამეების სადღეგრძელოც. და მე მაშინაც ბედნიერი ვიყავი. ოღონდ დილით, როცა ჯერ კიდევ ღოგინში ვიწექი, დედაჩემის ხმა მომესმა:

— არ იფიქროთ, რომ რადგან ჩემი შვილი შეაეცდინეთ, ყველაფრის უფლება გქონდეთ. მე წესიერი ოჯახი მაქვს და ასეთ ამბებს ვერ ავიტან.

მიგხვდი, რომ შენ გელაპარაკებოდა და წამოგვარდი:

— დედა! დედა!

მერე კარგა ხანს დაიკარგე, აღარც დაგირეკია, თითქოს მე ვყოფილიყავი დამანაშავე. არ შემეძლო ასე, ასე ცხოვრება ვერ წარმომედგინა. თუმცა ის აკვიატებული შიში უკვე გამიჭრა, სამაგიეროდ დავიჯერე, რომ სულ მარტო ვიყავი და არავის ამ ქვეყანაზე ჩემი ამბავი არ აინტერესებდა. არც შენ, არც ამხანაგებს, არც ქეთის, არც დედას, თუმცა მისი საქციელი ჩემს გულში უკვე გაუპართლე. „ბოლოს და ბოლოს რა ჰგონია,—უფიქრობდი,—მართლაც ყველაფრის უფლება კი არ უნდა მისცეს თავს!“ რა თქმა უნდა, მე იმას არ ვუღლისხმობდი, რისთვისაც დედაჩემი წაგეჩხუბა. პირიქით, ის დღეები ყველაზე კარგი მოსავონარი იყო ჩემთვის და ალბათ, ასე დარჩება სულ. საქმე ის იყო, თვითონ არ ვიცოდი, რატომ ვბრაზობდი, ოღონდ კი ვგრძნობდი, რომ რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახდით, იმაში ვერაფრით ვერ შევალწიეთ, ტრამეის სახელურზე ვეკიდეთ და ვერაფრით ვაგონში ვერ შევდიოდით. ნუთუ მარტო ჩვენ ვიყავით ასეთები, თუ სხვები

ტყუოდნენ, თავს ბედნიერებად რომ გვაჩვენებდნენ? რამდენი ჩემი ამხანაგი გათხოვდა, ჩაჯდა თავის ოჯახში, როგორც ბუდეში ჩიტი. აი, ნანიც გათხოვდა, ვიღაც პროფესორს გაჰყვა. ქუჩაში რომ მხედება, ისეთი კმაყოფილი სახე აქვს, რომ არც კი ვეკითხები, როგორა ხარ-მეთქი. კიდევ უფრო გალამაზდა და დადინჯდა. ჩემმა ქმარმა რომ თერთმეტ საათს ვადაცილოს, კარს არ გავუღებ, — ამბობს სიცილით ნანი. მისი ქმარი კი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებაა, ტელევიზორშიც ხშირად გამოჰყავთ, ალბათ, როგორც თანამედროვე-წესიერი აღამიანის ნიმუში. შეხედეთ, თავქარიანო გოგოებო, აი, როგორ კაცებს უნდა მისთხოვდეთ თქვენ!

რა დროს სიყვარულია, რატომ იწამებთ თავს, მთავარია, მარტო არ იყოთ, მარტო! დილა მშვიდობისა, ამხანაგო ტელემაყურებლებო! საღამო მშვიდობისა ამხანაგო ტელემაყურებლებო, ღამე მშვიდობისა, ამხანაგო ტელემაყურებლებო! და ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ყველაფერი მშორდება, მავიწყდება, როგორ დაუნანებლად ვიშორებ ცრემლებს, ზღაპარს, ფიქრს, წისქვილის ქეზივით ფეხებიდან ვიხსნი და ვაგდებ, იმიტომ რომ უკვე აღარ შემიძლია მათი თრევა და თითქოს აღარც სახელი მაქვს. იმიტომ, რომ აღარავინ წარმოსთქვამს მას თრთოლვით, არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, მშრალია და ცივი, როგორც ნომერი და ჩემი სახელი ახლა „ამხანაგი ტელემაყურებელია“ და მეც დილიდან საღამომდე ერთგულად შევცქერი ეკრანს, დიეტური სასაღილოს სამზარეულოს ჭრილს რომ ჰგავს.

მე ჩვეულებრივი გოგო ვარ და ჩვეულებრივი სიყვარული მინდოდა. ჩემთვის სიყვარული ზენიმი იყო, განცხრომა, სითბო, ალერსი და არა ტანჯვა, რომელიც ეკრანებზე, ან წიგნებშია მხოლოდ საინტერესო. სარეცხს ვათუთვებ, შენ იატაკზე ზიხარ და ჩვენს შვილს მაკრატლით დროშებს უჭრი ჩემი ძველი კაბიდან და ორივე მე მიმა-

ლავთ და ვითომ მე ვერ ვხვდები, რომ ჩემს კაბას ჭრით. აი, რაზე ვოცნებობდი! ის ტანჯვა კი, რომელიც წიგნში ბობოქრობდა, მხოლოდ იმიტომ მალღუვებდა, რომ ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მე არასოდეს შემეხებოდა და იმიტომ სასიამოვნო შიშის მომგვრელიც იყო, როგორც ზღაპრული ურჩხული, ანდა მიწისძვრა იაპონიაში, რომელიც შენს ქალაქში არ მოხდება!

ახლაც ხანდახან გული გადამიქანდება, მე ხომ არ ვიყავი ჩვენს შორის პირველი, რომელმაც სიბრაღული და სიყვარული ერთმანეთში აურია-მეთქი.

— არ დაურეკავს? — მეკითხებოდა დედა.

— არა.

— გინდა, წავალ და ბოდიშს მოვიხდინე.

— რატომ უნდა მოუხადო ბოდიში?

— თუ შენ გინდა...

— არა, არ მინდა!

— დაიძინე, რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება.

— მოვა...

— ჰო...

— ისე მე მართალი ვიყავი...

— ვიცი...

— შენთვის ასე სჯობია...

— როგორ? — ვიყვირე უცებ, — როგორ ჯობია ჩემთვის?

— რა გაყვირებს?

— მითხარი, როგორ ჯობია ჩემთვის? — ვკითხე მშვიდად.

— უმჯობესია ახლავე გაარკვიო...

— გვიან არის.

— აი, ხომ ხედავ, ნანობ. ჩემთვის უნდა გეკითხა დროზე.

— ჰო...

— მე შენზე მეტი ვიცი, მესმის...

— მე საერთოდ არაფერი მესმის.

— განა შეიძლებოდა ასე ბრმად ამის გადაწყვეტა. ეს ხომ ხუმრობა არ არის? „ჰო, ასე ბრმად, ხელების ცეცებით, კე-

თამაზ პილაძე
თეთრი კამალი

დელ-კედელ, მოყინული მიწის იატაკზე — ვფიქრობდი ჩემთვის, თან დედას ვუსმენდი, — მიწის ქვეშ, უზარმაზარ ბნელ მღვიმეში და მეჩვენება, რომ წყვდიადში ჩაკარგულ ლაბირინთიდან ვიღაც მეძახის და მე მივდივარ და ფეხი მისხლტება და თითის წვერები მეყინება და ისიც მესმის, რომ ზევით თოვლი დნება. წვეთები მღვიმეში ჩამოდის. ერთი... ორი... სამი... თითო წვეთი, თითო საუკუნეა და მეც ვიყინები, როგორც ბრმა სტალაქტიდი. ზევით გაზაფხულია, ზაფხული, შემოდგომა, მღვიმეში კი ბნელა და სიყვარული არ შეიძლება, რადგან დაირღვევა ყინულის მდუმარება, სტალაქტიდებს აეხილებათ თვალი და დაიწყებენ კვილის... კვილის...“

— შენისთანა გოგოები ხშირად ტყუვდებიან ხოლმე, — ამბობდა დედა, — ჰგონიათ, რომ უყვართ, მაგრამ მალე რწმუნდებიან, თურმე რა მწარედ ცდებოდნენ. აბა, შეხედე, რამდენი დადის ლამაზი გოგო, რომელიც გუშინ გათხოვდა და დღეს უკვე გაეყარა ქმარს...

— რამდენი დადის ბედნიერი! — შევეკამათე მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდოდა გაჩუმებულიყო, მინდოდა ასე დაუნდობლად გაეთელა ჩემი ოცნება ჩემს თვალწინ, ჩემს სულში.

— ვითომ? განა თქვენ იცით, რა არის ბედნიერება? ზოგჯერ რაც თქვენ ბედნიერება გგონიათ, ისიც შეცდომაა, მირაჯია!

— რეზოს მე ვუყვარვარ! — ვთქვი მე, ეს იყო ჩემი ყველაზე უფრო მტკიცე საბუთი დედაჩემის შეგონებების წინააღმდეგ. ჩემი ოცნება უკვე გაისრისა და მტვრადქცეული გაქრა. უკვე მენანებოდა ის და თუშცა ვგრძნობდი, რომ მისი დაბრუნება აღარ შემეძლო, ვცდილობდი მისი ერთგული მაინც დავრჩენილიყავი.

— ალბათ, ისიც ცდება, — თქვა დედამ.

— რატომ? რატომ უნდა ცდებოდეს, აუცილებელია ცდებოდეს?

— დამერწმუნე, სიყვარულიც ისევე

დაწვრილებითაა შესწავლილი, როგორც, ვთქვით, ადამიანის ანატომია. გაზომილია მისი, სიღრმე, სივანე, ტემპერატურა — ოკეანესავით. მისი ფსევრიდან ამოტანილი მიწა სინჯარებში ყრია.

დედაჩემი ლაპარაკმა გაიტაცა, ნელ-ნელა ხმას აუწია, თითქოს მე კი არა ხალხით გაქედო აუდიტორიას მიმართავდა და მე უნებურად შემეშინდა, რადგან ამას ბევრი უსმენდა და ბევრს შეიძლებოდა დაეჯერებინა, რომ ეს სინამდვილე იყო. გონება არეული მქონდა, არ შემეძლო ამ მწყობრი, ლამაზი ფრაზებისთვის რაიმე დამეპირისპირებინა და უცებ ვიგრძენი, რომ დედაჩემი არ მიყვარდა, რა თქმა უნდა, ეს იყო ერთი წუთით და მე ახლაც მეშინია იმ წუთის გახსენება და ისიც ვიგრძენი, რომ მასაც არ ვუყვარდი. ცივი იყო და უცხო. მისი ლაპარაკი ყინულის ნატეხებით მივსებდა გულს და ახლა მე კი არა ჩემი არსების სიღრმეში ჩამალული ვიღაც ებრძოდა მას და მე, ოდნავ შემკრთალი და გაკვირვებული ამ უცნაური აღმოჩენით, იმ ვილაცის მხარეზე ვიყავი. მე მას ვაკვირდებოდი და უნებურად სიხარულიც კი მიპყრობდა, რადგან თურმე არც ისეთი სუსტი ვყოფილვარ, როგორც მეგონა. შეიძლება ეს იყო ბიოლოგიური თავდაცვის ინსტიქტი, თავის გადარჩენისთვის ბრძოლა.

— მე უმირაყო ცხოვრება არ შემიძლია, — ჩაუბრუნე სიტყვა დედაჩემის საუბარში, ეტყობა, მეტად უადგილოდ. რადგან დედა ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს ფიქრობდა, ღირდა თუ არა ჩემთან ლაპარაკის გაგრძელება და ბოლოს, როგორც იქნა, თქვა:

— სისულელეა!

— არა, — ვთქვი მე, — შენ ეს არ გესმის! — ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სხვამ იყვინა, მე კი არა, სხვამ, რომელიც ჩვენს შორის უჩინრად იდგა.

— მე არ მესმის? — დედამ გაკვირვებულმა შემომხედა, მერე გაელმა და გაიმეორა, — მე არ მესმის?

— ჰო, შენ! — ძალიან ავლელი, წონასწორობა დავკარგე, რადგან პირვე-

ლად ვუყვიროდი ასე დედას, — შენ არც მამაჩემი გიყვარდა!

— რა თქვი?

— და არასოდეს არავინ გყვარებია! და გინდა, რომ მეც შენ დაგემსგავსო, შენსავით ქვისგან ვიყო გამოთლილი, ქვისგან! ქვისგან!

დედაჩემს ისეთი სახე ჰქონდა, შემეშინდა, რამე არ დაემართოს-მეთქი. უცებ გამოვფხიზლდი, სიგიჟემ გადამიარა და ახლა დედა ისევ ისე მიყვარდა. ტირილი ამივარდა.

— დედიკო! დედიკო!

რატომღაც ველოდებოდი, რომ ხელს მკრავდა, მომიშორებდა, მაგრამ ამის ნაცვლად დაჩოქილმა თავი კალთაში რომ ჩავუდე, თმაზე ხელი გადამისვა, მომეფერა და მითხრა:

— ჩემი გოგო, ჩემი სულელი გოგო...

და დიდხანს არ მინდოდა წამოდგომა, მინდოდა სულ ასე დედის კალთაში ვყოფილიყავი ჩამალული და მეტი არაფერი მინდოდა. თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალის წყალობით ისევ დედაჩემის არსებას დავუბრუნდი. ისევ ერთ სხეულად ვიქცეით და ნეტარი, უაზრო მოლოდინით გატენილი ბურანი დამეუფლა.

ზოგჯერ მოულოდნელად გამოჩნდებოდი და მეც ყველაფერი უცებ დამავიწყდებოდა. მაშინ მხოლოდ მარტო შენ ერთი იყავი ამ ქვეყანაზე მართალი, ჩემთანაც და ყველასთანაც და დანარჩენები ყველანი გცდებოდით. რა იყო მაინც ის დღეები! ერთმანეთზე რომ გადააბა, შეიძლება ერთი თვეც კი არ გამოვიდეს, მაგრამ ჩემთვის საკმარისი იყო. სხვა დღეები იმდენად უფერულნი იყვნენ, რომ აღარც კვ მახსოვდნენ, მაშინვე ქრებოდნენ, კალენდრის ფურცლებივით იკარგებოდნენ. ისინი კი მუდამ მემახსოვრება.

მახსოვს სანაპიროზე ვიყავით, ჭადრის ხმელი ფოთლებით იყო მოფენილი მთელი ქუჩა და თითქოს სანაპირო ყვირლად შრიალებდა. ჩუმად გადასცქეროდი მტკვარს. მეც გატრუნული ვიდექი შენს გვერდით, მეგონა მესმოდა რასაც

ფიქრობდი. შეიძლება ვცდებოდი, ისევე, როგორც მუსიკის მოსმენის დროს, გგონია, რომ გესმის, რადგან შენს განწყობილებას ზუსტად ეფარდება, მაშინ, როდესაც, ალბათ, ავტორი სულ სხვა რამეს გულისხმობდა, როცა წერდა.

ახლა რომ ვიხსენებ, მიკვირს, რა ცოტას მელაპარაკებოდი, ჩემთან როცა იყავი, თითქმის ხმას არ იღებდი. მაშინ კი სულ სხვანაირად მეჩვენებოდა.

შემოდგომის ღრუბლის ჩრდილები გადადიოდნენ მტკვარზე და თითქოს მათი შეხებისგან აცხცახებული, მღვრიე მდინარე დარეტიანებულივით შერბოდა ხიდის თალის ქვეშ, როგორც გვირაბში, და იქ იმალებოდა. ძალაწართმეული მზე სანაპიროს მოაჯირებზე გამოხუნებულ ყვითელ ქსოვილივით ეფინა.

— რეზო! — ვთქვი და ხმა ამიკანკალდა, რადგან ჩემდაუნებურად დაეწიე ლაპარაკი, — მუშაობას ვიწყებ.

— ვიცი.

— „ინტურისტში“, თარჯიმნად.

— ვიცი.

— გიას ძიძა ვუქირავეთ, ძალიან კარგი ქალია.

გავჩუმდი, დაველოდე, რას მეტყოდი. შენ კი ხმას არ იღებდი. ახლაც, როგორც ყოველთვის, როცა ძალიან მიყვარდი, მომიწინა შენთვის რამე მწარე შეთქვა, წონასწორობიდან გამოიყვანე. საკვირველია, რატომ შემართებოდა ასე! ისიც მაშინ, როცა მთელი ჩემი არსება მოითხოვდა, მოგფერებოდი ბავშვივით, ისევე როგორც გიას...

— იმიტომ რომ მეტი აღარ შემიძლია! — ვითხარი, — მეტი აღარ შემიძლია! წავალ, გავერთობი, თან საქმესაც გავაკეთებ, ბოლოს და ბოლოს რატომ უნდა ვიჯდე შენ, რომ თვეში ერთხელ შენი ხმა ტელეფონით მოვისმინო? ახლა უკვე ორი ტელეფონი მექნება, იქაც შეგეძლება დარეკვა, რადგან ორი ტელეფონი იქნება, რადგან შეიძლება ორჯერ დარეკო, იმიტომ ისიც შესაძლებე-

თამაზ ბილაძე
თეთრი კაპაშვი



ლია, რომ თვეში ორჯერ შევხვდეთ. ხედავ, ეს მარტივი არითმეტიკა როგორი სასარგებლოა ჩემთვის!

— „ინტურისტში“? — მკითხვე, თითქოს მხოლოდ ახლა გაიგე, რაც გითხარბ. თითქოს შეკრთი კიდევ. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მერე გავიგე შენი შეკრთომის მიზეზი.

— ჰო.

— რატომ მაინც და მაინც იქ?

— იქ არის თავისუფალი ადგილი.

— სხვაგან არ გიძებნია?

— რა მნიშვნელობა აქვს? ჩემთვის სულერთია, სადაც იქნება. მეტი აღარ შემეძლია...

— რა დავემართა?

— არ ვიცი... ეტყობა, გავგიჟდი.

— მაინც რა გინდა?

— რა მინდა? არაფერი...

მშვიდი იყავი და შენს ძალაში დარწმუნებული. მე კი ვერ გიბედავდი, ვერ გეუბნებოდი მას, რაც ასე მაწვალებდა, მტანჯავდა, როცა მარტო ვრჩებოდი.

— შენ მაინც ვერ გაიგებ, — გითხარბი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მინდა ჩემი გულისთვის რაღაც გააკეთო, რაღაც მოხდეს, თუნდაც... თუნდაც ამ სიცივეში მტკვარში გადახტე...

— ეს ძალიან ადვილია, — მითხარბი მშვიდად, — ძალიან...

ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი, რომ მოაჯირს გადაევლე, ჯებირზე წამით შეჩერდი და მერე მტკვარში გადახტი.

დაღვივლე:

— მიშველეთ! მიშველეთ! — მოაჯირს მივაწყდი, მაგრამ ტალახისფერი წყლის მეტი ვერაფერი დავინახე, რომელიც თითქოს სახეზე შემომეხეთქა.

უამრავი ხალხი მოგროვდა და ერთი ამბავი ატყდა. ენა წამერთვა და თვალი დამიზნელდა, აცახცახებული ხეს მივეყრდენი, მეგონა, წაიქცეოდი. მეტს არაფერს ვეფიქრობდი გარდა იმისა, რომ დაიხრჩო, დაიხრჩო-მეთქი.

მერე ვილაკამ დაიძახა, გაღმა ნაპირზე გამოდისო და მეც გავიქეცი, თით-

ქოს ქარმა ამიტაცა და წამოლო. და მერე თლაც ქარს მივქონდი, რადგან თვითონ ვერაფერს ვგრძნობდი. ხილზე რომ მივრბოდი, ვილაც ქალის კივილი მესმოდა. შეიძლება მე ვკიოდი, არ ვიცი. ვგრძნობდი, უკან ხალხი მომდევდა, ჯერ არ მინდოდა ვინმეს გაესწრო ჩემთვის, მერე ყველას ჩამოვრჩი, აზროვნების უნარო დამიბრუნდა.

პერანგი გაგებადა და წურავდი. შიმშველ ტანზე ეკალი გეყარა.

ახლოს მოვედი და გითხარბი:

— ყოჩაღ! კარგი ცურვა გცოდნია! — და უღარდელად გავიციე!

აწრიალებული და თავზარდაცემული ჩემი არსება კი სველ ტანზე გეხვეოდა, მკერდსა და მხრებზე გკოცნიდა, შენს გალურჯებულ ტუჩებს აკვდებოდა, შენს სავით გაყინული და ამაგძაგებელი.

მერე, როცა უკვე ტროლეიბუსში ვიხსხედით, მითხარბი:

— არა, შენ ეს არ გინდა...

— რატომაც არა, — გავიციე ისევ. — რატომაც არა. ასე ერთმა ჩემმა ამახანაგმაც გააკეთა: ოღონდ მაშინ მერვე კლასში ვიყავით.

— ჩავიდეთ!

— რატომ, ჯერ ხომ არ მივსულვართ?

— სიგარეტი უნდა მოვწიო, ჩავიდეთ!

უცებ სიბრაღულით ამეგსო გული, რომ მართლაც მერვეკლასელი ბიჭივით იყავი, რომ ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გესმოდა და იმის ნაცვლად, რომ კარგად მიგეტყობე, გაიბუტე და მთელი გზა ხმა აღარ გამეცი.

ერთი თვის მერე ჩვენ ოთახი ვიქირავეთ მთაწმინდაზე და სანამ ოთახს ვიქირავებდით, ერთი დღე კიდევ ბედნიერები ვიყავით, იმიტომ რომ გეგმებს ვაწყობდით და ყველაფერი ძალიან ადვილი გეჩვენებოდა: მე სამსახურში ვივლიდი, შენ, რადგან არ მსახურობდი, გიას მიხედავდი. და ჩვენ ერთად ვიქნებოდით და ერთმანეთს უტელეფონოდ დაველაპარაკებოდით. ჯანდაბას იქით ყველა ტელეფონი!

— მაია, როგორა ხარ?

— კარგად. შენ?

— მეც კარგად. კიდევ დამირეკე!

— კარგი. ნახვამდის...

ორ-სამ დღეს კიდევ არა უშავდა. დილით ადრე დგებოდი, გიანთვის რძე მოგჭონდა ვასტრონომიდან. ერთი სული მჭონდა, სანამ სამუშაო დღე დამთავრდებოდა, გამოვტობოდი, ავტობუსში ვჯდებოდი, რომელიც ჭრიალ-ჭრიალით მიდიოდა აღმართზე. აივანზე ნავთქურა ვვედგა და იმაზე ვხარშავდით კერძს.

მერე ერთი ალყირელი მწერალი ჩამოვიდა და იმას დავყვებოდი ქალაქის დასათვალღერებლად. დაბალი, გამხდარი კაცი იყო. დიდთავა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: მე რომ ველაპარაკებოდი, მკერდზე ხელებს გადაიჭვარედინებდა, თვალებს დახუჭავდა და ისე მისმენდა. რომ დავამთავრებდი, ხელებს ჩამოიღებდა, თვალს გაახელდა და ისეთ რამეს მკითხავდა, ან მეტყობდა, რომ უსათუოდ გამაციანებდა. თუმცა, როგორც მითხრა, ბევრი უბედურება ჰქონდა გადატანილი. თავისუფლებისთვის იბრძოდა თურმე და იმ ბრძოლაში თერთმეტი ჭრილობა მიუღია.

მთელი თბილისი მოვატარე. მთაწმინდაზეც ავიყვანე, პანთეონში. მანქანით ჩვენი სახლის წინ რომ ავიარეთ, დაგინახე, ფანჯარაში იდექი და გია ხელში გეჭირა, ისეთი მოწყენილი სახე ჰქონდა, რომ კინაღამ მანქანა გავაჩერებინე და სტუმარი მივატოვე.

მთაწმინდიდან ჩვენი სახლიც მოჩანდა.

— ბატონო ეან, — ვუთხარი სტუმარს, — აგე, იმ წითელსახურავიან სახლს ხედავთ? იმ სახლში ვცხოვრობ მე!

თან შენზე ვფიქრობდი, პატიმარივით რომ იყავი ფანჯარას მომდგარი.

სტუმართან ერთად ვისადილე რესტორანში. მერე ოპერაში წავედით და „აბესალომ და ეთერი“ მოვისმინეთ. მერე „ინტურისტის“ მანქანაში ჩავსხედით და ისევ ქალაქში გავისეირნეთ. სტუმარმა დაიჩემა, ჭერ შენ უნდა მიგაცილოო და მართლაც შინამდე მიმაცილა. შო-

ფერს საგზურზე ხელი მოვუწერე და ისინი სასტუმროში დაბრუნდნენ.

მოგიყევი, როგორ გავატარე მთელი დღე. ბნელში ვიწექით, მეგონა, არ მისმენდი. უცებ მკითხე:

— თერთმეტი ჭრილობა?

— ჰო, წარმოგიდგენია? — გამიხარდა, გაბრაზებული რომ ყოფილიყავი, ხმას არ ამოიღებდი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ რა ჰამე დღეს? — გკითხე ცოტა ხნის მერე.

— თევზის კონსერვი, გუშინ რომ ვიყიდე.

— გია ტიროდა?

— არა...

მეორე დღესაც გვიანობამდე სტუმარს დავყვებოდი. საღამოთი ჩვენმა მწერლებმა ვახშამი გაუმართეს სტუმარს და ბატონი ეანი დათვრა. ჩვენი მწერლებიც დათვრნენ და წასვლისას ერთმა მიჩურჩულა: მაია, შეიძლება თქვენი სახლის ტელეფონის ნომერი რომ მანუქოთ? და სასწრაფოდ გვერდზე გაიხედა. ვითომ ჩემთვის არაფერი უთქვამს. მისი მეგობრები და ბატონი ეანი გამოთხოვებასა და კოცნაში იყვნენ გართულნი და აქეთ არც კი იხედებოდნენ.

მეც საიდუმლო კილოთი გადავუჩურჩულე:

— ვერ გაჩუქებთ!

მწერალი ბატონ ეანს უღიმოდა, ჩემსკენ არც გამოუხედავს, ტუჩებში გამოცრა:

— რატომ?

და ბატონ ეანისკენ ხელგაშლილი გაქანდა, რადგან ის სხვებს უკვე გამოეთხოვა და ესლა დარჩა.

— მაია, მაია, მოდიოთ აქ! — დამიძახა მან.

მივედი.

— მინდა ბატონ ეანს წიგნი ვაჩუქო, გადაუთარგმნეთ, — თან ამხანაგებს გახედა, შევატყვე, არ უნდოდა იმათ გავგოთ, ჭიბიდან პატარა წიგნი ამოიღო.

თამაზ ზილაძე
თითიერი ავაგლო

ბატონმა ქანმა თქვა:

— ძალიან მადლობელი ვარ, უსათუ-
ოდ ვთარგმნი რამდენიმე ლექსს!

წიგნს დავხედე, რუსულად ნათარგმნი
ლექსების კრებული იყო.

— ბატონმა ქანმა რუსული არ
იცის! — ვუთხარი მწერალს.

— მაგან არც ქართული იცის, — მი-
პასუხა მწერალმა და რატომღაც ძალი-
ან მკაცრად დაუმატა, — გვაცალე!

იმდენი მოახერხა, რომ ბატონ ქანს
წიგნი ჯიბეში ჩაუდო, ასე რომ, როცა
მისი ამხანაგები მოგვიახლოვდნენ, წიგ-
ნი უკვე გამქრალი იყო.

— რა კარვად იცის ფრანგული, —
უთხრა ამხანაგებს მწერალმა, — გვასა-
ხელა! — ეს ქათინაური მე მეკუთვნო-
და.

— გამოიარეთ ჩემთან, რედაქცია-
ში! — მითხრა მეორემ.

მერე მწერლები წავიდნენ. ბატონმა
ქანმა ისევ დაიჩემა და ისევ სახლამდე
გამომაცილა. მანქანიდან რომ გადმოვ-
დიოდი, დავინახე ჭიშკართან იდექი,
ერთი ხელით გია გეჭირა, მეორე ხელის
იღლიაში ცოცხი გქონდა გარკობილი.
მუხლებზე გამოგლეჯილი შარვალი გეც-
ვა, შიშველი ფეხები ფლოსტებში წა-
გეყო, ასეთი არასოდეს მენახე. გავშრი.
იდექი და თავაზიანად იღიმებოდი. ბა-
ტონმა ქანმა გაკვირვებით შემომხედდა.

— ეს ჩემი ქმარია! — ვუთხარი მე-
შენ ვიყურებდი.

ბატონი ქანი შენსკენ გამოქანდა, ხე-
ლი ჩაოვართვია, ვიას ლოყაზე უჩქმი-
ტა, გამოგვეთხოვა და წავიდა. მივხვდი,
ეს მასკარადი ჩემს ჯიბრზე მოაწყვე.
ჩემს დასაცინად. მზად ვიყავი მოგვარდ-
ნოდი და თვალები ამომეკორტნა. თავი
შევიკავე და გკითხე:

— შენ თუ არ ვინდოდა, რატომ გა-
მიშვი სამსახურში?

ისევ ისე უაზროდ გაიღიმე, ბრიყვი-
ვით, ისევე განაგრძობდი თამაშს. მზო-
ლოდ ოთახში რომ შევდიოდი, მაშინ
მითხარი:

— მაგას თერთმეტი ჰქონდა აქვს,
მე კი — აი, ეს ცოცხი!

მალე მე და გია ისევ დელაჩემთან გა-
დავედი. ისევ ავიყვანე ძიძა და ყვე-
ლაფერი თითქოს ჩაწყყნარდა. ისევ სამ-
სახურში დავდიოდი, ისევ ისე დავყვე-
ბოდი სტუმრებს:

— ეს მეთვრამეტე საუკუნის დიდი
პოეტი დავით გურამიშვილია! ეს კი
თბილისის დამაარსებელი მეფე ვახტანგ
გორგასალია. ეს სამაჩი არაგველის ძეგ-
ლია. არაგველები თბილისის დასაცავად
დაიხოცნენ, სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰ-
მად ხანმა მაშინ თბილისი აიღო და
ააოხრა. ეს კომკავშირის ხეივანია, ეს
უზარმაზარი ქალი კი ქართვის დე-
დაა...

ანა იქ გავიცანი, სამსახურში, ჩემსა-
ვით თარჯიმნად მუშაობდა. მას გან-
საკუთრებულ პატივს სცემდა ყველა-
თავი ისე ეჭირა, რომ უსათუოდ მოწი-
წებით უნდა მოქცეოდი. ანა ქეთის მე-
ზობელი აღმოჩნდა, ერთ სახლში ცხოვ-
რობდნენ. ჩემზე ხუთი წლით იყო უფ-
როსი და, ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ
მას უბატონოდ ხმაც ვერ ვცემდი, თუ-
კი შემთხვევა მომეცემოდა, რომ დავ-
ლაპარაკებოდი, რადგან აშკარად მაგრ-
ძნობინებდა, რომ ჩემთან უბრალო ნაც-
ნობობაც კი არ უნდოდა.

ბიჭები ანას თავს ევლებოდნენ, მაგ-
რამ ის მეტად მიუყარებელი ჩანდა. რას
არ ლაპარაკობდნენ ანაზე, მაგრამ მე არ
მინახავს, რომ ვინმეს მოეკითხოს ან-
დაერეკოს მისთვის. ან სამსახურში და-
რეკვას ყველას უკრძალავდა, ანდა ყვე-
ლაფერი მონაჭორი იყო, ყოველ შემ-
თხვევაში, მე ასე ვფიქრობდი, რომ ნაქ-
მარევე ქალზე ენის გაღვსვა ადვილია-
მეთქი. მოკლედ, ანა ძალიან მომწონდა,
ამაყი იყო, ლამაზი და ძალიან განათლე-
ბული. თანაც აშკარად ეტყობოდა, რომ
რალაც დიდი ტკივილი გადაეტანა, და
ეს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა.
ყველაფერი თავისებური ჰქონდა, სი-
არულიც, ლაპარაკიც, სიცილიც. თუმცა
ძალიან იშვიათად იცინოდა. სიცილის
ღროს ტუჩის კუთხეებთან ორი ღრმა
ნაოჭი უჩნდებოდა, რაც მის სახეს
მკაცრ იერს აძლევდა. უმეტესად კი ჩუ-

მად იყო, თითქოს არ ესმოდა, მის გარშემო რაც ხდებოდა. სიგარეტს ეწეოდა, ერთს რომ მორჩებოდა, მაშინვე მეორეს მოუკიდებდა. პირველად მაშინ შევიღებე თმა, ანას მიბაძვით, მინდოდა ისეთივე ფერის თმა მქონოდა, როგორიც მისი იყო. ქორწინების ბეჭედი ეკეთა და მეც ისეთივე ბეჭდის ტარება დავიწყე, მე თვითონ ვიყიდე, შენ ხომ ჩემთვის ბეჭედი არ გიჩუქებია.

გოგოები სულ ანაზე ჩურჩულდნენ, ის კი იცდა, ამ ჩურჩულით ვარშემორტყმული და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ეს კიდევ უფრო გვიკიდებდა ცეცხლს და ბოლოს და ბოლოს ვხვდებოდით, რომ ყველას მისი გვშურდა, თუმცა ამას არც ერთი არ ვამხელდით, ის კი არა, ჩვენს თავსაც ვუმალავდით. მე, პირადად, მასთან დაახლოვებას ვცდილობდი.

ერთხელ ყვავილები მივიტანე სამსახურში. შინიდან რომ გამოვდიოდი, შენ დამხვდი საღარბაზოსთან და მიხაკები მომეცი. აი, სწორედ ის მიხაკები მოვიტანე. ჩემს მაგიდაზე სურაში ჩავაწყვე. ანა ოთახის ბოლოს მაგიდასთან იდგა ჩემსკენ ზურგშექცევით და ტელეფონზე ლაპარაკობდა. ლაპარაკი რომ დაამთავრა, მოტრიალდა და ჩემსკენ გამოიხედა. მივესალმე, თითქოს არც კი შეუმჩნევია. ნელა წამოვიდა ჩემსკენ და თან დაკინებით მიყურებდა. ახლოს რომ მოვიდა, მაშინ მივხვდი, რომ მე კი არა, ყვავილებს უყურებდა თურმე. ჩემს მაგიდასთან გაჩერდა და მიხაკს ხელი შეახო:

— შენც გიყვარს მიხაკები? — მკითხა ჩუმად.

უნებურად შევეკრთი. მისი ხმა მეუცხოვ. თავდახრილი იდგა და მე არ მიყურებდა, თითქოს არაფერი ეთქვას.

— რა? — ვკითხე მეც ჩუმად.

— შეიძლება ერთი ცალი წავიღო?

— სიამოვნებით! — ვუთხარი სიხარულით, რადგან ეს ჩვენი დაახლოვების პირველ ნაბიჯად ჩავთვალე.

სურიდან ერთი ღერი მიხაკი ამოაძ-

რო და ისევ ძალიან ჩუმად მითხრა, — გამადლობთ!

მერე ავტობუსში უცხოელებთან ერთად რომ ვიჯექი და მცხეთაში მივიღიოდი, ვფიქრობდი, რატომ გამომართვამეთქი ყვავილი, რაც მეტს ვფიქრობდი ამაზე, სიხარული ნელ-ნელა მიჭრებოდა.

ერთი თვის მერე კი ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. კვირა დღე იყო. ქეთი მოვარდა ჩემთან აქლოშინებულს. სახეზე სულ წითელი ლაქები ეყარა. ასე მოსდიოდა ყოველთვის, როცა რაღაც უნდოდა ეთქვა ჩემთვის, მნიშვნელოვანი.

— აბა, ახლავე თქვი ყველაფერი! — ვუთხარი, — ნურაფერს გამოტოვებ!

ქეთიმ უცებ ტირილი დაიწყო.

— იცი... მეც შენსავით მიყვარდა...

— ვინ?

ვინ უნდა ყვარებოდა ქეთის ჩემსავით?

— ვინ და ანა!

— ანა?

— პო.

— მერე?

ქეთიმ ხელისზურგით ცრემლი მოიწმინდა, ტუჩები მაგრად მოკუმბა, თითქოს ეშინოდა, რამე ზედმეტი არ წამომცდესო.

— მერე? ამოიღე ხმა!

ქეთიმ თვალი ამარიდა და თქვა:

— გველი ყოფილა... გველი...

— რატომ?

— თუ იცი, რეზო ახლა სად არის?

— არ ვიცი...

— არ ვიცი, არ ვიცი, — გამომაჯავრა ქეთიმ, — შენ კი ზიხარ და თავს იკლავ.

— მაინც სად არის?

— სად არის და ცირკში!

— ცირკში? მერე რა?

— არაფერი, არ გაინტერესებს ვისთან ერთად არის?

— ვისთან?

— ვისთან და ანას შვილთან ერთად.

— ანას შვილთან ერთად?

ძალიან გამიკვირდა რადგან ვერაფრით ვერ დაგაკავშირებთ ერთმანეთს შენ, ანა და მისი შვილი. პირველად მესმოდა, შენ რომ ანას იცნობდი.

— ჰო, თვითონ ანამ მითხრა, კიბეზე შემხვდა და მითხრა, ალბათ, იმიტომ რომ იცოდა, შენ გეტყობდი. განგებ მითხრა, გული რომ გამსკდომოდა!

— შენ რატომ გისკდება გული? — ვუთხარი მშვიდად. ჯერ კიდევ კარგად ვერ მივხვდარაიყავი, რა ხდებოდა.

— მე რატომ მისკდება გული არა, მე არა? — წამოიძახა ქეთიმ და ისევ ტირილი დაიწყო.

— გაჩუმდი, — ვუთხარი, — რა გატირებს?

სკამზე ჩამოვკეჭი.

— კი, მაგრამ, — დავიწყე, მაგრამ ქეთიმ გამაწყვეტინა, მიხვდა, რის თქმასაც ვაპირებდი.

— ჰო, დიდიხანია იცნობს თურმე...

„დიდიხანია იცნობს... დიდიხანია...“

მე კი არაფერი ვიცოდი... ალბათ, რეზო დიდიხანია რაც ანასთან დადიოდა და ქეთიმაც ეს ამბავი, ალბათ, დიდიხანია იცოდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გამოხვდა და მითხრა, რადგან, ეტყობოდა, უკვე მეტისმეტი იყო.

მე კი არაფერი ვიცოდი...

ხმაბაღლა, სულელურად გავიცინე, მე თვითონ გამიკვირდა.

— მაია, — მითხრა ქეთიმ, — არ უნდა მეთქვა, არა?

— რატომაც არ უნდა გეთქვა, დიდი ამბავი!

— მართლაც რა მოხდა, ბავშვი წაიყვანა ცირკში, რა მოხდა!

— მე ცირკში წავალ! — ვთქვი უცებ.

— მაია?

— რა?

— არაფერი... მაგრამ...

— ქეთი, შენ აქ დამიცადე!

— რა გინდა, მაია, ცირკში... სულელი ვარ, რაღაც მომეჩვენა...

— რამდენი ხანია ცირკში არ ვყოფილვარ!

ცირკში რომ მივედი, პირველი განყოფილება თავდებოდა. შესვენებაზე ბუფეტთან გავჩერდი, თუ მართლა ბავშვი გახლდა, უსათუოდ იქ მოიყვანდი. ხალხში შორიდანვე დაგინახე. და კიდევ ერთხელ ვერაფრით ვერ დაგაკავშირებთ ერთმანეთს, ვერაფრით ვერ წარმოგიდგინებთ ერთად შენ, ანა და მისი ბავშვი. და ისეთ დიდ უაზრობად მომეჩვენებოდა ახლა შენ და გამხდარი, თმაგაბურძკვნილი ცისფერთვალა ბიჭი, რომელსაც შენთვის ხელი მაგრად ჩაეჭიდა, რომ უნებურად გამეღიმა. და ეს ღიმილი ვერ მოვიშორე მაშინაც, როცა შენ დამინახე და გაკვირვებული ერთ ადგილას გაჩერდი.

ბაპურიანი

თოვლი, როგორც იქნა, მოვიდა. მთელი დღე თოვდა. ერთი წუთით არ გაჩერებულა. ვაღმა ფერდობზე შეფენილი სოფელი ნელ-ნელა თოვლში ჩაიკარგა, ვაჭრა, ხანდახან თოვლის ფინტელს ქარი ფარდასავით გადასწევდა და მხოლოდ მაშინ თუ გამოჩნდებოდა.

საერთაშორისო ბანაკის შენობები: კლუბი, რომელშიაც ბარი, კინოდარბაზი და სასადილო იყო მოთავსებული, სასტუმროს მთავარი კორპუსი და რამდენიმე პატარა კოტეჯი — თითქოს ერთმანეთს მოწყდნენ. სუსხიანი ქარი უბერავდა, გარეთ გამოხვდა არავის ეხალისებოდა.

შუადღისას ნაძვის დასხებილი ტოტები მოიტანეს მანქანით და შესასვლელბთან დაყარეს. დღეს სტუმრებს ელოდებოდნენ, ამიტომ სასტუმროს ჰოლში ბუხარიც დაანთეს.

ჩვეულებრივზე ადრე დაბინდდა. სტუმრები იგვიანებდნენ. ყველანი მოუთმენლად უცდიდნენ მათ. წლებადღელ უთოვლო ამინდებს ბაკურიანში ამოსვლის მსურველები დაეფრთხო. სტუდენტთა არდადეგებიც დამთავრებულიყო. ამ უზარმაზარ ბანაკში სულ რამდენ-

ნიმე კაცი ცხოვრობდა, ამიტომ დიდი მოწყენილობა სუფევდა.

რეზო აივანზე გამოვიდა. წერილი და ხშირი თოვლი მოდიოდა. თოვლი აივანზე ნახერხივით ეყარა. ფეხს რომ დაადგამდი, თითქოს სიფრიფანა მინა ჩატყვალაო, ჩაიწყოდა.

შესასვლელთან, თოვლში ჩაფლული ავტობუსი მოჩანდა, ავტობუსთან კაცი იდგა.

— ვანო, — გადასახა რეზომ, — ვინ ამოიყვანე?

— გამარჯობა, შე კაი კაცო!

— გაგიმარჯოს!

— ოცდაათი კაცი ამოვიყვანე.

— როგორ ამოხვედი, არ გაგიჭირდა?

— ძალიან. სიგარეტი გადმომივდე.

რეზო ოთახში შევიდა. ჩემოდანი გახსნა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო. გამოვიდა და კოლოფი ვანოს გადაუგდო:

— დაიჭი!

ვანომ კოლოფი დაიჭირა, ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო და კოლოფი ჯიბეში ჩაიღო. ამ დროს მონტიორმა სოსომ გამოიარა, ხელში ნაქვის ტოტი ეჭირა.

— ჰა, სოსო, — დაუძახა ვანომ, — როგორ არის საქმე?

სოსოს თითქოს ვანოს ხმა არც კი გაუგონიაო, გზა განაგრძო, მაგრამ მოულოდნელად შეჩერდა, რეზოს ამოხელდა და დაუყვირა:

— თოვლი მოვიდა, თოვლი! — ნადვის ტოტი ჰაერში გააქნია და წავიდა.

ვანომ ავტობუსის კარი გამოაღო და რეზოს ასძახა:

— სოფელში ხომ არ წამოხვალ?

— სოფელში რა გინდა?

— აფთიაქში უნდა ჩავიდე. იმათაც ამოეუტანე რაღაც-რაღაცეები, გზად ვერ შევჩერდი. წამოხვალ?

— დამიცადე!

ავტობუსმა თავდამართი ჩაიარა და მთავარ გზაზე გავიდა. რეზოს უკვირდა, როგორ აგნებდა გზას ვანო, რადგან მანქანის ფარების შუქზე აბრჭყვიანულული ფიფქების მეტი არაფერი მოჩანდა.

— ლენტები ამოვიტანე, — უთხრა ვანომ, — ხეალ კინოს ვნახავთ.

— რა ფილმი?

— სულერთი არ არის?

— ჰო, — დაეთანხმა რეზო, — სულერთია...

ვანომ ავტობუსი აფთიაქის წინ გააჩერა. რეზომ დიდი ყუთის ჩატანა უშვებდა.

— რა მიმივა, ტელევიზორი ხომ არ არის?

— რა ვიცი რა არის, — ჩაიბუზღუნა ვანომ, — კარგი, ხელი გაუშვი.

ორივე ხელი ჩაავლო ყუთს და ასწია.

— დაიცა, მოგეხმარები!

ვანომ ყუთი არ დაუგდო, ყუთის სიმძიმისგან ფეხებმორეცილმა ჭრიალა კიბე აიარა. კარი მხრით შეაღო და აფთიაქში გვერდულად შევიდა, რადგან იმ ვიწრო კარში ყუთი სხვანაირად ვერ შეეტეოდა.

რეზო ავტობუსში იჯდა და უცდიდა. სოფელში სიჩუმე იდგა, მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმოდა.

ვანოს ორი თეთრხალათიანი ქალი გამოჰყვა.

— რეზო! რეზო! — დაუძახა ვანომ, — ჩამო, ჩემი ცოლი გააცანო!

ვანოს ცოლმა მაგრად ჩამოართვა ხელი რეზოს, გაუღიმა და უთხრა:

— ჩვენთანაც გამოიარეთ, შინ გვესტუმრეთ!

მის გვერდით შეეთვალემა, გამხდარი გოგონა იდგა, მობუზული. პატარა, გაყინული ხელი ჰქონდა.

— ეს ნესტანია, — უთხრა ვანომ რეზოს, — როგორი გოგოა, ჰა?

გოგონა აფთიაქში შევიარდა, ვანომ გადაიხარხარა.

— მაგას მეტი კი არ უნდა! — გაეღიმა ვანოს ცოლს. ოქროს კბილები გამოუჩნდა უშნოდ.

ვანო და რეზო სასტუმროს ჰოლში, ბუხართან, ღვინოს სვამდნენ. ღვინო ვანომ მოიტანა ბიღონით. ბიღონი ცეცხ-

თამაზ ბილაძე

თმთერი კვამლი

ლის ახლოს დადგეს. ვანოს იატაკზე გაზეტი გაეშალა, ზედ პური, ყველი და ხორცის ნაჭრები ეყარა. პოლში ბნელოდა და ბუხრის ცეცხლის შუქი ირგვლივ წითელ ფოთლებივით მიმოზნეულიყო.

— შეილი მაინც მყოლოდა, — ამბობდა ვანო, — ამის რაჯულიც არ იყოს! შინ რომ მივალ, რამე ხომ უნდა მიხაროდეს! ღორს გავასუქებ და დავკლავ, მეორე ზამთრისთვის ახალს ვიყიდი, კიდევ გავასუქებ და იმასაც დავკლავ, — რეზოს მოუტრიალდა, — შენ რა, არ სვამ?

— როგორ არა, — რეზომ ჭიქას ცეცხლის შუქზე გახედა, — მყავდა ცოტა...

— აბა, ვათბეს, მაგას ღვინო არ ჯობია, დალიე!

რეზომ ჭიქა ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით გამოსცალა, აღარ უნდოდა მეტის დალივა, ღვინო არ ათრობდა, თანაც ყინულივით იყო.

— ხოდა იმას ვამბობდი, — ვანომ ისევ გაავსო ჭიქები, ბიღონი მუხზზე შეიჩერა. იატაკზე არ დაუდგამს, — კაცი მარტო ის არის, რომ ჭამოს, სვას და ეძინოს, მეტი არაფერია?

— ხომ მუშაობ?

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, — ვანო უცებ თერებოდა, მაგრამ მერე რამდენიც არ უნდა დაეღია, სიმთვრალე აღარ ემატებოდა. ბიღონი ძირს დადგა, ხელი მუხლისთავზე შეიმშალა, მარცხენაში ჭიქა ეჭირა, ოდნავ დაპირქვავებული, ღვინო იატაკზე იღვრებოდა. რეზოს უნდოდა ენიშნებინა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ნესტანი ხომ გაგაცანი? — ჰკითხა ცოტა ხნის ღუმლის მერე ვანომ.

— გამაცანი.

— ხომ გაგაცანი? — თითქოს არ ახსოვდა, მართლა გააცნო თუ არა.

— ხო-მეთქი.

— ერთი წელია, რაც აქ მუშაობს, ჩემს ცოლთან. ახლა ჩვენი ადმინისტრატორი ეთამაშება, ნიკო, ვასაქანს არ აძლევს. სად ის ანგელოზივით გოგო და სად კიდევ... — ჭიქა მარჯვენაში გადმოიტანა, პირზე მიიღო, მაგრამ უცებ

მოიქნია და ცეცხლში ჩათხლიშა: — ერთი ამის...

წამოდგა, მაშინვე ისევ დაჯდა, სახე ხელებში ჩარგო, კარგა ხანს იჯდა ასე, ხმა არ ამოუღია, მხრები უცახცახებდა ოდნავ, იფიქრებდი, ტირისო, მაგრამ ხელეები რომ ჩამოიღო, რეზომ დაინახა, როგორ იღიმებოდა მწარედ და უსიამოვნოდ.

— გვეყოფა, — უთხრა რეზომ, — მეძინება.

ვანო შეაშტერდა, ის მწარე ღიმილი ნელ-ნელა გაუქრა სახიდან, რეზოს თვალს არ აცილებდა, თითქოს პირველად ხედავსო. რეზომ იგრძნო, როგორი უცხონი იყვნენ ისინი ერთიმეორესთვის. ამის გაფიქრებამ შეაყრთო. შეკრთომა რომ დაეფარა, თქვა:

— მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს! — და ჭიქა გამოცალა, ვანოს გაუწოდა, — პა, ჩემი ჭიქით დალიე!

— არ მინდა! — თქვა ვანომ, დაიხარა, საკმელი ვაზეთში ვაახვია, ბიღონს თავი დაუყო, — და წამოდგა, — გვეყოფა!

კარს რომ აღებდა, მოტრიალდა და თქვა:

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა! — დაუძახა რეზომაც.

რეზოს ეძინებოდა, ღვინოს მოეთენთა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ცეცხლენა არ გაუშვა. კარგი იყო ბუხართან ჯდომა.

მერე ის და ვანო ისევ ერთად ისხდნენ, ოღონდ რეზოს ოთახში. იქაც ენთო ბუხარი და რეზოს ეს ძალიან უკვირდა. და რადგან უკვირდა, ყველაფერი ცხადს ჰგავდა. ძალიან ხმაძაღლა მღეროდნენ. კარი გაიღო და რეზოს მეზობელი ქალი შემოვიდა. კი არ შემოვიდა, კარებში გაჩერდა და მათ შეაქკერდა. სიმღერა არ შეუწყვეტიათ, თითქოს ასე იყო საჭირო — მათ უნდა ემღერათ, ქალი კი კარებში უნდა მდგარიყო. წითელი სვიტრი ეცვა და შავი, ძალიან ვიწრო შარვალი. სიმღერა რომ დაამთერეს, ქალმა ჰკითხა:

— ჩემი ჩიტი არ გინახავთ?

— არა, — უპასუხა რეზომ.

თითქოს ქალს სწორედ ჩიტის ამბავი უნდა ეკითხა და თითქოს ეს წინასწარ იცოდნენ, ქალი უსათუოდ ჩიტის ამბავს გვეკითხავსო.

— გაფრინდა. გარეთ კი თოვლია, — თქვა ქალმა და მწარედ ატირდა.

ვანომ კუნძი ხელით გადააბრუნა, თითებს სული შეუბერა, მიიხედ-მოიხედა, თხილამურის ნატეხი აიღო და ნაკვერჩხალს დაუშინა. ცეცხლმა ტკაცანი ატეხა, ბუხარში ნაპერწკლების კორიანტელი დადგა.

— ავე, შენი ჩიტი! — უთხრა ვანომ ქალს და თხილამურის ნატეხი ცეცხლში შეაგდო.

— აბა?

— ავე?!

ცეცხლისფრად აბრწყინებულ თოვლში თეთრი, დიდი ჩიტი მიფრინავდა წვალებით, — გმადლობთ! — თქვა ქალმა და ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა, გაიღიმა და გაიმეორა, — გმადლობთ!

მერე სამივენი თოვლში მიაბიჯებდნენ, სამივეს უზარმაზარი, წითელი ხელები ჰქონდათ, შეფალება იმიტომ, რომ გუნდები ეჭირათ. უცებ აფთიაქი დაინახეს. არ გააკვირვებიათ, ტრიალ მინდორში რომ შემოხვდათ.

აფთიაქის კიბეზე თეთრხალათიანი გოგონა იჯდა, ხელები მუხლებზე შემოეხვია და მათ უყურებდა, ფეხშიშველი იყო.

ვანომ გუნდა გოგონას ესროლა. გოგო წამოხტა და აფთიაქის კარი შეიხურა კისკისით. შეჰყვენენ. მაგრამ აფთიაქის ნაცვლად ცარიელ დიდ დარბაზში ამოჰყვეს თავი. გოგონა მაგიდაზე იწვა და შემოსულებს ეშმაკური ღიმილით შესცქეროდა.

ქალი ახლოს მივიდა და გოგონას გუნდა გაუწოდა:

— აბა, მოგიტანე! — რეზოს მოუტარილდა და გაკვირვებულმა უთხრა, — ეს ხომ ჩიტია, ჩიტი?!

გოგონას მკერდზე ხელი დაადო და წასჩურჩულა:

— ადექი! ადექი! — თან თვალებში ჩასცქეროდა, თითქოს ჰინაზოხს უყეთებსო, — ადექი!

გოგონა წამოდგა, ახლა ზემოდან დასცქეროდა ყველას. ხელები გაშალა და მხიარულად დაიძახა:

— იცით, რამოდენა თოვლი მოვიდა! ბუხარში ცეცხლი მიმქრალიყო, რეზოს წამოდგომა და ოთახში ასვლა ეზარებოდა. იჯდა და უაზროდ ატრიალემდა ცარიელ ქიქას. თავი სტკიოდა ოდნავ. ეს წყალ-წყალა ღვინის ბრალი იყო. სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ცარიელი შერჩა ხელში. დაკმუტნა და ბუხარში შეაგდო. წამოდგა, კიბეს აუყვა და მეორე სართულზე ავიდა.

მეზობელი ოთახის კარს რომ გაუსწორდა, მუსიკის ხმა შემოესმა. კარის ჭრილიდან სინათლის ზოლი ეცემოდა ბნელ დერეფანს. თითქოს სინათლეს გამოეყო თეთრი ხელები. ამ ოთახში დღეს ჩამოსული ესტონელი ქალი ცხოვრობდა. ეტყობოდა, ტრანზისტორს უსმენდა.

თავის ოთახში რომ შევიდა, შუქი ანათო, მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო, ისე მოუთმენლად გახსნა, თითქოს დღეს პირველი სიგარეტი უნდა მოეწია. ოთახში დახუთული ჰაერი იდგა, რადგან აივნის კარი დაკეტილი დარჩენოდა. ამ კარს ყოველთვის ღიად ტოვებდა ხოლმე. გამოაღო და აივანზე გავიდა. მეზობელ ოთახის ფანჯრიდანაც შუქი გამოდიოდა. ამ ორ ოთახს საერთო აივანი ჰქონდა.

ალარ ბარდნიდა. ისეთი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, თითქოს მთელი დღე თოვით დაღლილ ცას წამით ჩასძინებოდა. შესასვლელთან გაჩერებულ ავტობუსის სახურავზე თოვლი ბრწყინავდა.

ოთახში შემობრუნდა, საწოლზე ჩამული მიწვა. ფეხები სკამზე გააწყო. სიგარეტს ეწეოდა და ჰერს შესცქერო-

თამაზ ჰილანი
თითრი კვავლი

და. აქ მუსიკის ხმა არ ისმოდა, თუმცა მეზობელ ოთახიდან თხელი კედელი ჰყოფდა...

ცოტა ხნის მერე კარებზე კაკუნის გაისმა. სამჯერ დააკაკუნეს. რეზო წამოხტა, კარი გააღო, კართან მიაი იდგა, ხელით გასწია ვანზე რეზო და ოთახში შემოვიდა. შავი ქურჭი ეცვა, რომელიც მაშინვე გაიხალა და სკამზე დააგდო. ქურჭი პიჯამოზე ჰქონოდა შემოცმული. ლოგინში შეწვა.

— გავიყინე!

რეზო საწოლთან მივიდა, მიაიმ საბადნი პირზე აიფარა, ორივე ხელით მაგრად ჩასჭიდებოდა, თითქოს ეშინოდა, ხელიდან არ დამისხლტესო.

— ახალი მეზობელი გყავს? — ჰკითხა მიაიმ, — დახურე კარი, მცივა! — თვალით აიენის კარზე აჩვენა.

— ჰო, ახალი მეზობელი მყავს.

— ვნახე. ლამაზი ქალია. ასეთი ბედი გაქვს.

— ბედი რა შუაშია?

— რალა მაინც და მაინც შენს გვერდით მისცეს ოთახი?

— ჩემი ბრალია?

— არა, — მიაიმ გაიცინა, — შენი ბრალი არ არის... ბედი გაქვს!

— გიას სძინავს?

— ჰო, დაიძინა თუ არა, გამოვიქეცი.

— გვიან დაუძინია.

— შენ რა, მელოდებოდი თუ?

— არა.

— აი, ხომ ხედავ!

— რას ვხედავ?

— არ მელოდებოდი. მე კი სულელი ვარ...

— რატომ?

— ისე. დაჯექი.

მიაი საბანში გაეხვია და კედლისკენ მიიჩოჩდა.

— მიაი! — რეზო საწოლზე ჩამოჯდა.

— არ მომეკარო, მცივა!

— კარგი, — უთხრა რეზომ, — არ მოგეკარები.

— თანაც გაუპარსავეცა ხარ, ხომ იცი, არ მიყვარს...

— ვიცი.

— ნეტავი აღრე გყვარებოდი ასე. ახლა რა დაგემართა? თუ ასე უფრო მოგწონს, შენი ცოლი რომ აღარ ვარ? რა თქმა უნდა, საყვარელი ჯობია ცოლს. მე რამ ამომიყვანა ბაკურიანში? რომ მცოდნოდა აქ იყავი, როგორ ამოვიდოდი! დღისით ვითომ არც კი გიცნობ, შენსკენ არ ვიხედები. ღამით კი შენთან გამოვრბივარ, რატომ, რისი გულსთვის. ხომ ყველაფერი გათავდა. სამი წელი მშვიდად ვიყავი. რა გინდოდა ბაკურიანში, რა? შეექქესე დღეა აქა ვარ და ლამის გაგვიკიდე. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...

— არ იცოდი, აქ რომ ვიყავი?

— ვიცოდი და გამოვიქეცი, არა? ამის თქმა გინდა?

— გია ვერც კი მცნობს, აღარ ვახსოვარ...

— ძალიან პატარა იყო მაშინ.

— ხვალ დედაშენი ჩამოდის?

— ჰო.

— საიდან გაიგო, აქ რომ ვარ?

— მე მივწერე.

— ისევ თავიდან დაიწყება.

— რა?

— ვითომ არ იცი, მორალის კითხვა, აღარ შემძლია!

— აღარაფერიც არ დაიწყება თავიდან. ჩვენ ხომ გაყრილები ვართ ოფიციალურად. დედაჩემი არ გიყვარს, მეტი არაფერი.

— არ მიყვარს!

რეზო წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. შუქზე ფიფქები გაარჩია. ისევ დაწყებულყოფი თოვა.

— კარს ვავადებ, შეიძლება?

— არა. მეც მაგას გეუბნები, არ გიყვარს-მეთქი.

— კი მაგრამ, რატომ უნდა მიყვარდეს?

— იმიტომ რომ დედაჩემია.

— შენ და დედაშენი ერთნაირები ხართ. კვიცი გვარზე ხტისო, ხომ გავიგონია?

— არა.

— არ გავიგონია?

მოხედა, მაიას ქურქი მოეხურა, ახლა ფეხსაცმელს იცვამდა, ძირს არ იყურებოდა, ისე ცდილობდა ფეხი ჩაედგა შიგ. ვერ ახერხებდა, ფეხს სასაცილოდ აქნევდა პაერში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაიცვა და კარისკენ გაიქცა. რეზო კართან დაეწია და სახელურზე წავლუბული ხელი დაუჭირა.

— სად მიდიხარ?

მაიას ტუჩები მაგრად მოეკუმა, ყბა უცაცცალებდა, ეტყობოდა, ტირილს იკავებდა. სახელურს მაგრად ჩაფრენოდა, მერე ნელ-ნელა ხელში ძალა წაერთვა, მოუღუნდა. უცებ რეზოს მკერდში ჩაეკრა და ატირდა. რეზომ ხელი მოხვია და წამოიყვანა.

— გეყოფა, გეყოფა, რა დაგემართა? ქურქი გახადა, საწოლზე დასვა, მის წინ დაიჩოქა და ახლა ფეხსაცმელები გააძრო. მაია ტიროდა, თითქოს ვერაფერს გრძნობდა, მთლიანად დამორჩილებოდა რეზოს.

— ჩააქრე სინათლე, — ამოისლუკუნა მაიამ, — ჩააქრე!

მერე დიდხანს იწვნენ ბნელში უხმოდ, არ იცოდნენ რითი დაეწყოთ ლაპარაკი. თუმცა არც ერთს არ უნდოდა სიჩუმის დარღვევა. დუმილი კიდევ უფრო აახლოვებდა მათ.

გარეთ თოვდა. ქვეყანა თოვლით იყო სასვე.

— გიამ მკითხა, — დაიწყო მაიამ ჩუმად, — ამოდენა თოვლი რომ ჩამოდის, სამაგიეროდ ცაში რა ადისო?

რეზომ გაიცინა:

— შე მგავს.

— შენსავით სულელი რომ გამოვიდეს, რა მეშველება?

— რა უთხარი?

— ყველაფერი, რაც თოვლში არ ჩანს, ცაშია ასული.

— ასე უთხარი?

— არა, იმას ვერაფერი ვუბასუხე.

— გუშინ კიბეზე გვერდი რომ ამიარეთ, ვერ მიცნო!

— სამი წელი გავიდა...

— მაინც შენზეა დამოკიდებული...

— რა?

— როგორ გავრდი. არ გინდა და ისიც არ მცნობს. ჩემი სახელი თუ იცის?

— იცის.

— რას ეუბნები, სად არისო?

— არ მეკითხება. თუ მკითხავს, ცაშია-მეთქი წასული, ასე ვეტყვი.

— სამაგიეროდ ასეთი დიდი თოვლი გამოგვიგზავნა-თქო.

— იტყვის, რამოდენა მამა მყოლიო.

— უთხარი, მამაშენიც თოვლივით არის-თქო, თუ გინდა, უთხარი თოვლია-თქო, გაიარე ზედ, ირბინე, მაინც არაფერი ეტკინება-თქო. ბავშვებს უყვართ თოვლი. უთხარი, გაუხარდება.

— შენ პირწავარდნილი ეგოისტი ხარ! სულ ვფიქრობდი, ვწვალობდი და აი ამ წუთს მივხვდი, რაც ხარ ნამდვილად — ეგოისტი!

— კი, მაგრამ...

— იწეკი, იწეკი, რატომ დგები?

— ეგოისტი რატომ ვარ?

— ვერ ავიხსნი.

— დიდი მადლობა!

— არაფრის.

— შენ მართლა თვითონ მიხვდი ამას, თუ დედამ გითხრა?

— დედა შენზე აღარ ლაპარაკობს.

— დაისვენე...

— შეიძლება... შეიძლება დაისვენა კიდევ. მე კი...

— მართლაც შენ რატომ არ ისვენებ, როგორ შეიძლება ასე, როგორც იქნა გამეყარე. რა გინდა, რატომ არ დაწყინარდები? ლამაზი გოგო ხარ, შენ დიდი სიამოვნებით გითხოვს ვინმე ჰკუაღამ-ჯდარი კაცი.

— დედაც ასე ამბობს.

— დედას უნდა დუჯერო. რისი გულისთვის წვალობ ამდენს, ღირდეს მაინც!

— დედაც ასე ამბობს.

— დედაშენი არისტოტელია! როგორ შეიძლება ასეთი ბრძენი ქალი თუნდაც ერთი წუთით მოცდეს. ის სულ ლექციებს უნდა კითხულობდეს თანამედ-

თამაზ ზილაძე
თეატრი კვაზალი

როგე მორალის თემებზე. ჩემისთანა დოჟლაპიები კი უნდა ისხდნენ და უსმენდნენ, იქნებ ამ ქვეყნისა რამე გაიკონ.

— მართალი ხარ! შენც არ გაწყენდა ასეთი ლექციების მოსმენა. ტყუილად ფიქრობ, რომ ყველაფერი იცი.

— სრულებითაც არ ვფიქრობ. სიამოვნებით მოვისმენდი დედაშენის ლექციებს, თუნდაც ასეთს: ეგოიზმი და საზოგადოება! როგორია? ო, რა ცეცხლს გადმოათრქვევდა, რა დღეს დამაყრიდა, რა თვალსაჩინო მაგალითი ვეყოლებოდი! ალბათ, წინდაწინ სურათებს გადამიღებდნენ, დაფაზე გააკრავდნენ და დედაშენი ჯოხით მიათითებდა: შეხედეთ, აი, ტიპური ეგოისტი ანფასში, ეგოისტი პროფილში, ეგოისტი სიგარეტს ეწევა, ეგოისტი სტადიონზე, ეგოისტი კინოში, ეგოისტის საცოდავი ცოლ-შვილი. შეხედეთ მის შვილს, რა კარგი ბიჭუნაა, როგორი კვიციანი. მან მამის სახელიც კი არ იცის და ჰგონია, რომ მამა თოვლია.

— სიამოვნებით დავესწრებოდი იმ ლექციას!

— ჯობდა, ტელევიზორით გამოსულიყო, უფრო ბევრი ხალხი მოუსმენდა. მერე ფილმსაც აჩვენებდნენ: რამდენიმე ეპიზოდი ეგოისტის ცხოვრებიდან! ეპიზოდი პირველი, ეგოისტი ირთავს ლამაზ გოგოს. ეპიზოდი მეორე: ეგოისტი სამი წელი ბათუმშია, მშენებლობაზე, რაღაცას ხაზავს. მიაქციეთ ყურადღება, სრულიად მარტო ცხოვრობს! აუსრულდა, რაც უნდოდა. ეგოისტის ტიპური ოთახი: საწოლი, მაგიდა, მაგიდაზე ტაფა, და ცოლ-შვილის სურათი. ეპიზოდი მესამე: ეგოისტი საუზმეს იშვადებს! შეხედეთ, შეხედეთ, როგორი ხარბი გამომეტყველება აქვს! როგორი მსუნავი ღიმილით დაცქერის ტაფას, რომელზედაც ორი საცოდავი კვერცი იწევა. ამ კვერცხებიდან ხომ წიწილები გამოიჩეკებოდა! წიწილები გაიზრდებოდნენ, ქათმებად იქცეოდნენ და მთელ საბავშვო ბაღს ეყოფოდა სადილად. რომელი უფრო ადრე გაჩნდა —

კვერცი თუ ქათამი? ეპიზოდი მეოთხე: ეგოისტის მიტოვებული ცოლ-შვილი. ალბათ, აქ ცრემლი წასკდებოდა. ლექტორს. მთელი ქვეყანა ატირებოდა მასთან ერთად. ამის მერე კი უნდა ეკანკალა ეგოისტს, სოროში უნდა შემძვრა-ლიყო, თორემ უსათუოდ ჩაქოლავდნენ და მართალიც იქნებოდნენ...

— შენ რა კარგი ლაპარაკი გისწავლია?

— მარტო ვლაპარაკობ ხოლმე.

— ცული ნიშანია.

— ვიცი. შეიძლება ტელემასურებელთა მოთხოვნით იმ ფილმის მეორე სერიაც კი გადაეღოთ: ეგოისტი საგიყეთში! ეგოისტი საგიყეთის ეზოში დასეირნობს და გაიძახის, თოვლი ვარო, არა, თოვლი კი არა, აბსტრაქცია, თოვლის მაგივრად რომ უგზავნიან ცას. და ისიც დაფრატუნობს ცაში, თავისი ნაცრისფერი გრძელი პერანგით და ქჩჩის ფლოსტებით, წვერგაუპარსავია და პაპიროსს აბოლებს. იქნებ ეს კვამლი სწორედ ის, რაც ცის სიცილიელს ავსებს, თუთუნის კვამლი და მეტი არაფერი. დაის და ბუტბუტებს: ცოლ-შვილი მიყვარს ძალიან, ცოლ-შვილი მიყვარს ძალიან! ექიმი კი მხარზე ხელს უპარტყუნებს, ეს გიყი მისი იმედია, მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა, ეუბნება: ყოჩაღ, ყოჩაღ, თუ ასე მოიქცევი, აუზში უსათუოდ წყალს ჩაგისხამ!

— გაჩუმდი!

— რა, არ მოგწონს?

მაიამ კარი ღიად დატოვა. რეზომ გახედა, მაია ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში გარბოდა, ფეხსაცემი ხელში ეჭირა...

მონტიორმა სოსომ ვეება თოვლის კაცი გააკეთა. თავზე ვედრო დაახურა, ხელში ცოცხი დააპერინა, მკერდზე ნახშირით ისარგაყრილი გული დაახატა. თოვლის კაცის გვერდით იდგა და გამვლელ-გამომვლელს ეძახდა, მოდი, ნახეთ, რა გავაკეთეო.

მზიანი დღე იყო. თოვლი იისფრად ბრწყინავდა. ტურისტები მარხილით სე-

ირნობდნენ. გზის პირას ჯგუფად იდგნენ და მოთმინებით ელოდებოდნენ, როდის მოუწყვდათ რიგი. მარხილში მხოლოდ ორი კაცი ეტეოდა, შიგ დიდი, სქელფეხებიანი ცხენი ება, აუჩქარებლად უვლიდა წრეს მინდორს.

— წამო, კლუბში შევიხედოთ! — უთხრა რეზომ სოსოს.

კლუბისკენ წავიდნენ. გზად მოსკოველი პროფესორი შემოხვდათ. ის სასტუმროში ცხოვრობდა, მაგრამ სულ აქეთ სეირნობდა ხოლმე. გვერდი რომ აუარეს, პროფესორი შეჩერდა. მოტრიალდა და დაუძახა:

— უკაცრავად, ერთი წუთით! ორივემ მოიხედა.

ჩია კაცი იყო. კრაველის მაღალი ქუდი ეხურა. ოქროსჩაჩრიათი სათვალე ეკეთა. შავი ღრამის პალტო ეცვა და ახალთახალი კალოშები უპრიალებდა. უცებ მოირბინა მათთან.

— უკაცრავად! — გაიღიმა, სათვალის მინები უბრწყვიალებდა, — პრეფერანსს ხომ არ თამაშობთ? — და რატომღაც ძალიან დაიმორცხვა.

— სამწუხაროდ, არა, — გაუღიმა რეზომაც.

— არაუშავს, არაუშავს, უკაცრავად, — თქვა პროფესორმა და წავიდა.

— ეგ დიდი კაცია, — თქვა სოსომ.

ვანოს კლუბის სცენაზე დაედგა სკამი. ბიღონი ორივე ხელით მკერდზე მიეკრა, ჩახუტებინა. თავი ჩამოვარდნოდა, ეძინა. ფრთხილად გამოიხურეს კარი და წამოვიდნენ. თოვლის კაცის წინ ტურისტები იდგნენ. შუახნის ქალი სურათს უღებდა. სოსოს სიამოვნებისაგან გაეღიმა და რეზოს გადახედა.

— რამდენი ხანია აღარ გამიკეთებია, — დიწყო მან, — ბავშვობაში გავაკეთე ერთხელ დიდი თოვლის კაცი. მერე სულ მესიზმრებოდა, მოდიოდა და საბანში გაყინულ ხელებს მიყოფდა. ახლა, თუ დამესიზმრა, გული მიანიც ექნება, აღარ შემამინებს! — და გაიცინა. გრძელი სიფრიფანა ცხვირი გაწითლებოდა და ტუჩები სასაცილოდ გამოპურთვოდა.

— წავალ ახლა, თორემ ნიკო მომკლავს!

რეზომ მარხილი დაინახა და მისკენ გაემართა. მარხილის პატრონი ელგუჯა ნებივრად გადაწოლილიყო ჩაფენილ ქურჭზე. ცალი ფეხი დაბლა გადმოეგდო და პაერში აქანავებდა. სიგარეტს ეწეოდა და თვალმოჭუტული შესცქეროდა, როგორ გუნდაობდნენ ტურისტები თოვლის კაცის ახლოს. ცხენი გაქვავებულივით იდგა. ნესტოებიდან ორთქლის სქელ ბოლქვებს უშვებდა, ტანზედაც ასდიოდა ორთქლი.

— ელგუჯ! — შორიდანვე დაუძახა რეზომ, — სოფელში ჩამიყვან?

სანამ რეზო ახლოს არ მივიდა, ელგუჯამ პასუხი არ გასცა, მერე წამოიწია, მარხილიდან ზღაზვნით გადმოვიდა, ჩაიმუხლა, ისე გაიზმორა, თითქოს ორივე ხელით შტანგა აიტაცა და, როგორც იქნა, თქვა:

— ჰო!

მარხილი დაიძრა, მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ სოფელს რომ მიუახლოვდნენ, მაშინ უთხრა ელგუჯამ:

— კობა ჩამოვიდა!

— რომელი კობა?

ელგუჯამ სადავე მოსწია და ცხენი გააჩერა, რეზოს მიუბრუნდა და გაკვირვებული შეაცქერდა. რეზომ უცებ გამოსაწორა შეცდომა:

— წაქაძე?

— მაჟ!

ელგუჯას აშკარად გულზე მოეშვა, რომ რეზო მთლად დაღუპული და წყალწაღებული არ აღმოჩნდა. ორივე ხელში მოქცეული სადავეები აიქნია და მარხილი დასძრა.

— სადგურთან მიმიყვანე, — შეეხვეწა ელგუჯას რეზო.

სადგურის ბაქანზე ტალახში არეულ გაყვითლებულ თოვლში აქა-იქ გუბეები გაჩენილიყო. პატარა ორთქმავალი დიდი ამბით ქშინავდა.

მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ დღეს

თამაზ ზილძე
თმითი კვამლი

მაიას დედა უნდა ჩამოსულიყო. რეზო აქ ყოველდღე ხვდებოდა მატარებელს. მატარებლის დახვედრა მისი ყველაზე სასიამოვნო გასართობი იყო. ახლა კი მაიას შეეძლო ეფიქრა, დამცინის და არაფერად მაგდებოდა.

უკან დაბრუნება დააპირა, რომ მისკენ მომავალი მაია, დედამისი და გია დაინახა. გია ქალებს შორის მობაჯბაჯებდა. მაიას დიდი, ქრელი ჩანთა ეჭირა, დედამისს კი მოწული ბადე, საიდნაც წითელ თერმოსს ამოეყო თავი.

ისინი რომ გაუსწორდნენ, ქული მოიხადა და მიესალმა. არც ერთს არ შემოუხედავს მისთვის, არც მაიას, არც დედამისს. სალამი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. მარტო გიამ მოიხედა, რეზომ ორივე ცერის საფეთქლებთან მიიღო და ასე დაუქნია ხელები. გია შეჩერდა, ქალებიც გაჩერდნენ.

გია ხომ მაინც ნამდვილად მას ეკუთვნოდა, ხომ ჰქონდა უფლება ასე შორიდან მაინც ხელი დაეჭნია მისთვის? ქალები იდგნენ და მოთმინებით უცდიდნენ, როდის მობეზრდებოდა გიას მამამისის ყურება.

გიამ ხელები გაინთავისუფლა და მისკენ წამოვიდა, ქალებმა ადვილად გამოუშვეს, დატუქსვა ვერ გაბედეს, ეტყობა, მოეხათრათ.

მოქსოვილი მაღალი ქული ეხურა, ხელთათმანები თასმით ეკიდა კისერზე. ყელზე შემოხვეულ კაშნეს მალმალ დაბლა სწევდა, ეტყობოდა, ნიკაპს უსუსხავდა. რეზოსთან მივიდა და მის წინ გაჩერდა, ქვევიდან ახედა და ძალიან სერიოზულად ჰკითხა:

— შენ გგონია კურდღელი ხარ?

— ჰო, — უპასუხა რეზომ და მაშინვე გაუელვა, დამცინისო.

მერე ხელჩაკიდებულები სეირნობდნენ ბაქანზე. ქალები ცდილობდნენ მათკენ არ გამოეხედათ.

— ჩვენი სახლის წინ იმოდენა თოვლის ბაბუა დგას! — ამბობდა გია.

— ვიცი.

— შენ ხომ ჩვენს სახლში ცხოვრობ. რა ჰქვია იმ თოვლის ბაბუას?

— რეზო.

— რეზო მამაჩემს ჰქვია.

— შენ საიდან იცი?

ბავშვი გაჩუმდა, არაფერი უპასუხა. რეზოს ცრემლი მოაწვა ყელში: აი, ამას, შალსა და ბეწვში შეფუთვულ სასაცილო გორგალს, უკვე თავისი საკუთარი სევდა ჰქონდა, თავისი საიდუმლო. და ამის გამო რეზო მზად იყო აქ, ბაქანზე, გუბეში ჩამჯდარიყო და ბლავილი დაეწყო, გამწარებული მგელივით ეყმუვლა, იმიტომ რომ სიტყვით მაინც ვერაფერს გააგონებდა ვინმეს. არც არსებობდა, ალბათ, ასეთი სიტყვა, რომელიც ახსნიდა იმას, რასაც ახლა რეზო გრძნობდა.

— მატარებელში ჩამსვი! — უთხრა გიამ.

— მოდი, ხელში ავიყვან!

— პატარა კი არა ვარ. ჩამსვამ მატარებელში?

— წამო!

ცარიელ ვაგონში ავიდნენ და ფანჯარასთან ჩამოსხდნენ. იმ წამსვე ფანჯარასთან მაია გაჩნდა, რეზო ელოდებოდა კიდევ, რომ მაია უსათუოდ მოირბენდა.

გიამ დედას ხელი დაუქნია. მაიას სახე შეეცვალა, თითქოს რაღაცის შეეშინდაო. ახლოს მოვიდა და ფანჯრის მინაზე გამწარებით დააკაუნა, რაღაც დაიძახა. რეზომ ვერ გაიგო, თუმცა მიხვდა, რასაც დაიძახებდა მაია:

— ჩამოდი ახლავე!

გია ხელს უქნევდა დედას და მხიარულად იცინოდა. მაია კი განუწყვეტლად აკაუნებდა მინაზე. რეზოს მაია შეეცოდა და გიას უთხრა:

— დედა გეძახის, წავიდეთ!

— შენც წამოხვალ?

— ჰო.

ვაგონის დერეფანში რომ მოდიოდნენ, გიამ ჰკითხა:

— შენ მანქანა არა გყავს?

— არა.

— მე ძია თემური მასეირნებს ხოლმე „ვოლგით“!

— სად?

— სად და თბილისში!

„ბრიყვო, აქ კი არა, თბილისში ასე-
ირნებენ ვიას და დედამისს მანქანით,
ვერ უნდა მიხვდეთ?“

ვაგონის კიბეზე რომ ჩამოჰყავდა,
მიამ შეაშველა ვიას ხელი, აიტაცა და
მკერდში ჩაიკრა. ერთი კი შემოხედა
რეზოს და სასწრაფოდ გაემართა დე-
დისკენ. გიამ, რეზოს მსგავსად, საფეთ-
ქელთან მიიღო ხელი და ისე დაუქნია,
თან დაუძახა:

— კურდღლო! კურდღლო!

დედასთან რომ მივიდა, მიამ ვიას
ძირს ჩამოსვა. ქალებმა ბავშვი ისევე
შუაში ჩაიყენეს და გასასვლელისკენ
გაემართნენ. ვიას აღარ მოუხედავს.

რეზო ფეხით დაბრუნდა უკან. აფ-
თიაქის აივანზე ნესტანი და ნიკო დი-
ნახა. ნიკო ხელების ქნევით ელაპარა-
კებოდა გოგოს. რეზომ თავი აარიდა,
მალაზიაში შევიდა. აქედან აფთიაქის
აივანი მოჩანდა.

მალაზიაში დახლზე გადაყუდებული
კაცი ნოქარს რაღაცას ეჩურჩულებოდა.
ნოქარს სულ რეზოსკენ ეჭირა თვალი.
გამხდარი ბიჭი იყო, სვანური ქული
ეხურა. ხელში დანა ეჭირა, რომლითაც
დახლზე დადებულ პურს პაწაწინა ნაჭ-
რებად ჭრიდა, ნაჭერს დანის წვერზე
წამოაცვამდა და პირში ისე იღებდა.

ცოტა ხნის მერე ნესტანმა კიბე ჩა-
მოირბინა, ნიკო მიატოვა, ჯერ თითქოს
აქეთ, მალაზიაში უნდოდა შემოსვლა,
მაგრამ უცებ გადაუხვია და ფოსტაში
შეკარდა.

სოფლის პატარა მოედანი ერთიანად
ატალახებულიყო. რესტორნის მინის კე-
დელი გარეთ გამოტანილ სარკესავით
ბრჭყვიალებდა. რეზომ გადაწყვიტა ფე-
ხით ასულიყო ბანაკში. გზაც ატალახე-
ბულიყო. სასტუმროს რომ გასცდა, გზი-
დან გადაუხვია და თოვლში გაკვალულ
ბილიკს დაადგა. ბილიკი ცეკავშირის
აგარაკებისკენ მიემართებოდა. აგარა-
კების ბუხრების კვამლი გაყინულივით
გაშემშებულიყო ჰაერში.

სასადილოში შევიდა. იქ თუნუქის

მალალი ლუმელი იდგა, ცოტათი ცბე-
ლოდა კიდევ.

ჭამას რომ მორჩა, მერე კიდევ კარ-
გახანს იჭდა და სიგარეტს ეწეოდა. რა-
ღიო მალალ ხმაზე იყო ჩართული, რო-
მელიდაც მუსიკალურ რადიოსპექტაკლს
გადმოსცემდნენ.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო ელი-
საბედ, — ამბობდა კაცი, ელრიალა, სა-
სიამოვნო ხმით, — პეტერბურგში ისე-
ვე ზამთარია! ო, რომ იცოდეთ, როგორ
წყრიალევენ ლოლუები!

— გემუდარებით, იმღერეთ, გემუდა-
რებით! — კენესოდა ქალი.

მებუფეტე მაგიდასთან იჭდა, წინ სა-
ანგარიშო დაედო და მსახიობი ფრაზას
რომ დაამთავრებდა, სალოკი თითით
ერთ ქვას ჩააგდებდა, თითქოს ითვლი-
სო. ვინ იცის, იქნებ ითვლიდა კიდევ.

— წარმოიდგინეთ გაყინული მდინა-
რე ნევა და ნაცრისფერ ცაში ისაკის-
ტაძრის ოქროსფერი გუმბათი — განაგ-
რძობდა ქადაგად დავარდნილი კაცი,
რომელიც ეტყობოდა, არაფრად აგდებ-
და ქალის მუდარას.

სასადილოდან რომ გამოვიდა, მზე ისე
მწვავედ აღარ აცხუნებდა. გზაზე მეზო-
ბელ ესტონელ ქალს წამოეწია. ქალს
ტრანზისტორი ეჭირა ხელში. რეზოს
გასწრება მოერიდა, უკან მიჰყვებოდა,
ფეხდაფეხ. ქალი შეჩერდა და მოიხედა.
რეზოც შეჩერდა. ქალმა გაუღიმა, რე-
ზომ თავი დაუქნია. ქალმა ნაბიჯი უკან
გადადგა და თოვლში გადავიდა, თით-
ქოს გზა დაუთმო. რეზოს არ უნდოდა
ასე უსიტყვოდ გასცლოდა ქალს. ისეთი
გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდხანია
იცნობდა. შეიძლება იმიტომ, რომ წუ-
ხელ სიზმარში ნახა.

— მე თქვენ წუხელ დამესიზმრეთ! —
უთხრა ქალს რეზომ.

— თქვენ ჩემი მეზობელი ხართ,
არა? — ქალი ახლოს მივიდა.

— დიას.

თამაზ ზილბაძე
თეთრი კვამლი

— ღმერთო, რა კარგია აქ! — თქვა ქალმა.

— ჩიტს ეძებდით! — უთხრა რეზომ.

— ჩიტს? — ქალმა რეზოს თვალეზში შეხედა. — საკვირველია, — თქვა მან, — მე კი არაფერი მესიზმრება! — და ხმამაღლა გაიცინა.

— ვითომ თოვლში მივდიოდით მე, თქვენ და ჩვენი შოფერი ვანო, თქვენ ჩიტო დაგკარგვოდით და იმას ვეძებდით.

— მერე ვიპოვეთ? — შეეკითხა ქალი ისეთი სახით, თითქოს ამაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

— ვერა!

— რა მეშველება! — ქალი ისე შეწუხდა, რომ რეზოს გაეღიმა.

— ბანაკში მიდიხართ? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ.

წამოვიდნენ. რადგან ბილიკი ვიწრო იყო, ქალი წინ მიდიოდა. შეჩერდა, მოუბრუნდა და ჰკითხა:

— სიზმარში რა მერქვა?

— არ ვიცი, არ მახსოვს.

— ცხადში ინგა მქვია! — უთხრა და ხელი გაუწოდა, — თქვენ რა გქვიათ?

— რეზო.

— სასიამოვნოა. რეზო, თხილამურებზე არ დადიხართ?

— დავდივარ.

— მე კი მეშინია.

ბანაკს მიუახლოვდნენ. რეზომ დაინახა, მათა აივანზე იდგა და მათ უყურებდა.

— თოვლის კაცი ნახეთ? — ჰკითხა ინგამ, — რამოდენა!

— სოსომ გააკეთა.

— არ ვიცნობ.

მათა უცებ შეტრიალდა და ოთახში შევიდა.

— ჩვენთანაც დიდი თოვლი იცის, — თქვა ინგამ, — მაგრამ აქ სულ სხვაა, აქ თითქოს ზამთარიც არის და გაზაფხულიც ერთად, თოვლიანი გაზაფხული და ამის გამო თავებრუ გეხვევა. და ბედნიერი ხარ, ალბათ, შეშლილები არიან ასეთი ბედნიერები. თქვენ საიდან ხართ, თბილისიდან?

— დიახ.

— ისიც ლამაზია?

— ჩემთვის ძალიან ლამაზია.

— აქედან უსათუოდ თბილისში წავალ. ჭრჭვრობით კი არსად არ მინდა წასვლა, თითქოს მოჭადლოებულ ქვეყანაში მოვხვდი. ყველაფერი მოჭადლოებულაა აქ, მთებიც, ცაც, თოვლიც კი. თოვლის მერე რა მინახავს, ვიყინებოდი ხოლმე... აქ კი მიხარია!

— მეც პირველად ვარ ბაკურიანში!

— მიხარია, — გაიმეორა ინგამ, — მიხარია!

რეზომ თვალი შეასწრო, მათა ისევ გამოვიდა აივანზე და მამინვე შებრუნდა. აქეთ თითქოს არც კი გამოუხედავს.

„მათა! აქ ყველაფერი მოჭადლოებულია და ჩვენ მოჭადლოებულ ქვეყანაში მოვხვდით. მინდა ყველაფერი დავივიწყო. ხმა ამოიღე, მათა!“

ინგამ ქული მოიხადა, თავი გაიქნია და თმა გაიშალა:

— დამცხა, — თქვა მან ღიმილით, მერე ჰკითხა, — თქვენ ისადილეთ?

— დიახ.

— მე კი მშობი, — თქვა ინგამ, — წავალ ვისადილებ, თორემ მერე აღარ მომცემენ კერძს, დავაგვიანებ. ნახვამდის.

ინგა წავიდა, სანამ სასადილოში შევიდოდა, მოტრიალდა და რეზოს დაუძახა:

— საღამოს კინოში ხომ მოხვალ?

— უსათუოდ!

ინგამ ხელი დაუქნია და სასადილოში შევიდა.

მზე უცებ მიიმალა ღრუბლებში. თითქოს ჩამოხნულდა კიდევ. აცივდა. რეზოს შინ შესვლა არ უნდოდა. გული უგრძნობდა, რომ მათა გამოვიდოდა.

ცოტა დაშორებით, ფერდობზე, სამი ფიჭვი იდგა. მათ ახლოს გაჩერდა. მათა თუ გამოვიდოდა, აქ თავისუფლად შეეძლო მასთან ლაპარაკი, ხეებს მოთარებულებს ვერ დაინახავდნენ.

კარგა ხანს იდგა. ორი ცალი სიგარეტი ზედხედ მოსწია. დაინახა, ინგა როგორ გამოვიდა სასადილოდან, ტრანზის-

ტორი ჩართული მოჰქონდა. თოვლის
კაცის ახლოს შეჩერდა ცოტა ხანს, მე-
რე სახლში შევიდა.

რეზოს ერთ ადგილზე დგომისგან ფე-
ხები მოეყინა. აქეთ-იქით სიარული და-
იწყო, ფიქვების გასწვრივ, თითქოს პა-
ტარა ოთახში იყო და კედლები არ უშ-
ვებდნენ. მერე აღმინისტრატორმა ნი-
კომ ჩამოიარა, სქელი სვიტრი ჩაცევა.

— რა იყო, — უთხრა რეზოს, —
ჩვენთან რომ არ სადილობ. არ მოგწონს
ჩვენი კერძები თუ?

— როგორ არ მომწონს.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, — უთხ-
რა ნიკომ და წავიდა.

ამ დროს მაია დაინახა. თავჩაღუნუ-
ლი, აჩქარებული ნაბიჯით კლუბისკენ
მიდიოდა.

— მაია! — დაუძახა ჩუმად რეზომ.

მაია შეჩერდა. ცოტა ხანს ერთ ად-
გილას იდგა, მერე უცებ მოტრიალდა
და პირდაპირ ფიქვებისკენ წამოვიდა.

— რა იყო? — შორიანხლოს გაჩერდა
და რეზოს შეაცქერდა.

— რა უნდა ყოფილიყო? არაფერი.

— რატომ დამიძახე?

— ისე.

— აჰა, ისე! — მაიამ წასვლა დააპირა.

— დაიცადე!

— რატომ? სათქმელი არაფერი გაქვს.
ან რა უნდა მითხრა...

— ყველაფერი ნათელია, — დაასწრო
რეზომ მაიას.

— დამცინი კიდეც?

— ჩემი დასაცინი არაფერი გჭირს!

— მართალი ხარ. შენ რომ გული
გქონდეს, კიდე გეტყოდი რამეს, მაგ-
რამ არა გაქვს გული!

— გული მე მარჯვენა მხარეს მაქვს!

— რა-ა?

— თემური ვინ არის, ძია თემური?

— რა შენი საქმეა! — უპასუხა მაიამ
სწრაფად, თითქოს დაუფიქრებლად,
რადგან ეს რომ თქვა, შეკრთომა მერე
შეეტყო, ზურგი შეაქცია და ცოტა ხნის
მერე ჰკითხა, — თემური?

— რა ჩემი საქმეა! — თქვა ახლა რე-
ზომ.

— ნაცნობია, — დაიწყო მაიამ, —
ძალიან კარგი ბიჭია, — მოულოდნელად
გაბრაზდა, რეზოს მოუტრიალდა, — რა-
ტომ გეტუნები ამას?

— არ ვიცი, — უპასუხა რეზომ, დაი-
ხარა, ორივე ხელით თოვლი აიღო და
გუნდა გააკეთა, — არ ვიცი, — გაიმეორა.

— შენისთანა უღარდელი კაცი ჯერ
არ მინახავს, — უთხრა მაიამ და გუნდა
გამოართვა, თითქოს მისი გულისთვის
გაეკეთებინოს რეზოს.

— რა მაქვს საღარდებელი, — თქვა
რეზომ, — ცხოვრება ავიწყვე, ჩემს
ცოლ-შვილს სხვები ასეირნებენ მანქა-
ნით, არც დრო მეკარგება, არც არაფე-
რი...

— სად გყავს შენ ცოლ-შვილი! —
უყვირა მაიამ და გუნდა მოისროლა.

— უცებ ტირილი დაიწყო.

— გაჩუმდი! — გაუწყრა რეზო.

მაიამ ხელისუბრავით ცრემლი მოიწ-
მინდა და ძალიან ჩუმად, ნაწყვეტ-ნაწყ-
ვეტად, ძლივს გასაგონად თქვა:

— რა ვიცოდი... რა ვიცოდი... თუ
ისევ გიყვარდი...

— ვინ ვითხრა, რომ მიყვარდი?

— თუ არ გიყვარდი, მითუმეტეს! —
თითქოს ნიშნისმოგებით მიახალა მაიამ.

— წადი, — უთხრა რეზომ, — მომ-
შორდი!

— რეზო! — მაია ახლოს მივიდა.

— მომშორდი-მეთქი!

მაიას სახე შეეცვალა. ჯერ გაკვირვე-
ბულმა უყურა კარგა ხანს, მერე ნელ-
ნელა გაელიმა, უღარდელი იერი მიიღო:

— კარგი, წავალ!

რეზო ბანაკისკენ წამოვიდა. სასტუმ-
როში შევიდა და მარცხნივ დიდი ოთა-
ხის კარი შეაღო. იქ პინგ-პონგს თამა-
შობდნენ. კუთხეში პიანინო იდგა, პია-
ნინოზე ვიღაც უცნობი ბიჭი უკრავდა.
ოთახში ბევრი ხალხი ირეოდა. რეზო
თითქმის არავის იცნობდა, სოსოს გარ-
და, რომელიც მსუქან, თმაგაწეწილ გო-
გოს პინგ-პონგს ეთამაშებოდა.

თამაზ ბილაძე

თითრი კვახლი

რეზო სკამზე ჩამოჯდა. სოსომ რაკეტა დაუქანია. მსუქანი გოგო იცინოდა, სოსოს მიერ ეშმაკურად მოწოდებულ ბურთს ვერ წვდებოდა, ამიტომ მაგიდაზე გადმოემხოზოდა ხოლმე და სავსე მკერდი ყელთან ამოებურთებოდა, ბალიშით.

რეზოს გვერდით შუახნის ქალი იჯდა. მსუქანი გოგო ბურთს რომ ვერ მიწვდებოდა, ქალი რეზოს გადმოხედავდა და თავს გააქნევდა ხოლმე.

მილიციელი ბეგო ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარიყო და დანით ჩხირს თლიდა. მერე პიანინოსთან გოგო-ბიჭები შეგროვდნენ და სიმღერა დაიწყეს. შუახნის ქალიც წამოდგა, ხალხი გასწი-გამოსწია და დამკვრელის გვერდით გაჩერდა, ცოტა ხანს ჩუმად იდგა, ორივე ხელი მუცელზე ეწყო გადაჯვარდინებული, მერე იმანაც დაიწყო სიმღერა, კრიალა, სასიამოვნო ხმით.

„ახალი დამსვენებლები ჩამოსულან...“

ოთახში ვიღაც ბიჭი შემოვიდა. კართან გაჩერდა. ახალთახალი, მძიმე, უზარმაზარი, მთასვლელის წაღები ეცვა. ეტყობოდა, გამოუცდელი იყო და ამის გამო იტანჯებოდა. ხვალ უთენია ეს ბიჭი მალაზნიაში ჩავიდოდა და ძალიან მსუბუქ, თუნდაც ტილოს, ფეხსაცმელს იყიდდა.

ბიჭმა ოთახს მოავლო თვალი. ალბათ, ჩამოსაჯდომ ადგილს ეძებდა, ფეხები რომ როგორმე დაესვენებინა. მსუქანმა გოგომ თამაში დაამთავრა თუ არა, იმ

ბიჭთან მიიბრინა. ბიჭმა თავზე ხელი გვდაუსვა ნაწამები კაცის სევდიანი ღიმილით. გოგონამ რაღაც უთხრა და სოსოზე მიუთითა, ბიჭმა ისევ გაიღიმა, ეტყობოდა, ყოველი გაღიმება ტანჯვის ფასად უჯდებოდა.

რეზო ბეგოსთან მივიდა:

— როგორ არის საქმე?

— არა უშავს.

რეზომ იცოდა, ბეგო ახლა დაძაბული რომ იყო, რადგან ისევე, როგორც ყოველ თამაშს, პინგ-პონგსაც ეჭვის თვალით უყურებდა.

რეზომ ცოტა ხანს კიდევ იტრიალა ხალხით გაქვიდილ ოთახში, მერე გარეთ გამოვიდა.

ბნელოდა. გულუხვად ბარდნიდა. შუადღისას ატალახებული გზა ახლა ერთიანად მოყინულიყო. ზედ მსხვილი, მშრალი ფიფქი ეფინებოდა.

მეორე დღით რეზო უკვე მატარებელში იჯდა. ვაგონი გატენილი იყო. კუბეში მოსკოველი პროფესორი შემოვიდა. ადრევე დაეკავებინა ადგილი, სკამზე ჩანთა დაედო.

მატარებელი რომ დაიძრა, პროფესორმა ოქროსჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცით გაწმინდა მინები, ისევ გაიკეთა და კუბეს თვალი მოავლო, მერე რეზოს ჰკითხა:

— თქვენ პრეფერანსს ხომ არ თამაშობთ!?

— სამწუხაროდ, არა, — უპასუხა ღიმილით რეზომ.



სვანური პოეზია

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ წლევულს გამოსცემს დავით წერედიანის მიერ დამუშავებულ სვანურ ხალხურ ლექსებს. ლექსებში კარგადაა დაცული ის რიტ-მულ-ინტონაციური თავისებურებანი, უაღრესად მკვეთრი ორიგინალურობით აღბეჭდილ სვანურ პოეზიას რომ ახასიათებს.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი ინტერესით გაეცნობა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

როსტომ ჭაბუკი

როსტომ ჭაბუკს,
როსტომ ჭაბუკს
ლამის ჩრდილი
მხრებზე აწევს,
შეპყრობილი,
გაყიდული,
აფხაზეთში
დაკარგული
ზანეთიდან
წამოსულა,

თეთრი ჯორით
მთებზე მოდის.
გადმოვიდა
ატკვერ-მთაზე,
გადმოსხდა
ზემო სვანეთს:
ცაში მთვარე
თეთრად იდგა,
მაღალ მთებზე
თოვლი იღო.

დ ე რ ე *

ეს რა დიდი ცოდვა-ბრალი
დატრიალდა სულთა შაბათს,
ჩაჭედილი მოსკდა დერე,
კბოდევები ჩამოამხო,
ქვას და ყინულს მოაქანებს,
თავდაღმართზე გრგვინვით მოდის.

დიდხანს ვიყავ ჩაჭედილი
მთების ესში, — ამბობს დერე, —
ყველა ზღუდე გავარღვიე,
შავი ზღვისკენ პირი ვქენი,

მეზრიერზე მოვბრძანდები,
მაღალ საჯარს კალთებს ვატრი,
ყინულების მძიმე კვევებს
ვატრიალებ თითებშუა.

იალალზე საჯარს ქვემოთ
მწყემსი ბიჭი ჯოგსა წყესდა.
დამინახა, შეეშინდა,
გარიდება გვიან სცადა.
— სად გარბიხარ, კარგო ბიჭო,
კარგო ბიჭო, მწყემსო ბიჭო,

* მყინვარი, გლეტჩერი.

ჯოჯიანად გაგიტაცებ,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.
ბავარს ქვემოთ მოვბრძანდები,
ჩემი გრგვინვა მთებში გადის.
გზაზე წისქვილს გადავაწყვიდი,
ბეჭაილა ხორბალს ფქვავდა,
მხარი გაგვარ, გავიტანე,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.

ლაღვიმი რომ ჩავიარე,
შემომესმა ზარის რეკვა,
ლამარიას* საყდრის კარებს
მივდგომოდი უცაბედად.
საყდარს გვერდი ავუარე,
ლამარიას რიდი მქონდა.

ნარშვიერს რომ მოვადექი,
ქალი ვინმე შემხვდა გზაზე,
ბეჭედი და სამაჯური
შემომწირა ქალმა მსხვერპლად.
შინ მშვიდობით გავიტყუმრე,
შევავედრე ლამარიას.

ჟიბიანზე მოვბრძანდები,
მახვედრებენ ცრემლს და კვიცლს,
ჩიბიანზე მოვბრძანდები,
მახვედრებენ სავეს ტაბაკს.

ნაგვაშერზე ჩამივლია,
ნაგვაშერი დაღმა მიმაქვს.
შისხაილა კარებს კეტავს,
არ ეამა სტუმრის მოსვლა.
— შისხაილავ, შენი კოშვი,
ყველა ქვეყნის კოშკსა სჯობდა,
შისხაილავ, შენი ნანულ
ყველა ქვეყნის ნანულს სჯობდა,
აგყრით დედაბუდიანად,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.

ნაკრიერზე მოვბრძანდები,
ნაკრიერი დაღმა მიმაქვს,
ერთ ნაპირზე მაყვალს ესხა,
მეორეზე მოცხარს ესხა.
მაყვლიანში სამი გოგო,
სამი დაი კისკისებდა.
— რას დამცინით, კარგო დებო,
კარგო დებო, თეთრო დებო,
აუღებები და მოგიტაცებთ,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.“

მთებში წლობით ჩაჭვდილი
დერე მოსკდა სულთა შაბათს,
შავი ზღვისკენ გრგვინვით მიდის,
პატრონისთვის ძღვენი მიაქვს.

ლახამულელ დედაბრისას...

ლახამულელ დედაბრისას
სტუმრად ვიყავ ამასწინათ.

წმინდა პური ცალკე დადო,
ქერის პური ცალკე დადო,
ცალკე ჯამში ხორცი დადო,
ცალკე ჯამში ძვლები დადო,
ერთ საწოლზე — საბან-ლები,
მეორეზე ჯვალო დადო.

მე მგონია კარგად იცის,
მასპინძლობა როგორ უნდა,
ქერს თავისთვის გადაიდებს,
წმინდა პური ჩემთვის უნდა,

ძვლებს თავისთვის გადაიდებს,
კარგი კერძი ჩემთვის უნდა,
ჯვალოებზე ის დაწვება,
საბან-ლები ჩემთვის უნდა.

თურმე ქერი ჩემთვის უნდა,
წმინდა პური მისი არი,
თურმე ძვლები ჩემთვის უნდა,
კარგი კერძი მისი არი,
ჯვალოები ჩემთვის უნდა,
საბან-ლები მისი არი.

ლახამულელ დედაბრისას
ალარ მივალ ამის მეტად.

* ღვთისმშობელი.



ღრუბლის შესალოცი

ღრუბელი ხარ საავდრო,
 თეთრი ნისლი კი არა!
 ხულდუ-ბულდუ, ხანგრის ფხა,
 ზეთი, ზეთი კრიალა,
 ჭოლაშთან რომ ხიდია,
 შენი სიძე ჰკიდია,
 გასაყიდად მინდოდა,
 ველარ გამიყიდა.

ლეგა-ლეგა ღრუბლები
 მიდიან და მიდიან.
 — ჩქარა წადი, ღრუბელო,
 ველზე ჩრდილებს ნუ ფენო.
 — ჩქარა როგორ წაივდი,
 ეკლები მჩხვლეტს ძეძვისო,
 ფეხშიშველა დადევარ,
 ფეხისგული მეწვისო.

ბილგვა

ამბავი არის გასაკვირველი,
 დიდი ხეები უვლიან ფერხულს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 ტიანჭველები აგებენ ციხეს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 დასეირნობენ თევზები მინდვრად.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 ზურგზე უნაგირს ადგამენ ძროხებს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 მაღალ ხეებზე შემსხდარან მწყრები.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 ყარაულობენ კატები ერბოს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 მეცხვარეებად დამდგარან მგლები.

ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 თხას მისდგომია მატყლისთვის ცხვარი.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 ეჭიდებიან თავგები დათვებს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 ჩიტო-ჩიორა იტაცებს ორბებს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 მდინარე აღმა მიედინება,
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 მზე დასავლეთით ამოდის ცაზე.
 ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
 უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.

თამბი

— საით მიდიხარ, თეთრო თამბი?
 — მთაში მივდივარ სანადიროდ.
 — არ გაგიგია, თეთრო თამბი,
 მთაში თურმე ვეფხი ყოფილა,
 წასულან შენი ძმოზილები,
 მძიმე ძილით დაუძინიათ.
 ნუ წახვალ მთაში, თეთრო თამბი,
 შინ გიჯობს, ვაჟო, დაბრუნება.

არ დაიშალა თეთრმა თამბიმ,
 შიში გულში არ გაიტარა.
 — მაშინ რად მინდა ჩემი მშვილდი,
 ჩემი მშვილდი ძნელმოსახარი,
 ან ჩემი ხმალი — ჯავარდენი —
 გაჭედილი ახალმთვარობას.

ლაშხრამ-მთაზე, მზის დასავალთან,
 თამბი და ვეფხი შეიყარნენ,
 მაღალია ვეფხის კამარა, —
 მჭრელია თამბის ჯავარდენი, —
 ლაშხრამ-მთაზე, მზის დასავალთან,
 თამბი და ვეფხი შეიყარნენ...

ტორი ჩამოჰკრა ზოლიანმა,
 ჯაჭუ-აბჯარი ჩამოახია.
 — ტანი რად მინდა მოხატული,
 თუკი ნახტომი ამიცდება!

მაშინ გახელდა თეთრი თამბი,
 ხმალი დაჰკრა, მძიმედ დადრიაკა,

ვეფხის ზმორება სასიკვდილო
მდინარეს ჰგავდა ადიდებულს...

— ფიცხი ყოფილხარ, ზოლიანო,
მოყმე ყოფილხარ უშიშარი,
მე ავთვალდი რისთვის მეგონე,
მოხატული ტანი გქონია,
ეკლიანი რისთვის მეგონე,
ატლასივით ბეწვი გქონია,
მოუქნელი რისთვის მეგონე,
ელვასავით ტორი გქონია.

ნეტავი შენ არ მომეკალი,
მამაჩემი შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ალალი ძმა შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ღვიძლი შეილი შემომკვდომოდა.

ნეტავი შენ არ მომეკალი,
თავი მომეკლა — და — ტიალი.

ბარბოლ დოლაში*

შეგვეწიე, ბარბოლ დოლაშ,
სამსხვერპლოზე ძღვენი გვიდეგს,
ხილვა გვინდა შენი სახის,
შენი ტვირთის ზიდვა გვინდა.
წვეთავს იმის სავესე ძუძუ,
თეთრად რჩება ირმის კვალი,
კლდეებიდან გადმოადენ
რძის და თაფლის უშრეტ სარაგს.
მზე შემოაქვთ რქებით ხარებს,
მზე შენია, ბარბოლ დოლაშ.

მობრძანდები, ბარბოლ დოლაშ,
შენი მადლი ადგას სვანეთს,
ლაშხრაშიდან მობრძანდები,

მობრძანდები ლამსყალდს ზემოთ,
ვაჭებსა და ქალებს ირჩევ
შენი წმინდა ტაბლის მცხოზლად.

ჯიპიერში მობრძანდები,
გზაზე მწვანე ტოტებს გიყრით,
სუნი ასდის სარაჯ-თაფლის
ლამარიას დადგმულ ტაბაკს.

შეგვეწიე, ბარბოლ დოლაშ,
სამსხვერპლოზე ძღვენი გვიდეგს,
შენს სალოცავ წმინდა ქვევრში
რა ამოლევს წმიდა ზედაშს.

კასლედილი

ვის უნახავს კასლედილი,
მამაჩემის სამოსახლო!
კლდეზე თეთრი ციხე უდგას,
მთიდან მთამდე ნათელს აფენს.
თვალუწვდენელ მამულს მისას
ჯიხვი ხნავს და არჩევი თესავს,
ფურ-ირმები ყანას მკიან,
ხარ-ირმები კალოს ლეწენ.
დილით აპყრის თავის ნახირს,
იფნის შოლტით მისდევს უკან,
გადაიყვანს უთურ-მთაზე,
ვეძას ასმევს უთურ-მთისა.

იალაღზე რემას გაშლის,
იალაღზე შხარის ახლო.

ერთადერთი ქალი ვყავარ,
როგორ გითხრათ თავის ქება:
ცისკრის თეთრი ვარსკვლავი ვარ,
კასლედილის ცაზე ვბრწყინავ.
კასლედილში რისთვის ვიკდე,
კასლედილში მე რა მინდა,
შევიკავამაგ მამის საღარს,
ტანთ ჩავიცვამ ქარის სამოსს,
გადავიყრი გიშრის დალალს,
მღვრიე გზებზე გავიგეღვებ.

* წმიდა ბარბაღე.

სამი ქედი გამივლია,
 გამიხედავს ბეჭობიდან:
 მდინარესთან, საყდრის იქით,
 ფერხული აქვთ ველზე ქალებს,
 ჩამიწვიეს, ჩავეწვიე,
 მათთან ერთად წრეში ჩავდექ.
 სიმღერები ასე ტკბილი
 არ მსმენოდა არასოდეს.

— ქალი ხარ და — თოვა თოვლის,
 ქალი ხარ და — ზართა რეკვა,
 რად დასტოვე მამის სახლი,
 ჩვენს მხარეში რისთვის მოხველ?
 — დობილებო, საქმროს ვეძებ,
 ტანად ალვას, პირად მთვარეს,

სამი დიდი ლაშქრის სარდალს,
 სამი დიდი ციხის პატრონს.
 ტანთ აბჯარი უნდა ეცვას,
 ხმალი ერთყვას — ბასრას რკინა,
 თავს ესუროს მუზარადი,
 ქვიშისფერი ცხენი ჰყავდეს;
 რომ მოდგება უხვან-მთაზე,
 უნდა მძიმედ იძრას მიწა.
 — აქ ასეთი არვინ არი,
 ამაოა შენი გარჯა.
 — არ არი და ნუმც ყოფილა,
 გათხოვება სულ არ მინდა,
 კასლედილში ციხე მიღვას,
 მთიდან მთამდე ნათელს აფენს.

თამარ დედოფალი

თამარ მეფევე, თამარე,
 სად ყოფილხარ თამარე?
 ვის ეომე, ვინ დარისხე,
 ვინ დაამხე, თამარე?

მტერი დაგიმარცხებია,
 დავლით მოხვალ, თამარე,
 სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ,
 ძლევეთ მოხვალ, თამარე.



სახლი ზღვის პირას

დასასრული

მოქმედება მორა

იგივე ოთახი. დახურული დარაბებიდან განთიადის შუქი ატანს. სანთელი ბეუტავს, საცაა ჩაქრება.

შემოდის კატარინა და დარაბებს ადებს. ოთახში განთიადის უღიმღამო სინათლე შემოიჭრება. ახლად შეამჩნევს კატარინა მძინარე გოტჰოლდს.

კატარინა —

თქვენ აქ რა გინდათ?..

გოტჰოლდი —

(იღვიძებს) გათენდა უკვე?

აქ როგორ გაეჩნდი?.. აქ რადა მძინავს!

(მიმოიხედავს და უცებ წამოიჭრება)

ო, ღმერთო ჩემო, მითხარი ერთი,

თომასი სახლში არის თუ არა?

კატარინა —

(ორჭოფულად)

არ ვიცი. წუხელ ერთად ისხედით,

ან მე საიდან უნდა ვიცოდე,

როცა მეძინა?

გოტჰოლდი —

ვხედავ, თვალები

დაგწითლებია, არ გძინებია,

ნეტა რას ცრუობ?! კმარა სიცრუე!

სიცრუემ მოსპო ჩემი ოჯახი.

კატარინა —

მიანც არ იშლით?.. რა დაგიშავებ?

(კუშტად)

მე დამნაშავე არა ვარ, გესმით?

გუშინ, რაც მოხდა, არა ვიცი რა.

გოტჰოლდი —

რატომ სტყუიხარ?

(თითქოს აფიცებს)

დამიგდე ყური!

როცა თომასი შინ დაბრუნდება,

შენ ჩაუვარდი ფეხებში მყისვე

და პატიება სთხოვე მეუღლეს.

კატარინა —

(მკვახედ)

რა პატიება? რა შევეხვეწო?

ისევ მოახლე ხომ არ გგონივართ,
რომელიც ერთხელ თქვენ შეიკედლეთ?
ჰო, მაშინ მართლაც მოახლე ვიყავ,
მაგრამ იცოდეთ, ეს ყველაფერი
წარსულს ჩაბარდა. წავიდა ის დრო.
მე მის წინაშე არ შემოიკოდავს
და როგორც ცოლი, სპეტაკი ვიყავ.
მაგრამ წარსული? შენი წარსული?
(მკვახედ)

გოტჰოლდი —
კატარინა —

ის წარსული კი ხომ სხვისა იყო,
იმ სხვას არ ვიცნობ, არც მოგცემთ ნებას,
რომ მომავალს და გამახსენოთ.

(კატარინა წელში გაიმართება და ჯიუტი, თითქმის უტიფარი სახით დაუღ-
გება წინ. სიბრაზე ეუფლება. სიძულვილით განაგრძობს).

ჰო, მართალია, რომ ამ ჩემს სხეულს
ბევრი რამ ავი გადახდენია
და გამოცდილი მაქვს ყველაფერი.
დაუნდობელმა წუთისოფელმა
უფსკრულში უღვთოდ გადამისროლა,
კარდაკარ ბევრი მაწოწიალა,
ერთ ლოგინს სცვლიდა ხშირად მეორე!
მოსაგონრადაც საშინელია!
ღმერთო! ქუჩაში წანწალი მარად,
მუდამ შიმშილი და გაჭირვება,
არც სამუშაო და არც იმედი
პურის ნატეხის მოპოვებისა!..
მაგრამ რას იზამ? სული მწარეა —
და რაკი სხვა გზა არ დაგრჩენია,
რაკი საშველი არ არის ქვეყნად,
შენც, უბედური, სხეულით ვაჭრობ!..
ახლა კი, როცა ბედი მეწვია,
ერთბაშად სახლი, კერა, ოჯახი
და საყვარელი კაცი გამიჩნდა,
ავდგე და დაეთმო ეს ყველაფერი?
არასდროს, არა!

გოტჰოლდი —

(განრისხებული)
შე, მაწანწალავ!

კატარინა —

(დაცინვით, ამაყად)
წარსულში? დიახ!

გოტჰოლდი —

ისევ გახდები!
ქუჩიდან მოხველ, ქუჩაში წახვალ!

კატარინა —

(დაცინვით)
შენა გგონია?

გოტჰოლდი —

ამასაც ვნახავ.

(კატარინა წელში გამართული მიდის კარისაკენ. იქ ისევ შემოტრიალდება)

და გოტპოლდს დინჯად, უპირატესობის გრძნობით მიაჩერდება, მერე ცივად ეუბნება, თითქოს თავისთავად იგულისხმავო.

კატარინა — მაგრამ ის ბავშვი? იქცეს მათხოვრად და მაწანწალად?

გოტპოლდი — (თითქოს მეხი დაეცაო, შეშინებულია)
რომელი ბავშვი?

კატარინა — ჩემი და მისი ალალი შვილი,
რომელიც ღმერთმა გამოგვიგზავნა.

გოტპოლდი — (დაბნეული)
შვილი...ა...ბავშვი?..

კატარინა — თომასმა იცის?
ქვეყნად ჩვენს გარდა არავინ იცის...

გოტპოლდი — (თავს ძალას ატანს)
ახლა რას იტყვით, ავდგე, წავიდე?
დავტოვო ქმარი, დავტოვო კერა?

გოტპოლდი — (სიხარულით აფორიაქებული)
შვილიო, განა?! დიდება უფალს!
მწამს, ყოველივე კარგად იქნება...
ბავშვი თქვენ უმალ შეგაკავშირებთ
(დაყვავებით)

და ჩვენც... მე და შენ. გულმშვიდად იყავ,
ღმერთი იქნება შენი მოწყალე.
შვილი! რამდენი წელიწადია
ამ სახლში არვის გაუცინია.
(დაყვავებით)

კატარინა — რას ამბობ? ქუჩა როგორ გახდება
ჩემი თომასის შვილის აკვანი!
იმისი ბინა ამ ძველ სახლშია,
აქ არის, გაძლეე ამის პირობას.

კატარინა — (ნახევრად ღია კარებში გაიხედავს და ოდნავ შეცბება)
ეგერ, თომას!

გოტპოლდი — (თავს სძლია)
შენ ახლა წადი და დამიცადე.
ისეა იგი გაცეცხლებული,
რომ არ ინდომებს შენთან ლაპარაკს.
წადი. მე თვითონ ვეტყვი რალაცას.

(კატარინა ყოყმანით გადის. გოტპოლდი კართან მიდის. კარს ხურავს და დამაბული იცდის. გაშლილი ხელები უკანკალავს. ისმის თომასის მძიმე ნაბიჯების ხმა. კარს ხელსა ჰკრავს და შემოადგებს. მთვარეულივით შემოდის. ტანისამოსაჩაჩული, თმაგაბურძღნილი. ისეა გავიწყებული, რომ, ეტყობა, გოტპოლდს ვერ ამჩნევს).

გოტპოლდი — შენა ხარ, თომას!
(თომასი შემოტრიალდება და უაზროდ მიაშტერდება)

გოტპოლდი — (შეშინებული)

თომასი — სად იყავ, თომას?
(მოწყვეტილი ეშვება სკამზე)

გოტპოლდი — ღვინო მომეცი.
(შეშფოთებული)

გოტპოლდი — საიდან მოხველ?

თომასი —

(ძლივს ამბობს)
საიდან მოველ? თვითონ არ ვიცი...
საიდან მოველ? (თავისთვის) ქარმა წამიღო,
მაპროწიალა, ვით დაღეწილი
ძველი ზომალდის რაღაც ნამსხვრევი.
ქუდი მომტაცა, ქოჩორში მომწვდა
და ღრიალებდა თვალწინ ქაჯივით.
მაგრამ აქ (მკერდზე უჩვენებს) ქარზე უფრო ძლიერად
ჰკიოდა რაღაც და ხარხარებდა.

გოტჰოლდი —
თომასი —

ძე კი მივრბოდი გაგიყებულო,
მაგრამ ის მღევდა და ხარხარებდა,
თავს დამკიოდა ნიშნის მოგებით!
ვიდრე მე თვითონ ძირს არ დავეცი
და ნადირივით არ ავღრიალდი...
რატომ არ მოვეკვი. რად ვარ ცოცხალი!
თავს ნუ იტანჯავ. ეგ არ გიშველის.
(საოცარი აღგზნებით)

გოტჰოლდი —
თომასი —

მაშ, რა მიშველის? მითხარი, მიხსენ!
ეს დამსხვრეული ჩემი სიცოცხლე
შეაკოწიწე და გამიმთელე!
მინდა სიცრუე სიმართლედ იქცეს,
და სიამაყედ — თავლაფისდასხმა,
ეს კახბა გოგო — წესიერ ცოლად!
ჰო, დამიხსენი! რატომ არ მშველი?!
დრო, დრო იქნება შენი მშველელი.

გოტჰოლდი —
თომასი —

ეს ცარიელი სიტყვაა მხოლოდ.
იქნებ იმ ღმერთმა, ვინც დაივიწყე,
კვლავ აგიხდინოს შენი ოცნება!
მე სხვა ოცნება არ დამრჩენია—
სიკვდილი მინდა, სიკვდილს ვოცნებობ.

გოტჰოლდი —
თომასი —

მისმინე, თომას...
დამეხსენ, ერთი!

გოტჰოლდი —
თომასი —

დამიგდე ყური. შენს კატარინას...
(უყვირის) არ გამაგონო მისი სახელი!
მე გულს მიშანთავს მისი ხსენება.

გოტჰოლდი —
თომასი —

მისმინე, ბიჭო!
არ გამაგონო!

(უეცრად კარს იქით ხმაური გაისმის. ორივე შეკრთება. დიდი შემოსავალი
კარი ფართოდ იღება. ოთახში გაგიყებული მეზღვაური შემოვარდება. ჯარისკაც-
ები ჩაფრენიან ხელეში. მეზღვაური ამაოდ ცდილობს მათ მოცილებას. უკან
გზირი შემოჰყვებათ).

მეზღვაური —

(ჯარისკაცებს ეურჩება)
ხელი გამიშვით! რა გინდათ ჩემგან?
ნეტავ ვიცოდე, რას მეხუმრებთ?!
მაგრად დაიჭით! კმარა, ყმაწვილო,
გვიანდა გახლავს, ვერ გაგვექვევი.

გზირი —

მეზღვაური — გამიშვით-მეთქი! თქვენ გეუბნებით!
თავისუფალი მოქალაქე ვარ!

(მიუბრუნდება თომასსა და გოტჰოლდს, რომლებიც შეშინებული უცქე-
რიან).

ხალხი არა ხართ?! მოდით, მიშველეთ!
ღვთის გულისათვის! ხომ ხედავთ, როგორ
ეშმაკებით ჩამვიღებთან!

გოტჰოლდი — (მიუახლოვდება)
რას ერჩით ამ კაცს?

გზირი — ჯარისკაცია...

მეზღვაური — (აწყვეტინებს)
სტყუი, შე ძაღო! თავიდან მომწყდით!
თავისუფალი მოქალაქე ვარ!
ხალხი არა ხართ, მომეშველენით!

(თომასი გაიწევს. სურს ჩაერიოს. შემოდის ოფიცერი).

ოფიცერი — რა ამბავია?

გზირი — ამ ვაჟბატონმა

ჯერ მოხალისედ წასვლა ისურვა,
ახლა კი არ სურს... არ იცვამს მუნღირს.
მეზღვაური — ტყუის... მე ცოლ-შვილს ვერ მივატოვებ!
თავისუფალი მოქალაქე ვარ
და მხოლოდ თავადს ვემორჩილები.
გაფიცვით ღმერთსა და იმ სამართალს,
რაც მას ამ ქვეყნად დაუდგენია,
რომ არაფერში მიმიძღვის ბრალი...
რას ჩამაცვიდნენ, ჩემო ბატონო,
უბრძანე ერთი, რომ ჩამომეხსნან,
რა დავაშავე, რას მემართლებით?

ოფიცერი — (აწყვეტინებს)

მაშ, დაითანხმეთ?

გზირი — დიახ.

მეზღვაური — მიჰქარავ, შე, არამზადავ!

ოფიცერი — ჩაწერის წესი ხომ დაიცავით?

გზირი — ხელი ხელს დაჰკრა. ფულიც აიღო!

მეზღვაური — არ ამიღია!

ოფიცერი — მოწმე გყავთ ვინმე?

გზირი — აბა, სერჟანტო, შენ მოახსენე.

სერჟანტი — (წინ წამოდგება)

აქვე ვისხედით, ვსვამდით, ვილხენდით...

და ამ ყმაწვილმა დიდი სურვილი
გამოთქვა ჩვენთან გამგზავრებისა...

ოფიცერი — (მეზღვაურს)

შენ რაღას იტყვი?

მეზღვაური — (სერჟანტის ნაიპობს სასოწარკვეთილი ისმენს)

მე... მე... არ ვიცი...

ღვინოს მასმევდნენ თავგამოდებით,

იციინოდნენ და მეც ვიციინოდი.

ასე მეგონა, ხუმრობა იყო.

- ოფიცერი — აქ სახუმარო არაფერია.
ფული აიღე?
- მეზღვაური — არ ამიღია,
არ ამიღია, თავს გეფიცებით!
- გზირი — რას ბრძანებთ, სამი თვის გასამრჯელოდ
მან ათი ოქრო, ახლად მოჭრილი,
ჯიბეში კოხტად ჩაიჩხრიალა!
- მეზღვაური — ტყუის, მერწმუნეთ, არ ამიღია.
ან სხვისი ფული რაში მჭირდება,
თქვენ მათხოვარი ხომ არ გგონივართ?!
- სერჟანტი — მაშინ, გავჩხრიკოთ.
- მეზღვაური — სიამოვნებით.
(ერთ-ერთი ჯარისკაცი ხელს გაუშვებს. მეზღვაური ჯიბეებს გადმოაბრიალებს. ქისა გადმოუფარდება ძირს. გზირი აიღებს და ყველას დაიანახებს).
ახლა რას იტყვი? ვტყუოდი განა?
- მეზღვაური — (ჯერ დაბნეულია, მერე გაშმაგებული აყვირდება)
ეს ყველაფერი მოგონილია.
მერწმუნეთ, ფული არ ამიღია.
თუ დამეხსნებით, უფრო მეტს მოგცემთ,
რაც დამრჩა სახლის შესყიდვის შემდეგ,
ოღონდაც ერთს გთხოვთ, გემუდარებით,
თავისუფლება შემინარჩუნეთ.
- ოფიცერი — სადაა ამის ხელშეკრულება?
- გზირი — აგერ თითების ანაბეჭდები.
- მეზღვაური — არ დაუჯეროთ, ჩემო ბატონო!
- გოტპოლდი — დაათვრეს, მაშინ გონზე არ იყო.
გთხოვთ, შეიწყალოთ ეგ უბედური.
- ოფიცერი — კანონი ქვეყნად ერთია მხოლოდ,
ჩემი ვალია მას ვემსახურო. (მეზღვაურს)
ღმერთი გწყალობდეს! გაუფრთხილებლად
სიტყვა მოგვეცი, ფული აიღე,
ახლა შეიდი წლით ჯარისკაცი ხარ!
- მეზღვაური — (ყვირის)
რაო, შეიდი წლით? ასე დიდი ხნით?
ეს რა მითხარით! გამიშვით ჩქარა!
- გოტპოლდი — წვრილი ცოლ-შვილის პატრონი არის.
- ოფიცერი — მე კარგად მესმის ეს ყოველივე,
მაგრამ ხომ იცით, ჯარისკაცი ვარ
და მიტომ არ მაქვს განსჯის უფლება,
რაც მევალება, იმას ვასრულებ.
- მეზღვაური — (მივარდება და დაუჩოქებს)
ამას ნუ მიზამთ, ჩემო ბატონო,
გთხოვთ შემიბრალოთ, შემხედეთ კარგად,
ახალგაზრდა ვარ და შემიძლია
ხარივით ვწიო ისევ უღელში,
რომ თავადს ჩემსას საჯარისკაცო

ხარკი ორმაგად გადავუხადო.

ათ წელს ვიშრომებ, ოც წელს ვიშრომებ,
თუნდ ხელზე ტყავი გადამეყვლიფოს,
ოღონდ დამტოვეთ! (წინ იყურება) ოღონდ მიშველეთ,
ჩემი საწყალი წვრილი ცოლ-შვილი
ახლა ამიოდ დამელოდება.

ფული არა აქვთ. შიმშილი ელით,
რით გამოკვებოს ცოლმა შეილები?
ხომ არ ივაჭრებს თავის სხეულით?
და ვინ გამოვა ჩემი გოგონა?
უბედო კახა ნავსადგურისა?
გთხოვთ შეიბრალოთ ისინი მაინც,
თქვენ გვედრებით, ჩემო ბატონო.

გოტპოლდი —

გესმით, რას ამბობს?

ოფიცერი —

(კობებს შეკრავს) არა! არც მინდა,
რომ მოვუსმინო. არ იცით განა,
რომ შეწყალების არ მაქვს უფლება.

(მეზღვური მუხლებზე ეხვევა ოფიცერს. ოფიცერი ზურგს შეაქცევს. არ
უნდა შეამჩნევინოს აღეღებ. სერჟანტს უხმობს).

სერჟანტო, მოდი!

(შემოდის სერჟანტი)

საყვირს ჩაპბერონ,
დაფდაფებს დაპკრან! ამცნეთ რეკრუტებს,
რომ ჟამი დადგა გამგზავრებისა.
გასაგებია?

სერჟანტი —

არის. შესრულდეს!

ოფიცერი —

(გასელის წინ ჩუმად ჩაულაპარაკებს გოტპოლდს, რო-
ზელიც რაღაცის თქმას აპირებს)
თქვენ ნუ გგონიათ, რომ მწუხარებას
ვერა ვხედავდე. მე ვინ რას მკითხავს!

(გადის გვერდით კარიდან თავის ოთახში. წამით ყველანი იცდიან. შემდეგ
გზირი ფეხს წაპკრავს გართხმულ მეზღვურს).

გზირი —

აბა, ადექი! თავს ნუ გვაცოდებ,
მუნდირს ჩაიცვამ და ფიცსაც დადებ.
ცოცხლად! ჰა, ცოცხლად! ნულარ ზოზინებ!

მეზღვური —

ღვთის გულისათვის, საზღში გამიშვით!

გოტპოლდი —

ეჰ, მეგობრებო, ხომ ხედავთ საწყალს...

გზირი —

ხვეწნა-მუდარა ჩემთან არ გასჭრის.

ჰა, წაიყვანეთ!

(ჯარისკაცები ხელს სტაცებენ მეზღვურს. ის გააფთრებით ეწინააღმდეგე-
ბა. ხელებს ასავსავებს).

მეზღვური —

(ისევ იბრძვის)
ხელი გამიშვით, არამზადებო!

(როგორღაც ცალ ხელს გაითავისუფლებს და გზირს სილას გააწნავს).
ესეც შენ!

გზირი —

(უკან დაიხევს გააფთრებით)

ძალღო!

აბა, ბიჭებო, მისცხეთ კონდახი!
(ჯარისკაცები მეზღვაურს კონდახს მოუქნევენ. მეზღვაური შეჰყვირებს).

ჰა, ცეკვაჲ, არა? მოიცა ცოტაც,
ისეთ მუსიკას მოისმენ მალე,
რომ ზურგზე დიდი ბული აგეია.
ახლა რას იტყვი, ჩემო ძვირფასო,
შპიცრუტენები ჯიტობისთვის
სასარგებლოა. (სერჟანტს)

სწრაფად ბორკილი!

(ბორკილს ადებენ)

ფეხებზეც. მაშინ ჰკუაზე მოვა
და ხვალ მტრედით თვინიერს გავხდი,
ჩემი ხელიდან აყენავს საყენეს.

მეზღვაური —

(ებილების ღრჰიალით)

ბორკილი მაღვეს, ხელს ვერ გავარტყამ!

გზირი —

(მეზღვაურს მათრახს გადაუქერს)

ნუ გაბრაზდები, თორემ სიბრაზით

ვაითუ გასკდე, ყმაწვილი კაცი!

აბა წავედით, გამოდგი ფეხი!

გოტჰოლდი —

(ხმამალა)

მეტის მოთმენა არ შემიძლია!

არამზადებო, რას სჩადით, რასა,

ღვთის რისხვის განა არ გეშინიათ?

გზირი —

შენ ვინ რას გკითხავს, ან რას ეჩრები!

(მხარში წაავლებს ხელს მეზღვაურს, რომელიც სხვა ჯარისკაცებს გაცო-
ჰილი ჰყავთ).

აბა, გასწიე! ამ გზას სულ ცეკვით

გავარბენინებ... ჩასცხეთ კონდახი!

(ჯარისკაცი ისე დაარტყამს მეზღვაურს კონდახს, რომ ის ბარბაცით რამდე-
ნიმე ნაზიჯს გადადგამს).

თომასი —

(აქამდე ის მაგიდასთან იდგა და მღელვარების დასაოკებ-
ლად ორივე ხელით ჩასჰიდებოდა დიდი მაგიდის კიდეს.
ახლა წინ წამოდგა. საოცრად დაძაბულია. ხმაზე ეტყობა,
რომ გაშმაგებას იკაუებს).

შეჩერდით! (გზირს)

გესმის! ყური დამიგდე.

(მეზღვაურზე აჩვენებს)

ეს აქ დატოვეთ! და ოფიცერი

მაგ საწყალ ჰაბუკს თვით წამოიყვანს!

შენ კი, ჰოფაკო, ჩქარა გამშორდი!

არ გეყურება?!

(კარზე უთითებს. გზირი უკან იხევს, თუმცა ხელს არ უშვებს მეზღვაურს).

გზირი —

(შემრიგებლური კილოთი)

იცი, ძმობილო...

თომასი —

(მკვახედ)

- ნეტა ვინ არის შენი ძმობილი,
ან მძარცველებთან რა მაქვს საერთო?!
აბა, მოუსვი! ფეხს რაღას ითრევ?!
დროა გავწმინდოთ სახლში ჰაერი.
(გზირი ადგილიდან არ იძვრის)
- თო მას ი — (გულმოსული)
არ მიეთრევი? არ გნებავს წასვლა?
ბიძავ, მათრახი, მომეცი, ერთი.
გავსინჯავ ერთი, ძალმიძს თუ არა
ჩემი სახლიდან გადავისროლო
მურტალი კაცი...
- გზირი — (ბრაზი ახრჩობს)
მიფრთხილდი, თორემ...
- თო მას ი — (ზიზღით)
შენ ვის აშინებ? შე... არამზადავ?
(გაშმაგებული)
ჩქარა მოიტა მათრახი, ბიძავ!
- (გზირი უკან იხევს. დანას იძრობს და თომასს უნდა მივარდეს.)
- თო მას ი — (წელში გაიმართება, მისკენ მიდის)
რაღას უყურებ, დამეცი დანა.
კაცისკვლა შენთვის არაფერია!..
ხომ არ გგონია, რომ შემაშინე?!
(ხელიდან დანას გააგდებინებს)
- გზირი — (თომასის გამოხედვით შეშინებული უკან-უკან იხევს.
დანას აიღებს და მალავს. მერე უხეში სიცილით)
ვიხუმრე. ჩიტი ბღღუნადაც არა ღირს.
- (ხელს რომ გაუშვებენ მეზღვაურს, იგი აბარბაცდება და ისევ ზღართანს
მოადენს იატაკზე).
- თო მას ი — (მეზღვაურს უყურებს)
სული მოითქვი, საბრალო კაცო.
(მოტრიალდება. მკვახედ)
ისევ აქა ხარ? შე არამზადავ?
მოვალეობა ამას მიბრძანებს.
- გზირი — მინდა გავბედო და მოგახსენოთ,
რომ მე ბრძანებას ვემორჩილები
და უოფიცროდ ფეხს ვერ მოვიცვლი!
- თო მას ი — (სწრაფი ნაბიჯებით მიდის კარადასთან, გახსნის, დამბა-
ჩას გამოიღებს. ჩახმახს შეაყენებს. ბრძანების კილოთი)
ვინც ამ მეზღვაურს გარეთ გაიყვანს,
ის უსათუოდ ტყვიას იგემებს!
- გზირი — (წამით თვალს თვალში გაუყრის. მერე პირს მიაბრუ-
ნებს და სულ სხვა ხმით ეუბნება ჯარისკაცს)
ჩანს, გუნებაზე ვერა ბრძანდება!
(თომასს)
მინდა წესდება რომ მოგაგონოთ:
ვინც დეზერტირებს ხელს გაუმართავს,
კანონი დასჯის, ჩემო ბატონო.
(თომასი პასუხის ნაცვლად კარზე უთითებს)

თომასი — თუ ნებას დაგვრთავთ, ჩემო ბატონო,
 კართან დავიციდით, ვუყარაულებთ.
 მე თვითონ შევძლებ გავართვა თავი
 და მეზღვაურზე პასუხი ვაგო.

გზირო — (დაცინვით)
 მშვიდობით. მალე დაგიბრუნდებით.

თომასი — (დამბაჩას მაგიდაზე დააგდებს)
 ო, გულდღედალი არამზადები!
 (გოტჰოლდს)
 რა ექნათ? ამ ჭაბუქს როგორ ვუშველოთ?

გოტჰოლდი — ჯერ მოისვენოს ცოტაოდენი.
 მე გამომყევი. ეს აქ დავტოვოთ.

(ნელა გატრიალდება და თომასთან ერთად გადის. კარს ჩარაზავენ).

მეზღვაური — (კარგა ხანს უმოძრაოდ წევს. მერე ძლივძლივობით წა-
 მოდგება და მიმოიხედავს)
 აღარავინ ჩანს... წასულა ყველა...
 ეს ბორკილები დავლევწო, ერთი!
 (ცდილობს ბორკილების გაგლეჯას)
 ღმერთმა დასწყევლოს! ვერც კი გავლუნე!
 ღმერთო, მიშველე! ნუ გამიმეტებ!
 (ერთბაზად გიჟური სასოწარკვეთით)
 არ მილოცია შენზე, უფალო,
 და არასოდეს მიხსენებია
 გაჭირვების ჟამს შენი სახელი.
 შენთვის არ მითქვამს ერთი მადლობაც.
 უბედობის დროს, დიდ ქარიშხალში,
 როცა შენ სხვები ვიხმობდნენ ლოცვით,
 მე მაშინ მაგრად მეჭირა საჭე,
 მათ დაცინოდი, ვინც შენ ვიხმობდა
 და ქარიშხალში შენს სუნთქვას გრძნობდა.
 შენ შემიწყალე, შენ შემიბრალე,
 თავისუფლება მაჩუქე, ღმერთო,
 ამწყვიტე ხელზე რკინის ბორკილი...
 (ჩუმდება, მერე სასოწარკვეთით)
 არც ღმერთი მისმენს... არ ესმის ჩემი.

(კვლავ უღონოდ ეშვება ძირს. დროდადრო მთელი სხეული უცახცახებს
 ჭვითინისაგან, ისე რომ ბორკილების ნელი ჟღარუნე ისმის. მის უკანასკნელ
 სიტყვებზე უხმაურად შემოდის თომასი. დიდ ხანს დგას კართან. აღღვებული
 დაჰყურებს იატაკზე გართხმულ კაცს. ბოლოს მიდის მასთან და ნელა შეახებს
 ხელს მხარზე).

თომასი — ჩემო ძმობილო... ჩემო ძმობილო...

მეზღვაური — (თავს არ სწევს, იკუნტება)
 ერთი საათით მაინც დამტოვეთ
 აქ, მარტოოდენ ერთი საათით,
 რომ ვიგრძნო მიწა, ის მიწა ვიგრძნო,

რაზედაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს.
 (თომასი ნაბიჯს გადადგამს და მისკენ იხრება)
 მოიცა...

თომასი —
 მეზღვაური —

(ყვირის) არა! (იატაკს ებლაუშება)
 ხელი არ მახლოთ!

თომასი —
 მეზღვაური —

შე საცოდავო, ნუ გეშინია!
 (წამოდგება და უცქერის)
 მადლობა უფალს! ეს შენ ყოფილხარ!
 რა გინდა ჩემგან? რა დაგიშავე?
 რა გინდა-მეთქი?! წადი, მომშორდი!
 ძაღლსაც კი, — როცა სული ეყრება, —
 ხელს არვინ ახლებს!

თომასი —

(უეცრივ შეჩერდება, წაისლუკუნებს, ძირს გაერთხმება და ქვითინებს).

(გულაჩვილებული დასცქერის. ბოლოს ჩუმად ეუბნება)
 ცოლი ხომ გიყვარს?

მეზღვაური —

(გაცოფებული)
 დამცინი კიდევ, შე მართლა ძაღლი!
 (გაშმაგებით)

ჰო, ჰო, ცოლი მყავს სწორედ ისეთი,
 მთელს ქვეყანაზე არ ჰყავს ბადალი.
 ქალი კი არა — ანგელოზია!
 შვილებიცა მყავს... ოქროს შვილები! (ღრიალით)
 წადი, მომშორდი, გემუღარები...

თომასი —

(სერიოზულად)
 შენ მეუბნები, შვილებიც მყავსო?

მეზღვაური —

(გამწარებით)
 თავიდან მომწყდი!

თომასი —

(წელში გასწორდება, თავისთვის)
 აჰა, ჩემი ხსნა!
 (მეზღვაურს)

მეზღვაური —

მისმინე, ძმაო...
 მომშორდი-მეთქი!
 ნულარ დასცინი ჩემს გაჭირვებას,
 თორემ დაგწყევლი და შეგაჩვენებ!
 ასეთ დროს წყველა ნამღვილად გასჭრის!
 ფრთხილად იყავი!

თომასი —

(ამოიოხრებს) ეჰ, ჩემო ძმაო...
 წყველისა სულაც არ მეშინია,
 წყველა რას მიზამს, როდესაც სული
 აწეწილი მაქვს უბედურებით
 და მეტი უკვე არ შემიძლია!
 (მთელი ძალით)

მეზღვაური —

შენი შველა კი გვიან არ არის...
 (შეტოკდება. სახის გამომეტყველება ეცვლება, შებოროკი-
 ლი ხელების მიუხედავად, რაც შეუძლია სწრაფად გახოხ-
 დება თომასისკენ უზომოდ აღელვებული)
 რაო? ეს რა თქვი? გვიან არ არის?
 მიხსენი, შველა თუ შეიძლება!

თომასი — ვინ იცის... იქნებ... სხვა მოიძებნოს,
 ვინც დათანხმდება ჯარისკაცობას,
 ამერიკაში წასვლას ინებებს...
 მეზღვაური — (თვალს არ აცილებს)
 სხვა ვინმე? ვინც ჩემს მაგივრად წავა?
 (უღონოდ)
 ვინ... ვინ იქნება ისეთი გიჟი,
 რომ ჯოჯოხეთში ჩაივლოს თავი?!
 თომასი — მე მეგულება ასეთი კაცი.
 მეზღვაური — მეგულებაო?.. სად არის, მერე?
 თომასი — (პაუზის შემდეგ)
 აქვე, შენს გვერდით.
 მეზღვაური — (გაოგნებული)
 არ მესმის... არა! (წელში გასწორდება)
 შენ ინდომებდი? (გაცოფებული)
 მასხრადაც მიგდებ? (აცახცახებული შესცქერის)
 არა... არ სტყუის შენი თვალები.
 მითხარ, რა ვინდა? რა გასამრჯელო...
 მზადა ვარ მოგცე, რასაც ისურვებ...
 თომასი — (გაუნძრევლად)
 მე არაფერი არ მინდა შენგან.
 მეზღვაური — (შეშფოთებული)
 ჰა, გასამრჯელოს არ ითხოვ ჩემგან?
 არ მჭერა, არა!
 თომასი — არ გჭერა?
 მეზღვაური — არა!
 (თომასი კარგა ხანს უცქერის, მერე გატრიალდება შიდა ოთახებში გამავალ
 კარისკენ და აკაკუნებს. ხელუბრაბორკილი მეზღვაური დგას და საოცარი მღერ-
 ლვარებით უთვალთვალებს მის ყოველ მოძრაობას).
 თომასი — (კარზე აკაკუნებს)
 ჩემო ბატონო!
 ოფიცერი — (კიბეზე ჩამოდის. უკვე გამოწყობილია, ხმალი არტყია).
 აჰა, მოვდივარ. დრო არის უკვე?
 საყვირის ხმა რომ არ გამიგია?!
 თომასი — არა, მაგისტვის თქვენ არ გიხმობდით.
 მე სათხოვართ მოვედი თქვენთან.
 ოფიცერი — მაინც რა გნებავს?
 თომასი — მსურდა მეთხოვა
 ვიდრე აქ არის, ვიდრე სახლშია,
 რომ ბორკილები მოგეხსნათ მისთვის.
 ოფიცერი — ეგ სარისკოა! ხომ შეიძლება
 გაიქცეს იგი, მშრალზე დაგეტოვოს
 და მაგის ნაცვლად ვისღა ვიშოვნით?
 თომასი — მე დავუდგები ყმაწვილს თავდებად.
 ხოლო თუ იგი გამგზავრებისას
 მწყობრში არ ნახოთ, თან წამიყვანეთ,

ოფიცერი — მე გავწევ იმის მაგიერობას.
 თომასი — სახიფათოა!
 თომასი — (ხმამალლა) გემუდარებით!
 ოფიცერი — (მხრებს აიჩეჩავს)
 რა გავწყობა, როგორც გენებოთ.

(მიდის მეზღვაურთან, რომელიც თვალმდაჭყეტილი უგდებს ყურს ამ საუბარს, და ხელბზე ბორკილებს ხსნის).

(თომასზე უჩვენებს)
 აჰა, მადლობა ამ კაცს უთხარი,
 და რაც სიკეთე შენთვის ინება,
 ბოროტებით არ გადაუხადო,
 პასუხი მაგას მოეთხოვება!
 ჰეი, სერჟანტო, აქ მოდი ჩქარა!
 (შემოდის სერჟანტი)
 მოხსენ ბორკილი ამ მეზღვაურსა.
 (თომასს)

მადლობელი ვარ ამ ღამისათვის,
 უკანასკნელი ღამეა ჩვენთვის
 ჩვენს სამშობლოში. ხელ ვეღარ ენახავ
 მშობლიურ მიწას. გაქრება ისე,
 თითქოს, და ნისლი გადაეფაროს...
 ო, გერმანია, მამულო ჩემო!
 გულს რად მიწეწყავ, გულს რად მიშფოთებ.
 მზად ვარ გავიღო მე ყოველივე,
 რათა თქვენსავეთ გამაჩნდეს სახლი,
 მყუდრო და მშვიდი თავშესაფარი...
 უკანასკნელად თვალს გადავაველებ,
 მერე ხომალდი გაშლის იალქნებს
 და ჩვენ შორეულ გზას გავუდგებით!
 (უკვე კართან დგას და იქიდან ამბობს)
 იყავ მშვიდობით!

(თავს უკრავს და გადის)

თომასი —

კარგად მენახეთ!

(ამ საუბრის დროს მეზღვაური გაუნძრევლად დგას. როცა კი ბორკილები ახსნეს, აკანკალებული შესცქერის ხან ერთს და ხან მეორეს. უნდა რაღაც თქვას, მაგრამ ენა არ ემორჩილება).

თომასი —

(ისე ეუბნება, თითქოს გადაწყვეტილი ამბავი იყოს)
 ახლა კი წადი!

მეზღვაური —

(თითქოს სიზმარშია; თომასს ხელებაპყრობილი მიმართავს)

მითხარი, ვინ ხარ?
 საიდან გაჩნდი, ვინ მოგავლინა
 შენ ჩემდა მხსნელად?

თომასი —

არაფინ. წადი!

მეზღვაური —

ნეტა ვიცოდე, თავს რად ილუპავ?!
 ხედავ ბორკილის კვალს ამ ხელებზე,
 იქნებ ბორკილი მოგნატრებია?

თომასი —

არაფერია! წადი, ძმობილო.

- მეზღვაური — ამ გამოცანის პასუხს ნუ ეძებ.
 თომასი — შენ ჭირში იყავ, უნდა მეშველა.
 ასეც მოვიქცე. წადი, იჩქარე!
 ერთად გავიქცეთ. არ შემძლია,
 ამ გასაჭირში ვერ მივატოვებ.
 სიტყვა მივეცი.
 (პატარა კარს დაანახებებს)
 გასწი სასწრაფოდ.
 იმ სახურავზე აძვერი სწრაფად,
 გადახტი მერე და სახლის უკან
 ჭიშკარს შეამჩნევ. იქ მინდორია,
 ხოლო თუ ვინმემ შენი დაწევა
 ისურვა, მაშინ... აგერ დამბაჩაც...
 (მაგიდიდან დამბაჩას აიტაცებს)
 იქ გუშავი ღვას... ფრთხილად იყავი...
 მეზღვაური — შენ რაღას იზამ? მარტოხელა ხარ?
 თომასი — (მკვახხედ)
 მეც მყავდა ცოლი, მაგრამ...
 მომიკვდა...
 მეზღვაური — შეილები?
 თომასი — (კანკალებს) არა! შეილები არ მყავს,
 რაღას ზოზინებ, გასწიე ჩქარა,
 თორემ ვაითუ გადავიფიქრო
 და გუშავები გამოვიძახო!
 მეზღვაური — (თითქმის თანხმდება)
 სახელი მაინც მითხარი შენი,
 სიცოცხლეს მაძლევ, მხსნელი ხარ ჩემი,
 მე კი, რა გქვია, ისიც არ ვიცი!
 თომასი — (ღრმა გრძნობით)
 მე აღარა მაქვს ახლა სახელიც,
 ისიც დაებუგე ძველი ძონძივით.
 წადი, გაიქცე და ნულარ მტანჯავ.
 მეზღვაური — შენ...
 თომასი — აგერ, ხედავ, უკვე მოდიან!
 არ გეცოდება ცოლ-შვილი, განა?
 ვიცი, საკუთარ თავს გირჩევენია...
 მეზღვაური — ღმერთმა გიშველოს! იყავ მშვიდობით.
 (მოწყდება და ბარბაცით მიდის კარისკენ. მაგრამ შეჩერდება და მიტრი-
 ალდება).
- კვლავ ორიოდ სიტყვა მსურს გითხრა.
 თუ ბედის წიგნში შენ გიწერია
 აქ დაბრუნება, გინდ ოცდაათი
 წელი გავიდეს, შენთვის მარადჟამს
 ღია იქნება ჩემი უბრალო
 სახლის კარები. შეილებს ვასწავლი,
 შენზე ილოცონ... შენზე ილოცონ...

მარად იქნები ჩემი ბატონი.
 მე კი — მონა და შენი მსახური.
 თო მ ა ს ი — (აღელვებული)
 გმადლობ, ძვირფასო...
 მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი — (ერთხელ კიდევ გადაეხვევა)
 მშვიდობით, ჩემო...
 თო მ ა ს ი — ღმერთმა გიშველოს!
 მ ე ზ ლ ვ ა უ რ ი — გმადლობ, მშვიდობით...
 თო მ ა ს ი — (უკან მოუხედავად გარბის)
 (გააყოლებს თვალს. მერე წელში გაიმართება და ოთახს
 თვალს მოავლებს)
 უნდა დავტოვო ეს ჩემი სახლი,
 თითქოს ცეცხლი აქვს წაკიდებული.

(ნელა მიდის, ნელა სინჯავს ნივთებს, ხელში იღებს, ეფერება და ისევ თა-
ვის ადგილზე დებს).

შიშველ-ტრეტველი და საცოდავი
 უნდა წავიდე, ამ სახლს გავცილდე.
 საკმარისია, რომ თან წავიღო
 ერთი ნაფოტიც... უმალ იქცევა
 ის ანდამატად და მყისვე უკან
 ფოლადად ქცეულ გულს მიიზიდავს.
 შორს ამნაირი მოგონებანი!
 უცხო მხარეში, დავიწყებული
 და უსახელო უნდა გამიშვა,
 შენ ჩემო სახლო, შენ ჩემო კერავ.
 (კვლავ ნივთებს დააჩერდება და ფიქრს მიეცემა).
 მე ხელს შევავლებ და ვუცქერ მხოლოდ:
 ეს პაპაჩემის სავარძელია,
 ეს კი, ოდესღაც მე რომ გავთაღე
 ჩემი ხომალდი. აგერ კარადაც,
 რომელსაც მკერდში აქვს ჩამალული
 ჩემი ბავშვობის მოგონებანი.
 ჯვარცმა... და ესეც კოხტა ლარნაკი...
 ერთი ამგვარიც ერთხელ გავტეხე
 და მამაჩემმა... ძვირფასმა მამამ...
 განვედიო ჩემგან, მოგონებანო!
 მე მხოლოდ ხელით შევეხო მინდა
 და, რაც მიყვარდა, თან არ წავიღებ.
 მათხოვარივით მინდა წავიდე.

(მიდის და უეცრივ შუშის ჩარჩოში ჩასმულ კატარინას სურათის წინ გა-
ჩერდება).

ძვირფასო! (მრისხანედ)

ახლა აქ ვერ ვიცრუებ.
 ბილწო სურათო, მითხარ, თვალებში
 რად მეჩხირები, რა გინდა ჩემგან?
 ვერ მომატყუებ! ვერ მომატყუებ!

(ჩარჩოს ძირს დაანარცხებს და დაამსხვრევს. ხმაურზე შემოდის კატარინა.
თომასს რომ დაინახავს, შეკრთება, მერე სწრაფად გადის).

კატარინა — (სცენის იქით)
რა ამბავია? (შემოდის)

რა მოხდა ნეტავ?

(თომასი მის დანახვაზე თითქოს გაქვავდებოდა. უმოძრაოდ დგას და თვალს არ აცილებს, მერე ნელა, მთვარეულივით უახლოვდება, შეშინებულ ქალს ორივე ხელებში ჩააფრინდება და დიდხანს შესსქერის).

თომასი — (ბურტყუნებს)
მე მხოლოდ ხელის მინდა შევცლება...
და რაც მიყვარდა, თან არ წავიღებ,
მათხოვარივით უნდა წავიდე...

(თითქოს სიზმარშია, ისე უსვამს ქალს თმაზე ხელს).
სხვა არაფერი არ მინდა, მხოლოდ,
მსურს მხოლოდ ერთხელ შევავლო ხელი...

(ველარ ელევა შემოწოლილ გრძნობას. გეგონებათ, ეს-ესაა ქალს გულში ჩაიკრავსო. ერთბაშად თითქოს ფხიზლდება).

წადი! მომშორდი!

კატარინა — (შეშფოთებული)
რა მოგივიდა...

რა დაგემართა? რამ გაგაგოია?
ჯერ მთელი ღამე გარეთ დაძრწოდი...
მერე ღვინო სვი... ის ოფიცერი
სად არი ნეტავ? სად დაიკარგა,
მას ქირა ჯერ არ ვადაუხდია,
რად სდუმხარ? (ბოროტად) ლოთო!
გონს მოდი, გესმის!

თომასი — ეგ კარგი იყო! შენ მიმსუბუქებ...
კატარინა — გადაირიე?

(თომასი ღუმს)

რა დაგემართა?

(ნამსხვრევებს შეამჩნევს, აღშფოთებულია)
ვინ დაამტვრია?

თომასი — (კუშტად)
მე არა... ისე... (სულს მოითქვამს)
თვითონ დაიმტვრა

კატარინა — (შეშფოთებული, ხმას მოუღობს)
თომას, ძვირფასო, რა გემართება?

თომასი — (კატარინას მიახლოებით შემკრთალი)
არ მომეკარო!

(უცბად გაშმაგებული უყვირის)

წადი! მომშორდი!

კატარინა — (შეჰკვივლებს)

ვაი, გაგიქდა!

(თომასი მუშტებმოღერებული მიდის მისკენ. კატარინა კარისკენ მირბის. იქიდან გოტჰოლდი შემოდის და გაკვირებული უქქერის ორივეს. შემდეგ კატარინას ხელით ანიშნებს, გადიო. ქალი შიშით ტოვებს ოთახს. გოტჰოლდი და თომასი პირისპირ რჩებიან).

გოტჰოლდი — რა ამბავია?
 თომასი — (სახეში არ უყურებს, ისე ართმევს ხელს და ჩუმად ეუბნება)

მშვიდობით, ჩემო!..

გოტჰოლდი — (შემკრთალი)
 ეგ რა თქვი, თომას?
 თომასი — (უფრო მტკიცედ)

მშვიდობით-მეთქი!

(გარედან დაფლავების ხმა ისმის. თომასი ერთი კი აცახცახდება, მერე ძალას მოიკრებს და უნდა გასასვლელი კარისკენ წავიდეს).

გოტჰოლდი — საით?
 (ისმის კარზე ბრახუნი)

თომასი — დაუღდექ მე მას თავდებად.

გოტჰოლდი — მეზღვაურს?

თომასი — (პირს იბრუნებს)

ჰო, ჰო...

გოტჰოლდი — (შეძრწუნებული) მოიცა! შენ გასურს...

თომასი — (აწყვეტინებს)

მას ცოლ-შვილი ჰყავს,

მე კი მარტო ვარ.

გოტჰოლდი — რაო? მარტოო? მე რას მიპირებ?

თომასი — ან შენს სახლს? შენს ცოლს?

თომასი — (სასოწარკვეთით)

ჰო, მე მარტო ვარ...

გოტჰოლდი — ახლა მიდიხარ,
 როდესაც ღმერთმა შვილი გაჩუქათ...

თომასი — (თოფნაკრავივით წელში გასწორდება)

რაო? შვილიო?

(მოხუცი ლოცმანი ხელს ჩასჭიდებს)

ეს სიცრუეა!

(სასოწარკვეთით)

ის მეზღვაური სადაა ახლა?

მე უკან მიმაქვს... ის აღარ არის...

ო, ჩემი შვილი! ღმერთო მაღალო!..

მიშველე! ვიდრე არ არის გვიან...

იქნებ ღობეზე...

გოტჰოლდი — მცველები დგანან...

თომასი — (გაცოფებით) მაშ აქვე... აქა... ასე ადვილად,

არ დაეთმობ, არა! ჩემი დამბაჩა?

(ეძებს. პაუზა).

აჰი, მივეცი!

(გზირი ამ დროს კარებს შემოადებს. მის უკან ჩანან მწყობრში ჩამდგარი რეკრუტები. ისმის მათი ხმები).

თომასი — ჰეი, გამოდი! დრო არის უკვე!

თომასი — (შეშინებული)

დრო არის უკვე? (ცდილობს გზირს მიუახლოვდეს, ლაქუციით ეუბნება)

დროა? მე მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვით...

გზირი — (მძინვარედ)
 მომეცი კაცი! შენ გეუბნები!
 ლაქლაქისათვის არა მცალია!..

თომასი — (ხმაჩაწყვეტით)
 მე წამიყვანეთ იმის მაგივრად...

გზირი — (ისევ გადის. კარი ღია რჩება, ისმის დაფდაფების ხმა და გუგუნი)
 შენა, ბატონო?.. რა გაეწყობა,
 უნდა დაგადო ხელზე ბორკილი.

თომასი — (თავს სძლევს. გოტპოლდს ამაყად ეუბნება)
 სახლს უპატრონე, ბავშვს უპატრონე!

(გამოალებს კარს და მიდის იქით, საიდანაც დაფდაფების ხმა ახლოვდება).

— ფ ა რ დ ა —

მოქმედება მესამე

იგივე ოთახი, როგორც პირველ ორ მოქმედებაში, ოღონდ ახლა უფრო უწყესრიგო და მოუვლელი ჩანს. ფანჯარაში ერთი მინა ჩამტვრეულია, კათხები დამტვერილია და აღარ კრიალებენ. ახალი, ჭყეტელა სურათი შეუმატებიათ. სანაგებროდ ძველებიდან ზოგი არა ჩანს.

კატარინა თავის ადგილზე ზის, ზურგით მაყურებლისკენ. უკვე ორმოცს გადააბიჯა, დამძიმებულია. სახე ფერუმარლით გაუთხუზნავს, აცვია ჭყეტელა სამოსი. ხმა ჩახრინწვია. მეტწილად ხმამალა და, ცოტა არ იყოს, გაკაპასებულ-ლი ლაპარაკობს. წინანდელი სილამაზის იერი კიდევ შერჩენია, მაგრამ ახლა უფრო ვულგარული და ხელოვნურია ეს სილამაზე. კატარინას აშალარი ხასიათი მის ქალიშვილსაც ეტყობა, რომელიც მუშტრებისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ წინა მაგიდასთან ზის და სუფრას ხელებით დაყრდნობია. ასე, 19 წლისა იქნება, ცისფერი თავსაფრიდან გრუზა წითური თმა ჩამოშლია. გამომწვევი სილამაზე და კატასავით მოქნილი, სწრაფი მოძრაობანი აქვს. ქალებს შორის ცივი დუმილი მეფობს. კატარინა გულგრილად ამშრალებს ჭურჭელს.

ზემო ოთახიდან შომავალ კბეზე ბებერი ლოცმანი გოტპოლდ კრიუგერი ჩამოდის. სიარული უჭირს, ჯოხით იკვლევს გზას. წელში მოხრილია, ცალ ფეხს მოათრევს. ეტყობა, თვალს აღარ უჭრის და ბრმასავით გაუბედავად ადგამს ფეხს. ძალიან დაბერებულა, როგორც ყველა ბებერ მეზღვაურს, პირისკანი მოთრიმლული ტყავივით გახდომია. აცვია დაუდევრად. ჩუმად, მაგრამ მტკიცედ ლაპარაკობს. მეტისმეტი აღლევებისაგან ხმა უკანკალებს და უწყდება. იქაურობას ძლიესძლივობით მოავლებს თვალს.

გოტპოლდი — შენი ქმარი არ დაბრუნებულა?
 კატარინა — პეტერი? სძინავს.
 გოტპოლდი — სულ სძინავს! ისევ გვიან დაბრუნდა?
 კატარინა — (უკმაყოფილოდ)

მე არაფერი არ ვიცი მისი.
 ზიდის და მოდის. ფულს მთხოვს და ვაძლევ
 და მადლიერი არასდროს არის.
 თუკი გავბედე და შევეკითხე:

„საით მიდიხარ?“, „დიდხანს დარჩები?“

ან „რა საქმეზე მიგეჩქარება?“

კარს უდიერად მომიჯახუნებს.

გოტჰოლდი —

ცუდად იქცევა. მე თვითონ ვეტყვი.

კატარინა —

შენა გგონია, რომ დაგიჯერებს?

გოტჰოლდი —

ამ სახლში, მგონი, მე ვარ უფროსი.

კატარინა —

(მხრებს აიჩეჩავს)

ბატონპატრონი ის არის სახლის
და ხნოვანება ბევრს არას ნიშნავს.

მე თავად უკვე დიდი ხანია
დავემორჩილე. შენ ალბათ გახსოვს,
როცა პირველად ხელი გამართყა
და შემიღება ტუჩები სისხლით,
რატომ ან რისთვის? მხოლოდ იმისთვის,
მასზე ჩივილი როგორ გავბედე.

გოტჰოლდი —

ეგ მაწანწალა, ეგ მათხოვარი...

ქრისტინა —

ეჰ, ეს რა ჭირი გადავიციდე!

(ნახევრად მოტრიალდება, მუქართით)

კმარა, გეყოფათ ბოლოს და ბოლოს!

სახლის პატრონი ის არის აქა.

რა უფლება აქვს, ძვირი თქვას მასზე,

ვისაც ის აჰმევს, აცმევს, ახურავს

და სამადლოდ ჰყავს შეკედლებული?!

გოტჰოლდი —

(გაბრაზებულია, მიუახლოვდება)

მე ვარ სამადლოდ შეკედლებული?!

ამას ის ამბობს, ვინც მე გავზარდე,

ვისაც ვასწავლე ლაღი ტიტინი?

ჩემს მკლავზე გაზრდილს, რად არ გრცხენია?

(კატარინას)

გესმის, რა მითხრა, მისატყუბია!

კატარინა —

აბა, მე რა ვქნა!

გოტჰოლდი —

შენც მაგასავით
ფიქრობ, გეტყობა! მოიცა ცოტაც...

შენც დაბერდები, ჩემებრ გეტყვიან...

კატარინა —

უკვე დავბერდი, დედაბერი ვარ,

გოტჰოლდი —

სამადლოდ ვცხოვრობ?

ქრისტინა —

(ზანთად)

სულ ჩხუბი მესმის,

აყალმაყალი. სიცოცხლე არ ღირს...

ნეტა პეტერი გამოჩნდებოდეს.

კატარინა —

(დაცინვით)

შენც დაუძახე, მოგწყინდა ალბათ!

ქრისტინა —

(მუქართით)

შენ ისევ ბილწი რამ გაიფიქრე?

კატარინა —

მე იმას ვფიქრობ, რაც საჭიროა.

ქრისტინა —

რასაც საჭიროდ ვთვლი, მას ვაკეთებ.

თქვენ გეშინიათ მისი და უფროსი.

მე კი ის მიყვარს, მიყვარს იმიტომ,

რომ ლამაზია და ახალგაზრდა.
 უყვარს სიცილი და არ ბუზღუნებს.
 მე მომწონს იგი. პეტერმაც იცის.
 ჩემსკენ ისწრაფვის და არა თქვენსკენ.
 ვინც გულს უწყალებთ და თავს აბეზრებთ.
 არც ვისურვებდი, რომ ეს სიტყვები
 მას გაეგონა, მას მოესმინა,
 ვინც მამა იყო ნამდვილი შენი.
 ის ხომ მკვდარია? თავი ანებეთ
 მამაჩემს, გესმით. მას არ ვიცნობდი.
 (შემოდის პეტერი. ლამაზი, ტანადი ახალგაზრდაა. შემოსვლისას კართან
 ზანტად იზმორება)
 პეტერი— ოჰო, კარგებო, დილა მშვიდობის!
 კატარინა— შუადღე უკვე გადასულია.
 პეტერი— ოჰო, ეგრეა?
 საჭმელი რა გაქვს?
 კატარინა— პური და ყველი.
 პეტერი— სხვა არაფერი?
 ჩემს სახლში ხმელა პური-ლა ვლოდნო?
 კატარინა— სამზე მეტია. დიდხანს გიცადეთ.
 კერია ჩაქრა.
 პეტერი— ადექ, ხელახლა დაანთე ცეცხლი.
 მაჭამე რამე!
 კრისტინა— (მასთან მიდის)
 გვიან დაბრუნდი?
 ქალაქში იყავ?
 პეტერი— რად არ წამოხველ, არ ინანებდი!
 კრისტინა— ამ დედაკაცმა არ გამომიშვა.
 პეტერი— მაგას ვინ კითხავს, მე ნება დაგრთე.
 კრისტინა— მე მაგას ყურსაც არ ვათხოვებდი,
 მაგრამ საღამოს კარი გარედან
 უეცრად დამხვდა გადაკეტილი.
 ვცადე გაღება, ვერ მოვახერხე,
 (კატარინას მუქარით)
 ქალიშვილს რატომ კეტავ, წუპაკო.
 უკუთ იყავი, თორემ მიიღებ!
 აღარ გაბედო, არ დაუშალო
 მას საცეკვაოდ ჩემთან წამოსვლა!
 ის ლამაზია, არგებს კიდევაც,
 თუ სისხლი ხშირად აუჩქეფდებდა.
 იგრძნობს, ხარბ მზერას როცა ესვრიან
 კოხტა ბიჭები. დაიმასხოვრე,
 თუ კიდევ ერთხელ გაგიბეღია,
 კარებს გარედან გამოგიკეტავ.
 გესმის თუ არა?
 (კატარინას კარიდან აგდებს)

ქრისტინა — მეც თან წამიყვან?
 პეტერი — შენ? რა თქმა უნდა!
 საწინდრად ჩემი კოცნა მიილე.

გოტჰოლდი — (პეტერს)
 რად არ გრცხვენია. თითქმის დაგბრმავდი,
 ვერ ვხედავ ცრემლს და ცრემლის ხმა მესმის.
 რატომ აწვალე? თქვენ ხომ ერთმანეთს
 ცოლქმრობის ფიცით შეუკავშირდით?..
 შენ კი, ქრისტინა... შვილი ხარ მისი.

პეტერი — (აღგება დაუდევრად)
 მოჰყვება ახლა თავისებურად,
 და ავად გამხდის... კიდევ მაკოცე.

(სურს ქრისტინას მოეხვიოს. ქრისტინა ვითომ უძალიანდება. პეტერი უკან
 მისდევს, მაგიდას უვლის, ეწვევა და მხურვალედ კოცნის. ქრისტინა ქარაფშუ-
 ტულად კისკისებს. ბებერი ლოცმანი კუშტად დგას კუთხეში და რაღაცის თქმა
 უნდა. კატარინა ტუჩს იკვნეტს და განზე იყურება. უკანასკნელი სცენის დროს
 შემოდის უცნობი. ვეკაცური იერი აქვს, სუფთად გაპარსულია, ჭადრა თმა
 შოკლედ აქვს შეკრეჭილი, ცოტა არ იყოს ეგზოტიკურად აცვია: ნახევრად ჯა-
 რისკაცულად, ნახევრად მეზღვაურულად. რამდენიმე ხანს ვერაფერს ამჩნევს.
 უცნობი კართან დგას და უხმოდ ათვალიერებს იქაურობას. როცა დაინახავს,
 იქ მყოფნი დამშვიდდნენო, შემოდის ოთახში).

უცნობი — ღმერთი გწყალობდეთ!
 (ყველანი მობრუნდებიან)

კატარინა — თქვენც ნუ მოგაკლდეთ
 ღეთის მოწყალება!

გოტჰოლდი — აქეთ მობრძანდით!
 (უცნობი იმ მაგიდას მიუჯდება, რომელზეც დიასახლისი უჩვენებს).

კატარინა — რას ინებებდით, რა გსურთ მოგართვათ?
 უცნობი — ღვინო, ან ლუდი. ეს სულ ერთია.
 კატარინა — ქრისტინა!
 ქრისტინა — (უცმაყოფილოდ მოტრიალდება)
 რაო?

კატარინა — ღვინო მოართვი!
 ქრისტინა — (ბუზღუნით)
 მოიცდის ცოტას! სად ეჩქარება!
 კატარინა — მოართვი-მეთქი, შენ გეუბნები...
 პეტერი — (მუქარით)
 რას ეუბნები?! დაბრმავდი, განა?
 ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ.
 ხელს რატომ გვიშლი? როგორ გვიბედავ?!
 კატარინა — (შემკრთალი)
 მე ისა მსურდა...
 პეტერი — მე კი სხვა რამ მსურს!
 ვთქვი და გათავდა — არ წავა-მეთქი!
 არა გეცალაია!

კატარინა — (საბრალისად)
 მაშ, მე წავიდე?
 პეტერი — რაღა თქმა უნდა. ასე აჯობებს.

(ქრისტიანს ხმადაბლა, სიცილით)

ჩვენთვისაც ასე სჯობია, განა!

კატარინა უკმაყოფილოდ ჩადის ქვემოთ. პეტერი და ქრისტიანა გვერდი-გვერდით სხდებიან და ჩუმად საუბრობენ. პაუზა).

ყური დამიგდე, ჩემო ქრისტიანა,
ჩვენ ნავსადგურში გავწიოთ ერთად.
ვიმზიარულოთ, დრო გავატაროთ.
ჯერ ნორჩები ვართ და არას გვარგებს,
აქ ბებრებივით დღე-ღამე ყურყუტი.

(გოტჰალდს)

ჰეი, შენ გესმის? უთხარი იმას...

(შემოდის კატარინა ღვინით სავსე ჭურჭლით)

ჰა, აგერ ისიც... მე ნავსადგურში
უნდა წავიდე და, შესაძლოა,
დიდხანსაც დავრჩე.

კატარინა —

ქრისტიანა?

პეტერი —

ისიც.

შენ მისი საქმე არ გეკითხება.

(ორივენი საჩქაროდ გადიან. დაძაბული პაუზა. კატარინაც გადის. გოტჰალდი კოჭლობით ნელა მიდის მაგიდასთან და მიმოდ ეშვება სკამზე).

გოტჰალდი —

არამზადები!

უცნობი —

სიმკაცრეს იჩენთ!

გოტჰალდი —

მიჯნურებს ბევრი რამ ავიწყდებათ.

უცნობი —

ღმერთმა კანონი არ დაგვიწერა
მხოლოდ სალხენად და გასართობად.

გოტჰალდი —

ცოლი ღვთის მიერ გაჩენილია
ქმრის გასახარად.

მეც ასე ვფიქრობ.

უცნობი —

ოღონდ ის კაცი დიასახლისის
ქმარია, იცით?

გოტჰალდი —

როგორ, ის ბიჭი?!

იგი ამ სახლის დიასახლისის
მეორე ქმარი გახლავთ, ბატონო.

პირველი ჩემი ძმისწული იყო,
რა დიდებული ყმაწვილი გახლდათ!

მხოლოდ ცოტა ხანს იცხოვრეს ერთად.

და თითქმის ოცი წელი გავიდა,
რაც აღარა სჩანს ჩემი თომასი.

ის ნავსადგურში წავიდა მაშინ,
როცა რეკრუტებს ზომალში ყრიდნენ

და ღორებივით ერეკებოდნენ,
ჯოგად გზავნიდნენ ამერიკაში.

რომ საცოდავებს უბედურება,
ტანჯვა-წამება გადაეტანათ.

ეს იყო დიდი საშინელება..

უცნობი —

განა თქვენც...

გოტჰალდი —

უცნობი —

ღიახ, ეგ ყველაფერი
 მეც გამოვცადე. მახსოვს, ხომალდის
 შავი ტრიუმში ბინძური იყო
 და კუბოსავით ვიწრო და ბნელი.
 ჩახუთულ, ციციქნა გადატიხრულში
 ექვსნი ვიყავით ერთად შეყრილი...
 გვერდით ვინც იწვა, გარდაიცვალა
 და მთელი ღამე მკვდარს ჩახვეულმა
 ძლივს გავატარე... სიკვდილს ვნატრობდი...
 მაგრამ ჩვენ რაც იქ გადავიტანეთ,
 მოგონებაა თურმე იმასთან,
 რაც მომავალში ბედკრულთ გველოდა:
 გადამწვარ მხარეს წყურვილი გვკლავდა.
 შეტაკება და სასტიკი ომი,
 ინდიელების კიჟინა მწველი.
 სისხლი და ბრძოლა შეუპოვარი.
 შეგობრის გმინვა, უკანასკნელი
 გამოხედვა და დუმილი მკაცრი.
 და ყოველივეს რომ შევეცქეროდი,
 გულსტკივილით ვფიქრობდი მათზე,
 ვინც ჩვენით ვაჭრობს გერმანიაში
 და დასაკლავი საქონელივით
 გვყიდის და სხვაგან მიგვერეკება.
 რა გვესაქმება უცხო მხარეში,
 სადღაც შორეულ ამერიკაში!

გოტჰოლდი —

ასეა, ჩემო!
 (კოჭლობით უახლოვდება, ხელები აღელვებისგან მოუ-
 მუშტავს)
 თქვენ იქ იყავით?
 თქვენ იქნებ მასაც კარგად იცნობდით.
 მითხარით ერთი, ჩემს ძმისწულს თომასს
 არ შეხვედრიხართ? ასე მიაბმეს,
 სასტიკ ბრძოლაში დაიღუპაო.
 მას რომ დასცლოდა, ხანში შესული
 ახლა ვაჟკაცი მეყოლებოდა,
 მაგრამ მარადუამს თვალწინ შევეცქერი
 ისეთს, როგორც ის მაშინ იყო!
 გარკვევით მესმის ახლაც მისი ხმა,
 რომელსაც ბევრში გამოვიცნობდი.

უცნობი —

(მოულოდნელად, სულ სხვა ღრმა გრძნობით)

გოტჰოლდი —

გამოიცნობდით?
 მე ის მიყვარდა,
 ვით საკუთარი, ძვირფასი ვაჟი.
 ამ სახლში იგი, — ჩემი თომასი,
 მე ბედკრულს მარტო არ დამვიწყნია.
 ცოლმა კი მალე ჰპოვა ნუგეში:
 ჯერ ერთი კაცი დაეთრეოდა,
 მერე მეორე... შემდეგ კი ბილწმა

ამ მყუდრო სახლში დუქანი გახსნა.
შემდეგ ეს ვიღაც ურცხვიც გამოჩნდა,
დაეთრეოდა ჩვენთან ხშირ-ხშირად,
გახდა ყველაფრის ბატონ-პატრონი.
ის ცოლზე ორჯერ უმცროსი არის.
ჯერ კიდევ სისხლი უღულს და უჩქექვს.
და ალბათ მალე დადგება ის დრო,
როცა ერთმანეთს ვერ გაუგებენ...

კატარინა —

(შემოდის. გოტპოლდს გაბრაზებულ და აღელვებულ მოძრაობაზე ატყობს, რომ მასზე ლაპარაკობს, რის გამოც გოტპოლდს იქით გასწევს და თვითონ მიმართავს უცნობს)

ახ, უკაცრავად. თქვენ ალბათ გული მან გაგიწყალათ ბევრი ყბედობით. ძალზე დაბერდა. ამიტომ ზოგჯერ აბეზარია. წამოდით, ძია!

გოტპოლდი —

(უმწეოდ)

ახლავ, მოვდივარ. თქვენ მაპატიეთ. ლეიძლი შვილივით მიყვარდა იგი და როცა ბედკრულს მომაგონდება, მულამ ვეჭვითინებ... ჩემო ბატონო...

(მიდის კარისკენ. ისმის, როგორ აღის ზემო სართულში ამავე კიბეზე-კატარინა უხმოდ დაჯდება თავის ადგილზე და საქმეს შეუდგება. უცნობი დინჯად დადის ოთახში. ხანდახან ჩერდება და ნივთებს ათვალიერებს. ბოლოს დიდ კარადაზე მდგარ, ხისგან გამოთლილ პატარა ხომალდს მიაჩერდება).

უცნობი —

ხომ შეიძლება ეს ნივთი ვნახო?

კატარინა —

ნახეთ! ეგ დიდი არაფერია...

უცნობი —

სათამაშოა, ნეტა ვის უნდა! იქნებ ეს ვინმეს სამახსოვროა? მეც ბავშვობაში, რა დამავიწყებს, ერთხელ ხომალდი გამოვჭერ ჩემთვის. სწორედ ამგვარი. როცა პირველად წყალში ჩავუშვი, მახსოვს მგზნებარე და საოცარი სურვილი ვიგრძენ, მომეველო მთელი ქვეყნიერება.

კატარინა —

თქვენ მეზღვაური იყავით?

უცნობი —

დიახ.

კატარინა —

ახლა ვინა ხართ?

უცნობი —

თვითონ არ ვიცი...

(უცნობს თანდათან მეტი შინაგანი მღელვარება იტანს და ოთახში სწრაფი ნაბიჯებით დადის. ერთბაშად კარადის წინ შედგება).

რა მშვენიერი კარადა არის,

რა ჩინებული ნახელავია!

ეგეთს ხომ ახლა ვერსად შეხვდებით.

კატარინა —

დიახ, მართლაც რომ ვერსაც შეხვდებით.

ჩემმა მეუღლემ მიიღო იგი

მამა-პაპისგან მემკვიდრეობით...
 ეს ძველებური კარადა გახლავთ
 და საკეტიც აქვს მას საიდუმლო,
 დიდი ხანია... ოცი წელია,
 ჩვენ მისი გახსნა ვერ მოვახერხეთ.
 ოცი წელიო? ნება მომეცით
 ვსინჯო. ეგების...

უცნობი —

კატარინა —
 უცნობი —

იცით ეგ საქმე?
 რა მოგახსენოთ! მაგრამ მზადა ვარ
 სანაძლეოსაც კი ჩამოვიდე,
 რომ ეს საკეტი აი, ამგვარად
 ჯერ მარჯვნივ უნდა გადაიწიოს,
 მერე კი უკან. აჰა, ხომ ხედავთ,
 ის საიდუმლო კლიტეც გამოჩნდა;
 ამისი გახსნა მას ძალუძს მხოლოდ,
 ვისაც აღრევე ბევრჯერ უცდია.

(კატარინა ცნობისმოყვარეობით უახლოვდება, მერე შეძრწუნებული უკან
 იხევს და თითქოს თავდასაცავად ხელებს ასწევს).

ეგრე რად მიცქერ? ვინ იცის, იქნებ,
 ძალზედ ბევრია ქვეყნად კარადა
 ამნაირ კლიტით. ის მხოლოდ უცდის
 იმ კაცის მოსვლას, ვისაც ნამდვილად
 გასაღები აქვს.

მას უცდის მხოლოდ,
 ვინც ოც წელიწადს, ტანჯვა-ვაებით
 მკერდით ატარა ეს გასაღები...

(ქურთუკის შიგნით ყელზე დაკიდებულ ზონრიდან გასაღებს ჩამოივლევს,
 კლიტე ყრუდ დაიჩხაკუნებს. შიშით ატანილი კატარინა კედელს ეკრობა და
 გაფართოებული თვალებით შესცქერის, თავზარდაცემული).

(უცნობი გამოღებული კარადიდან, სქელტანიან ბიბლიას გამოიღებს, გახ-
 სნის და ხარბად ათვალიერებს ფურცლებს. აღლევებულია, მძიმედ სუნთქავს,
 თვალები გაუნათდება. მთელი არსებით ახალგაზრდავდება. დიდი შინაგანი ძა-
 ლით ამბობს)

უცნობი —

დიახ, გახლავარ თომას კრიუგერი!
 და მამაჩემის მთრთოლვარე ხელით
 აგერ აქ არის ეს ჩაწერილი,
 (სულს მოითქვამს)

კატარინა —

როგორ ველოდი მე ამ წუთს, როგორ!
 (შეშინებული, აფორიაქებული)
 ო, ღმერთო, ღმერთო... რამდენმა მითხრა,
 თითქოს დაეცი შენ ბრძოლის ველზე...
 ერთმა ფიცითაც დამიდასტურა,
 მე თვითონ ვნახე, ჩემივე თვალით,
 ფიცხელ ბრძოლაში დაიღუპაო...

უცნობი —

ამერიკაში იმათ შემარქვეს
 ტომი! ტომ ატკინს. რა გაეწყობა!
 ამ ზედმეტ სახელს მეც მივეჩვიე
 ისე, ვით ამ ჩემს საკუთარ მუნდიარს.

კატარინა—

(შფოთავს)

ო, მაპატიე... ო, ღმერთო ჩემო!
არ ვიცი... რა ვქნა... მითხარ, ცხადია,
თუ სიზმარია... ეს ოცი წელი
ისე გავიდა, ყველა ამბობდა
შენზე... მოკვდაო... მე მარტო ვიყავ...
მერე კი... მერე...

უცნობი—

(მშვიდად)

ვიცი... გათხოვდი!

კატარინა—

(უფრო მეტი აღელვებით)

სხვა გზა არ მქონდა. ბიძაშენი ხომ
მოხუცი იყო, მოვლა უნდოდა.
ბევრი ვიფიქრე და ვიყოყმანე,
ათ წელს... ვიცდიდი...

უცნობი—

(სიმშვიდით) რა საჭიროა

თავის მართლება, მე ხომ ბრალს არ გღებ...

კატარინა—

(თითქმის რისხვით)

არც შეგიძლია. ეს მე რომ არა,
შენ არაფერი არ დაგხვდებოდა.
შევიწინარეებ აქ ყველაფერი.
ის დამეხმარა. ახლა ამ სახლის
პატრონობა ის არის მხოლოდ.
შენ კი უცხო ხარ... (მწარედ)

უცხო ხარ და მე

სახლის პატრონად არა გცნობ, გესმის.
არც იმას გირჩევ, მას შეეკიდო,
ზოგჯერ მკაცრია და უღმობელი.

უცნობი—

(უფრო მკვახედ)

ეგ შევამჩნიე, როცა შემოველ.

კატარინა—

ეგრე რად ამბობ? თანაც დაცინვით,
იქნებ გგონია, მას არ ვუყვარვარ?
როცა შემოხველ, ყური მოჰკარი
მის რამდენიმე გულმოსულ სიტყვას.
რისთვის მოხვედი? მითხარ, რა გინდა?
რა გინდა?

უცნობი—

(ხმადაბლა, ზიზღით)

შენგან? მე? არაფერი!

კატარინა—

(მის გაბრაზებას თანდათან შიში სძლეეს)
მაშასადამე... რა გინდა მისგან?
შენ სახლი გინდა! იქნებ ფულს ითხოვ?
მე ფული არ მაქვს და ყველაფერი
წაიღო ომმა და გაჰირვებამ,
პეტერს ამაში არ უძღვის ბრალი!
მე მას ვუყვარვარ ისე ძლიერად,
როგორც ოდესღაც მე შენ გიყვარდი.
ბედნიერი ვარ და ჩემს ოჯახშიც

უცნობი —

რიგზეა საქმე წინანდელივით.
(აღშფოთებული)

ბენდიერი ხარ: სცრუობ! შენ სტყუი!
(მიდის მისკენ. ქალი შეშინებული გაერიდება)
დიდი ხანია ჭაღარას მალავ
და ლოყაც, ვხედავ, არ გილაყლაყებს.
შეღებილი გაქვს. თავს რად იტყუებ.

კატარინა —

მთელი სიცოცხლე ასე ტყუოდი,
ახლაც მატყუებ, მას ვუყვარვარო!
(მისი გაბოროტება უეცრივ საშინელ შიშად იქცევა)
არ გინდა! არა! ო, ნულარ მეტყვი!
რად მტანჯავ ასე! შენ მართალი ხარ.
ჰო, რა თქმა უნდა, შენ მართალი ხარ!
ვიცრუე. უკვე დიდი ხანია
გადამიყვარა. და მე ამ სახლში
ახლა ძალღადაც აღარა მთვლიან.
რაც შენ დატოვე და რაც გამაჩნდა,
იმას მივეცი... ტკბილი სიტყვისთვის,
აღერსიანი შემოხედვისთვის...

და აჰა, უკვე კარგა ხანია,
აღარ ვუყვარვარ, არაფრად მაგდებს.
მაგრამ, ეს ვიცი, თუნდ ერთი ტკბილი
სიტყვაც რომ მითხრას, ყველაფერს მივცემ,
რასაც ინდომებს, რასაც ისურვებს.
ფული რომ მითხოვოს კახებვისათვის,
არ დავუკავებ! დიახ, ასეა!
შენ ვერ გამიგებ — მამაკაცი ხარ!..

უცნობი —

ამას რა ბევრი გაგება უნდა,
ისეც ცხადია სულყველაფერი:
ის ჭაბუკია, შენ კი დაბერდი.
მე იმასაც ვგრძნობ, თუ რა მომელის.
ღრო მიდის, აღარ დამიბრუნდება.
დღითიდღე უფრო ღარიბი ვხდები,
ვიცი, რომ აწ ის აღარ მაჩუქებს
თუნდაც სამადლოდ ღიმილს და კოცნას.
გემუდარები, შურს ნუ იძიებ,
ის არის ჩემთვის უკანასკნელი...
გესმის... სხვა არეინ არ მეყოლება.

კატარინა —

მე ყველაფერი ისედაც მესმის.
მაშ რაღას სდუმხარ? მითხარ, რას ელი?
აქ რაღა გინდა?

უცნობი —

კატარინა —

უცნობი —

კატარინა —

უცნობი —

პასუხი მინდა...
რისი პასუხი: ან რა პასუხი?
ოც წელიწადზე მეტი გავიდა
მას აქეთ, რაც მე თავი გავწირე
და ჩემის ნებით რეკრუტად წავიღე,
რომ კაცი მეხსნა გასაჭირისგან.
ვიყავ თუ არა მაშინ მართალი?

ამ საქციელმა, ტანჯვა-წამებამ
 რა მისცა ჩემს ცოლს ანდა ჩემს ოჯახს?
 მე თვით პირადად?

კატარინა —

ცუდად მოიქეც,
 შენი ბრალია, დაგვლუბე ერთად
 მეც და ოჯახიც... და მე კი როგორ
 მენატრებოდა მჭონოდა ჩემი
 თბილი კერა და ვყოფილიყავი
 ნამდვილი ცოლი, პატიოსანი.

უცნობი —

შენ სიცრუეში ჩაიხრჩე, ქალო!
 ეს არის ფესვი ბოროტებისა,
 მიზეზი ყველა უბედურების.
 მეგონა, შენი ხსნა გვიან იყო
 და ყველაფერი დამენგრა თავზე,
 ხოლო ის, ვინც მე გადავარჩინე
 იყო ქმარი და ოჯახის მამა. (ხმას დაუწევს)
 პოდა, რას იტყვი, იმ საშინელ დღეს
 ვიყავ თუ არა, მითხარ, მართალი?
 (პაუზა. მიდის კატარინასკენ. კატარინა დუმს)
 რას დუმხარ, მალე პასუხი მითხარ!

უცნობი —

(პაუზა. კატარინა მტრულად უყურებს, არ პასუხობს. ბო-
 ლოს, სუნთქვაშეკრული, ჩუმად ამბობს)
 არა, არ იყავ მაშინ მართალი.
 მე ბავშვს ველოდი.

კატარინა —

უცნობი —

(გაუბედავად, თითქმის სათნოდ)
 მე მაშინ უნდა
 წავსულიყავი. სად არის იგი?
 სად არის, სადა?

კატარინა —

თომასი —

კატარინა —

თომასი —

(მთელი ძალით) ის ცოცხალია.
 (ხარბად) მერე სად არის?
 ჩემთან... აქ ცხოვრობს.
 (აკანკალებული, ხელებს კუმშავს)
 მაშ, მადლობა ღმერთს! ის ცოცხალია...
 და ყველაფერი არ დაღუპულა...
 გთხოვთ, მაპატიო, გულქვად მოგექეც,
 სწორი არ ვიყავ. შენ კი ნამუსზე
 უფრო მეტი რამ გადამიჩინე.
 გთხოვ, მაპატიო.

კატარინა —

თომასი —

ის ლამაზია.
 შეგიყვარდება. შენს ქალს, მშვენიერს,
 მთელი ქალაქი ეტრფიალებს.
 (მკაცრად)
 რაო, ქალია? ბიჭი მეგონა!..
 მე შენი ქალის ნახვა არ მინდა...
 შეილსაც არ ნახავ? გონს მოდი, თომას!
 მე ვიცი, ის შენს თავს მომავლენებს.

არ მინდა ვნახო. რა დღე მოელის
 თუკი ოდნავად, ერთი ბეწოთაც
 შენ დაგემსგავსა. თუ ლამაზია,
 ძნელი იქნება შეინარჩუნოს
 ქალმა ნამუსი!

კატარინა —

ის ლამაზია,
 თანაც ამაყი. შენსავითაა.
 ჯერ არევი იცის, თუ რა კარგია,
 საღამოობით, როცა გაიშლის
 ის სპილენძისფერ ლამაზ ნაწნავებს...

თომასი —

(თავზარდაცემული)
 სპილენძისფერსო? მე აქ რომ ვნახე?..

(მთელი შემდგომი სცენა მეტად სწრაფ რიტმში მიმდინარეობს.)

კატარინა —

ის არის...

თომასი —

ცისფერ თავსაფრიალი?

კატარინა —

ჰო... ჰო... ის არის.

თომასი —

(სიმწრით კანკალებს)

მაშ, ის გოგოა?..

ჩემი შეილია?.. იმაზე მითხარ?!
 ვაი სირცხვილო და თავისმოჭრავ!

კატარინა —

(შიშით) რას ამბობ? რასა?

თომასი —

ვითომ არ გესმის? შე, მაქანკალო,

მას ისე აქებ, თითქოს არც იცი...

რომ შენი შეილი, რომ ჩვენი შეილი...

(სიბრაზისაგან ლამის ტირის)

შენს გარეწარ „ქმარს“ კოცნის და ჰყვარობს.

იმ კაცს, რომელიც შენ გამოძებნე,

რათა გაეთბო შენთვის ლოგინი

და პირუტყვივით ჟინი მოგეკლა.

და ეს წუბაკი ჩვენი ქალია?

კატარინა —

ვაიმე! ღმერთო!

თომასი —

გასაგებია:

ახლა შეიტყე ეს ყოველივე?

მითხარი, სახეს რად არ იკაწრავ?

რად არ ძრწუნდები? როსკიბო შენა!

თმა დაიგლიჯე, ჩქარა ფანჯარას

მივარდი, ამცნე ყველას კვილით:

აქეთ წამოდით! შეხედეთ, ხალხნო!

ავერ ის კაცი, ვინც ქმრად გამიხდა

ჩემს შვილთან ერთად მაუწმინდურებს!

რატომ არ ჰკივი?

კატარინა —

(საოცრად დამფრთხალი)

მე ეს არ ვიცი...

თომასი —

(მივარდება)

შენ კარგად იცი ეს ყველაფერი!

კატარინა —

(თავს იცავს)

ო, თომას, თომას! შენ მართალი ხარ.

ვიციოდი... ჩემდა საუბედუროდ...

მე ლამაზობით მომესმის ზოგჯერ,
როგორ საზარლად ჭრიალებს კიბე...
ის მასთან მიდის. მაშინ კი ვცდილობ
დავიხშო ყური, შევიკრა სუნთქვა,
და მეშინია დაგაღუგისგან
რომ არ გამისკდეს წყეული გული.
და შენ გგონია, არ ვიტანჯები?
(გაშმაგებული)

თო მ ა ს ი —

სტყუი, სულ სტყუი! განა არ მეყო
საშინელება, უბედურება,
რაც უცხო მხარეს გამოვიარე?
და ისლა მაკლდა, რომ ჩემი ქალი
დედამისივით გზას ასცდენოდა
და გამხდარიყო მასავით კახპა?!

(ხელს სტაცებს, კედელზე მიაკრავს და ყელში ხელს უჭერს. კატარინა ყვირის. კიბეზე კოჭლობით ჩამოდის გოტპოლდი. უნდა ჩქარა ჩამოვიდეს, მაგრამ არ ძალუძს. კარს ხელისკვრით გააღებს და ხმაჩახლეჩილი იქით გასძახებს, საიდანაც, მისი აზრით, ხმები ესმის. მეტისმეტად აღელვებულია).

გოტპოლდი —

რას სჩადი, პეტერ! ნუ იზამ, პეტერ!

ისევ სცემ? ნუ სცემ, თავი ანებე!
ო, მაწანწალავ, რაც კი ებადა
სულ ყველაფერი შენ შემოგწირა,
უქანასკნელი გროშიც კი მოგცა!
თუ ფულს არ გაძლევს, ალბათ არა აქვს.
უნდა გაიგო! (ახლოს მიდის) ხელი გაუშვი.
გაუშვი ხელი! ვინ მოგცა ნება!

თო მ ა ს ი —

(კატარინას ხელს გაუშვებს. ქალი ბარბაც-ბარბაცით მიდის და კუთხეში მიიკუნჭება. სიბრაზით გაცოფებულად თომასი ხმამაღლა ყვირის)

გოტპოლდი —

ნება ვინ მომცა? მაშ ვის აქვს ნება?
(შეკრთება, შეშინებული ხელებს აღაპყრობს)
ეს ვისი ხმაა? ჩემო თვალებო!
ეს ვისი ხმაა? თომას, შენა ხარ?

თო მ ა ს ი —

შეხ აქა ცხოვრობ, შენ ყველაფერში
მუდამ იყავი სამართლიანი..
მაშ როგორ ითმენ... შითხარი ერთი...
ის არააზად... და ჩემი ქალი...

გოტპოლდი —

(წაბარბაცდება, ფერი ეცვლება)
შენა ხარ თომას?

(უფრო და უფრო კანკალებს, პირგვარს იწერს, ათრთოლებული ხმით).

ო, ღმერთო ჩემო!

(კოჭლობით ძლივს უახლოვდება და ხელს შეახებს).

ვერაფერს ვხედავ. დიდი ხანია,
რაც თვალისჩინი დავკარგე, თომას,
სიბერემ მძლია და არ დამიხდო.
მოდი, ხელები მაინც შეგავლო.

თო მასი —

შენა ხარ, შენა! ბურუსში მაინც
 ვარჩევ შენს კეთილ, წინანდელ სახეს.
 კი, შენ ყოფილხარ! შენა ხარ, თომას!
 (ხმა მოუღებება, ოდნავ საყვედურით)
 და შენ, ძვირფასო მოხუცო ბიძავ,
 შენ, ჩემი ჭკუის დამრიგებლო,
 და მამაჩემის ძმავ, საყვარელო,
 აქ ხარ და ითმენ ყველაფერს ამას?
 (საწყლად)

გოტკოლდი —

უკვე დაებრძავედი, ვერაფერს ვხედავ,
 ერთი მითხარი, აქ რაღ დაბრუნდი.
 შენც ხომ ბრმა არ ხარ? რა შეგძლია?
 ფრთხილად იყავი... შენ მას არ იცნობ!
 არ დაგაეიწყედეს, სასაკლაოზე
 პეტერისთანა ხალხმა გაგზავნა.
 (მუდარით)

თო მასი —

სჭობს გაეცალო აქაურობას,
 ო, წადი, თომას, ვიდრე ადრეა
 და არ გაგსვრია სისხლში ხელები.
 არ გაგსვრიაო? უკვე გაგსვარე,
 დიახ, ჯერ კიდევ ამერიკაში.
 აჯანყებულთა სისხლი დავეღარე.
 ის სისხლი მე კი არ მჭირდებოდა,
 არამედ იმათ, რომელთაც ჩემი
 იაფი სისხლით მოითბეს ხელი
 და გადამთიელს მიჰყიდეს მუქთად...
 იმათაც, ვინაც დიდი ხალისით
 იყიდა ჩემი იაფი სისხლი,
 რომ მიწა-წყალი დაეპყრო სხვისი.
 და ვიდრე, სადღაც სხვისთვის ვიბრძოდი,
 მე საკუთარი, ჩემი დავკარგე.
 სადაა სახლი მამისეული,
 ოჯახი, შვილი? სად არის, სადა?
 სჩანს, ყველაფერი გადაითელა,
 დაღუპულია სიცოცხლე ჩემი!

(შემოსასვლელი კარი ფართოდ გაიღება. შემოდის პეტერი. ცოტა შექე-
 იფიანებულია).

პეტერი —

ოჰო! სუყველას მოგესალმებით!
 მოგესალმებით ამ კამპანიას!

(არავენ პასუხობს. თომასი მუშტებმოკუმული დაიხვეს და კედელს მიეყ-
 რდნობა. მძიმედ სუნთქავს. კატარინა დახლს ეფარება. პეტერი მძიმედ დაეშ-
 ვება სავარძელში, ვეება ჩექმებს გაიხდის და განზე ისვრის).

აბა, მოიტა ჩქარა სხვა ჩექმა!
 (კატარინა მოუტანს)

ოჰ, დავიდალე! თუმც ღირდა დაღლად!
 რა სერიია ჩვენს ნავსადგურში:
 გემი დგას ერთი გამზადებული,
 მალე გასცურავს და რეკრუტები

თომასი —
პეტერი —

ისევე უნდა გადავავზავნოთ.
რაო? კვლავ მიჰყავთ?
უცხოელები,
ჩვენები არა!

(იცინის)

კაცმა არ იცის შევდნი თუ თურქნი!
დგანან ბრიყვები და ბატკნებივით,
გაბმით ბლავიან... არის ღომხალი,
ზოგი ლოცულობს, ზოგი ღრიალებს,
ზოგი კი იწევს გასართყმელადაც!
რა სასეირო სანახავია!
ემუჭრებიან ხან მეზღვაურებს,
ხან თვითონ ხომალდს და ხანაც ზეცას!
ჩვენ არაფერი გვესმოდა მათი!
ყვირიან. ხალხი ირგვლივ ეხვევათ.
რა სეირია!

(კატარინას)

აბა, ვახშამი!

კატარინა —
პეტერი —
კატარინა —
პეტერი —

(შიშით) ახლავე წავალ... და მოგიმზადებ...
რაო? მზად არ გაქვს? ეშმაკის კერძო!
აქი გითხარი, მზად დამზედეს-მეთქი!
მე... მე...
ხმა-კრინტი!

რასაც გიბრძანებ,

უნდა შესრულდეს! მორჩა, გათავდა!
ღვინო მოიტა! (თომასს)

არ დამეწვევი?

რენის არ დალევ? სისხლს ავიჩქროლებს,
ხელად ცეცხლივით მოგეკიდება.
არა, არ მინდა.

თომასი —

(ბაუზის შემდეგ ყრუ ხმით)

რა თქვით თქვენ წელან?

გემს აგზავნიან ამერიკაში?
რომელ საათზე უნდა გავიდეს?

პეტერი —

(სიცილით)

მგონი, ახლავე! ნავები უკვე
მოშორდნენ ნაპირს. ხელავეთ იალქნებს.
უკვე მზადაა და ამოსწევენ
საცაა ღუზას.

თომასი —

(სწრაფად მოტრიალდება)

უნდა მოვასწრო...

პეტერი —

ნავსადგურამდე შორი გზა არი!
ველარ მიუხწრებ!

თომასი —

ცხენი მათხოვეთ!

პეტერი —

ეგ ვერ გიშველის!.. დაიგვიანე!
ნავს წყალში აღარ ჩამოთშვებენ.

თო მასი —

აუცილებლად უნდა წავიდე...
ნავი არა გაქვთ? ალბათ გექნებათ!
მე უსათუოდ უნდა წავიდე...
ეჰ, ჩქარა, ჩქარა!

(პეტერი ნელა წამოდგება, თომასს უპირატესობის გრძნობით მიაჩერდება, დაცინვით მიმართავს, თან უსტვენს).

პეტერი —

ასეა საქმე?
მოგდევინ, განა?! ნუ გეშინია!
მე ჯერ არავინ არ გამიცია! (ნელა ადგება)
ნავი გპირდება? თანაც საჩქაროდ?
(პაუზა. ჩაფიქრებით)

თომასი —

ნავი მართლაც მაქვს. და კარგი ნავიც!
მათხოვე ბარემ. ნუ დამიკავებ.
დრო მიდის, ვხედავ იალქნებს შლიან.
ჩქარა! სასწრაფოდ მზად იყოს ნავი,
რომ გზას გავუდგეთ.

პეტერი —

(ჩექმებს წამოაველებს ხელს)
ამ სველ ჩექმებში ფეხის ჩაყოფა,
ვერ არის დიდად სასიამოვნო.
მშიერი კუჭით წასვლაც ძნელია...
რამდენს იძლევი?

თომასი —

რამდენსაც მომთხოვ.

პეტერი —

(ჩაფიქრდება)

ახალთახალ ნავს მოგაჭირავენ..
ოცდაათ ღუკატს ნუ დაიშურებ.

თომასი —

(დაცინვით)

ოჰო, ძვირია!

(ყალბი მორჩილებით)

პეტერი —

მე კი მეგონა,

დრო უფრო ძვირი გიღირდათ ახლა.

თომასი —

კარგი, ყაბულს ვარ. მოგცემ ოცდაათს.

პეტერი —

მაშ, წაეალ, სწრაფად აფრებს ავუშვებ.

შენც გამომყევი.

თომასი —

აჰა... მოვდივარ.

(პეტერი ჩექმებს იცვამს და სიცილით გადის)

(გოტპოლდთან მიდის, შეძრწუნებული დიდხანს შეპყუ-
რებს, მერე ეუბნება)

მშვიდობით იყავ! მივდივარ უკვე!

(ცახცახებს)

ღმერთი გვარავდეს!

(თომასი გატრიალდება და კარისკენ წავა. ზედაც არ უყურებს ცოლს, რომელიც თვალბგაფართოებული, შეშინებული შესცქერის. ამ დროს შემოდის ქრისტიანა. თომასი დაინახავს თუ არა მას, უეცრივ მოტრიალდება, მაგიდასთან მივა და რამდენიმე ოქროს ფულს დააგდებს. მტკიცედ ამბობს).

თომასი —

დიასახლისო! აჰა! ინებე.

შეხედე, ლამის გადაამეფყდა,

რომ ღვინის ფული გადამეხადა.

არ მინდა სხვისი ვალი თან გამყვეს.

(აძლევს ფულს)

(დაცინვით)

ქრისტინა —

მდიდარი ჩანხართ. მეც მიწილადეთ!
ამას ნუ ავსებთ მარტო წყალობით.

კატარინა —

შე უსირცხვილო, გასწი აქედან!

ქრისტინა —

(ხელს ჰკრავს კატარინას, რომელსაც უნდა დააკაოს)
შენ რაღა გინდა? იქნებ ესეც გშურს?

(თომასი შეძრწუნდება. ქრისტინას არ შეხედავს, აკანკალებული ხელით კილევს რამდენიმე მონეტს დაავდებს მაგიდაზე. ქრისტინა აიღებს. შემოდის პეტერი).

პეტერი —

გასამგზავრებლად ნავი მზად არის!

თომასი —

(მისკენ გაქანდება, თითქოს უნდა დაახრჩოს, მაგრამ თავს იკავებს და მუქარით ამბობს)

აჰა, მოედვიარ, „ჩემო ძმობილო!“

პეტერი —

(მაგიდაზე ფულს დაინახავს და უსირცხვილოდ დასტაცებს ხელს)

ის გასამრჯელო?

თომასი —

(წრავლისმეტყველად)

იქ გადავიხდით, ნავში მოგართმევთ,

რაც მმართვეს თქვენი.

პეტერი —

აბა, გავწიოთ!

(თომასი ერთხელ კილევს თვალს მოავლებს ოთახს, მერე სასწრაფოდ მიდის კარისკენ. ხანგრძლივი პაუზა. მძიმე ნაბიჯების ხმა ნელ-ნელა წყდება. ქრისტინა ფანჯარას მიადგება და თვალს გააყოლებს მათ. გოტჰოლდი მაგიდიდან ბიბლიას იღებს და სასოებით იკრავს გულში. კატარინა მოკუნტული დგას კუთხეში. უეცრივ გოტჰოლდს მიუახლოვდება და ორივე ხელში ჩაჰკიდებს ხელს).

კატარინა —

გამოგვეცხადა და გაქრა ისევ,
ვით. მოჩვენება. როგორ ვცდილობდი,
წუმპედან თავი რომ დამეღწია,
სადაც ცხოვრებამ გადამისროლა...
ქმარსაც და შვილსაც, საკუთარ თავსაც
სიცოცხლე ასე რად ჩავუმწარე?..
ვისი ბრალია ეს ყოველივე?
ის კი ელოდა, ელოდა პასუხს...
მიიღო კიდეც... მაგრამ პასუხი?..

ქრისტინა —

(სიცილით გასძახის ფანჯრიდან)
მალე დაბრუნდი, პეტერ, აქ გელი!
(კისკისებს, პაეროვან კოცნას უგზავნის)

კატარინა —

ისინი ახლა ორნი არიან
შიგ შუა ზღვაში... ქრისტინა... გოტჰოლდი!

ქრისტინა —

რა გემართება?

კატარინა —

რატომ გავუშვი?

ქრისტინა —

ნეტა რას ამბობ?

გოტჰოლდი —

საჭირო იყო...
და ასეც მოხდა...

კატარინა — იქ, ჩქარა, ჩქარა!
 ქრისტინა — არ მესმის შენი...
 (ფანჯრისკენ მივბრუნდები)
 შეხედე, მერე...
 გაჩერდა ნავი. ნეტავ რა მოხდა?
 კატარინა — ეს ალბათ ნავის აფრა მოეშვა.
 ქრისტინა — ხედავ, ისინი ჩხუბობენ ნავში,
 პეტერი იბრძვის... საჭე გააგდო...
 უცნობი მისწვდა ხელებით ყელში.

(კატარინა კედელს ეკვრება და უსიტყვოდ დგას. გოტჰოლდი კუთხეში მიყუდდება, ბიბლია მკერდში ჩაუკრავს და ლოცულობს).

გოტჰოლდი — ო, დამერთო ჩემო, იხსენი იგი!
 ქრისტინა — ჩქარა უშველეთ! ისინი ზღვაში
 გადაცვივდნენ და ერთმანეთს ჰკლავენ.
 უეცრად ნავი გადაყირავდა,
 ორივე ერთად ზღვაში იხრჩობა.
 ჩაიძირნენ და არაფერი ჩანს...
 გოტჰოლდი — ის მეორე კი?
 ქრისტინა — ისიც... ორივე
 წყალმა დაფარა...

ის ვინლა იყო?

კატარინა — ის?... მამაშენი...
 ქრისტინა — მამა?
 კატარინა — ჰო, მამა...
 ქრისტინა — (გაშლის მუშტს, რითაც ფული ეჭირა)
 მამ, ფულები კი?..
 კატარინა — ო! ეგ ფულები!..
 რა საშინელი საზღაურია!
 გოტჰოლდი — მე ცოცხალი ვარ, ო, მაგრამ ბრმა ვარ,
 ის დაიღუპა თვალახილული.

— ფ ა რ დ ა —

თარგმანი რეზა მარგინაშა



შალვა შორჩხიძე

მხოლოდ შენ ერთი

შენ დაგეძებდი ლურჯ ტბათა იქით,
მინდვრებს მოედუნენ თეთრი ქორები,
მე ტყის სიღრმეში, ვით ტაძარში შევედი რიხით,
სულში აპრილის წამოდუღდა ფერთა მორვეი.

ავივსე პეშვი ათასი ფერით,
შიგ, როგორც ქორი ასაფრენი, ლექსი ფართქალებს,
ალბათ მართლა ვარ „გაუთლელი ლერწამის ღერი“,
მწვანე ფერთაგან ცდუნებებმა რომ ვერ გამცალეს!..

ჩამოხუნძლულან შორი მთები თეთრი შინდებით,
ხევეებს ანათებს შენი ტანის უცხო სითეთრე,
მე სიკვდილამდე ვერ დავმშვიდდები,
სიშორეს შენსას ვერ შევიფერებ...

ასაფრენ ლექსებს მიეუსიე თეთრი ქორები,
თავაწყვეტილი ვარ ბაზიერი,
მარტო ვნადირობ და არ ვღონდები,
მალლა მეწვევა სული ძლიერი.

ვილტვი შენსკენ და ქორის გუნდი კივილით მომდევს,
მოაქვთ ხილვები ფრთებს ჩახვეული
და არ მასვენებს, როგორც ძველ მოგვებს,
მზით შეფოთლილი შენი სხეული.

დაგეძებ მარად ლურჯ ტბათა იქით,
და რასაც კაცი არქმევს უხილავს,
შენ მაახლოვებ იღუმალ ფიქრით
და ვჭრი სივრცეებს გაავებულ სფინქსის მუხლითა.

მომაქვს სიზმრებით საესე კოშკები
და ჩუმაღ გიცქერ ათასი სარკმლით...
შენი ვარ, შენებრ ნაზ ფერებში შენთვის მოკვადები,
და საუკუნოდ სიმღერების მაცოცხლებს მაღლი.

ვერვც ბალახში ხელებს თეთრი შინდის რტოებთან
და ფერთა სიღბო მისველებს თითებს,
და მინდა შენთან განმარტოება,
რამეთუ ქვეყნად ყოველივეს მე შენთვის ვითმენ...

მოგელი მაღალ, ლურჯ ტყეებს მიღმა,
თუ ფათერაკი შემეყარა, უკან არ ვიხევე,
უხმოდ გაბარებ ჩემს ბედს და იღბალს,
შენს სახილველად, იღუმალო, თვალნი განმიხვეწ...

ნუ დამაბრმავებ მეტი სიკეთით,
მომაჯადოვე უცხო ხილვებით,
მომეცი ხელში შენი ღვთის კვერთხი
და შენზე ლოცვით არ დავიღლები.

მხოლოდ შენ ერთი ხარ ჩემი ღმერთი,
სხეული შენი სულია ჩემი!
შენ მწვავ და... შენს ცეცხლს ცრემლებით ვერთვი
და მეტ სიხარულს მგერი ამგვარ გვემით.

უნდა იღორძინო, ხალხო ჩემო...

უნდა იღორძინო, ხალხო ჩემო,
უნდა იგრუხუნო, ძმავო ჩემო,
უნდა ითქრიალო, სისხლო ჩემო,
უნდა ამაღზუო, გულო ჩემო!

თორემ სული ჩემი უქმად აბოლდება,
მევე შემძულდება ჩემი თავის ცქერა...
სწორედ ახლა გვინდა, გულო, გალომება,
რალაც უცხო ხილვებს მისევეს ბედისწერა.
გაფრენილ დღეებზე ნულარ დალონდები,
თავს არ ვიზოგავდი ღზინსა და შრომაში,
წინ მედგა დოვლათი ვეება გობებით,
ჯერ ხომ არ დაგებრდი ნაზ ფერთა თოვაში?!

მე ხომ ვარდისფერი ქვებით ანაგები,
ტაძრები მქონია და მკლავით უძღვევლით,
მედგრად მიღეწია მტერთა საფანგები,
რომ არ დაეფარა ნაცარს ფუძე ძველი.

მოზიბინე ხავსიც რუხი ციხეების,
ხომ ჩემი თმებია და სუნთქვა ქართლის მიწის
და თუ უთვალავი კლდეთა მღვიმეებით
ჩემი წინაპრების სული ისევ იღწვის, —

უნდა იღორძინო, სალხო ჩემო,
უნდა იგრუხუნო, ძმაო ჩემო,
უნდა ითქრიალო, სისხლო ჩემო,
უნდა ამაღზეო, გულო ჩემო!..

* * *

დატენილია ბილიკები უხილავ ძალით,
მუხის ფოთლებში ჩანავლული შიშინებს მეხი...
თითქოს მიწიდან ჩუმად მიცქერს ათასი თვალი —
და მეშინია თოთო ბალახს დავადგა ფეხი!

იწყება ქვეყნად ამოსვლა მწვანის,
ტყის პირას უცხო ფრინველი უსტვენს...
მე დადლილ სულის ვიპოვე ვანი
და სიმარტოვის ზმანებებს ვუტევე!..

აფეთქებულია ლურჯ კბოდესთან ასკილის ტოტი
და როგორც სოფლის მორცხვი გოგო, იწვის ყაყაჩო,
ქალაქელივით თხელი კაბით აპრილი მოდის, —
კურთხეულ იყოს, — ფერთა წარღვნამ თუ არ დამახრჩო!..



გორის უახვერავშილი

უხვედრა

მოთხრობა

არქიტექტორი პავლე ღურმიშიძე კვირა დღეებს მეტწილად ჯვარზე ატარებდა. არად აგდებდა იმას, რომ უკვე ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული. ზორბა, ჩასუქებული სხეულის სიმძიმეს არცვი გრძნობდა — მსუბუქად და თავისუფლად ადიოდა ციცაბო ფერდობზე.

ღურმიშიძე თავის თავში ჩაკეტილი, გულჩაობრობილი კაცი არ გახლდათ, მაგრამ ჯვარზე ასვლა მარტოს უყვარდა. თვითონაც არ შეეძლო ეთქვა, რატომ ერჩია მარტო სიარული. იქნებ ასე უფრო მძაფრად აღიქვამდა ამ დიდებულ ძეგლის სილამაზეს.

როცა ამ მაღალ თაღქვეშ შედიოდა, როცა უძველეს საფეხურებს ფეხს ადგამდა, ღურმიშიძეს ეგონა, თითქოს თვითონაც ერწყმოდა განვილილ საუკუნეებს, გამოუთქმელი აღტაცება იპყრობდა რაღაც უსასრულოსა და მშვენიერის აღქმით.

იმ მშვიდ, ნათელ დილასაც, ჯვარს მიუახლოვდა თუ არა, კვლავ შეიპყრო ნაცნობმა და ამადღევებელმა გრძნობამ. მზის სხივები ჯერ მხოლოდ კლდოვან მწვერვალს ანათებდა, სადაც მთელი

თავისი დიდებულებით აღმართულიყო მონასტერი, რომელიც სუფთა, ლურჯი ცის ფონზე რელიეფურად იყო გამოკვეთილი და, ისე მსუბუქი ჩანდა, თითქოს მიცურავსო.

ღურმიშიძე დარწმუნებული იყო, რომ ამ დილაადრიან აქ არავინ იქნებოდა, არავინ შეუშლიდა ხელს — სიჩუმესა და სიმშვიდესი ერთხელ კიდევ დამტკბარიყო სრულყოფილი არქიტექტურით, ზღაპრული პეიზაჟით.

უცებ ჯგუფი შენიშნა. მათ მონასტრის პორტალთან მოეკალათებინათ. უნებურად შექმუნხა შუბლი. არ ესიაშოვნა ახლა მათი დანახვა. გერმანულ სიტყვებს მოჰკრა ყური. გერმანული ჩინებულად იცოდა. გაიფიქრა, ალბათ უცხოელი ტურისტები არიანო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ მოტყუვედა. საერთოდ, ტურისტები ნაჩქარევად და ძლივს შესაშინევი გულგრილობით ათვალიერებენ ხოლმე ისტორიულ ძეგლებს. შთაბეჭდილებათა განუწყვეტელი ცვლა მომლლელია და იყარგება გარემოს მძაფრად აღქმის უნარი. ესენი კი მონასტერს და შემოგარენს არა მარტო აღტაცებით, არამედ პროფესიული, საქმიანი ინტე-

რესით ათვალეირებდნენ. ამან უნებურად მიიქცია დურმიშიძის ყურადღება და ახლოს მივიდა.

ენერგიული სახის, მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი ხნიერი მამაკაცი ლაპარაკობდა:

— ამის მსგავსი არსად არაფერი მიხახავს. ეს უფრო მშვენიერია, ვიდრე ლორელაის ციხე-სიმაგრე რეინზე. თითქოს სარკმლიდან უყურებ რაღაც ჯადოსნურ სამყაროს. გასაოცარი კადრები გამოვა, თუ შევძლებთ ამ უძველესი კედლების სიდიადისა და პეიზაჟის გრანდიოზულობის გადმოცემას.

მერე შეკრებილთ უჩვენა ადგილი, საიდანაც გადაღება უნდა დაეწყოთ. არქიტექტორმა მყისვე შეამჩნია, რომ ამ გერმანელს მეტად მახვილი თვალი ჰქონდა: გადაღებისათვის უკეთესი წერტილის შერჩევა შეუძლებელი იყო. მაგრამ მართო ამან როდი მიიპყრო დურმიშიძის ყურადღება — სხვა რაღაცამაც აიძულა ყური მიეგდო უცნობის სიტყვებისათვის და უფრო დაკვირვებით შეეთვალეირებინა იგი.

შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რომ სადღაც ენახა ეს უცხო კაცი, თითქოს ეცნაურა მისი სახის ნაკეთები. დურმიშიძემ ვერ შეძლო, უცებ აღედგინა მეხსიერებაში, თუ სად და როდის ჰყავდა ნანახი უცნობი. მაგრამ, როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, უფრო გრძნობდა, ვინც იცოდა, რომ ამ კაცთან რაღაც აკავშირებდა.

გერმანელმა, გადაღებისათვის რომ ემზადებოდა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი გადასახედს. ძირს მხრები გაეშალა მცხეთას. ამ სიმალიდან სვეტიცხოველისა და სამთავროს ტაძრები სათამაშოებს ჰგავდა. ქალაქს ორივე მხრიდან სარტყელივით შემოსალტოდა მდინარეები. ვიწრო ხეობის ყელიდან მოისწრაფოდა არავი — თითქოს ერთი სული ჰქონდა, სანამ თავს დააღწევდა მთების ტყეობას და მტკვარს შეუერთდებოდა. ყველაფერი მშვენიერი იყო — დათოვლილი, პირქუში მწვერვალები, ჰორიზონტზე რომ მოჩანდნენ, ტყეების

სიმწვანე, ყანების მუქი კვადრატები, წყლის ლივლივი, ცის სილურჯე...

დურმიშიძე ატყობდა, როგორ გაიტაცა უცხოელი ამ მომხიბლავმა სურათმა, რა ღრმად განიცდიდა ყოველივეს...

ეგონა, როგორც არქიტექტორისათვის, მისთვის აქ ყველაფერი ნაცნობი და ჩვეულებრივი იყო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ახლა თვითონაც ძლიერ ღელავდა. სიამაყით ავსებდა იმის ფიქრი, რომ ეს მისი ქვეყანა იყო, მისი მშობლიური მიწა-წყალი. შუქიანი თვალებით გაჰყურებდა წინ გადაშლილ სურათს. ამ ადგილებზე უფრო ძვირფასი მისთვის აღარაფერი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. თვითეულ დეტალს, პეიზაჟის ყოველ წვრილმანს ამ წამს ახლებურად განიცდიდა... — რამდენი რამაა აქ უჩვეულო, — ფიქრინად წარმოთქვა მაღალმა გერმანელმა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: — შორეული ეპოქების რა საოცარი სიახლოვეა. ყველაფერი ისეა, როგორც ჯადოსნურ ზღაპარში: ათასხუთასი წლის მონასტრის გვერდით დგას ატომური რეაქტორი. ასეთ ფონზე ჭაღარა წარსული უფრო გაღელვებს...

დურმიშიძე სულ ახლოს იდგა და ეს სიტყვები თითქოს მის გასაგონად იყო ნათქვამი, უფრო მეტად უცხოელის პიროვნებით დაინტერესებულმა, უბასუხა:

— და ვანა ეს ძველი კედლები აწმყოს სიდიადეს უფრო მძაფრად არ განგვაცდევინებს? დრო ისე სწრაფად ვარბის, გარდასული ხანის ასეთი მოწმეები რომ არ გვყავდეს, ადამიანები ადვილად დაიწიყებენ წარსულს.

ამ საუბარმა დურმიშიძეს უეცრად გაახსენა ის, რასაც აქამდე ქვეშეცენულად, ბუნდოვნად გრძნობდა. გაახსენდა ისიც, თუ რა ვითარებაში შეხვდა გერმანელს. ყოველგვარი ეჭვი გაუქრა და დაჭერებულად იკითხა: — ლეიტენანტი კურტ მეიერი? 21-ე სამთო-მსროლელთა დივიზია?

აოჩის შაბაძის მუზეუმი
შინაგარა

გერმანელი შეტბა, გაოცებული შეპყრებდა მოსაუბრეს. მის სახეზე ერთდროულად წყენაც გამოიხატა და დაბნეულობაც. — თქვენ არ შემცდარხართ. დიახ, კურტ მეიერი გახლავართ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მაგრამ ლეიტენანტი კი არა, არამედ კინო-რეჟისორი. ლეიტენანტს მეძახდნენ ამ ოცდახუთი წლის წინათ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— არ გახსენდებით? ორმოცდაორი წლის აგვისტო. ტუპასეს მიმართულეებით... მთა ჰინდიუცი.

გერმანელი მცირე ხანს ყურადღებით მისჩერებოდა ღურმიშიძეს. რაღაცას დაძაბულად იგონებდა:

— ჰო, რასაკვირველია, თქვენ საბჭოთა მზვერავეების კაპიტანი ხართ. არა, ეს წარმოუდგენელია. ამდენი ხნის მერე და... ასეთი შეხვედრა!

— მართლაც საოცარი ამბავია, — ჩაილაპარაკა არქიტექტორმა, — ოდესღაც მე თქვენ ვეძებდით, ახლა თქვენ თვითონ მოხვედით. იღბალი გქონიათ...

ორივე დღავდა. ხელახლა განიცდიდნენ იმას, რაც მოხდა იმ შორეულ აგვისტოს დღეს. და ამიტომაც უჭირდათ ალბათ ლაპარაკი. მაშინ ზომ მტრებად შეხვდნენ ერთმანეთს! და აი, ახლა ეს მოულოდნელი შეხვედრა, შეხვედრა იმ მიწა-წყალზე, რომლის დასაპყრობად მოდიოდა მეიერი სხვებთან ერთად.

ღურმიშიძე, ჩვეულებრივ, სტერეოტიპიულ სიტყვებს წარმოთქვამდა, მათ შიღმა კი იმალებოდა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ... ამ ფიქრებმა წარსულში გადაიყვანეს ღურმიშიძე. შორეული იყო ის წარსული, ამავე დროს საოცრად ახლოც იყო, რადგან მესხიერებამ ვერ შეძლო მისი დავიწყება.

გონებაში აღდგა ის, რაც აქამდე მხოლოდ ცალკეული რგოლი, ეპიზოდი იყო მოგონებათა გრძელ ჯაჭვში. ადამიანი ყველაფერს ერთნაირად ვერ იმახსოვრებს. ზოგ რამეს დროის ფერფლი წაეყრება ხოლმე და მკრთალდება, წაიშ-

ლება, ზოგი რამ კი მუდამ ცოცხლობს, ინარჩუნებს თავის სიმწვავეს და რეალურობას. ასეთად დარჩა ორმოცდაორი წლის ზაფხულის დღეები.

...იდგა წყნარი, მომხიბლავი ღამე. ასეთი ღამეები მხოლოდ მთებში იცის. მძაფრი ბრძოლების შემდეგ სიჩუმე არაბუნებრივი და დამუხტული ჩანდა. არაფერი არ არღვევდა მყუდროებას. მზვერავეები კაპიტან ღურმიშიძის მეთაურობით მოჩვენებებსავით უხმაუროდ მიიპარებოდნენ ტყეში. მათ დავალებული ჰქონდათ „ენის“ შოვნა.

მზვერავეები ხშირი თბილნარის ქვეშ მდგარ გერმანელ მოულოდნელად წააწყდნენ. პირველად ვერ მიხვდნენ, რას აკეთებდა, ხან თითქოს დიძაბული უყურადებდა გარემოს, ხან კი ღამეული ტყის მომხიბვლელ სილამაზეს სჭვრეტდა. ღურმიშიძეს მოეჩვენა, რომ ეს ახოვანი, მხარბუქიანი ოტროველა შუქჩრდილის უცნაურ თამაშს, მთვარეზე ვერცხლისფრად მბრწყინავ ხეთა ფოთლებს შესცქეროდა.

კაპიტანს წამით თავში გაუელვა ფიქრმა: ნუთუ ამ კაცს, ვისაც სიკვდილი და ნგრევა მოაქვს, ძალუძს იგრძნოს მიწის სილამაზე, ათრთოლდეს ღამეული ტყის სურათის ხილვით? კაპიტანს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ესოდენ ცინიკური, ბოროტი მტერი თავდავიწყებული მეოცნებეც ყოფილიყო.

კაპიტანი სიამოვნებით უბრძანებდა თავის მზვერავეებს, აქვე გაეთავებინათ მომწვანო-თავგისფერ ფორმაში გამოწყობილი გერმანელი, მაგრამ აუცილებლად ცოცხლად უნდა ჩაეგდოთ ხელში. გერმანელმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ ძირს დასცეს, ხელები გადაუგრიხეს, პირში მჩვარი ჩასჩარეს და წამოიყვანეს.

ტყვე ლეიტენანტი კურტ მეიერი შტაბის ოფიცერი გამოდგა. რაკი შეტევისათვის ემზადებოდნენ, ოცი დღე არსად გაუგზავნიათ ტყვე;

ლეიტენანტს პირველ ხანებში ქედმალღურად ეჭირა თავი, თითქოს არ სჯე-

როდა, რომ ამიერიდან მისი ბედის ჩარბი უკუღმა შეტრიალდა. მას ურყევად სჯეროდა თავისი არმიის გამარჯვება. ფარული მღელვარებით ელოდა, როდის დაიწყებდნენ ჩვენები უკანდახევას. მაგრამ ჩვენებმა კი არა, ფაშისტურმა ჯარმა იწყო პანიკურად უკანდახევა. ამან გუნება გაუფუტა ტყვეს. ქედმაღლობა და ზვიადობა სევდა-ნალღელმა შეცვალა.

მეიერს უმიძიდა გავაზრებინა ყოველივე, უჭირდა თავის შეხედულებათა დაცვა. აქამდე ხომ მას აზრადაც არ მოსდიოდა, ეჭვი შეეტანა საკუთარი რწმენის სიმტკიცეში. მაგრამ აი, დადგეს ქამიც.

თუმცა ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული იმაში, თუ რა მოხდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ძალა, რომელსაც ადრე ბრმად ემორჩილებოდა, ახლა თანდათან ცამტვერდებოდა.

მორალურად განადგურებული მეიერი ხან თავს იხალისებდა, ხანაც ისევ იქუფრებოდა.

ერთხელ, როცა მეიერი ძლიერ შეშფოთებული იყო, ღურმიშიძემ ჰკითხა:

— რაო, ლეიტენანტო, ძნელია უკანდახევა? მოიცა, ჯერ სადა ხართ!..

მეიერს უკვე ყველაფერი მობეზრებოდა და არაფრის თავი არ ჰქონდა:

— მოხდეს, რაც მოსახდენია. ოღონდ შევძლო ყველაფრის მალე დავიწყება, — უხალისოდ მიუგო ღურმიშიძეს ტყვემ.

— არა, ლეიტენანტო, — ბრაზიანად გააწყვეტინა ღურმიშიძემ, — ყველაფრის დავიწყება, დავიწყება სიკვდილისა და მწუხარებისა, ტანჯვისა და ცრემლებისა, შეუძლებელია!..

მეიერს ზოგჯერ უნდოდა ეკამათა ღურმიშიძესთან, რაღაც დაეცვა, დემტკიცებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ყოველთვის უთავბოლო მსჯელობებში გადავარდებოდა ანდა უმწეო შეკითხვებს იძლეოდა.

— რაც ახლა ხდება, კანონზომიერი არაა, — ამტკიცებდა მეიერი, — ჩვენი ჯარების უკანდახევა საბედისწერო შემ-

თხვევათა ბრაღია. შეიძლება ბედი ისევ წაღმა შეტრიალდეს.

— საქმე სწორედ კანონზომიერებაა, — პასუხობდა კაპიტანი, — ბედს თვითონ აღამიანები სჭედენ. რასაც დასთეს, იმას მოიმიკო, ნათქვამია. თქვენც იმას მიიღებთ, რისი ღირსიცა ხართ. გერმანიის არმიამ ტუაჰსემდე მიიღწია და ახლა გარბის. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ დადგა ქამი, როცა უნდა აღსრულდეს, რაც გარდაუვალა.

— კი მაგრამ, შემთხვევითობის გამოც ხომ წაუვითა ბრძოლა?

— ბრძოლა წაუვითა, თმი კი — არა. ამ თმის შედეგი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — ესაა ჩვენი გამარჯვება. არავითარი შემთხვევითობა არ გიშველით, ლეიტენანტო, თუმცა მალე ამას თქვენ თვითონ დაინახავთ.

მეიერი გრძნობდა თავის უმწეობას; მას ერთდროულად აკვირვებდა და აშინებდა კიდევ ასეთი ურყევი რწმენა გამარჯვებისა, რაც თვითეულ საბჭოთა ჯარისკაცსა და ოფიცერს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ტყვესთან საუბრებმა კაპიტანი ღურმიშიძემ ღრმად დააფიქრა იმაზე, თუ რისთვის ცხოვრობდა, რა მიზანს ისახავდა, რას ემსახურებოდა. ახლა უფრო ცხადად გრძნობდა, რომ უზარმაზარ, უსახლდროდ ძვირფასი სამშობლოს პატარა ნაწილი იყო. სამშობლოს მცნება ახლა ყოველისმომცველ მცნებად ესახებოდა, რომელიც ყველა აზრს, სურვილს, მისწრაფებას იტევდა. თვალეში სიბრაზისა და სიძულვილის ცრემლები აღგებოდა, როცა უყურებდა უკანდახეული მტრის მხეცობის ნაკვალევს; თავის თავს ეუბნებოდა:

„ასეთი ხვედრი ელოდა ჩემს საყვარელ მხარეს, ჩემს მშობლიურ საქართველოსაც, ფაშისტური ჩექმები ასევე უმოწყალოდ გათელავდა მის მშვენიერ მიწას“.

ღურმიშიძე იგონებდა დაცემულ მე-

გორის შახაბრაზვილი
შინავიჯრა

გობრებს — რუსებს, უკრაინელებს, ქართველებს, სომხებს, ყაზახებს... მათ სიცოცხლე შესწირეს რუსეთს და უკრაინას, ბელორუსიას და საქართველოს, მთელს ჩვენს უსაზღვროდ ვრცელ, დიდ სამშობლოს. პატრიოტიზმი ომამდე რაღაც განყენებულ მცნებად ეჩვენებოდა, ახლა კი იმისთვის გმირობისაკენ მომწოდებელ გრძნობად იქცა. მას სიამაყეს ჰგვრიდა ის ხალხი, ის ქვეყანა, რომელმაც ამდენი ტანჯვის შემდეგ ასეთი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტერს.

ყოველივე ამის შედეგად ღურმიშიძე უპირატესობას გრძნობდა ტყვე მეიერის წინაშე და როცა კაპიტანი ეკითხებოდა: — მითხარით, რა მიზნები, რა მორალური საწყისები ამოძრავებს გერმანულ არმიას? რისთვის იხოცება ათასობით გერმანელი? — მეიერმა არ იცოდა, რა ეპასუხა. ის სულ უფრო და უფრო ემწყვდებოდა ჩიხში, საიდანაც გამოსავალს ვერ ხედავდა.

...საბჭოთა ჯარების შეტევა გრძელდებოდა. ოც დღეში ასობით კილომეტრით წინ წაიწიეს ჩვენებმა. უკან რჩებოდა ტყიანი, დამრეცა ფლატეები, მიუვალი ხეობები და ბობოქარი მთის მდინარეები. ტუპასესთან ბრძოლები უკვე ძალიან შორეული მოგონება იყო — თითქოს დღეები კი არა, თვეები გავიდა მას შემდეგ.

მზვერავებს უკვე საათობით აღარ სჭირდებოდათ ნადირობა „ენაზე“. გერმანელებს დაუყოვნებლივ აგზავნიდნენ ზურგში. ტყვეების ერთ-ერთ ჯგუფთან ერთად მეიერიც ტოვებდა დივიზიას. გარეგნულად თითქოს არ შეცვლილიყო — ძველებურად ჯანსაღად გამოიყურებოდა, მხოლოდ თვალები მეტყველებდნენ ბევრ რამეზე, მათში დაბნეულობა და შიში ჩამდგარიყო. წასვლის წინ ღურმიშიძემ ტყვეს უთხრა:

— მაშ ასე, ლეიტენანტო. ფრონტს სამუდამოდ ტოვებთ. მაგრამ არა მგონია დაგაიწყდეთ ომი, თუმცაღა ამას ნატრობდით. ადრე მხოლოდ თქვენ ერთი გვყავდით, ახლა — კი, აი რამდენი

ხართ! არა მგონია შემთხვევითობას დააბრალოთ ეს ამბავი.

— რომც მოვიდნო, მაინც ვერ დავივიწყებ იმას, რაც ვნახე, კაპიტანო. მე გერმანელი ვარ და ჩემი ქვეყნის ბედი, ჩემი ხალხის მომავალი ძვირფასია ჩემთვის. ბევრი რამ განვიცადე, ბევრ რამეზე დავფიქრდი.

კაპიტანი ღურმიშიძე ახლაც ისე უყურებდა მას, როგორც მტერს — ლეიტენანტ მეიერის იქვეები და ფიქრები არაფრად ეპიტნავენბოდა. მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში ღურმიშიძეს კითხვა ებადებოდა: — როცა მხეცს საბოლოოდ გადაუმტკრევენ ხერხემალს, რა მოუვა მაშინ მეიერის მსგავსებს?



კარგა ხანს ხმას არ იღებდნენ. რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო ორივე. ამ წლების მანძილზე განცდილმა ბევრად უფრო ღრმა კვალი გაავლო მეიერის გულში, ვინემ ღურმიშიძეში. ღურმიშიძეს ხომ თავის შეხედულებათა და რწმენის მსხვერვეა არ განუცდია!..

— მართალი ხართ, კაპიტანო. მე არ შემეძლო არ მოვსულიყავი თქვენთან. ყველაფერს, რაც მე ვნახე და განვიცადე, აუცილებლად უნდა მოვეყვანე აქ. აუცილებლად უნდა შეგხვედროდით.

— უბრალოდ, პავლე დამძახეთ. მე ისევე დიდი ხანია აღარა ვარ კაპიტანი, როგორც თქვენ ლეიტენანტი. ახლა მობარული ვარ, სტუმრად ჩამოსულს რომ გხედავ. შესანიშნავია, მტრებად დაშორებულნი, ამხანაგებად ვხვდებით ერთმანეთს.

— დიახ, პავლე! ეს მართლაც შესანიშნავი ამბავია. წარსული კი არ დაგვივიწყნია, იგი გვახსოვს და აღარ გვსურს, განმეორდეს. მინდა, ჩემმა სურათმა გადმოსცეს ყოველივე ის, რასაც მე ახლა ვხედავ და განვიცდი. ეს ჩემი მოვალეობაა საკუთარი თავის, გერმანელებისა და თქვენი ხალხის წინაშე.

მეგობრულად, თბილად უღიმოდნენ ერთმანეთს. აღარ იყო არც უნდობლობა და არც მტრობა. ღურმიშიძე უკვე

არ ნანობდა, რომ მარტობა დაურღ-
ვიეს.

— იცით, კურტ, მე მეჩვენება, რომ
ჩვენ საუბრებსაც უკვალოდ არ ჩაუვ-
ლია. ცხოვრება ადამიანებს სიმართლეს
ასწავლის. ხოლო სიმართლეს ვერსად
გაეშკევი.

— როგორც ყოველთვის, თქვენ ახ-
ლაც მართალი ხართ, — თქვა მეიერ-
მა, — ცხოვრების სიმართლე უფრო
ძლიერია, ვიდრე რაიმე ვითარება და
ადამიანის ცთომილებანი.

კვლავ გაჩუმდნენ. თვითული თავის
ფიქრებს მიეცა, მაგრამ ის, რაზეც ლა-
პარაკობდნენ, რასაც ირგვლივ ხედავ-
დნენ, ორივესთვის რაღაცნაირად მშობ-
ლიური, ახლობელი იყო.


ჩვეულებრივი, წერილმანი ფიქრი
დაეკარგა ორივეს. ახლა უნდოდათ
ეფიქრათ მხოლოდ დილაზე, ნათელზე,
ამაღლებულზე. დურმიშიძეს საოცრად
მკვეთრად, მკაფიოდ დაუდგა თვალწინ
ვანცდლილ-გადატანილის სიდიადე და

წარსულთან აწმყოს განუყოფელი კავ-
შირი. ფიქრობდა იმაზე, რომ მსხვერპ-
ლი, სისხლი, რაც გაიღო მისმა თაობამ,
ამაო არ ყოფილა, რომ მომავალი თაო-
ბების წინ გადაშლილია შემოქმედების
უსაზღვრო ასპარეზი.

ფიქრით მომავალს მიწვდა... დადგება
სხვანაირი დრო, იქნებ სულ სხვანაირი
ვითარება. მთის მწვერვალვით ქედმო-
უხრელი ჯვარი მოწმე იქნება იმ ახალი
დროისა და... რამდენ საოცარ რამეს
დაინახავს, შეესწრება...

პავლე დურმიშიძე უსაზღვროდ ბედ-
ნიერი იყო ამ წუთებში. მან მძაფრად
შეიგრძნო მოვლენათა ურთიერთკავში-
რი, თვალი გადაავლო არა მარტო თა-
ვისი ცხოვრების გზას, არამედ იმ ადა-
მიანთა ცხოვრებასაც, ვინც მასავით
შრომობდა და იტანჯებოდა, მასავით
იბრძოდა და იმარჯვებდა.

ის გრძნობდა, რომ დღევანდელი დღე
არასოდეს წაიშლებოდა მის მეხსიერე-
ბაში.



გიორგი ავალიანი

«ბუბა ქექურელა»

ლეგენდა

ენგურის ხეობაში, პაპკვირისა და პა-
მაშის მთებში, სოლივით ჩაპედილა პა-
ტარა სოფელი ლახამულა.

ბევრჯერ ვყოფილვარ ლახამულაში.
უკანასკნელად ამ ათიოდე წლის წინათ,
სამსახურის თაობაზე მესტიიდან ხაიშიში
მივდიოდი და დამის გასათევად დავრ-
ჩი იქ. იმ დამეს ქორწილში წამიყვანეს.
დიდ-პატარა ყველა წავიდა და, აბა, მე
ვინ დამტოვებდა! საერთოდ, სვანეთში
ჭირსა თუ ლხინში მიპატიეება წესი არ
არის. სოფლის ყველა მცხოვრები უკ-
ლებლივ დებულობს მონაწილეობას.

ჩემმა მასპინძელმა მეც შემომთავაზა,
ქორწილში წამობრძანდიო. სიამოვნებით
დავეთანხმე და ამრიგად, მექორწილე-
თა დაუპატიებელი სტუმარი შევიქენი.

ქორწილებში მანამდეც ვყოფილვარ,
მაგრამ ამჯერად სულ სხვაგვარად ფუს-
ფუსებდა იქ მყოფი ხალხი. დედოფლის
მოლოდინში რაღაც განსაკუთრებულ
სიხარულთან ერთად შიშნარევი აღელ-
ვებაც ემჩნეოდათ სასიძოს შშობლებსა
და მათს ახლო ნათესავებს.

მისვლისთანავე ერთი ღრმადმოხუცე-
ბული, მაგრამ ჯერ კიდევ სიცოცხლით
სავსე კაცი მიმიჩინეს მოსაუბრედ. იმ

კაცს ყველა ბაბა¹ გაუს ეძახდა. ბაბა გაუ
საშუალო სიმაღლის, ჩასხმული, ბრგე
კაცი იყო. რუხი ჩოხა ტანზე ლაზათია-
ნად ადგა და ვერცხლის ენებიან ვიწრო
ქამარზე ვერცხლის ქარქაშიანი და ვერ-
ცხლის ტარიანი სატევაი ეკიდა. ჩვეუ-
ლებრივზე დიდი სვანური ქული ყურებს
უფარავდა.

ჩვენ გაჩახჩახებულები დარბაზის ერთ
კუთხეში ვისხედით. წინ სამფეხა მრგვა-
ლი, პატარა ტაბაკი გვედგა. ხანგამოშ-
ვებით მერიქიფე არაყს ჩამოატარებდა
და ჩვენც ვილოცებოდით. ესვამდით,
ვისაც რამდენი სურდა, რადგან მთავა-
რი სუფრა მხოლოდ პატარძლის მოყ-
ვანის შემდეგ უნდა გაშლილიყო და მა-
ნამდე სმას არავის აძალებდნენ. ამ
დროს მოპირდაპირე კუთხეში „ბუბა
ქაქურელა“² შემოსძახეს.

— უი, მე დამწვარი! — წამოიძახა
ოჯახის დისახლისმა, — ბიჭო გიო!
მგონი არაყი არა აქვთ, მოუტრებინე
ჩქარა! — ამ სიტყვებზე ჩვენმა მერი-
ქიფემ იქვე სუფრაზე მდგარ დოქს სტა-
ცა ხელი და მომღერლებს მიუტრებინა.
იმათაც სიმღერა ბოლომდე ჩაათავეს
და გაჩუმდნენ.

ამასობაში ბაბა გაუს ჭიანური მოუ-
ტანეს და სთხოვეს, დაუკარიო. ბერი-

¹ ბაბა — სვანურად ბაბუა.

კაცმა გამოართვა ჭიანჭური, გულმოდგინედ ააწყო და მამაკაცისათვის უჩვეულო ნაზი ხმით დაამღერა: „ოი! ჩემო ყრმობის სამყოფელო, მუდამ ჩემო საოცნებო ლახამულა, საბატონო სევანეთიდან ძველთაგანვე გადამდგარო. თუ მოყვარესა და სამეგობროდ მოსულს სამეგობრო ჰიმნს უმღერდი, მტერსა და მძარცველს მუდამ სასიკვდილო მახვილს უმარჯვებდი. მახსოვს, როგორ ჩაუძაღლე სვიფში თათარყანს მოურავი, ქაქუჩიქლას მზისსადარი ქალიშვილის წაყვანა რომ მოინდომა თავისი გარყვნილი ბატონისათვის. მახსოვს, დაუღვრომელი თავადის რისხვა: სხვა რომ ვერა გააწყო რა, თავის საბატონო სოფლებს ლახამულელზე ქალის გათხოვება, ლახამულიდან სარძლოს მოყვანა აუქრძალა. ხანდახან გაღმა შგედის² თავს რომ შავი ბურუსი მოაწვება და ჭგურაგს³ გაღმა ციცაბოზე ლოდები დაგორდება, ლახამულელებს ისევ ელანდებათ, თითქოს საზარელი ურჩხული ჩასანთქავად თავს წამოსდგომიათ. იმ ურჩხულში თათარყანის ლანდს ხედავენ. მაგრამ ამ დროს ზეცით მოფრენილი სიო იმ ბურუსს კლდე-ღრეებში ფანტავს და წარსულის ზმანებას ახალი, დღევანდელი დღის ნათელი ცვლის“.

ბაბა გაუმ სიმღერა შეწყვიტა, კედელთან ატუხულ პატარა ბიჭს ჭიანჭური გადასცა და ჩვეულებრივი მუსაიფი განაგრძო.

სიმღერა ქაქუჩიქლასზე ადრეც ბევრჯერ მომისმენია. უამსიმღეროდ სევანეთში იშვიათად ჩატარდება ლზინი, მაგრამ აქამდე ფიქრად არ მომსვლია, როგორ შეიქმნა ეს სიმღერა. ახლა კი, ბაბა გაუმ რომ ასხენა ქაქუჩიქლა, მე თავში გამიელვა: „ამ კაცს უთუოდ ეცოდინება სიმღერის შექმნის ამბავი და ქაქუჩიქლას ვინაობა“. მოხერხებულად შევარჩიე დრო და ვთხოვე, თუ რამე იცი ქაქუჩიქლას თაობაზე, მიაბე-მეთქი. ბაბა გაუ სიამოვნებით დამთანხმდა. ჩიბუხი თუ-

თუნით გატენა, ნელა მოუკიდა, რამდენჯერმე მადიანად მოქაჩა და ხავერდოვანი, რბილი ხმით დაიწყო:

„ლახამულა სევანეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. ასიოდე წლის წინათ ამ სოფლით იწყებოდა სევანეთი. შემდეგ დაღეშქელიანთა საბატონო სევანეთი მოსდევდა და სოფელ ლატალიამდე გრძელდებოდა. ლატალიდან უშგულამდე უბატონო, თავისუფალი სევანეთი იყო გადაქიმული. ლახამულელებს, არასოდეს ენახათ ბატონის უღელი, ყოველ შემთხვევაში, თუ ენახათ, უხსოვარ დროიდანვე გადაეგდოთ და სევანთა უკანასკნელ მთაერებს — დაღეშქელიანებს არ ემორჩილებოდნენ.“

მთაერები ვერ ურიგდებოდნენ იქვე, კარის ზღურბლთან გადაშლილი სოფლის ურჩობას. რანაირად არ ეცადნენ ლახამულელთა დამორჩილებას, მაგრამ დიდ, თავგანწირულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და უკან იხევდნენ.

ერთადერთი, რის წინაშეც ლახამულელი ქედს იხრიდა, რასაც თავყვანს სცემდა, ეს იყო სოფლის ბოლოს მედიდურად მდგარ ეკლესიაში დასვენებული წმინდა გიორგის ხატი. მღვდელი არ ჰყავდათ, მაგრამ მღვდლის მოვალეობას დიდი გულმოდგინებით ასრულებდნენ პატიოსნებითა და სამართლიანობით განთქმული უხუცესნი. თავის დროზე ასეთ უხუცესად ითვლებოდა ქაქუჩიქლა, რომელსაც ხალხმა სიყვარულით „ბუბა ქაქუჩიქლა“ შეარქვა. მე კარგად მახსოვს ის ამბავი, რამაც საშუალოდ უკვდავყო ქაქუჩიქლას სახელი.

შუა ზაფხული იდგა. საცა იყო თიბვა ჩათვადებოდა, — ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო სევანეთში. იმ საღამოს ყველა მთიბავი შინ დაბრუნდა. ნადი ქაქუჩიქლას თივას ეზიდებოდა. ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო.

სვიფიდან ზარის რეკვა მოისმა, — სოფლის თავკაცებს შესაყრელად უხ-

² შგედი — მთაა სევანეთში
³ ჭგურაგ — სევანურად წმ. გიორგი.

მობდა. ხალხი სასწრაფოდ შეიკრება სციფში.

ვეებერთელა ცაცხვქვეშ, რომელზედაც ზარი ეკიდა, ამაყად იდგა ახმახი სორთმანი, თათარყან დადმუქელიანის მოურავი. მისი გოროზი სახე და ღრმად ჩამჯღარი თვალები აშკარად ამბობდნენ, რომ ლახამულელებთან სახუმაროდ არ იყო მოსული მათი პატრონი. სორთმანი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს:

— ლახამულელებო! — ბატონკაცურად დაიწყო მან, — თქვენმა თავებდობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. თათარყანს მოთმინება დაეკარგა. ნაბრძანები მაქვს, საჩქაროდ მივეგარო ქაქუჩიქელას ქალიშვილი, ნებით თუ არა, ძალით! — ამ სიტყვებზე ხელი ვაიშვირა შორიახლო ჩამწყრივებულ, ორმოცდაათამდე შეიარაღებული ცხენოსნისკენ.

ყველამ ქაქუჩიქელას შეხედა. ქაქუჩიქელამ მისთვის ჩვეული სიძინჯით უთხრა სორთმანს:

— მზის ჩასვლისას მიიღებ პასუხს, კეთილო სორთმან, ცხვარს ხომ არა მთხოვ! ერთადერთი ქალიშვილი მყავს და ისიც თათარყანის კარზე დასაკარგავად უნდა გავიმეტო. მოფიქრება მაცალე.

— კარგი, — როხროხით უპასუხა სორთმანმა, — თუ მოტყუება განგიზრახავს, ეს მზე უკანასკნელად ჩავა შენთვის.

ქაქუჩიქელას სორთმანის ეს სიტყვები არც გაუგონია. იგი ასაკს შეუფერებელი სიძინჯით მიეფარა ყორეს. უკან ლახამულელი ვაჟკაცები გაჰყვნენ.

შტოებგაშლილ ცაცხვქვეშ უძრავად იდგა სორთმან-მოურავი და მზის ჩასვლას ელოდა.

ახალმა ამბავმა თავზარი დასცა სოფელს: ყველა მამაკაცი ქაქუჩიქელას კალოზე შეგროვდა. ხალხის ერთიანობა და სიმტკიცე აშკარად ჩანდა. ქაქუჩიქელამ ბევრჯერ გადაარჩინა სოფელი მთავრის შემოსევისაგან. სტუმართმოყვარეობით, გულკეთილობით, პატიოსნებითა და სოფლის საქმისათვის თავდა-

დებით განთქმული იყო და ამიტომაც სოფელი თავგანწირვით დაცავდა მის ოჯახს თუნდაც ისეთი ძლიერი კაცის ძალადობისაგან, როგორც თათარყანი იყო.

ლამაზ ქალებთან დროსტარებით განებივრებულმა თათარყანმა ყური მოკრა ქაქუჩიქელას ერთადერთი ქალიშვილის ქებას და თუმცა ლახამულა მის საბატონოში არ შედიოდა, მაინც ბრძანა, ქაქუჩიქელას ასული მომგვარეთო.

რაკი მშვიდობიანი შუამავლების ცდამ ამაოდ ჩაუარა, მთავარმა ლახამულაში სისასტიკით საქვეყნოდ ცნობილი სორთმან-მოურავი გაგზავნა. უბრძანა, ნებით თუ ძალით ქალი ამოეყვანა, თუნდაც ამისათვის ნახევარი ლახამულა ამოეწყვიტა.

ქაქუჩიქელამ შეკრებილთ მიმართა:

— ძმებო! მართალია, მთავრის მოთხოვნა მხოლოდ ჩემს ოჯახს ეხება, მაგრამ ხომ იცით, მგელი თუ ფარეხს შეეჩვია, მთელ ფარას ამოწყვეტს. დღეს რომ ეს დავთმობთ, ხვალ მეტს მოითხოვს და ბოლოს კი ყველას მონებად გავციხდის. მოიგონეთ, რამდენი სისხლი დაუღვრიათ ჩვენს წინაპრებს მთავრებთან ბრძოლაში, მაგრამ ლახამულა არავის დამონებია. ჩვენ კი, თუ შევშინდით, ჩვენს წინაპრებსაც ვუღალატებთ და ჩვენს შვილებსაც სამუდამოდ მონებად ვაქცევთ. ხომ ხედავთ, როგორ გმინავენ მთავრების უღელქვეშ მათი საბატონო სოფლები; ჩვენ უარესი მოგველის, თუ არ ვივარგეთ. თავისუფალნი დავბადებულვართ და თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენს დედებს ძუძუსთან ერთად უწოვებიათ ჩვენთვის, მამებს კი თოფ-ხანჯალთან ერთად უანდერძებიათ. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ დღეს ლახამულას ბედი, — თავისუფლება ან მონობა!

ხალხში უჩვეულო ჩოჩქოლი ატყდა. მთავრის კაცებთან შებმის სურვილს ყველა აცხადებდა და მეთაურობას ქაქუჩიქელას თხოვდნენ.

ქაქუჩიქელამ ჯერ წმინდა გიორგის სახელით შეაჩვენა ის ლახამულელი, ვინც

ამ გადამწყვეტ წუთში უკან დაიხვედა და სოფელს უღალატებდა, შემდეგ ყველას დავალება მისცა.

პირველი გასროლით სორთმანი უნდა მომკვდარიყო. სორთმანი უკვე ხნიერს, მაგრამ თოფის სროლაში უზადლო ქაქუჩელას უნდა მოეკლა. დანარჩენებს კი ლახამულელები გაუმასპინძლდებოდნენ.

მზის ჩასვლისას ლახამულელებმა შეუმჩნევლად დაიკავეს თავიანთი ადგილი. რამდენიმე თოფიანი სოფლიდან გასასვლელ გზებზეც დააყენეს, რათა გაქცეულთათვის გზა გადაეკრათ.

ამასობაში ბებერი ცაცხვი თავის მრავალსაუყუნოვან თავგადასავალს უამბობდა სორთმან მოურავს, თითქოს ცდილობდა, მისი გული ბოროტებიდან სიკეთისაკენ მოებრუნებინა, უკუღმართ, მისთვის საბედისწერო საქმეზე ხელი აეღლებინა და სიცოცხლისათვის დაბადებულს, კარს მომდგარი სიკვდილისაგან გადაერჩინა.

უთვირის მთის ვაღმა ჩაძირულმა თაკარა მზემ უკანასკნელი სხივები კლდოვანი კილეთის თავზე ააკიაფა, შემდეგ მისი თეთრი ზოლები სივრცეში გაიზიდნენ და უსასრულობაში დაიკარგნენ.

ანაზღად შეერთა სორთმან-მოურავი, თითქოს ცაცხვის შრიალმა რალაც შემაძრწუნებელი ამცნო. გაიხედ-გამოიხედა. შემდეგ მზერა ქაქუჩელას ზღუდის დახშულ ჭიშკარს დააქედა და საზარელი ხმით დაიღრიალა:

— ძაღლისშვილო ქაქუჩელო! მზე უკვე ჩავიდა და ეს შენთვის უკანასკნელი იქნება, თუ ახლავე ქალიშვილი არ მომიგვარე!

პირქუსად გამოიყურებოდა ქაქუჩელას წინაპართა მიერ უხსოვარ დროს აშენებული ქვეთვირის სამსართულიანი ქორს, რომლის სახურავის ძირში დატოვებული სათოფურები სახლის საერთო ღია ფონზე დევის თვალეზივით ამოშავებულიყო. თითქოს სორთმანის ყვირილსა და მუქარაზე ამ თვალეზმა ნა-

პერწყვლები გადმოყარესო, სათოფურებიდან ცეცხლში არეული კვამლის ბოლქვები სივრცეში ზედიზედ წაარქედნენ.

სორთმანმა გულზე იტაცა ხელი, მუხლი აუძაგძაგდა და დანგრეული კოშკით მიწაზე დაწვიდა, შემდეგ გაიჭიმა და სასიკვდილოდ გაითანგა.

ერთდროულად დაიცალა ყველა ლახამულელი ვაქაკის თოფი. სორთმანის სასიქადულო რაზმიდან მხოლოდ ამბის მაცნე დაუბრუნდა თათარყანს. დახოცილთა ოჯახებში წივილ-კივილი, მოთქმა და თათარყანის წყევლა-კრულვა მთელი ღამე ერთვოდა ენგურის ღმუილსა და ზაფხულის ბნელ ღამეში ჭრიჭინობელების მომამზერებელ ჭრიჭინს.

მოკლულები, ლახამულელთა ნებათვით, მეორე დღეს ჭირისუფლებმა სახლებში წაასვენეს. აშკარად ჩანდა, რომ ხალხი ღრმა მწუხარებასთან ერთად თავის ბატონისადმი დიდი სიძულვილით იყო აღსავსე. ლახამულაში კი, სეიფის ცაცხქეშე ქვაზე სამუდამოდ დარჩა სორთმანის სისხლი, როგორც სოფლის თავისუფლების მარად ცოცხალი ნიშანი.

ნელ-ნელა იწურებოდა ზაფხული. ხალხი საყოველთაო დღესასწაულს, ღიმიერს, ეგებებოდა. ამ დღეს ყველანი დიდი გულმოდგინებით აღნიშნავდნენ. მიცვალებულთა სულების სალხინებლად იკვლებოდა ურიცხვი საკლავი, საგანგებოდ ხდიდნენ არაყს, ცხვებოდა პური და იხარშებოდა საქმელი.

ქაქუჩელას ვარაუდით, თუ ამ დღემდე მთავარი ვერ შესძლებდა ლახამულელთა წინააღმდეგ მოკლულთა პატრონების ამხედრებას და სოფლის დალაშქვრას, შემდეგ ეს ამბავი არასდროს აღარ მოხდებოდა.

ქაქუჩელა გულმოდგინედ ემზადებოდა ორი საქმისათვის: თუ გამოილაშქრებდა მთავარი, ღირსეულად დაეხვედრებინა სოფელი, თუ არა სოფლის გა-

გიორგი ავალიანი
„გზაზე მამუხილა“

1 ქორ — სეანური სახლი.



მარჯვების ნიშნად ლიმრიე დღეს უჩვეულო ლხინი გადაეხადა.

ლხინისათვის სამზადისი მოათავა: მთიდან ჩამოარეკინა თორმეტი ხარ-მოზვერი. მოიმარაგა არაყი, პური... ქაქუჩილა ზეიმისათვის ემზადებოდა.

ლიმრიე დღეს წირვა-ლოცვის შემდეგ ყველა ოჯახისათვის გადასდეს შინ გასატანებელი: ხარის ხორცის მოზრდილი ნაჭერი, რამდენიმე ლავაში და ერთი ზეჟა არაყი. შემდეგ ყველა იქ მყოფი დასვეს სვიფში, ცაცხვქვეშ და ყველას წინ კერძები დაუდგეს. მწყემსებიც და ავადმყოფების ულუფა მათი ოჯახის წევრებს მიართვეს. ჰამას შეუდგნენ. რატომღაც არყის ჩამორიგება დაავიანდათ. ხალხი უხმოდ ილუკებოდა. ამ დროს შუა სვიფში გამოვიდა თვითონ ქაქუჩილა. წელში მოხრილს არყით სავსე ვეებერთელა გობი მოჰქონდა.

შუა ხალხში სათანადოდ მოწყობილ სადგამზე გობი დადგა. სასწრაფოდ მოუტანეს ხის რამდენიმე კათხა. ქაქუჩილამ ერთ-ერთი კათხით გობიდან არაყი ამოიღო, მაღლა ასწია და თავისი ზარიანი ხმით დაიწყო სვანეთში მანამდე გაუგონარი სიმღერა.

ბუბა ბუბა ქაქუჩილა, ბუბა ქაქუჩილა,
ბუბას აირაყ ხაქუჩილა, ბუბა ქაქუჩილა,
თითო კათხიდ ჩიაშს გების, ბუბა ქაქუჩილა,
ფეი გუფი ხორა გვერი ბუბა ქაქუჩილა
ღერამთ ეშოდე ჩუ ოღმეზრად ბუბა
ქაქუჩილა,
მერდე მარე ამერულაშ ბუბა ქაქუჩილა.¹

ხალხმა აიტაცა სიმღერა. მათ ხმას გაღმა-გამოდმით ტყისა და კლდეების მძლავრი ექო შეუერთდა. თითქოს ბუნება მათთან ერთად მღეროდა და ხალხის ლხინს იზიარებდა.

ლახამულაში ხშირად მღეროდნენ ამ სიმღერას, მერე მთელ სვანეთშიც ისწავლეს.

მას შემდეგ მთავრებს ლახამულელთა წინააღმდეგ რაიმე ძალადობა აღარ მოუსურვებიათ, ის კი მოახერხეს, რომ ლახამულა დანარჩენ სვანეთს მოსწყვიტეს. რადგან დასავლეთიდან ლახამულა ბოლო სოფელი იყო, ხოლო აღმოსავლეთიდან კი მთავრების საბატონო სოფლები ესაზღვრებოდა, ლახამულაში იშვიათად ნახავდით სხვა სოფლიდან მოყვანილ რძალს და სხვა სოფელშიც ლახამულელი იშვიათად თხოვდებოდა. გარდა ამისა, მთავრები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ლახამულასთვის სახელი გაეტეხათ. ისინი ათასნაირ ჭორს უგდებდნენ ლახამულელებს. ახალმა დროებამ წყალს გაატანა ბოროტი მთავრების მონაჩმახი.

ბაბა გაუმ თხრობა დაამთავრა. მაღეუ ბატარძალიც მოიყვანეს. ქალიშვილი სოფელ ფარიდან ყოფილიყო. იგი, თავისი ჭიუტი მამის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცოლად მიჰყვებოდა ლახამულელ ვაჟს, შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს.

¹ ბიძია ბიძია ქაქუჩილა, ბიძია ქაქუჩილა,
ბიძიას არაყი უნდა, ბიძა ქაქუჩილა,
თითო კათხა ყველას, ბიძია ქაქუჩილა,
ის კი გულზე მოგვიხდება, ბიძია ქაქუჩილა.
ისევე ღმერთი გადღევრძელებთ, ბიძია
ქაქუჩილა.
ყველა იქ მყოფს, ბიძია ქაქუჩილა.





შოთა აუკირონიძე

ხალხთა ლენინური მემოზროვის ბრწყინვალე უპრცელი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე რუსეთის მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით ზრდიდა. რუსეთის იმპერიაში, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის და, მით უმეტეს, ამ ბრძოლის წარმატებით დამთავრება შეუძლებელი იქნებოდა, თუ პარტია თავისი დროშის გარშემო ვერ დარაზმავდა ყველა ეროვნების მშრომელებს. კომუნისტურმა პარტიამ რევოლუციის დიდი ტიტანის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით წარმატებით შესძლო ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა და მსოფლიო პროლეტარიატს უჩვენა იმის ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ძველი სამყაროს წინააღმდეგ ძლევამოსილ ბრძოლაში გაიყოლიო სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მტკიცე მეგობრობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ — უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძო-

ლის, სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების პერიოდში. ხალხთა ლენინური მეგობრობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობამ არა თუ წარმატებით გაუძლო ამ გამოცდას, არამედ კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვიდა ამ განსაცდელიდან. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხთა შვილები თავდადებით იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე. მათ სწამდათ, რომ იცავდნენ არა მარტო თავისი დიდი სამშობლოს, არამედ მშობლიური რესპუბლიკის, ქალაქისა თუ სოფლის, საკუთარი ოჯახის ბედნიერებას, თავისუფლებას, სინდისსა და პატიოსნებას. ხალხთა ისტორიას მრავალი მაგალითი შემოუნახავს, როდესაც ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ სხვადასხვა ეროვნების აღამიანები, თუ საქმე მათი სამშობლოს დამოუკიდებლობას, ეროვნული თვითმყოფობის ყოფნა-არყოფნას შეეხებოდა, მაგრამ კაცობრიობის ისტორია არ იცნობს მეორე შემთხვევას, რომ ერთი ეროვნების მშრომელი მასები მეორე ეროვნების მშრომელებს დახ-

მარებოდნენ მტრის მიერ მიყენებული ზარალის აღმოფხვრაში, გაჩანაგებული ეკონომიკის აღდგენაში. დიდი სამამულო ომის წლებში იჩინა თავი ხალხთა შორის ამ ახალი ტიპის ურთიერთობამ. სამამულო ომის პერიოდში მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, ერთიანი ძალით აღედგინა მტრის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობა.

ამ საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა.

* * *

1941-1942 წლების ზამთარში გერმანელთა ოკუპაციისაგან მთლიანად განთავისუფლდა მოსკოვისა და ტულის ოლქები, კალინინის, რიაზანის, როსტოვის, ლენინგრადის, სმოლენსკის, ორიოლის, ხარკოვის ოლქების მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე ქერჩის ნახევარკუნძული.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კარგად იცოდნენ, რომ გერმანელი ფაშისტები ანადგურებდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ სახალხო მეურნეობას: ფაბრიკებსა და ქარხნებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტკ-ებსა და კოლმეურნეობებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. და აი, როგორც კი განთავისუფლდა ჩვენი მიწა-წყლის ნაწილი, ზურგის კოლმეურნეობებში თავი იჩინა შესანიშნავმა პატრიოტულმა თაოსნობამ: დახმარებოდნენ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეობებს. ამ პატრიოტული თაოსნობის ინიციატორებად მოგვევლინენ კრასნოდარის მხარის ვისელკოვსკის რაიონის ნ. კ. კრუშკაიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები.

ქართველი კოლმეურნე გლახობა მხურვალედ გამოეხმაურა კრასნოდარელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას და სურვილი გამოთქვა, დახმარებოდა ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებულ

მომქმე ხალხებს საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობის აღდგენაში. კრასნოდარელთა მიმართვის განხილვის დროს ბაშკიჩეთის რაიონის¹ კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის გეგმის გადამეტებით დაეთესათ 209 ჰექტარი, აჭარის კოლმეურნეობებმა — 198,25 ჰექტარი, თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა — 150 ჰექტარი და ა. შ.

ქართველმა კოლმეურნეებმა სიტყვა საქმედ აქციეს და გეგმის ზევით ათასობით ჰექტარი დაეთესეს თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის. სულ, არასრული ცნობებით, 1942 წლის ივნისის დასასრულისათვის რესპუბლიკის 3500-ზე მეტ კოლმეურნეობას თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის დათესილი ჰქონდა 7700 ჰექტარი საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული.

1942 წლის ზაფხულში გერმანელმა დამპყრობლებმა შეესღეს ღრმად წაეწიათ აღმოსავლეთით ვოლგის ქვემო დინებისა და კავკასიის მიმართულებით. ამ დროისათვის მათ ოკუპირებული ჰქონდათ ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი დასავლეთი და სამხრეთი ოლქები. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის სამრწველო და სასოფლო-სამეურნეო ოლქები. ოკუპირებული რაიონების წილად მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში თუჯის გამოღობის 71 პროცენტი, ფოლადის წარმოების 58 პროცენტი, ქვანახშირის ამოღების 63 პროცენტი, ელექტროენერჯის გამოშვებების 42 პროცენტი, ნათესი ფართობის 47 პროცენტი.

ასეთ ვითარებაში ზურგის რაიონების მშრომელებს მთელი ენერჯის დაძაბვა უხდებოდათ, რათა უზრუნველყოთ

¹ ადმინისტრაციული დარაიონება ყველგან მოტანილია სამამულო ომის დროს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით.

ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულზე. განსაკუთრებით მძიმე იყო ქართველი კოლმეურნე გლეხობისათვის 1942 წელი. რესპუბლიკაში შემცირდა შრომისუნარიანი მუშა-ხელი. და თუმცა საქართველოს ეკონომიკას მტრისაგან უშუალო ზარალი არ განუცდია, საკოლმეურნეო მინდვრებში მაინც დაძაბული შრომა იყო გაჩაღებული, რადგან მტერი კავკასიისა მოადგა. ძალზე მძიმე ზამთარი გადაიტანეს 1943 წელს ქართველმა კოლმეურნე მეცხოველეებმა. ქართველი მეცხოველეები ძირითადად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე საზამთრო საძოვრებზე აზამთრებდნენ პირუტყვს. ამჟერად კი, ჩრდილოეთ კავკასიაში საომარი მოქმედების გამო, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საქონლის თითქმის მთელი სულადობა და აგრეთვე დიდძალი ევაკუირებული საქონელი რესპუბლიკის ზამთრის საძოვრებზე განაწილდა. ამან გადატვირთა შიგარეს-პუბლიკური ზამთრის საძოვრები, გაზარდა მოთხოვნილება საკვებზე. ქართველ კოლმეურნეთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ რთულ ვითარებაში მათ წარმატებით შეასრულეს სამძოვალე-ბულებანი. და როდესაც სტავროპოლისა და კრასნოდარის მზარეებიდან, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მიწებიდან მტერი განდევნილ იქნა, ქართველმა კოლმეურნეებმა მათ არა მარტო უკლებლივ დაუბრუნეს ევაკუირებული პირუტყვი, არამედ გადასცეს ევაკუირებული საქონლიდან მიღებული ნამატიც.

1942 წლის 19 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთისა და დონის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს შეტევითი საომარი მოქმედება, რაც, საბოლოო ანგარიშით, ვოლგაზე გერმანელთა 330-ათასიანი რჩეული არმიის სრული განადგურებით დამთავრდა. დაიწყო ძირეული გარდატეხა სამამულო ომის მსვლელობაში. საბჭოთა არმია წარმატებით ათავისუფლებდა გერმანელი ოკუპანტებისაგან

მშობლიურ მიწა-წყალს. ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოსპეს ათიათასობით სამრეწველო საწარმო, მთლიანად ან ნაწილობრივ დაანგრეს 1710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი სოფელი. გერმანელმა დამპყრობლებმა გაანადგურეს და გაძარცვეს 96 ათასი კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა და 2890 მტს-ი. მოსახლეობას წაართვეს, დაკლეს ან გერმანიაში წაიყვანეს 7 მილიონი ცხენი, 17 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 20 მილიონი სული ღორი, 27 მილიონი ცხვარი და თხა, 110 მილიონი ფრთა შინაური ფრინველი. გერმანელებმა მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსპეს ან გაიტაცეს 137 ათასი ტრაქტორი, 49 ათასი კომბაინი, 5 მილიონზე მეტი გუთანა, ფარცხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი. საგანგებო სახელმწიფო კომისიამ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის, აგრეთვე სოფლისა და ქალაქის მეცხოვერებთათვის მიყენებული მატერიალური ზარალი 1941 წლის სახელმწიფო ფასებში შეაფასა 679 მილიარდ მანეთად. აქედან, მარტო კოლმეურნეობების წილად 181 მილიარდი მანეთი მოღებოდა.

ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა ასეთ ეკონომიურ შერყევას. და თუ დაზარალებულმა რესპუბლიკებმა სწრაფად აღადგინეს თავიანთი ეკონომიკა, ეს, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სწორი ხელმძღვანელობის, მტკიცე მეგობრობით შეკავშირებული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა უანგარო დახმარების შედეგია.

1943 წლის აპრილში იაროსლავლის ოლქის იაროსლავლის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ გორშისას კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს, გერმანელ დამპყრობთაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა დახმარების

შოთა აფრიღონია

ხალხთა ლენინური მებრძოლის
ბაჟუინვალი ფურცელი

ფონდისათვის გეგმის გადამეტებით დაეთესათ 20 ჰექტარი მარცვლეული კულტურები. მათ მოუწოდეს საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეს, მიეძაბათ მათი მავალითისათვის.

იაროსლაველეს გამოეხმაურნენ ქართველი კოლმეურნეები და დიდი მუშაობა გააჩაღეს გერმანელთა ოკუპაციისაგან გათავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდის შესაქმნელად. ამ კეთილშობილურ საქმეში რესპუბლიკის მთელი კოლმეურნე გლეხობა მონაწილეობდა. ამ საშვილიშვილო საქმეში თავი ისახელეს წითელწყაროს, სიდნაღის, ახალქალაქის, ხაშურის, თეთრიწყაროს, დუშეთის, სამტრედიის, ზესტაფონის, აბაშის, თელავის, მახარაძის, წულუკიძისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეებმა.

გერმანელთა ოკუპაციისაგან გათავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის დასახმარებლად ნათესი ფართობებისა და პირუტყვის გამოყოფა სამამულო ომის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა.

კოლმეურნე გლეხობის ამ შესანიშნავ პატრიოტულ მოძრაობას ახალი გაქანება მიეცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილების „გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენისათვის გადაუღებელ ღონისძიებათა შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ. ამიერიდან კოლმეურნე გლეხობის დახმარება უფრო ორგანიზებული და გეგმიანი გახდა.

საბჭოთა მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა გერმანული ოკუპაციისაგან გათავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს. მათ გრძელვადიანი კრედიტები მიეცათ პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, აგრეთვე თესლის შესაქმნელად, მეცხოველეობის ფერმების ასაშენებლად, კოლმეურნეთა სახლების აღსადგენად. მაგრამ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ძალების დაძაბვა და სახსრების მობილიზაცია სჭირდებოდა

ფრონტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ცხადია, სახელმწიფოს არ შეეძლო სოფლად მთელი აღდგენითი მუშაობის დაფინანსება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გათავისუფლებულ რაიონებში მთელი აღდგენლობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და იმ რაიონების მშრომელთა დახმარებას, რომლებშიც ფაშისტმა ოკუპანტებმა ვერ შეაღწიეს. ამიტომ წერდა გაზეთი „პრავდა“ ჯერ კიდევ 1942 წლის 12 თებერვლის მოწინავეში: „ამხანაგური დახმარება ახარებს და ამხნევეს კოლმეურნეებს, რომლებმაც მძიმე ტანჯვა გადაიტანეს პიტლერელი მტარელების პარპაშის დღეებში. ეს დახმარება საბჭოთა ადამიანების ურდვევი მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გამოხატულებაა, საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთი სურვილით — გაანადგურონ გერმანელ ფაშისტთა არმიები“.

* * *

ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა ღვინური მეგობრობის ერთ-ერთ ბრწყინვალე ეპიზოდს წარმოადგენს სამამულო ომის წლებში ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა, კერძოდ, მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების კოლმეურნეთა დიდი მეგობრობა. ამ მეგობრობის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გენიჩესკელი მეომრები: ვასილ ლაერენტიევი, ალექსი ვასიჩკინი, ივანე ზინჩენკო და სხვანი კავკასიის მისადგომებს იცავდნენ, შრომელი მეომრები: დ. მეგრელიშვილი, ი. გორალიძე, ვ. ქვილიროია, ვ. გოგოძე და სხვები კი სიცოცხლის დაუზოგავად უბრძოდნენ პიტლერელ დამპყრობლებს უკრაინის მიწა-წყლის გათავისუფლებისათვის. გენიჩესკისა და მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეთა მეგობრობა ჯერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ჩაისახა. ამ მეგობრობის მიზანს მაშინ საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებისათვის სოციალისტუ-

რი შეჯიბრება და ურთიერთდახმარება შეადგენდა. მაგრამ როდესაც ჰიტლერელმა ოკუპანტებმა ხერსონშინის მიწამდე მოაღწიეს და გენიჩესკის რაიონის ოკუპაცია მოახდინეს, მახარაძელმა კოლმეურნე გლეხობამ გაიზიარა მოძვე უკრაინელი გლეხობის ყველა გასაჭირი და ღვიძლ ძმასავით ამოუღდა მას გვერდში.

ვიდრე გენიჩესკის რაიონი ჰიტლერელთა ოკუპაციის მიძიმე უღლის ქვეშ იმყოფებოდა, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიფარეს უკრაინელ თანამომძეთა ევაკუირებული ოჯახები და მათ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნეს. სოფელ შრომისაკენ, როგორც საკუთარი უერისაკენ, განსაკუთრებულად მოეშურებოდნენ ფრონტზე დაპირილი გენიჩესკელები. მრავალმა მათგანმა აღიდგინა აქ დაკარგული ენერჯია, ჯანმრთელობა, და კვლავ სამშობლოს დამცველთა რიგებს დაუბრუნდა. ომის შემდგომ სოფელ შრომისაში უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციის წევრმა, მოხუცმა მეზღვე ვ. პონომარიოვმა განაცხადა: „1942 წელს, როცა უკრაინის წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს გერმანელი ფაშისტები სთელავდნენ, ჩემი შვილი ნიკიტა ფრონტზე დაიჭრა. მკურნალობის შემდეგ მას შევბუღება მისცეს. შინ დაბრუნება სურდა, მაგრამ ბინა არ ჰქონდა და, როგორც საკუთარ მშობლიურ ოჯახში, სოფელ შრომის კოლმეურნეობაში წამოვიდა ქართველ მეგობრებთან. აქ ვანიკურნა და ახალი ენერჯიით დაუბრუნდა ფრონტს. გმადლობთ ჩემს ოჯახზე ზრუნვისათვის, ძვირფასო მეგობრებო“.

როდესაც ქართველი კოლმეურნეები თანხებს აგროვებდნენ სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ ასაგებად, მშრომელებმა პირადი დანაზოგიდან 10 მილიონი მანეთი შეიტანეს ამ კეთილშობილურ ფონდში. მალე მათ დამატებით ერთი მილიონი მანეთი შეაგროვეს. მათ სურდათ ამ თანხით აგე-

ბული ტანკები უკრაინელი ხალხის გასათავისუფლებლად ყოფილიყო გაგზავნილი. ამ თანხით შექმნილ სატანკო კოლონას ეწოდა „უკრაინის განთავისუფლებისათვის“.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ 1943 წლის 30 ოქტომბრის ოპერატიულ ცნობაში გადმოსცა, რომ მდინარე დნეპრსა და სივამის სანაპიროს შუა მდებარე რაიონში ჩვენი ჯარების შეტევითი ოპერაციების შედეგად უკრაინის სხვა დასახლებულ პუნქტებთან ერთად გათავისუფლებულ იქნა ქ. გენიჩესკი. მახარაძელი კოლმეურნეები აღადგინეს უკრაინელ მეგობართა მშობლიური ადგილების გათავისუფლებამ ფაშისტთა მონობისაგან. ამასთან დაკავშირებით 3 ნომებერს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, უკრაინელი მოქმედებისათვის გაეგზავნათ კვების პროდუქტები, საოჯახო ნივთები, მუშა და სანაშენო პირუტყვი. მიტინგზე მიღებულ წერილში ქართველი კოლმეურნეები თავიანთ უკრაინელ თანამომძეებს სწერდნენ: „ძვირფასო მეგობრებო! მიიღეთ ჩვენგან ეს მცირედი საჩუქარი და გულწრფელი სურვილი, რომ მალე მოიშუშოთ საზიზღარი ფაშისტებისაგან მიყენებული ჭრილობა. იმედი გქონდეთ, რომ ჩვენ კიდევ და კიდევ დაგეხმარებით მეურნეობის სწრაფად აღდგენაში“.

ცნობილი უკრაინელი მწერალი დმიტრო კოსარიკი სტატიაში „უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა“ ასე აგვიწერს ამ დახმარებას: „ამ მიძიმე პერიოდში ქართველმა ძმებმა, რომლებიც ჩამხული იყვნენ მათთან შეჯიბრებაში, დახმარების ხელი გაუწოდეს, შორალურად და მატერიალურად მხარში ამოუდგნენ უკრაინელებს. 1943 წლის ნომებერში მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეებმა უკრაინელ

შოთა აფრიღონია
 ხალხთა ლენინური მიგმოგროვის
 ბრწყინვალე ფარცალი

კოლმეურნეებს საჩუქრად გაუგზავნეს 500 ფუთი ხორბალი, 4 სანაშენო ბულა, 5 მუშა ცხენი, 6 სული მუშა საქონელი, 4 დედა ღორი.

ჰიტლერელების მიერ აწიოკებულ უკრაინელი კოლმეურნეების ოჯახებსა და მათ ბავშვებს ქართველებმა აჩუქეს 2000 სხვადასხვა საოჯახო ნივთი. ვარდა ამისა, ქართველებმა აჩუქეს კოლმეურნეობას 1200 ლიტრი ღვინო, ერთი ვაგონი ციტრუსი, 485 წიგნი ბიბლიოთეკის დასაარსებლად და კულტურული და მატერიალური მნიშვნელობის მრავალი სხვა საგანი. საჩუქრებიან ვაგონებზე ქართველი კოლმეურნეების მიერ წარწერილი იყო:

„მთელი სულითა და გულით გიძღვნიოთ. 1943 წლის ნოემბერი“. უკრაინელი ხალხი არ დაივიწყებს ქართველების ამ ძმურ სიტყვებს.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ჩაყარა საფუძველი გურჯაანის რაიონისა და უკრაინის სსრ დნებროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვოს რაიონის კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებასაც. გერმანელთა უღლისაგან სინელნიკოვოს რაიონის გათავისუფლებისთანავე განახლდა ეს შეჯიბრება. ამ ორი რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების განახლებასთან ერთად განახლდა სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ კოლმეურნეობებს შორისაც. მაგ. გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურას სასოფლო-სამეურნეო არტელ „გლეხის მარჯვენას“ კოლმეურნეებმა განაახლეს შეჯიბრება სინელნიკოვოს რაიონის ტ. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობასთან, სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობამ კი სინელნიკოვოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან.

საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, ხალხის დახმარება ფრონტისა და მტრის დროებითი ოკუპაციისაგან გათავისუფლებული რაიონების მშრომელებისადმი აღაფრთოვანებდა საბჭოთა არმიის მამაც მებრძოლებს. ამ სიხარულს ისინი გამოხატავდნენ ფრონტიდან გამოგზავნილ მრავალრიცხოვან წერილებში. სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ლ. ელიზბარაშვილი წერდა: „მივდივართ წინ და ჩვენს თვალწინ იშლება გერმანელი ფაშისტების მიერ დანგრეული და გადამწვარი ლამაზი უკრაინის ქალაქები და სოფლები. ჩვენ გვხბარია, რომ საქართველოს მშრომელები არაფერს ზოგავენ და ეხმარებიან მოძმე მშრომელ უკრაინელებს, უგზავნიან მსხვილფეხა საქონელს, მარცვლეულს და სხვა საჩუქრებს. ამ სასიხარულო ამბის გამო ჩვენ, ფრონტზე მყოფთ, ძალა გვემატება და უფრო მედგრად ვუტევთ საზიზღარ მტერს“.

ამრიგად, სოციალისტური შეჯიბრება, რაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გაიშალა ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეებს შორის და მიზნად ისახავდა ორივე რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას, სამამულო ომის წლებში გადაიზარდა ფაშისტური ოკუპაციისაგან დანგრეული მეურნეობის აღდგენის საქმეში მოძმე უკრაინელებისათვის ქართველი ხალხის უანგარო დახმარებად. სწორედ საქართველოსა და ზურგის სხვა რაიონების მშრომელთა ძმური დახმარება იქცა ფაშისტური ოკუპაციისაგან გათავისუფლებული რაიონების სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და შემდგომი მძლავრი განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად.





ჩვენი ალკამიანაში

გიორგი სანადირაძე

ტაძრისის გალალი მთავი

გ ზ ა

დვირს რომ გასცდები, მოხრეწილი გზა ხეობას გასდევს. ერთ მხარეს კვირიკეწმინდას სერია, მეორე მხარეს — ფსაკისა. ამ სერებს შორის ჩაგდებულ ხეობას საკირულა ჰქვია. დროდადრო პატარ-პატარა ტაფობებზე პურის ალაღანებული ყანა შეგხვდება. უნებურად თავთავებისკენ იჭვდი ხელს, ფშვინტ მარცვლებს და საოცარ კმეყოფილებას გრწნობ. სადაღაც დალლა ტიბტისებს. ხეთა კენწუროები ნელა ირზევიან და გერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენ, რომ სულ რაღაც ექვსი-შვიდი კილომეტრის იქით მოულოდნელად სოფელი ამოიზრდება შენს თვალწინ. სოფელი მალაღუა. სოფელი-მთქი იმითომ ვამბობ, რომ მართლაც ერთი გვეგონება, სინამდვილეში კი მთელი სამი სოფელია ჩატუქკული — საკირე, ტაძრისი, დგვარი; და გიკვირს, რამ ამოიყვანა ამ სიმაღლეზე ხალხი! იქნებ დროთა სიავემ? იქნებ გამუდმებული თავდასხმებით თავმოზერებელი წინაპრები შეეხიზნენ მივარდნილ ადგილს! სამი სოფელი ერთად დასახლებულა სწორედ იქ, სადაც თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთის განშტოება ერთგვარ ქვაბურს ქმნის. დათესეს პური, ააშენეს ტაძარი, ჩაყარეს ხეხილი, გაუშვეს საქონელი და, ყოველი შემთხვევისთვის, საკირის ციხე გუშავად წამოასაკუბეს მთაზე. მაგრამ თითქოს ვე ბედის დაცინვა იყო — სწორედ ეს ქედი და საკირულას ხეობა იქცა მუდმივი თარეშისა და ბრძოლების ასპარეზად.

...ტაძრისის აღორძინება მერვე-მეცხვრე საუკუნიდან იწყება, თუმცა საკირის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე „სხნალარისი“ მონასტრები უფრო ადრინდელ ხანას მიეკუთვნებიან. როგორც მერჩულე გადმოგვიცემს, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებს — თედორესა და ქრისტეფორეს არ ასვენებდათ ფიქრი მონასტრის დამოუკიდებლად აშენებისა, ამიტომ გაე-

პარნენ გრიგოლს და „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა თანა და აღაშენეს სენაკები ორგანვე, და უწოდეს თეოდორეს ვანსა ნებუა, ხოლო ქრისტეფორესასა — კვირიკეწმინდა და მოწაფენი დაუტკვენს“. ნების დიდებული ლაერა ახალდაბის სამხრეთით, სოფელ ნებეთან იყო, ხოლო კვირიკეწმინდას ნანგრევები სოფელ დვირის სადგურის ზემოთ არის დაცული — ჩრდილოეთის კედელს შესანიშნავი ფრესკები ამკობს.

მაგრამ ეს ხომ ტაძრისის მახლობლადაა. თვით ტაძრისი? გიორგი ათონელის ცხოვრების აღმწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი ტაძრისის დედათა მონასტრის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის. იგი მოგვითხრობს, რომ გიორგი ათონელის მამას იაკობს „ესხეს სამნი ძენი და სამნი ასული“. უფროსი შვილი თევლე შვიდი წლის რომ შესრულდა, „წარაყვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების, და მისცეს იგი ხელთა წინამძღვარსა მის მონასტრისასა, რომელსა საბაია ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყინარა იგი ვითარცა შვილი თვისი და კეთილად აღზარდა“. მერე კი ტაძრისის მონასტერში თუკლეს უმცროსი ძმა, ვიორგიც მიუყვანიათ. „და ახალწერტი შეუნიერტი იზარდებოდა მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა, დისა თვისისა“.

მაგრამ დღეს გაურკვეველია ადგილმდებარეობა იმ მონასტრისა, სადაც მეოთხრთმეტი საუკუნის დიდებული მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ათონელი სწავლობდა. ახლანდელი ტაძრისის ტერიტორიაზე ორი მონასტერია: გუჯრისხევისა და ტაძრისის სასაფლაოსი. რომელ მათგანს გულისხმობდა ჟამთააღმწერელი, ძნელი სავარაუდოა. მაგრამ უკვე ამ ფაქტებიდანაც ჩანს, თუ რა შესანიშნავი ტრადიცია ჰქონდა ბუნების ამ შესანიშნავ ადგილას შე-



ზიწუნულ სოფლებს. და სწორედ იქნებ ეს არ ასვენებდა მომხდურს?

...წავიდა სეობაზე, რომ ქართლის ჯარი იყო ახალციხის ქვეყანასა, აიღეს ციხე საკირისა, იავარჰყვეს საქონელი, ანუ ტყვე ურიცხვი...“

... გადმოვიდა ბელადები ლეკვისა ათასის კაცით, შემოიარეს ქართლი, მოვიდნენ, აიღეს საკირის ციხე...“

და ბოლოს:

1595 წელს თურქების მიერ შედგენილი „გურჯის-ტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფელი დგვარი ცარიელი ყოფილა მოსახლეობისაგან. მხოლოდ ტაძრისში სახლებელა სამი კომლი. საკირე ან სხვა სახელით უნდა იყოს დავთარში შეტანილი, ან ამოუცხიველ სოფელთა შორის არის საძიებელი.



დღეს ტაძრისის სასოფლო საბჭოში, რომელიც სამ სოფელს აერთიანებს, 504 კომლია. აქედან — საკირეში 227 კომლი ცხოვრობს, ტაძრისში — 180, ხოლო დგვარში — 97.

სულ რამდენიმე წლის წინ გაკეთდა გზა, რომლის მოასფალტება ახლო ხანში დაიწყება. ამენდა ახალი, კეთილმოწყობილი კლუბი. უწინ უბრალო ფერმალი ჰყავდათ სანატრელი, ახლა კი, როგორც მითხრეს, მედიცინის შეყვინებამათა კანდიდატი ემსახურებამათ თურმე. რამდენიმე დღეში უნივერსალს ხარაიოებს შემოსხნიან და სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ შენობას ჩაუყრიან საძირკველს.

საკირეში რომ ავედი, შუადღის წუე თისლის სერს დასდგომოდა. მაღალი ნაძვები ოქროსფრად ელავდა. ცხელდა. წინათ ამ გზაზე ნიაღვრები დიოდა. ამიტომაც იყო, გზა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მდინარის გამშრალ კალაპოტში მიიკლაკუნებოდა და ჩაიპრცესილი, გახეხილი ქვებით იყო საყვ.

ლ ე ნ დ ო

- ლენდო, ჰეი, ლენდო!
- აჰა ვარ, შენი ჭირიმე, აჰა! — მოისმა ეწოს უკანა მხრიდან. მეჩე თვითონაც გამოინდა. ხელში გრძელი დანა ეჭირა. ეტყობა, ლესავდა — დანას საოცრად უელავდა პირი.
- აი, გამარჯობათ თქვენი! — მოგვესალმა ლენდო მორიდან, ღობეს მოადგა. შეგვათვალვიერა, — შინ რატომ არ შემობრძანდებით?
- ერთი წუთით გამოვიარეთ, — უთხრა გიორგი ზედღინიქემ.
- შემოდით, გენაცვალე, წყალი დალიეთ, დაისვენეთ, — არ გვეწება ლენდო, ჭიშკარს აღებს, ხელს გვართმევს... ეწოში შეგვიძლავა და აივანზე აგვიყვანა. ლენდოს ხმამალა ლაპარაკი უყვარს, საოცრად ხმამალა. თვითონ დაბალი, ხმელ-ხმელი კაცია. ლენდოს მზერას ძნელად თუ გაეძევი. სულში ჩაგხედავს, ჩავიფათურებს და უცებ შევაფასებს. აპრიალეზულ დანას წელზე შემორტყმულ ქამარში იჩრის.

ფლანელის ხალათი, ქალამნები და მაღალყელიანი წინდები საოცრად ეხამება მის გარეგნობას. თეთრ წვერზე ხშირ-ხშირად ისეაშხ ხელს და ერთი სული აქვს, როდის დაგვალევივნებს „ოტკაცას“.

რამდენი წლისაა ლენდო?

— მეორი, სამოცდაათობმეტისა უნდა ვიყვე. საიდან იცის?

— მე და შენი სიმაური (გიორგის ვუბნება) ვრთ კვირას ვართ დაბადებულნი.

ლენდო არ ითვლის წლებს.

და უცებ:

— უუ, რა დროი იყო მაშინ, რა დროი (საკირეში კოლმეურნეობის შექმნას იგონებს ლენდო)... ამიხარდა ხალბი, მარა რა ამიხირდა! ბევრი უნდობლად უყურებდა კოლმეურნეობას. ათასნაირ ჭორებს ყვებოდნენ. პირველად ცხრა კომლი გავერთიანდით. ტყისმცველი ვიყავი, იმათ კი მითხრეს, რასან შენა ხარ კოლმეურნეობის შექმნის მოთავე, თავმჯდომარეც შენ იყავიო. პირველად შორს დავიჭირე, დიდი სწავლა-განათლება მე არა მქონდა და შევეშინდა, ვითო საქმეს ვერ გავუძლევ-მეთქი. არ გამიგონეს. ბარე თხუთმეტი წელიწადი ვიყავი საკირეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლენდო შეწუწუებული მიყურებს.

ლენდოს ხასლი არ არის მაინცდამაინც დიდი. სამაგიეროდ, აივანს ფართო აქვს და გრძელი. — სამხრეთისაკენ იცქირება. საერთოდ, აქაურ სახლებს აივნები სამხრეთისკენ აქვთ მიტყეული — საკირის ყველა მხრიდან მოჩანს დაივისთავი, სანაცრის მთა, მშრალ-ღვლე და შუა სერი.

— რატომ არაფერს იმართებთ, ქა! — ამბობს ლენდო და ოთახისაკენ მივითვება. — გამოიდი, მიტო, გარეთ, ჩვენი ხალხია, ვიჭუჭუკუთო.

ჭუჭუკუს ლენდო დაღვევს ექახის. მიქს ქარუმა ჰქვია.

— ქარუმა? — გავგოცდი.

— ჰო, შენი ქირიმე. წინათ ჩვენს მხარეში ბლარი ძნელად იზრდებოდა. ათასნაირი სენი და ავადმყოფობა დარეკდა ხელს. მაშინდელი სოფლის რწმენით კი, თუ უცხო სახელს დარქმევდი ბავშვს, შეგრჩებოდა.

— ქარუმა ჯერ კიდევ ბლარია, — თქვა ლენდომ, — ეს-ეს არის სათიხაროდან მოვედით. დაილალა ალბათ.

მიყურებს ლენდო, თვალებს ატუკუტუკებს და იღიშება. უცებ საოცარი გრნობა მეუფლება. პირველად ვხედავ ამ კაცს, პირველად მესმის მისი ლაპარაკი. პირველად ვხედავ, როგორ დადის იგი — წელა, აუჩქარებლად და რალდანიარად მჩატედ, მაგრამ გულის კუნჭულში ერთი აზრი ჩაბუდებულია, წრიალებს და მიკითხვნებს: როგორ, შენ ხომ დიდი ხანია იცნობ... იცნობ...“

ხ ა ს ი ა თ ი

სოფელში ყველა — დიდიცა და პატარაც პაპა გიორგის ეძახის. პაპა გიორგი ლენდო კაპანაძის ძმია. იგი შარშან გავიყვანი.

წისქვილის გვერდით პატარა წყარო რომ არის, იქ იჯდა. შვიი ახალუხი ეცვა, შავ, გრძელტარან ჩიბუკს აბოლვებდა და თუთუნისაგან სულერთადავ გაყვითლებოდა წვერი. ჯერ ჩუმად იჯდა. გრძელი, რკინისხუნკიანი ჯოხით მიწას ჩიჩქნიდა, გამწვლელ-გამომწვლეს ღიმილით უწევდა თავს. მერე ამოიხორხა: — ეექ, პაპაია, უცნაური რამ ყოფილა ცხოვრება! ხეჭმუქურზე გასულა და იქიდან გვითვალთვალებს. ასეა თუ დააპირე, ზედ კენწეროსზე ჩამოვიტყდებოდა ტოტი...

— შენ თუ ცხოვრებას ემდური, აღარ ყოფილა საშველი! — გაუტრიახეთ სოფელგლეშმა.

უცნაურად ამოიხედა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადააფიქრა.

ბევრი რამ გაეფიქრა მასზე.

სოფელში ყვებიან: ერთხელ პაპა გიორგი ახალციხეში წასულა საქვიფოდ. იქ მეგობრები ჰყოლია. უიარე ქვიფს დაიწყებდა, მეეტლე მოუზიმა და უთქვაშს, ამა და ამ დროს მომაკითხე, შინ უნდა დაგებრუნდო. კარგიო, — უთქვაშს მეეტლეს. მაგრამ პაპა გიორგის საეტეოდ მოსჩვენებია მისი თანხმობა და სხვა მეეტლესაც მორიგებია. დანიშნულ დროს კი ორივემ მოაკითხა. გადახედეს მეეტლეებმა ერთმანეთს, ჩხუბი მოუვიდათ, არა შე დამიბარა, არა — მეო, ზოლოს პაპა გიორგის მივარდნენ თურმე. შე-წარბოშებული გიორგი არ დაბნეულა. უთქვაშს: ას-ლავე ყველაფერს მოვავარებო. ერთ სტელში თავისი ქუდი ჩაუდგია, მეორეში თვითონ ჩამჯდარა და ისე ასულა სოფელში.

როდის იყო ეს? თვითონ პაპა გიორგისაც აღარ ასსოვს. მაგრამ მაშინ წისქვილში რომ არ მუშაობდა, ცხადია. რაც წისქვილში დაიწყო მუშაობა, მერე საქვიფოდ სხვაგან აღარ გაუდგამს ფეხს.

ერთი უცნაური ზნე სჭირდა — ცოლს ეჩხუბებოდა. სულ მის ღანძღვარა იყო და ზალხის გასაგონად გადაჰკრავდა: ნება როდის მოვიკვებნე შენთან, რომ ცას გემარეოდ შევხედოთ. მთელი სიცოცხლე მომიწამლო. სხვა მწარე-მწარე სიტყვებაც ზლომად ქქონდა შემინახული.

ამ რამდენიმე დღის წინ უცნაური ამბავი მოხდა. პაპა გიორგის ვესტუმრეთ. საშინლად შეწუხებული გამოგვეცხა. ხელში თხმელის გაფოთლილი ტოტი ეჭირა. პერანგი გაელედა. თავი თხელი ხილბანდით წყვერა. წინათ სტუმრის დანახვაზე ერთიანად გაუბადრკებოდა სახე, ასლა უპაბოსოდ მოგველაშა. თვალთა კვლებში აღარ უბრწყინავდა ძველებური, ეშმაკური ნაბერწყალი. უბეები დასიებოდა და... რაც ყველაზე გასაკვირი იყო, ტირიდა.

— ეექ, პაპაიუო, — გვითხრა სვედისაგან დაგეტილი ზმით, — ქალი მიკვებდა, ჩემი ქალი... — და დაუნშვილობებულად წაფარფატდა სახლისკენ.

უხმოდ გავიხრეთ კიშკარი. თაღდამართზე მივბიჯებდით და პაპა გიორგისე ვეფიქრობდით.

დიდი ბძირთი

კოლმეურნეობის კანტორა. გვიანი ღამე. შოლოდ ასლა შეგტელი თავმჯდომარის ნახვა. ფართო, მაღალ-

ქერიან დარბაზში ზის სამსო აიწურაძე, მკერივი, დაკოტრილი ხელები მაგიდაზე დაუწყევია და გამომწვევად მიყურებს. დილაბნულა. თამაში აქ-იქ ქილარა გარეგია. სქელი, კუბოვრული ხალათი აცვია და, როცა გაიციენებს, ვატყობ, როგორ უტოკავს ყოველი კუნთი. ბევრი საქმე აქვს. ეს გასაცხები არის. ახალ-დანიშნული კაცია. დილაბნულზე რომ გავა შინიდან, ნაშუადღივს ძლივს ახერხებულს უკან შემბრუნებას. დასამალი რაა — კოლმეურნეობა მიანცდამაინც ვერ გაიმართა წელში, ვერ ამოისუნთქა თავისუფლად, თუმცა, სოფლელებს რომ ჰკითხო, შარშანდელთან შედარებთა წელს უკეთესად აქვთ საქმე.

ღია ფანჯრიდან ღამის სიგრილე შემოდოდა. ჯერ ორნი ვისხედით, პაპიროსს ვაზოლებდით და ვმუშაობდით. შეწუხებული იყო. ათასნაირად აფრონ-დაეწონე და შევსვარებოდა ხელს არ მოგვეცხს, ისევ საქონელი უნდა მოვაგებოთ, — მითხრა, — სასამთრო სამოვრები რომ მქონდეს კარგი, არაფერი გამიჭირდებაო. მაგრამ გარშემო ტყეებია, ცხვარს კი გაშლილი ადგილი უყვარს...

მართლაც რომ ძალზე ძნელ პირობებში უხდება მუშაობა. კოლმეურნეობა დიდა. ერთი უბნიდან მეორემდე შორი გზაა. სამსონი კი მოუსვენარი კაცია, ყველაფერი თავის თვალთი უნდა ნახოს, ყველაფერზე გული უნდა შეიჯეროს.

გლეშები მოვიდნენ. სინათლე დაიგინათ და ამოვედითო. ხალისით ებმებიან საუბარში. ვედილობ, არ შევეშალო ხელი. ჩუმად ვარ და საქმიან მსჯელობას ვისმენ. რაზე არ ლაპარაკობენ: ამინდზე, კონსტრუირებულ საკვებზე, კართოფლის მოსავალზე, ყველაზე; თსუთმეტ დღეში ერთი ტონა დაუწადებიათ. თუ ასე წავიდა საქმე, შეიძლება სატარაბახოც გაუზნდეთ!

— ისე, გაისიდან თამბაქოც რომ გავაწმერთ, არაფერი გვაქვია? — ამბობს ნიკა ჯავახიძე.

— თამბაქო? — გაკვირვებით კითხულობს თავმჯდომარე. — ივარგებს ვითომ?

— მახსოვს, ჯერ კიდევ პაპარენს ჰქონდა მოშენებული. დად ფოთოლს ისხამდა, ჯიშონი იყო... სურნელი ლიკანის თუთუნსაც სჯობდა...

— ომორამიც ვერ მოჰყავდათ ასეთი თუთუნი, — კვერს უტრავს გიგუცა თოფურია.

თავმჯდომარე ჯერ ერთს უყურებს, მერე მეორეს. ატყობს, მოწადინებული არიან. ხომ შეიძლება გაამართლოს? ჰოდა, თავისთვის რაღაცას ინიშნავს, მერე თავგაქაჩინდრული ზის, ანგარიშობს და უცებ ამბობს:

— საცდელად ნახვარი ქეტკარი რომ დაგვერგო?

— რა თქმა უნდა, — ეთანხმება ნიკალა. იგი მესმიდება. მესმიენდება გრიშა ფერაძეც. გიგუცა თოფურიას ქეტკარზე სამოცი-სამოცდახუთო ცენტნერი სიმინდი მოჰყავს. და კოლმეურნეები საინტერესო ამბავს მიყვებიან. შარშან რომელიღაც გაზეთის ფოტოკორესაინდენტი ამოსულა, მოწინავე მესმიენდებს

**გიორგი სანადირაძე
ტაძრისის მაღალი მიმბი**

სურათის გადაღება მოუწოდომა. „აბა, ჩემი ბიძი, მოდით ერთი, ამ ყანაში გადავღებთ სურათს“. გიგუცამ შორს დაიჭირა. „ვე ყანა რომ ჩემი არ არის?“ „რა უჭირს მერე. — დაამშვიდა ფოტოკორესპონდენტმა, — გვარი აწერია თუ?“ გიგუცამ წარბები შეკრა. „რავა არ აწერია, — უთხრა, — თუ სურათის გადაღებას მიპირებ, ბარემ ჩემს ყანაში გადამიღე. ჭვეყანამ იცის, რომ ჩემი ყანა ამაზე უკეთესია...“ ამის გახსენებაზე გიგუცამ ენმაკურად ეღიმიება.

— წელს კარგი პირი უჩანს მოსავალს, — ამბობს გიორგი აიწურაძე და პაპიროსს აბოლებს.

— სასიხინდე რომ არა გვაქვს... — წამოცდა ვიგუცამს.

— სამოსი აიწურაძე გაწილდა. შემომხედა.

— წელს უკვე აღარ მოგვიწებს მოსავლის ღია ცისქვეშ დაყრა, ამ კვირის თავზე ისეთ ნაღობს წამოვჭრებოდა, მტერს თავს დავეყუენებოდა.

კოლმეურნეები ღიმილით უყურებენ სამოსს. მშვიდად აბოლებენ პაპიროსს და ჭერისაკენ აზღაზნილ კავშილს მისჩერებიან. ხვალ მათ საკირის მაღალი მთები მოუხმობს, მოუხმობს აფუებული მიწა, და ათასი და ასი ათასი წვრილი საქმე, თანდათან რომ ქურდობა, ერთ ყალიბში იყრის თავს და... ცხოვრება რომ ჰქვია!..

სახლი და აბანი

ტაძრისიდან დაწყებული დღვარამდე იშვიათად გამოვრევა ვინმე, რომ სახლის საძირკველი ამ კაცს არ გაატყუენინოს. მისი სტიქია ჭკაა. სოფლის ხომ უყვარს და უყვარს! თვალში რომ ჩაუფარდეს, ხელს არ ამოისვამს, — ალალი, პატიოსანი კაცია. განსაკუთრებით ბავშვები ჰკარგავენ მისთვის ჭკვას.

— ძია შალო, შეგვსვი მოტოციკლეტზე.

— ძია შალო, დვირში ჩავიყვანე.

მითხრეს: ოქრო ხელი აქვს, მაგის გაკეთებულ საქმეს წუნი არ დაეღებო.

ახლა რომ ტაძრისშია, შუადღისას დღვარში ავა, საღამომზე კი დვირში ესმარება ვიღაცას, და უკანდაბრუნებული მეზობლის ბავშვებს კივი-კივიით დააქროლებს ზევით და ჰქვეით.

შალო ბედნიერია. აშენებს სახლებს, ცხოვრობს გამკლილი გულით, მაგრამ ზოგიერთები საყვედურობენ კიდევ:

— კი, მაგრამ, ჭვეყანას სახლებს რომ უშენებ და ყველა მათგანს გულს ატან, შენ საკუთარ სახლზე რატომ არ ფიქრობ? როდემდე უნდა იხზოვრო პატარა ქოხში?

შალო იღიმიება:

— ავაშენებ, ნუ გეშინიათ, ქალაქურ ყაიდაზე ავაშენებ. რა მეჩქარება?

ღილით შალო ტაძრისში უნდა ავიდეთ — სახლი აქვს დაწყებული, მერე საკირეს ამოსასვლელში მასწავლებელს უშენებს სახლს — შეხება — გაგებარდება. თუ მოასწრო, მერე დღვარში აირბენს მოტოციკლეტით, — აქაც პატარა საქმე უნდა მოაგვაროს და თუ ამის შემდეგ დრო დარჩა — ბავშვები:

— ერთხელ კიდევ გავვაქროლე, ძია შალო!
— კიტრებს გვაქმევე, ძია შალო!
— თუთა ხომ არ მოილია?

მოტოციკლეტს დაქოქავს და სიმღერას წამოიწყებს... კარგი ხმა აქვს — სუფთა, დრამატული ტენორი. მთელ სამ სოფელს ესმის მისი სიმღერა და შალოსაც მეტი არაფერი უნდა.

იყო სოფელი...

სკოლის შენობის გვერდით ღლეუ ხმაურობს. სკოლის შენობა დიდაა, ორსართულიანი და ნეკერჩხლის ვეება ხვევი ადგას დანარჯად. ნეკერჩხლის ხეებს რომ გასცლები, ტაფობზე პატარა მოედანია, ახლა არავინა ჩანს მოედანზე. სკოლაც ცარიელია. გიორგი კი თითქმის ყოველდღე აქაა. ეს გასაგებია არის. იგი ახალ წიგნზე მუშაობს. აქ მუდრობდა.

მე ჯერ არ წამიციტხავს მისი ისტორიული რომანი, რომელიც გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოიღის.

იგი ბევრს მუშაობს. მივირის, როგორ ასწრებს ამდენს — აქეთ სკოლა, იქით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ოჯახში, კოლმეურნეობა, ამ მხარეში არსებული ძველების შესწავლა, მწერლის მოვალეობა...

თხუთმეტი წელი სრულდება — ტაძრისის საშუალო სკოლის დირექტორია.

ახლა იგი ღია ფანჯარასთან დგას. ღელისპირას თავმეწრილ ბაღლებს შეჰყურებს. მაგრამ მისი ფიქრი სულ სხვაგანაა. რამდენიმე წუთის წინ ბორჯომის სახალხო თეატრისათვის დაწერილ დრამას მიკითხავდა. ეს დრამა შოთა რუსთაველს ეძღვნება და ხალხური თქმულება უდევს საფუძვლად.

გიორგი ზედგინიძე მეუბნება: — რუსთაველი ჯაყელთა საგარეულოდან უნდა იყოსო, რადგან მესხებად მხოლოდ ჯაყელები იწოდებოდნენო. მე გამაზუნდა, ამ რამდენიმე ხნის წინათ, რა მონღოლებით იცავდა იგი ამ მოსაზრებას მწერალთა კავშირში, რუსთაველოლოგთა სხდომაზე.

— ამ სიბუბეში ისევ სწავლისაკენ გამიწია გულმა, მინიმუმის ჩანასარებად ვეშხადები. მზად მაქვს დისერტაცია — „წარმართობის კვლევი ჯაყახეთში“. უკვე სავსებით დამუშავებული მაქვს მასალა წიგნისათვის — „ამირანის ეპოსი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“. ამ წიგნს ახლო ხანში გამოაქვეშებებ.


მერე სოფლის გზას მივყვებით... ღამეა. ვეებერთელა მთვარე ანათებს და მე კარგად ვარჩევ მის სახეს.

— გიორგის ვახლავართ!

— გიორგის გაუმარჯოს! — ესალმებიან შემხედურნი.

იგი იღიმიბოდა და საოცრად ბედნიერი იყო. იგი არასოდეს მიატოვებს ამ კუთხეს, ამ მთებს, პატარ-პატარა ნაკადულებით დაცხავებულ ხეობას. აღმაიანებს, რომლებსაც იგი ასე უყვარო.

მეც სწორედ მისი წყალობით ვნახე ყველაფერი ეს, რაც გიამბეთ.





პრიტიკა და ზეცდიოკრიტიკა

შილიკა ბერიძე

პოეტური ლელვა ბრძელდება

(ზ. გოლჭვაძე, „ლიქსები“. „საბჭოთა საქართველო“, 1967 წ.)

ზაურ ბოლქვაძის ლექსთა პირველ კრებულს „ღელვის დასაწყისი“ ერქვა. თუ ერთ სიტყვას რამდენადმე მაინც ძალუქს სრულყოფილად რაიმეს განსაზღვრა, მაშინ ზაურ ბოლქვაძის შემოქმედებისა და პიროვნების ხასიათს ყველა სიტყვაზე უფრო „ღელვა“ მიესადაგება.

ზაურ ბოლქვაძის პიროვნებისათვის დამახასიათებელი მღელვარე განცდა ორგანულად გადადის მის პოეზიაში და შემოქმედი და შემოქმედება განუყრელ მთლიანობად წარმოგვიდგება. პოეტი გადმოგვცემს თავისი სულის განგავს, საკუთარი მხატვრული ტალანტის შუქს გვაშუქებს, პირადი პოეტური ხილვებით დამუხტული მღერის.

ზაურ ბოლქვაძის ლექსებში ავტორის სულიერი სამყაროს გამოძახილი ისმის. ეს შინაგანი პოეტური გულწრფელობა გადამდები და შთაბეჭდილებელი პათოსით ავსებს მის ყოველ სტრიქონს. პოეტი ყოველთვის დამბულია, ენერგიულად ისწრაფის, მთელი არსებით შეიჭრას ობიექტში, ემოციურად დაიმორჩილოს იგი, მისცეს მხატვრული ხარისხი, ახლებური სიცოცხლის ძალა.

ზაურ ბოლქვაძის პოეტური სტიქია

საგნის თუ მოვლენის მაქსიმალური მხატვრული გარდაქმნის ცდაში იხატება. პოეტი გაბედულად ებრძვის ობიექტის ემპირიულ ბუნებას და ღრმად გვაჭვრებს მის მხატვრულ სახეცვლილებაში. ბევრი მისი ლექსი დრამატული, სევდაში გარდამავალი განწყობილების ერთ მთლიან გამას ქმნის. ეს არ არის პირადი, წვრილმანი ცხოვრებისეული წარუმატებლობით გამოწვეული უნუგეშო, ხელოვნურად გაზვიადებული სევდა. პოეტს აფიქრებს ადამიანის ბედი, მოსალოდნელი და მოულოდნელი ხიფათი.

ამ ვაეკატური სევდის ფონზე ათასგზის უფრო დამაჭერებლად და ბუნებრივი უშუალობით იჭრება მკითხველში იმედის შუქი, ვიდრე ბრმა, ცარიელი, მომაბეზრებელი, პათეტიკური აღფრთოვანების ეჟმს. მ. გორკიმ ხელოვნება მოხდენილად განსაზღვრა, როგორც სევდა, დარდი სილამაზეზე.

სევდიანი, დრამატული განწყობილებით ფეთქავენ ზაურ ბოლქვაძის საუკეთესო ლექსები: „წეროები“, „მარადისობას ერთვის ხელები“, სად გეძინა წუხელი“, „გურამ რჩეულიშვილს“, „ვაეას სიმღერა“, ციკლი „ღედა, ზამთარი და შუაეცხლი“ და სხვ. ეს ლექსები ნათ-

ლად ადასტურებს ზაურ ბოლქვაძის პოეზიის იმ თვისებებს, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. „სად გეძინა წუხელი“... და „წეროები“ გამოირჩევიან განცდის ექსპრესიულობით, ემოციური დაძაბულობით, მღვლეარე განწყობილებით. ასეთი პოეტური აქტიურობა, მხატვრული სითამამე მხოლოდ წრფელი შთაგონებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი.

ობიექტის ბედისა თუ უბედობის გათავისების პრინციპით არის დაწერილი ზაურ ბოლქვაძის „წეროები“. პოეტი პასიურად, გულგრილად კი არ ქვრეტს ტრაგიკულ სცენას, არამედ პროცესის აქტიური, ცოცხალი მონაწილეა და ყოველ ეპიზოდს უკანასკნელ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობამდე განიცდის. დაძაბული დინამიკის, მოულოდნელი და ამავე დროს თანმიმდევრული ასოციაციების ფონზე თანდათან მძაფრდება განცდა. ყოველი მომდევნო სტრიქონი უფრო და უფრო ამწვავებს დრამას და მზადდება ტრაგიკული სურათის ლოგიკური ფინალი:

...მიფრინავენ. ცის სიღერჯეს აშავებენ და ყვილით შევლას თხოვენ აღარავის. ემხიმებათ დანისლული გზა-შარები, დიდი მთები — მარადისად ჭაღარები.

მიფრინავენ და საფრენი არ იღვება, აავებენ ამოვარდნილ გულებს მკერდით, მიფრინავენ და მიჰყვებათ გაფრთხილებად ჩამორჩენილ წეროს ბედი.

მიფრინავენ, არ იციან ზეცის გზები, გრმელდებიან, მოკლდებიან... შორს კი შავ ზღვას ის წუთები ესიზმრება. ქარიშხლით რომ წეროები მოკვდებიან...

ხილული ფაქტის განცდა განზოგადდა და კონკრეტულ ჩარჩოებს გასცდა. ღრმა, მთელი არსების შემკვრელი დრამატული პათოსი გასდევს ზაურ ბოლქვაძის ციკლს (რატომღაც იგი მთლიანად არ არის შეტანილი ბოლო კრებულში) „ღეღა, ზამთარი და შუა ცეცხლი“, რომელშიც პოეტმა მოსალოდნელი ფაქტის (ისევე როგორც მომხდარის, ხილულის) შთამაგონებლად, ძლიერად განცდის პოეტური უნარი გამოამჟღავნა.

„მოსალოდნელი ფაქტი“ წმინდა ბიოგრაფიული დეტალია და შესაძლოა მისი საიდუმლოება არც ისე საინტერესო იყოს მისთვის, ვინც ზაურ ბოლქვაძის ბიოგრაფიის არ იცნობს; მან წაიკითხა ციკლი, იგრძნო დედის ტრავმებით გამოწვეული უსაზღვრო პოეტური სევდა, „უსიამოვნო სიამოვნება“ განიცადა და ციკლის განწყობილების დამაჯერებლობამ რამდენადმე მაინც დაარწმუნა, რომ პოეტს მომხდარი ფაქტი აწუხებს. ვინც იცის, რომ ეს ციკლი მოსალოდნელ ფაქტზეა აგებული, არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოს ზაურ ბოლქვაძის პოეტური წარმოსახვის, მხატვრული გამოგონების უნარს.

ზემოთ აქცენტი გადავიტანეთ ზაურ ბოლქვაძის პოეტურ სწრაფვაზე პირადი გამოცდილებისა და უშუალოდ ხილულისაქენ; ციკლმა კი აშკარად გამოამჟღავნა მისი შემოქმედებითი გაქანების, მხატვრული შესაძლებლობის მეორე მხარეც — მასშტაბური პოეტური ფანტაზიის წყალობით საგნობრივ მხატვრულ ფერებში განასახიეროს ფაქტი, რომელიც ჯერ არ მომხდარა, და ინტუიტურად ჩაწვდეს მას. რა თქმა უნდა, ზაურ ბოლქვაძეს არც კონკრეტულის, რეალურის წარმოსახვისას ლაბატობს მხატვრული ფანტაზიის უნარი, და თუ მაინც საგანგებოდ გამოცხადებთ პირუკუ შემოქმედებითი პროცესი, ეს იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა გაცილებით უფრო მეტ მხატვრულ რისკსა და პოეტურ გაქანებაზე მეტყველებს.

ციკლის დრამატული სიუჟეტური ხაზი კონტრასტული დეტალების ფონზე ვითარდება:

...ეცეს დაადგამს და გამოვა გარეთ, რომ მეზობლებში ისესხოს ფქვილი, მიხურავს სახლის გაჭვარტულ კარებს, თოვლში გაჰყვება გაყვალულ ბილიკს.

... ზეკად ილტვიან დედის ლოცვებზე და სივრცეებში ფრთები ეღვლებათ, რბილ ფანტელებად დაბლა მოცვივა და დასველებულ მხრებზე შეყრება...

* * *
შენ დილით შეხლი გიხურდა ისევ,
მანც ამბობდი: „დღეს არა მიშავს!“
ჟამს მიმწუხრისას, გიმატა სიცხემ,
შეგიპყრო ჩემი ობლობის შიშმა...

დაცარიელდა პატარა სახლი
და ამოვისო სამარე მიწით.
ოთახში ღარჩა ძვირფასი სახე,
ცივი საწოლი, საზომი სიცხის...

რატომ ჩაიხნიჭა საფლავი შენი,
რისი ბრალო არის, ნეტავ?
აბრლის პაერი, ყვავილთა მტკვებით,
ხომ არ ჩაისუნთქე, დედა!...

ციკლის შთამაგონებელი კონკრეტული მიზეზი დედის უსაზღვრო სიყვარულში, დედაშვილურ უწმინდეს გრძნობაში უნდა ვეძიოთ. სწორედ ამ დიადმა გრძნობამ უკარნახა პოეტს ეს სევდიანი სტრიქონები.

ზაურ ბოლქვაძის ახალი კრებული მისი პოეზიის პატარა რჩეულია. იგი ერთგვარად აჯამებს ზაურ ბოლქვაძის მიერ დღემდე განვლილ პოეტურ გზას, გარკვევით წარმოგვიდგენს მის პოეტურ სახეს. კრებულში ახალი ლექსები ჭარბობს და უნებლიეთ იბადება კითხვა — როგორი ტრანსფორმაცია განიცადა პოეტმა? რა ზასიათისაა ეს სახეცვლილება?

ზაურ ბოლქვაძის ზოგიერთ ადრეულ ლექსში შეინიშნებოდა უსაგნო ექსტაზი. პოეტი ინერციით, მორჩილად მისდევდა გრძნობათა ღელვას, რასაც ლექსის აზრობრივი სიცარიელე თუ ქაოტური განცდა მოსდევდა. აღნიშნავთ კიდევ ერთ ადრეულ ნაკლს და შემდეგ უშუალოდ ახალ ლექსებში გამჟღავნებულ პოეტურ ტრანსფორმაციას შევეხებით. ზაურ ბოლქვაძე დაჟინებით ეტანებოდა აფორისტულ აზროვნებას. არაფერ იფიქროს, რომ ეს პრინციპი თავისთავად ნაკლად მიგვაჩნდეს, მაგრამ მოგვეხსენებათ, რომ იგი, მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და დიდ სიბრძნესთან ერთად, მაგიურ პოეტურ გაქანებას, სიტყვის პოეტური დამორჩილების ვირტუოზულ ძალას მოითხოვს, ურომლისოდაც შეიძლება ბანალური,

პოეტურად დაუძლეველი და მშრალი სენტეციებით მკითხველს თავი მოვაბეზროთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზაურ ბოლქვაძის ახალი კრებული ზემოთ აღნიშნული ყველა ნაკლისაგან თითქმის გაუმწმენდილია. ავტორმა უფრო ორგანულად მოარგო თავის პოეტურ სტიქიას და სისტემად აქცია ის ორიგინალური მხატვრული ნიშნები, რომელთაც წინა წიგნებში მკაცრად ჩამოყალიბებული და ლოკალიზებული სახე არ ჰქონდათ.

კრებული ნათლად ირეკლავს ზაურ ბოლქვაძის პოეტურ სახეს: მის ოსტატობას, მხატვრული ძიების ეინს, ყველაფრის პოეტურად დაძლევის სურვილს. ასეთია, მაგალითად, კახეთისადმი მიძღვნილი ციკლი, რომელშიც ავტორის პოეტური მაჯისცემა იმდენად ძლიერია, რომ მკითხველს ერთიანად იმორჩილებს:

წამი რა არის, აქ წამსაც
ვერ გაძლებ უტრუანტელოდ...
(ძმანო კახელი)

ციურმა ხმამ ამოხეთქა,
ხმა მეხივით ამოშირდა...
ო, ვინ მღერის ასე, ნეტავ,
დედას ლევანაა, შილდავ?
(ჩემო შილდავ)

მიწვე ვარდის და ვარდისფერ ღრუბლების,
შთების რკალში ჩავარდნილო ვარდისებრ,
ნახვამდისო, ძმებო, რომ მეუბნებით,
რას მიშვრებით, სად წავიდე, სად მიშვებთ?
(ლაგოდეხელ მეგობრებს)

ციკლში მკვეთრი პოეტური ფერები — თაა გაცოცხლებული კახეთის ბუნება და კახელი კაცის ხასიათი. ტალღისებურად მოძრავი რიტმულ-ინტონაციური გამა სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს ციკლის განწყობილებას.

ზოგიერთ ლექსში (მაგალითად, „ირგვლივ რაც სუნთქავს“... „მარადიული ცეცხლი“) პოეტი რატომღაც თავს ძალას ატანს და იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე ამას ობიექტი შეიფერებს და დაიმ-

ფილიპე გერიძე
კრიტიკური ლექვა გრძილდება

შვენებს. პოეტის ასოციაციები თითქოს უმისამართოდ მოძრაობენ.

ირგვლივ რაც სუნთქავს ამჟამად,
 ლექსით გვიკურთხა ვაჟამა...
 დღეა უსახლვრო ნათელი,
 ისმის კაცური კოდალის
 და ლექსი, ჩემი სათქმელი,
 ვაზს ტუჩებზე აქვს მომდგარი.
 ბალახს — სიცოცხლეუსუსურს,
 ყოფნის დრო მოეზომება,
 ჭიანჭველათა ფუსფუსი
 ჰქმნის შრომის ლამაზ პოემას...

ომში დაღუპული მამისადმი მიძღვნილ ლექსში „მარადიული ცეცხლი“, ჩვენი აზრით, პოეტი ზომიერების უნარს კარგავს და ხელოვნურად აჭიანურებს გრძნობას. ჩვენ გვესმის, რომ თემა მეტად ამაღლვებელია, მაგრამ თუკი პოეტმა დედისადმი მიძღვნილ ციკლში მკაცრად დაიცვა მხატვრული ზომიერების პრინციპი, აქაც შეეძლო კონტროლი გაეწია ვნებათაღელვისათვის.

გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ

ზაურ ბოლქვაძის ორიგინალური შემოქმედებითი მიდგომა სიტყვისადმი. იგი მართლაც რომ ოსტატურად, თავის პოეტურ ნებაზე იმორჩილებს სიტყვას და, უმეტეს შემთხვევაში, შეუცვლელ, ერთადერთ ადგილს ურჩევს მას, რაც ფრაზის სილაღეს, ნაჭედ კონტექსტს უზრუნველყოფს. მის სტრიქონს სითამამისა და სიმძაფრის უნარს ანიჭებს ლამაზი ინვერსიული წყობა და მოქნილი კომპოზიტი. ამ მხრივ ზაურ ბოლქვაძე იშვიათი გამოჩაცლისია თავის თაობაში და უფრო ძველი თაობის პოეტური ტრადიციებით, კერძოდ, გიორგი ლენინძის ლექსითაა შთაგონებული.

ზაურ ბოლქვაძის პოეტური ლეღვა ჩვენი თაობის ვნებათაღელვის, სულიერი მისწრაფებების ღირსეული გამოხატულებაა. თუ მისი პირველი კრებულის სათაური („ლეღვის დასაწყისი“) სარწმუნოდ გვანიშნებდა პოეტის შემოქმედების დღევანდელ მხატვრულ დონეს, ახალი კრებული კიდევ უფრო მეტს გვპირდება.



«ს ა ს წ ა უ ლ ი»

(ჯემალ ქარჩხაძე, „სასწაული“. „ნაპაღული“, 1967 წ.)

ჯ. ქარჩხაძის მოთხრობების პირველი წიგნი წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“. საერთოდ, პირველ წიგნში მწერლის მომავალი გზის კონტურები მოჩანს ხოლმე მხოლოდ და მხოლოდ, ასე რომ არა თუ მკითხველისთვის, ზოგჯერ თავად მწერლისთვისაც კი გაურკვეველია, რა შერჩევა გრძელგზაზე, რა მოაკლდება და რას შეიძენს.

ერთი რამ ცხადია, და სწორედ ეს არის მისასაღმებელი: ჯემალ ქარჩხაძემ იცის, რომ მხოლოდ გამართულად წერა, — ყველაფერი თავის ადგილზე რომ არის და მწერლის განსწავლულობაც საკმაოდ რომ ჩანს, — აღარ კმარა. ავტორმა იცის, რომ ერთხელ გაკვალული გზის ტკეპნას ექსპერიმენტების გზით სიარული სჯობს.

ჯ. ქარჩხაძეს, რა თქმა უნდა, არა აქვს იმის ილუზია, რომ მკითხველი დაეთანხმება მისი შემოქმედების ყველა მხარეს, მაგრამ მკითხველსაც უნდა ახსოვდეს, რომ ახალგაზრდა მწერალი მხოლოდ ახლა იწყებს საკუთარი მწერლური სახის გამოკვეთას.

ჩვენი აზრით, ჯემალ ქარჩხაძის წერის მანერაში არის ზოგიერთი ისეთი მხარე, რომელშიც მკითხველი საბოლოოდ ვერ გაერკვევა (ამას ხელს უწყობს წიგნის მოცულობაც, — სარეცენ-

ზით კრებულში მხოლოდ სამი მოთხრობაა). ხანდახან მწერლის სტილი თითქოს ადამიანის ბუნებრივ თვისებებს არ შეესაბამება, ამ ბუნებიდან არ გამომდინარეობს.

ავტორი ხშირად ყოყმანობს (ეს თითქმის მისი წერის მანერაა) თავისი გმირების განცდების გამოხატვისას. მისთვის განცდა ორნაირია: ის, რაც ადამიანს ეჩვენება, და ის, რაც სინამდვილეშია. ამიტომაც, რომ მწერალი დიდ დროსა და ენერგიას ახმარს განცდის — ადამიანის ფსიქიკის ამ ერთი ძირითადი ერთეულის ობიექტური შინაარსის გარკვევას. განცდებში, განცდების ხარისხში, ფორმებში, მიმართულებებში ჩანს თვით ადამიანი. ავტორი ზოგჯერ თავსაც კი არიდებს, ამა თუ იმ განცდას საბოლოო სახელი უწოდოს: ყოყმანობს ან მახვილსიტყვაობს, არაფერს ამბობს გადაჭრით, ან, თუ ამბობს, თავს იზღვევს შესაბამისად. იქნებ სულაც მწერლის, როგორც სუბიექტის, ეს ყოყმანი იქცა შემდეგ ავტორის სტილად? თუმცა შესაძლებელია, აქ ცოტა ვაჭარბებთ და სრულიად უსაფუძვლოდ ვიღებთ ჩვენს თავზე სალომეს აფორიაქებულ გრძნობებში გარკვევის მთელ სიძნელეს. — ორში ერთია: ეს ფრაზა ან იმას ემსახურება, რომ უფრო დაგვაფიქროს,

უბიძგოს მკითხველის ფანტაზიას, ანდა იგი წამოსცდა ავტორს, როდესაც თვით ყოყმანობდა გმირის მდგომარეობის დახასიათებისას. რაკი ავტორს ასეთი მიღრეკილება აქვს მოვლენების, გარემოს, ხასიათების ნამდვილ არსში გარკვევისა, ექვეგარეშეა, თავისი შესაბამისი პათეტიკაც ექნება. ამ პათეტიკას ავალია სენტიმენტალურის ნეიტრალიზება, მკითხველის ყურადღების წარმართვა უფრო ფხიზელი, გონებისმიერი აღქმისკენ. სწორედ ამიტომ, ავტორის თხრობა ხშირად წააგავს ზუსტ, პუბლიცისტური სიძლიერით დაწერილ ინფორმაციას რაიმე აპარატში მექანიზმების მოძრაობასა და განსაკუთრებულ შემთხვევაზე.

ავტორი ზუსტად, დამახასიათებელი დეტალებით აგვიწერს არა მარტო რაიმე მოქმედებას, არამედ ამ მოქმედების ფონსაც. აი, თუნდაც „ისტორიული სიყვარულის“ დასაწყისი სცენა. „ეს ღირსშესანიშნავი ამბავი, რომელმაც დიდად დააინტერესა გამვლელები და მათი დაფანტული ყურადღება წამით მთლიანად მიიზიდა, მოხდა ლენინის ქუჩაზე, ბაზრის პირდაპირ, სადაც, აღამიანთა და მანქანების არასასიამოვნო შეტაკების თავიდან ასაცილებლად, ქუჩასა და ბაზარს შორის გვირაბია გაყვანილი. გვირაბს ორივე მხრიდან კიბე ჩაუდის. კიბეზე ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინება და თითქმის არასოდეს ჩერდება, მაგრამ აი, შუა ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას კიბეზე შეფენილი ხალხი წამით შეჩრდა. მისი ყურადღება რაღაც ხმაურმა მიიპყრო.

რა მოხდა? ეს საქმიანი ხალხი ასე უეცრად რამ ამოაგდო კალპოტიდან? რას მისჩერებოდნენ ასეთი ხარბი ცნობისმოყვარეობით?

ხმაურის მიზეზი მაინცდამაინც დიდი ყურადღების ღირსი არ ყოფილა: კიბის ძირში, სულ ქვედა საფეხურთან, ვარდისფერი ბადე ეგდო, ჩვეულებრივი ბადე, რომელიც, მიუხედავად გარეგნული მომხიბლობისა, (ან იქნებ ამიტომ) დიდ ტვირთს ვერ უძლებს და, საერთოდ, მალე ფუჭდება. ბადეში კვერცხები ეწყო,

უფრო სწორად, ყოფილი კვერცხები, რომელთა თავდაპირველი დანიშნულება, ეჭვი არ არის, ქვის კიბეზე დამსხვრევა არ ყოფილა. იქვე იდგა დამსხვრეული კვერცხების პატრონი, საშუალო ტანის მოხუცი ქალი...“ და სხვ. ან, ავილოთ სალომეს მზადების სცენა: ავტორი ფეხდაფეხ მიჰყვება თავისი გმირის ყველა მოძრაობას და მისი გარეგნული ქცევის მიხედვით ნათლად ვგისბატავს იმ რთულ ფსიქიკურ განცდებს, რომლითაც მისი შინაგანი არსება მოცული. ასევეა „აბზიანიძეების ოჯახში“. დედის ყოველი მოქმედება ფიქსირებულია ავტორის მიერ და ამით ნაჩვენებია აფორიაქებული სული დედისა, რომლის შვილებიც დაიფანტნენ მთელ ქვეყანაზე. იგი ახლავს ანასკენელ შვილს ისტუმრებს ოჯახიდან. ან იმავე დედის მოქმედება, როდესაც ის ქალიშვილის წერილის წასაკითხავად ემზადება, უფრო სწორედ, როდესაც მან, რაღაც მიზნით, წერილი არ წაიკითხა და კონვერტი უჭრაში შეინახა ქალიშვილის სხვა წერილებთან ერთად. ავტორის თვალს არც ის გამოეპარება, რომ დედამ „ახალი წერილი ჯვარედინად დაადო ზემოდან ძველებს („როგორც ჩანს, იმის ნიშნად, რომ ეს ჯერ წაუკითხავი იყო და ამიტომ თავისი გეომეტრიული მდგომარეობითაც უნდა განსხვავებულიყო სხვებისაგან“).

განვაგრძოთ „ისტორიული სიყვარულის“ დასაწყისი სცენა: „როგორც კი კიბის ბოლოში კვერცხები დაიმსხვრა, იმ წამსვე კიბის თავში საპასუხო ჩხაკუნი გაისმა. აქ იდგა სპექტაკლის მეორე გმირი — მოხუცი კაცი“. ავტორი ახსენებს „სპექტაკლს“. ეს სიტყვა აქ თითქოს უადგილოა და კომიკური, რაკი საქმე განსაკუთრებულ ვითარებასთან გვაქვს, მაგრამ ეს უსისხლო სიტყვა ავტორს როდი ეკუთვნის, მისი განცდის მიხედვით კი არ არის ეს სცენა სპექტაკლი, არამედ გარემოსა და მაყურებელი ხალხის მიხედვით, და ავტორი თავისი პირით კი არ ჰყვება, არამედ იმ ფაქტის პირით, რომელიც ამ გულგრილ გარემოში მოექცა. „იგი გაშეშებული

იყო და, პირველი გმირისაგან განსხვავებით, ცისფერ თვალეზში გაკვირვება და სიხარული ედგა. ხოლო მისი ხელჯოხი საფეხურებზე კაკუნითა და რაღაც უცნაური დაქაღნებით მიისწრაფოდა ქვემოთ.

ბოლოს, როდესაც ხელჯოხი კიბის ბოლოში ჩავიდა და დამარცხებული სარდლის ხმალივით განერთო მოხუცი ქალის ფერხთით, გვირაბში ჩამავალი კიბე წამით მკვდარ წერტილს დაემსგავსა. მაგრამ ეს წამი გავრძელდა იმდენ ხანს, რომ, როგორც იტყვიან, სცენა არ გაციებულა. შემდეგ კი მოხუცი კაცი, რომელიც აქამდე მოულოდნელი სიხარულითაგან გაშეშებული იდგა კიბის თავში, წარმოუდგენელი სისწრაფით მოწყდა ადგილს და ისეთივე დაქაღნებით დაეშვა ძირს, როგორც მისი ხელჯოხი. და ეს ქაღილი უფრო აძლიერებდა მათურებელთა ინტერესს. საერთო აზრი დაახლოებით ისეთი იყო, რომ მოხუცი კაცის ტემპერამენტი და გრძნობათა მოზღვაება თავშეკავებისა და ეთიკის ყოველგვარ ჯებირს გაარღვევდა. სანახაობა მართლა იქნებოდა ნახვის ღირსი“.

მაგრამ მოხდა მოლოდინის საწინააღმდეგო რამ. მოხუცი ვაუბედავად შეჩერდა ჭაღარა მანდილოსნის წინ და სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი კილოთი მოიკითხა, „როგორა ხარო“, მიუხედავად იმისა, რომ გული შეიძლება სულ სხვას უქარნახებდა. მოხუცმა მათურებელი ხალხის გამო შეიკავა თავი, მის ყბაში არ ჩავარდა, მისი გართობა არ მოიწადინა.

ავტორი სწვდება ადამიანთა ურთიერთობის რთულ ხვეულებს. მან კარგად დაიჭირა ის მომენტი, როდესაც ადამიანის უშუალო, გულწრფელ გრძნობებს წინ ეღობება ისეთი კედელი, რომლის იქით საწინააღმდეგო, უხეში ძალები მოქმედებენ და რომელიც ადამიანის გულწრფელობას აიძულებს სახე შეიცვალოს, შეეხამოს, ნიღაბი იხმაროს. სწორედ ამის გამო, იმის ნაცვლად, რაც შეიძლებაოდა სულ უბრალოდ, ჩვეუ-

ლებრივად მომხდარიყო, ხდება სულ სხვა, საწინააღმდეგო რამ. სწორედ ამის გამო ადამიანები ვერ ახერხებენ, შესაძლებელი ფაქტად აქციონ. ჯებირი აღმართულა გიგასა და მის დედას შორის („აზნაინიძეების ოჯახი“). გიგა დედას ფორმალურ-ოფიციალურ „დედაჩემოს“ ეძახის, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ დედა დაუძახოს და გამგზავრების წინ კოცნა ეუხერხულება — ვითომ პატარა ხომ აღარ ვარო!

ასეთივე ჯებირი არის 13 წლის ვია ბარბაქაძესა და მასწავლებელ რაუდენ კაპანაძეს შორის („სასწაული“). უშუალო, გულწრფელი დამოკიდებულება აქაც ვერ ხერხდება. ურთიერთობა დაჭიმულია და მხოლოდ „სასწაული“ განმუხტავს მას.

სალომე, მოხუცი ქალი „ისტორიული რომანიდან“, კაბას კაბაზე იზომებს, ირჩევს, ნერვიულობს, და ეს იმიტომ, რომ რამდენიმე ხანში მას უნდა ესტუმროს მოხუცი კაცი — ბაზრის პირდაპირ, მიწისქვეშა გასასვლელის კიბეებზე რომ შეხვდა. სალომე დამნაშავედ გრძნობდა თავს (სალომე 68 წლის ქალია), რომ ახლა, როცა რამდენიმე დღეში მან და მისმა ქმარმა ოქროს ქორწილი უნდა იზეიმონ, მას პაემანი აქვს დანიშნული.

და აი, მოდის კოტე-კონსტანტინე, რომელსაც ისევ ძველი კოსტუმი აცვია და ასევე ძველი შლიაპა ახურავს. ეს რომ სალომეს ქმრის, ვლადიმერ გორგილაძის შლიაპა ყოფილიყო, ალბათ უკვე ერთი წელიწადია სანაგვე ყუთში იქნებოდა გადაგდებულიო, შენიშნავს ავტორი. „კონსტანტინე ღიმილით შესცქეროდა ჭაღარა დიასახლისის. ჩვენ აქ უბრალოდ ვთქვით „ღიმილით შესცქეროდაო“, საერთოდ კი ეს ღიმილი უფრო დაწვრილებით აღწერას იმსახურებს, რადგან (დაე, ეს იყოს ამ აღწერის დასაწყისი) ასეთი ღიმილი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ეს იყო ღიმილი, რომელიც, ასე ვთქვათ,

ბანია ხარანული
„სასწაული“

არავითარ ექვს არ ტოვებდა. ეს იყო ხორცისა და სულის ერთიანი ღიმილი, თითქოს ამ კაცის მთელი შინაგანი და გარეგანი სამყარო, მთელი ცხოვრება — წარსული, აწმყო და მომავალი ღიმილად ქცეულიყოს“.

ორმოცდაათი წელია, ამ ორ ადამიანს ერთმანეთი არ უნახავს, ორმოცდაათი წლის წინათ კი მათ სიყვარული აკავშირებდათ (აღბათ ცალმხრივი). საქმის მსვლელობას რომ უტბადვე შევერითოთ, საქირთა წვეიკითხოთ ბარათი, რომელიც კონსტანტინემ თან მოიყოლა და დავხედოთ იმ ფოტოსურათს, რომელიც შემდეგ კოტემ გულჯიბიდან ამოიღო: სურათზე 50 წლით ახალგაზრდა სალომე იყო გამოსახული.

„ზუსტად ორმოცდაათი წლის შემდეგ, 1963 წლის 16 აპრილს, გიოვი, ჩემო სალი, სადაც არ უნდა იყო, მოვალ შენთან და ამ ბარათსაც მოვიტან. კოტე, 1913 წლის 16 აპრილი.“

რა იყო ორმოცდაათი წლის წინ? — კოტე „აუტანელი ფილოსოფოსი“ იყო, სალომე-სალი კი ისეთი ქალიშვილი, რომელიც მძლავრი ინსტინქტების, სიცოცხლისმოყვარეობის გამო ბევრს არ ფიქრობს ცხოვრებაზე და მთლიანად განსხვავდება საამქვეყნო ამბებზე ფილოსოფიურად დაფიქრებული ადამიანისგან (ვერც შეეგუება). სალომემ თითქოს ახლა იგრძნო, რომ ორმოცდაათი წელი გასულა.

კონსტანტინე უნდობლობის მსხვერპლია, მაგრამ ვერავითარმა დევნამ და დამცირებამ ვერ დააზრო ის ყვავილი, რომელსაც კოტე იყო გადაფარებული მთელი თავისი განწირულობით, სიმტკიცით, სისპეტაკით. კოტე გმირია. სალომე გრძნობს ამას და, ჩვენი აზრით, ტკბილად გალუული ცხოვრება ამოოდ ეჩვენება ამ კაცის ტანჯვისთან შედარებით,

მიუხედავად იმისა, რომ თავს იმხნევეებს და ამბობს — მართალია, ამ პატარა ბარათმა ორმოცდაათი წელი გამომტაცა, მაგრამ სულ მალე, ცოტა ხნის შემდეგ სკოლიდან დაბრუნდება ჩემი მანანა და ყველაფერი ძველებურად თავის ადგილას დადგებაო. სალომე შეიტყობს, რომ კოტე სულაც არ მისტირის დაკარგულ ცხოვრებას და ორიგინალს (სალომეს) ასლი (მისი გამოსახულება სურათზე) უჩვენია. — ასე უფრო სუფთა და შეუბღალავია სიყვარული, რომელსაც ვინ იცის, რა არ დააკლდებოდა, რომ მომზდარიყო და სალომე და კოტე შეუღლებულიყვნენ.

მწერალი ოსტატურად ახერხებს სენტიმენტალურობის გარეშე გვიამბოს ამ ამაღლევებელი რომანის ამბავი. „მოხუცე ქალს თავი არ აუღია, არც განძრეულა. ამ დროს მის ხელს კვლავ გადაეფარა მეორე, დანაოკებული ხელი და ამიტომ სათვალის ქვემოდან კიდევ ჩამოგორდა მსხვილი წვეთი, თუმცა ამჯერად სურათს ასცდა.“

სალომემ, თავის მხრივ, მეორე ხელი დაადო კონსტანტინეს ხელს, როგორც „ყვა-ყვა, ყვანჩალას“ თამაშის დროს. „ყვა-ყვა, ყვანჩალას კომიკური ამბავი ისევე კეთილად მოქმედებს აღწერილ ეპიზოდზე, როგორც ხანდახან პროზაში გამოაკეთებს ხოლმე ლექსს და გადაარჩენს ზედმეტი პათეტიკისა ან ზედმეტი სიტკბოსაგან.“

კოტემ იცის, რომ ის, რაც ამდენ, ყინვა-ქარს გადაურჩა, შეიძლება ახლა დაკენეს—ახლა, როდესაც ასრულდა ამდენი წლის ოცნება. კოტე დგება და მიდის. მიდის კმაყოფილი და გამარჯვებული (თუმცა ამას ოდნავაც არ ამყავნებს). ახლა მას შეუძლია, სრულიად დამშვიდებულმა ითამაშოს ღომინო კიროვის პარკში, პენსიონერებთან.



მამუკა ნიკაუჩი

რეზო ამაშუკელის ახალი ნიჰნი

(რეზო ამაშუკელი, „ნაკადული“, 1967 წ.)

„ნაკადულმა“ გამოსცა რეზო ამაშუკელის ლექსების ახალი კრებული. ამ პატარა წიგნმა უნდა გვიჩვენოს პოეტის დღევანდელი შესაძლებლობა, მისი პოეტური სამყაროს ახალი უბნები, ოსტატობის დონე.

„აპრილი“ ავტორის პოზიციის ერთგვარი შემოწმებაცაა — პოეტის პირველი კრებულის რა მხარეები განვითარდა, ან რა იქნება უარყოფილი. ყველაზე სასიამოვნო ფაქტს სწორედ რეზო ამაშუკელის პირველი ლექსებისა და ამ ახალი კრებულის შედარებისას შეხედებით — ესაა ზრდის უდავო ფაქტი.

პოეზიას მარადიული ახალგაზრდობა სჭირდება — მარადიული წყურვილი, სიმაღლეებთან შეჯიბრი და გაზაფხულის ახალი ფერი.

რეზო ამაშუკელის წიგნში სწორედ ახალგაზრდული სითამამე და სიძლიერე ქმნის ტონს.

დაფიქრება მამა-პაპის ციხის ნანგრევებთან, ადგილის დედის თვალეებში ჩამდგარი სევდა, კოსმოსის ჩამსხვრეული ფანჯრებიდან ჩამოსული სინათლე — პოეტი პირისპირ დგას დღევანდელ დღესთან. ამ დღეს კი სიყვითე სჭირდება ყველაზე მეტად. რომელ დღეს არ სჭირდება სიყვითე, მაგრამ ადამიანი არასოდეს ყოფილა დაქვევებული სიყვითეში ისე, როგორც დღეს... დაზაუ და ოსვენციოი, ხიროსიმა და ნავასაკი...

...შვერდზე ბრდღვიალა მიხაკს ვიყვებ, მე მჭერა ჩემი ვაჟაკურ მოდგმის და ყველა კაცში ვხედვ სიყვითეს.

აქ უკვე პრინციპულად დგას საკითხი — ვინ დაიპყრობს ადამიანის შინაგან სამყაროს — ჭალათი თუ პოეტი. დასაუღეთგერმანელა ნეონაციისტები ისევე სუასტიკებს ხატავენ ათასობით გზაბნეული მოქალაქის სულში.

.ბილიკზე გდია მთვარის სინათლე და როგორც მარისს უხმოდ ლოკავს გამზდარი შველი. ძინავს სამყაროს, და პატარა წისქვილებიკენ მიიქვს მდინარეს ვარსკვლავების მწვანე ზოდები...

მე სარეცენზიო კრებულის ყველაზე ძლიერ ადგილად ლირიკული პოემა „თეთრი რვეული“ მიმაჩნია. პოემა ოთხი ნაწილისაგან შედგება: ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული.

ზაფხულის შუადღე — მზის წინაშე უხმოდ განთბმული მწვანე ტყეები, გარინდებული მიდამოს ჩურჩული... დაშშრალი ხეები, რომლებსაც ჩემად აესებს ხმელი ფოთოლი.

საქმარისია ყური ვეგლო მე ამ სინემეს, — ამოვარდება ტაფოზიდან, როგორც ვულკანი დაგუბებული ორლანეზში მძლავრი მუსიკა და მიყავს სული ზეცისაკენ ატატებულო...

სამუდამოდ გათავდა ჩემი ბავშვობა, მეკარგება აღტაცების უნარი — ცხოვრებას უფრო ცივი თვალი სჭირდება. ვეარგავ იასამნის მძინარე ტოტის სიყვარულის უფლებას; ბნელში რეკავს და ქირქილებს საათი...

ზაფხული ცხოვრების შუაგულია და ისე იძაბება ნერვები — მათი დანახვაც კი შეიძლება. ეს ის დროა, „როცა საგანი ითხოვს უფრო ზუსტ განმარტებას და სხვათაშორის არ ითქმება არც ერთი სიტყვა“. ჩნდება კითხვები: ვინ ხარ და რა გზით წახვალ. ჩვენს თაობას ბუნდოვნად ახსოვს ომი, უხარისხო რვეულები და ერთი წიგნი ათ მოწაფეზე, ნაპრის ბურთები და პროექტორის სინათლე ჩაბნელებული ქალაქების და სოფლების ცაზე, „მაგრამ თეთრ კედლებს კვლავ თბილია საფლავები წინა თაობის!“.. და არ გვაქვს სიმშვიდის უფლება. თავის წვლილს მოითხოვს ადგილის დედა და ჩვენს შვილებს უნდა „შერჩეთ ხსენი მშობელი ენის!“

შემოდგომა: „მოწითალო და ყვითელ ფერში გახსნილა არე... წკრიალებს ჩაღლა, როგორც ოქროს თხელი ფირფიტა და მიაქვს ნიავს ზვინებიდან ყვითელი ჩქამი“. შაბიამინიანი ვენახები, ლურჯად დაწმენდილი მდინარე, რომელიც ქვებზე კანკალებს, თეთრი ბონდები და წისქვილის ღარი.

რალაც იღვიძებს
ძველისძველი და შეუენობი,
როგორც მბეუბრევი შუაეცხლის
მთვემარე სითბო,
როგორც ცისკრისას
შორეული ყვირილი მამლის...
რალაც იღვიძებს,
რაც ვერაფრით ვერ აღვადგინე.

მე გულწრფელად ვულოცავ პოეტს. ამ სტრიქონებმა ბევრი კარგი რამ მაფიქრებინა რეზო ამამუეკელის ზვალინდელ დღეზე. მივყვეთ ლექსს... ბინდდება, როგორც წითელი ვამა, ისე მიდის გზაზე წითელი ხარების ნახირი; „მიპყვება ნახირს პატარა ბიჭი და მარადიულ მიწას გრძნობენ ფეხის გულები...“

მორიელივით გამოდის ყველაფრის მოსაზრების იჭვი, ჰორიზონტზე ჩნდება კვამლის სოკო... ბევრის ძილგამკრთალ დამეებს ავსებენ აჩონჩხილი კომპარები... „მაგრამ ხომ მიდის უღარდელი პატარა ბიჭი...“ ღვინობისთვის დამტკბარია გრილი ჰაერი, ტყაცუნობს ფიჩხი, ნელა ადის ცისფერი კვამლი... „ჩავა სხეულში სიყვარული ველურ კვილით და იძაბება ყველა კუნთი ნახტომისათვის“. გუბდება შემოდგომა და წითელ შეხედებს ისვრიან საქართველოს ძველი მარნები.

პოემის მესამე ნაწილი შედარებით სუსტ ლექსად უნდა ჩაითვალოს. ლექსი თბილისური ზამთრის საკმაოდ მშრალი რეპორტაჟის შთაბეჭდილებას ტოვებს. პოეტური ქსოვილი მოდუნებული და გაიოლებულია, ლექსს აშკარად აკლია აზრობრივი და ემოციური დატვირთვა.

ადამიანი უბრუნდება მიწას თესლივით,
ადამიანი უბრუნდება მარადისობას...
ინთება ფიჭვი ვარსკვლავით
გალაქტიკაში
და უერთდება
მილიონ და მილიონ ვარსკვლავს.

ავტორი ასეთ ზოგად, შთაგონების ცეცხლში გაუტარებელ სტრიქონებს გვთავაზობს და ლექსს ველარ შველის ის ნამდვილად პოეტური მიგნებები, რომლებიც მთლიანი ქსოვილიდან არაბუნებრივად და უნადავოდ გამოიყურება. აღნიშნული ლექსი რამდენადმე დამახასიათებელია კრებულში შეტანილი ნაწარმოებების ერთი ნაწილისათვის, რომლებიც იჩაგრებიან კარგი ლექსების გვერდით: იგრძნობა ერთგვარი შეუსაბამობა პოეტის შესაძლებლობებსა და წიგნის საშუალო მხატვრულ დონეს შორის.

ლირიკული პოემის მეოთხე ნაწილს „გაზაფხული“ ჰქვია. თბილისის გაზაფხული. ვერის წყალს მოაქვს ბეთანიის ანარეკლი. ველური ვარდი ჩასწვნია ბეთანიის ყვითელი ჭკიტკირებს. მწვანე ფონზე ძველ სინათლეს იბრუნებენ წითელი კრამიტები.

იხლიან ტანზე
გარეუბნის თეთრი ბაღები
და დაბლა ფენენ ფურცელ-ფურცელ
ვარდისფერ კაბებს.

დილაა და ერთმანეთში ირევა აპრი-
ლისა და ახალგაზრდა პურის სურ-
ნელი, იღვიძებენ ღია სარკმლები, სახა-
შეში ლუქმას ტეხს ღამის ცვლიდან მო-
მავალი მუშა... „რეაქტიული თვით-
მფრინავი გადადის ცაზე და მაღალ სახ-
ლებს უფრიალებთ ფართო მინები“. გა-
ზაფხული მდინარესავით შემოდის
თბილისში და ზედაპირზე ატივტივებს
უკვდავ მოტივებს — „მუშლი მუხასა“
და „შენ ხარ ვენახი!“.. უკვე გადავრ-
ჩით. ეს გაზაფხული ჩვენ ჩაგვაბარეს.

როგორც ლინზაში,
ისე ტყდება ჩემში ეს განცდა
და გაღის მკერდში გაზაფხული
წითელ სახივებად...
და უნდა სიტყვა ერთადერთი
დამუხტულ ნერვებს,
რომ სამუდამოდ დაიკალოს
ვჭვისგან სული,
რომ ჩემს გაჩენას,
არსებობას და აზროვნებას
ჰქონდეს თავისი გამართლება,
თავის მიზანი.

როგორც აღვნიშნეთ, პოემაში არის
სუსტი და სადავო ადგილები, მაგრამ
მთლიანად ნაწარმოები კარგ შთაბეჭ-
დილებას ტოვებს და წინ გადადგმული
ნაბიჯია რეზო ამაშუკელის შემოქმედე-
ბაში.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ კრებუ-
ლი ხასიათდება სტილისტური მთლია-
ნობით, რასაც ვერ ვიტყვოდით მის პირ-
ველ წიგნზე.

ბევრი კარგი სიტყვის თქმა შეიძლება
წიგნში შეტანილ ლექსებზე „...განათე-
ბული ბროლის მარცვლებად“, „თეთრი
ლარნაკები“, „ბილიკზე გღია მთვარის
სინათლე“, „მარტოობა“, „...გაყინული
ხე შიშველი და ხმელი ტოტებით“...

მინდა, მკითხველსაც გაეუზიარო იმ
სიხარულის ნაწყვეტები, რაც რეზო ამა-
შუკელის წიგნმა მომანიჭა:

...და ჩემს თვალებში იხედება სულიერებით
მინდვრის ყვაილი,
იგი ყინცვისის ანგელოზის
კაბის ფერია.

უყურებ მრავალ ერთიან ნიღაბს
და გამოგონილ ცრემლსა და სიცილს
და იმის იქით,
რაც იმალება, ხედავ და იცო...

და აკლდებიან
ჩემს სულსა და მეხსიერებას
უსაყვარლესი სახელები და სახეები...
მეზობელ სახლში
თოვლისფერი მიხაკებისთვის
უკრავენ შობენს...

შენ კი გეძინა ყველაფრით დაღლილს,
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა.
და შენი ტანი გრძელი და თხელი
მკვეთრი ხაზებით მოჩანდა ზნელში,
და შენი ხელი, გამხდარი ხელი
მკვდარი ჩიტებით მეჭირა ხელში.



ახალი რომანი დიდი საგაბულო ომის თემაზე

ახლანან „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა ალ. კალანდაძის დოკუმენტური რომანი — „პიასტის ნამუხლარზე“, რომელიც ყურადღებას იპყრობს, უწინარეს ყოვლისა, თემის სიახლით, მოულოდნელი შინაარსით და, აქედან გამომდინარე, ახლებური სიტუაციებით.

რომანის ძირითადი მიზანია ფაშისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედის — რასობრივი თეორიის სიყალბის მხილება. ამ თემაზე გაშლილ სიუჟეტს საფუძვლად უდევს უაღრესად ორიგინალური, შესაძლოა, მესამე იმპერიის ისტორიაში განუმეორებელი შენთხვევა: სამი მეგობარი ტყვე — რუსი, ქართველი და ებრაელი, სავსებით ბუნებრივ და ლოგიკურ სიტუაციაში, პოლონელ მოქალაქეთა გადასარჩენად, იძულებული არიან თავიანთი თავი გერმანულებად გამოაცხადონ; იწყება ხანგრძლივი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რასობრივი თეორიის ქურუმებთან, ჰიტლერის სახელმძღვანელო რასისტ „მეცნიერებთან“, რომელთაც მხარს უმაგრებს ფაშისტური სახელმწიფო აპარატის მთელი სისტემა. ეს უთანასწორო ჭიდილი საბჭოთა მეომრებისაგან მოითხოვს განუწყვეტელ ფსიქიკურ დაძაბულობას, ნებისყოფის სიმტკიცეს, ტაქტსა და ინტელექტს. ეს ადამიანები ყო-

ველ წუთს სიკვდილის პირისპირ დგანან, მუდამ და ყველგან მათ ავადმყოფურად ეკვიანი მტრის ფაფაციცებელი თვალი მისჩერებია. ასეთ ვითარებაში გაიელიან ისინი ურთულეს, ჯოჯობეთურ რასობრივ შემოწმებას, წარსდგებიან ავადმოსავონარი „გერმანული ინსტიტუტის“ რასობრივი კომისიის წინაშე და ამარცხებენ მტერს, არარაობად აქცევენ მის რასობრივ ბოდვას, რომელიც ჰიტლერის მიერ მეცნიერების უმაღლეს რანგში იყო აყვანილი. რომანის ამ ძირითადი ხაზის ღირსება ის არის, რომ სამი მეგობრის გამარჯვება აქ წარმოსახულია არა როგორც მათი არაჩვეულებრივი, რალაც ზეადამიანური თვისებების ტრიუმფი, არამედ — როგორც რასობრივი მოძღვრების სრული სიყალბის, მისი უსუსურობისა და მეცნიერული უმწურობის შედეგი. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის ყბადაღებული რასობრივი თეორიის ცრუმეცნიერული ხასიათის ყოველმხრივი მხილება. ამ მხილების ძალა მარტო ის კი არ არის, რომ იგი კონკრეტულ ფაქტს ემყარება და ავტორი ამ შემთხვევის უშუალო მონაწილეა, არამედ ისიც, რომ აღნიშნული ამბები, კერძოდ, რასობრივი შემოწმების რთული პროცედურა, წიგნში მეცნიერული სიზუსტით და მხატვრული და-

მაჯერებლობით არის გადმოცემული. აქვე დაეძინო, რომ, რამდენადაც ვიცით, ჰიტლერული იმპერიის იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების ეს საყურადღებო მხარე ამ კუთხით დღემდე არ ყოფილა ლიტერატურაში ასახული.

მაგრამ ალ. კალანდაძის დოკუმენტური რომანის თემატიკა ამით არ ამოიწურება. აღნიშნულ პრობლემასთან განუყრელ კავშირში, ნაწარმოების თემატურ რეალში ექცევა, აგრეთვე ომის პერიოდის სხვა საყურადღებო მოვლენები, როგორცაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე. წ. „ფოლკსდოიჩთა ჩასახლებები“ ოპერაციები, პარტიზანული იატაკქვეშეთის ბრძოლა, საკონცენტრაციო ბანაკებისა და ფაშისტური ციხეების ჯოჯოხეთური რეჟიმი და ა. შ.

წიგანში მოთხრობილია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული რამდენიმე ამბავი, რომელთა შინაგან მთლიანობას და კომპოზიციურ ჩარჩოს პერსონაჟთა ურთიერთობა, მათი კონტაქტები და კონფლიქტები განსაზღვრავს. ნაწარმოების ლერძს, რომლის გარშემოც დანარჩენი ამბები ვითარდება, ქმნის ზემოსხეხილი სამი მეგობრის — ნიკოლაი მეტნერის, ბორის კორენოვისა და მოხრობელის, იგივე პერსონიფიცირებული ავტორის თავგადასავალი.

ომის პირველსავე თვეებში ისინი გასაოცარ განსაცდელში ჩაეცივდნენ, ჯოჯოხეთური ცხოვრების სკოლაში მოხვდნენ. თითქო დასაღუბავად არიან განწირულნი, რადგან ამ დაბრკოლებათა გადასალახავად საკმარისი არ არის არც ერთგულება, არც სამხედრო მომზადება, არც ფიზიკური გამძლეობა. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია ინტელექტი, პირადი კულტურა, ცოდნა, მოხერხებულობა. ჩვენი მტრები, ფაშისტი მემუარისტები, ისტორიკოსები და მათი დანქაშები დღესაც გაჰყვირიან, რომ საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა არმიის სახით მათ საქმე ჰქონდათ მხოლოდ უხეშ ფიზიკურ ძალასთან, ჭარბ მასასთან. ისინი მზად არიან აღიარონ ჩვენი ტექნიკის ღირსე-

ბაც, მეთაურთა სამხედრო გამოცდილებაც, მაგრამ არ სურთ იწამონ საბჭოთა ადამიანის ნაღალი სული, მისი ზნეობრივი სიწმინდე და ინტელექტი. მაგრამ ცნობილია, რომ გიგანტურ ბრძოლაში სწორედ საბჭოთა ადამიანის სულმა, მაღალმა ზნეობამ, იდეურმა სიმართლემ და ინტელექტმა გაიმარჯვა. ალ. კალანდაძის რომანში ეს ნომენტი მეტად მკაფიოდ, რელიეფურად ჩანს. მტრის სისასტიკეს, ცბიერებას, ცხოველურ ფანატიზმს უპირისპირდება საბჭოთა ადამიანების იდეური სიმტკიცე, მაღალი ინტელექტუალური და სულიერი თვისებები. ადამიანები, რომლებიც მტრის ვერაგული თავდასხმის გამო ტყვედ ჩავარდნენ, რომელთაც მტრის მხედური ნომპრობის გამო, ჯოჯოხეთურ პირობებში თითქოს უნდა დაეკარგად ყოველგვარი იმედი, მაგრამ პირიქით, სულის სიმტკიცის, გამჭირიანობის, გასაოცარი გაბედულების წყალობით ამ მძიმე მდგომარეობიდანაც პოულობენ გამოსავალს, რათა ბრძოლა განაგრძონ — თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი ხდებიან და არათუ იღუპებიან, ნოწინავე მებრძოლეთა რიგებში იკავებენ ადგილს, თავზარს სცემენ მტრს და სხვებსაც ეხმარებიან საერთო ბრძოლაში.

ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკების ცხოვრება დასავლეთის ბურჟუაზიული ლიტერატურის მოდური თემაა. მაგრამ ბურჟუაზიული მწერლები ამ შემზარავ სიტუაციებს იმიტომ ხატავენ, რომ დაარწმუნონ მკითხველი ადამიანის უძლეულებაში, მის განწირულებასა და უსასობაში. წარმოსახონ ჰუმანისტური აბსტრაქცია, რომლის მიხედვითაც გამარჯვებული და დამარცხებული ერთნაირად შესაბრალისია და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი.

რამ გადაალახვინა კორენოვსა და მის მეგობრებს, აგრეთვე, მათ მდგომარეო-

ნოდარ ალანია

ახალი რომანი სამამულო ომის თემაზე

ბაში მყოფ ათასობით სხვა ადამიანს ეს ზღაპრული სიძნელეები? — სიძულვილ-ვილმა და სიყვარულმა! — უნდა ვთქვათ, და ამჭერად, სიძულვილი პირველად უნდა ვახსენოთ. ალ. კალანდაძის რომანი, ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. ნაწარმოების საერთო სულისკვეთებაზე რომ არაფერი ვთქვათ, წიგნში ხშირად ვხვდებით ამ ხასიათის ავტორისეულ გამონათქვამებს: „მეტერი მეგობარზე ნაკლებ სასარგებლო როდი ყოფილა!“; „კიდევ! კიდევ დამარტყი! დამარტყი და წამოვდგები! მომაჩერდი ასე ზოზლით, ასე განცხრომით და დამარტყი! ასე! ასე! დამიშინე ხელეზე, თავში, ცხვირ-პირში და, იქნებ, ავდგე!“; „გმადლობ! გმადლობ!“ — განუწყვეტლივ გუგუნებს ჩემი სული და ვერ გამიგია, ვის ეკუთვნის ეს მადლობა — ჩენს ამხანაგებს თუ ბაუერს?!“ და ა. შ. მტრების მიმართ ეს უნაპირო სიძულვილი მოტივირებულია, როგორც იმ ჭვარცმით, რომელიც სამმა მეგობარმა გამოიარა, ისე მათ ირგვლივ გამეფებული ბარბაროსობის სურათებით. ამ სიძულვილს საფუძვლად უდევს არა მარტო იდეური შეურიგებლობა და პატრიოტიზმი ზოგადად, არამედ პირადი შეურაცხყოფით, დამცირებით, ბოროტი დაცინვით, მშობელი ხალხის აბუჩად ავდებით გამოწვეული გრძნობა, რაც ამ ადამიანებმა უკიდურესი სისავსით გამოსცადეს. ამიტომაც არის მათი სიძულვილი განსაკუთრებით მრისხანე, დაუნდობელი და შურისძიების ახალ-ახალ საშუალებათა მაძიებელი. ნკითხველი ხედავს, — ერთი მწერლის თქმისა არ იყოს, — რომ ომი არის გამოაგება, გავარჯარებული სიძულვილი და თავდავიწყებული სიყვარული.

მაგრამ, სიძულვილს არასოდეს მოუკლავს ამ ადამიანებში სიკეთე, პირიქით, ეს სწორედ ის სიძულვილია, რომელიც აძლიერებს სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას. ეს განსაკუთრებით ნათლადაა ნაჩვენები იმ ეპიზოდში, სადაც აღწერილია კორენოვის მიერ მო-

ხუცი „დორფშტეტის“ მოკვლა. მკვლელობას აქ აბსოლუტურად დაკარგული აქვს სამაგიეროს მიზლის ხასიათი და წარმოდგენილია ომით განპირობებულ ისეთ აუცილებლობად, რომელიც მკვლელის გულწრფელ სინანულს იწვევს. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ხშირად მიმართავს თვითანალიზს, გვიჩვენებს პერსონაჟთა მოქმედებისა და ქცევის შინაგან იმპულსებს, ნათ ფიქრს, სულიერ ბრძოლას. ჩვენ მუდამ ვგრძნობთ, რომ შურისძიებას ღრმა მორალური გამართლება აქვს; წინა პლანზე იჭრება ადამიანური ღირსების მძაფრი შეგრძნება, მოქმედების სამართლიანობის ღრმა პიროვნული განცდა. სამკოთა მებრძოლების ქცევას ამართლებს ირგვლივ გამეფებული წყვილიანი. მათთვის განსაკუთრებით ნათელია, რა მოვლის მათ სამშობლოს. ხალხს, ნათესავეებს, ახლობლებს ნაციზმის ჯოჯოხეთურ პირობებში; ეს უნერგავთ საკუთარი უპირატესობის შეგნებას, ასაზრდოებს მათ გმირობას. მარშის დროსა თუ საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას ისინი არაადამიანურ ძალას პოულობენ თავიანთ თავში სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სიცოცხლისა, რომლის საჭიროებასაც ახლა ისე გრძნობენ, როგორც არასოდეს უგრძნვიათ.

ამ ადამიანთა ხასიათი თანდათან იწართობა და ყალიბდება ცხოვრების კარნახით, თავისებურად ვლინდება სხვადასხვა სიტუაციაში. ბრძოლაში შეუდრეკელნი და ტანჯვის ამტანნი, პირად ცხოვრებაში ისინი მომხიბლავად უბრალო, უპრეტენზიო და ბავშვურად მიამიტი ადამიანები არიან, რაც პუბლიცისტური კომენტარის გარეშეც მკაფიოდ გვიჩვენებს მათ მშვიდობიან ბუნებას, შინაგან სიკეთეს და მათი ბრძოლის სამართლიან ხასიათს. მაგრამ ისინი ანგელოზები როდი არიან. აქვთ ნაკლები — კორენოვი თითქო გულგრილი, მქისე, ოღნავ მშრალი და ტლანქია, — მეტნერი აფექტური, ნახევრად უღისციპლიონი და ნახევრად ანარქისტული

ბუნების ადამიანია, — მოხრობელი ზედმეტად მეოცნებე, ერთგვარად სენტიმენტალური ხასიათის კაცია, რომელსაც ნებისყოფის მაქსიმალური დაძაბვა უხდება ცალკეული ოპერაციის განხორციელებისას. ისინი მერყეობენ და ცდებიან, ერთმანეთსაც ედავებიან, იგვიანებენ და სულსწრაფობასაც იჩენენ, მაგრამ ყველაფერს გვაფიწყებს მათი კეთილშობილება, გულწრფელობა და პატრიოტული თავდადება. თვით უკიდურეს განსაცდელშიაც კი ისინი მაღალი ზნეობრივი იდეალების პოზიციებიდან განსაზღვრავენ თავიანთ საქციელს. საკმარისია, გავისხენოთ ნეტნერის მოქმედება რასობრივი შემოწმების წინ; იგი მხოლოდ იმიტომ მიდის ამ საბედისწერო რისკზე, რომ მოსალოდნელი საფრთხე ააციდინოს ელზას; ასეთივე მორალური იმპულსით უმხელს მას თავის ვინაობას, თუმცა შეიძლება შეეწიროს კიდევ ამ გულწრფელობას.

უკიდურესი განსაცდელიდან ეს ადამიანები გამარჯვებულნი გამოდიან და მტერს ძლიერ დარტყმებს აყენებენ არა იმის გამო, რომ ისინი ზღაბრული გმირები არიან, ან მტერი არის ყუყუჩი და გულუბრყვილო, არამედ იმიტომ, რომ მტრის წარმოდგენები არის ცრუ, ყალბი და უნიადავო, რაც მათ ზმირად, შირთლაც, არარეალურ, სულელურ მდგომარეობაში აყენებს. ომი სხვადასხვა იარაღის ქუხილი კი არ არის, არამედ ეს არის ადამიანის ხასიათის გამოცდა წარმოუდგენელ ტანჯვასთან, შიშთან, სიკვდილთან ბრძოლაში.

ვგრძნობთ, რომ რომანის მებრძოლი პერსონაჟები ყოველ წამს საფრთხეში იმყოფებიან; თვითეული ნაბიჯი სასიკვდილო, სახიფათოა, მაგრამ ამ ვითარებაშიც ისინი სისხლხორცეული სიცოცხლით ცხოვრობენ, ბედნიერნი არიან, კაცობრიობის განუყოფელ ნაწილად გრძნობენ თავს და ამ ბედნიერების საფუძველია ბრძოლა, ცხოველყოფელი მიზანი.

რომანში საბჭოთა მებრძოლების უცნაური თავგადასავალია გადმოცემული;

იგი განსხვავდება იმისაგან, რაც ჩვენ აქამდე წაგვიკითხავს და კინოში გვინახავს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომი სხვადასხვაგვარად აბრუნებს ადამიანთა ბედის ჩარხს და სწორედ ამ ადამიანთა ღრმად ინდივიდუალური ბედ-იღბალი იძლევა საბჭოთა ხალხის ზღაბრული თავდადების მთლიან და დიდებულ სურათს.

რომანის ცენტრში დგას არა ფაქტები და მოვლენები, არამედ ადამიანები, მათი ხასიათები, მათი სიხარული და მწუხარება, ტანჯვა და ბრძოლა, ფიქრი და განცდა, აზრი და ოცნება, ზრუნვა, შიში, ინტიმური სამყარო. პერსონაჟთა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება განუყოფელია.

ავტორი გვიჩვენებს, ვადამწყვეტ მომენტში პოლიტიკური ორიენტაციებისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პირად ზნეობრივ-მორალურ თვისებებს. ანკეტური მონაცემების მიხედვით, ბილმაიერი თითქოს არ უნდა გამხდარიყო მოღალატე, ფიცის გამტეხი, მაგრამ იოლი ცხოვრების, ფუფუნების, კარიერისაკენ მიდრეკილებამ, სიხარბემ იგი წუშამში გადაიხროლა.

ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს პერსონაჟთა ინტიმურ სამყაროს, მაგრამ პირადი ცხოვრების ეპიზოდები და მომენტები მუდამ მოშველიებული აქვს მათი იდეურ-პოლიტიკური, ადამიანური ხასიათის გამოსაკვეთად და სოციალური ვითარების რელიეფური დახასიათებისათვის. სიყვარულში სისხლხორცეულად ვლინდება ამ ადამიანთა მორალური კრეფო, ინდივიდუალობა — ბილმაიერის ეგოიზმი, დაცემულობა, მტნერის ზნეობრივი სიწმინდე, მოქალაქეობრივი გამბედაობა. მეტი ცხოველყოფელობა, სისასვე და ადამიანურობა ეძლევა მათ. მტნერის ტრაგიკული სიყვარული, წმინდა და ამაღლებული, მკაფიოდ გვიჩვენებს ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის სულიერ სისპეტა-

ნოდარ ალანია
ახალი რომანი საბაშულო ომის თემაზე

კეს, მის უპირატესობას; ფაშისტური მორალურ-პოლიტიკური ნორმების, ყოფის, კანონმდებლობის, სრულ სიყალბეს, არაადამიანურობას, არაბუნებრიობას, და ამით, მისი მოსპობის გარდუვალობასა და ისტორიულ აუცილებლობას.

პოლიტიკური მრწამსი ადამიანთა ხასიათის განმსაზღვრელ ვნებად, ფსიქიკად, საქციელის დომინანტად ქცეულა. ის არის ადამიანთა შორის ზიზღისა და სიყვარულის, მტრობისა და მეგობრობის საფუძველი. საქმარისია, გავიხსენოთ ავსტრიელი კომუნისტის შირნშტაინისა და ფაშისტი ბაუერის გაშიშვლებულ ინსტინქტებამდე დასული სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი; გერმანელი კომუნისტი პატიმრის — „ათლეტის“ დახმარება საბჭოთა პატიმრებისადმი ლუბლინის ციხეში; ფრანუ ფასტის გულწრფელი განდობა უცნობი ამხანაგებისადმი და სხვ. იდეური თანამოაზრენი ფაშისტური ტერორის უსასტიკეს პირობებშიც პოულობენ, ენდობიან, უახლოვდებიან ერთმანეთს, რალაც გასაოცარი ალღოთი გრძნობენ, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარი.

წიგნში ნათლად ჩანს, როგორ დაეცა გერმანელი ხალხის ზნეობა ნაციზმის ბატონობის წლებში, როგორ მოადუნა ჰიტლერის მმართველობა და ცხოველური ეროვნული პრივილეგიებით მისი წინააღმდეგობის ძალა. მკაცრი მამხილებელი პათოსით არიან დახასიათებული ბაუერი, გოლობი, ვაიზე, ვენდტი, აქსმანი, კრაისლაიტერი, შულცი და სხვ. ნაცისტები. მაგრამ ეს გროტესკი როდია, მკითხველი გრძნობს, რომ ისინი „ხელუხლებლად“ არიან ამოყვანილი თავიანთი წრიდან.

ა. კალანდაძის რომანის ღირსებად მიგვაჩნია, რომ მასში რუს, პოლონელ, ებრაელ და სხვა ეროვნების მეზობლ გამირებთან ერთად, ნაჩვენებია გერმანელი ერის სახელოვან შვილთა, ანტი-ფაშისტთა, კომუნისტთა მეტად ძნელი და თავგანწირული ბრძოლა ნაციზმის წინააღმდეგ. ასეთები არიან შირნშტაინი,

„ათლეტი“, ფრიც ტრიპელი, ფრანუ ფასტი და სხვ.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს არც შუალედ სოციალურ ფენას ე. წ. გერმანელ ბეისგერს — ნერყევე, პოლიტიკურად უსახურ წვრილ ბურჟუაზიას, რომლის ფილისტერულმა „ნეიტრალიტეტმა“ ცოტა როლი როდი შეასრულა გერმანიაში ჰიტლერის მმართველობის და რომელსაც მცირე ზნეობრივი პასუხისმგებლობა როდი ეკისრება იმ უბედურებისათვის, რომელიც ნაციზმმა თავს დაატეხა გერმანელ ხალხს. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოვლენების განვითარების გასათვალისწინებლად. იქაც ზომსწორედ ამ წრეების გულგრილობა და ინერტულობა უწყობს ხელს ნაციზმის აღორძინებას.

„პიასტის ნამუხარზე“ დოკუმენტური რომანია, და ამდენად, მკითხველისათვის აშკარაა, რომ მას საფუძველად უდევს ნამდვილი ამბები, ავტორისა და მისი მეგობრების თავდადასავალი. მაგრამ სინამდვილე ისე ვალაგებული ეს მოწესრიგებული როდია, როგორც ეს ლიტერატურულ ნაწარმოებში უნდა იყოს; რომანის დოკუმენტურობას განსაზღვრავს არა ეს მომენტი, არა ფაქტობრივი სიზუსტე, არამედ ისტორიული, ცხოვრებისეული სიმართლე. ყველაფერი, როგორც ნამდვილი, ისე გამოგონილი ისტორიული მოვლენების არსის გახსნას უნდა ემსახურებოდეს და მკითხველისათვის მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მისაღები იყოს. მკითხველისთვის სულ ერთია, მართალია თუ გამოგონილი ემშა ისლერის, ფრიდას, ელზასა და სხვათა სატრფიალო ამბები; მთავარია ამ ამბებისა და მათში განსახიერებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური მომენტების არსი, დამაჯერებლობა, მხატვრულ-ლოგიკური სისწორე. მკითხველის თვალწინ იშლება ჰიტლერული გერმანიისა და ოკუპირებული პოლონეთის რთული საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები 1941-1942 წლე-

ბში: პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პირობები, იოლი გამარჯვების მოლოდინით გამოწვეული ქარაფშუტული სიმსუბუქე, არასერიოზული პროგნოზები, „ზონდერმედუნებებით“ გაბრუნება, რაც ხაზს უსვამს პიტლერელთა გეგმების ავანტურისტულ, ანტიხალხურ ხასიათს. ნაჩვენებია ზოლონელთა გმირული წინააღმდეგობა და მწვავე შინაგანი იდეურ-პარტიული შეხლა-შემოსლა, რომელიც აღუნებდა ამ ბრძოლას და საქმეს უადვილებდა ოკუპანტებს.

სინამდვილის ფაქტებზე, დოკუმენტურ მასალებზე დამყარებით, მათი განზოგადებით, ავტორმა შეძლო მოვლენების პერსპექტივაში ჩვენება და მკითხველისთვისაც ნათელი ხდება ფაშისტების დამარცხების ისტორიული კანონზომიერება, ნაციზმზე ხალხთა გამარჯვების მორალური საფუძველი და ამ დიად ბრძოლაში კომუნისტური პარტიის, კერძოდ, პოლონეთის მუშათა პარტიის როლი.

ავტორი კარგად იცნობს მაშინდელი გერმანიისა და პოლონეთის ცხოვრებას, ყოფას, ხასიათებს; ამიტომ, შეუძლებელიც კია ვიფიქროთ, რომ ეს უცხოელის თვალით დანახული და განცდილი სამყაროა. ყველაფერი დიდი უშუალობითაა გადმოცემული და მკითხველი გრძნობს, რომ მას ამ ამბების მზილველი და მონაწილე მოუთხრობს. ამას, შესაძლოა, ისიც აძლიერებს, რომ თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, მაგრამ, რასაც მთხრობელი თავის თავზე გვიყვება, აღიქმება არა როგორც ავტორისეული, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც პერსონაჟისეული. დისტანცია


მთხრობელსა, როგორც პერსონაჟსა, და ავტორს შორის სავსებით აშკარაა.

წარმოდგენა მოითხოვს სურათებს და ავტორი არა მარტო მოგვითხრობს, არამედ გვიხატავს კიდეც ყოველივე იმას, რაც თავის ღრობე მას, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა გამოვიყენოთ, — ლიტერატურულად, მხატვრულად აქვს აღქმული. უბრალო, ზოგჯერ საკმაოდ მშრალი, ხანაც ფსიქოლოგიურად გაყვნილი ინტიმური თხრობით, რომელშიც ბუნებრივადაა შეზავებული პუბლიცისტური და ლირიკული ელემენტი და რომელიც მოვლენათა ობიექტურ განცდას ემყარება, ყოველგვარი ლვლარქნილობისა და პათეტიკურობის გარეშე, ალაგ-ალაგ სიტუაციიდან მომდინარე მსუბუქი იუმორით, — ავტორი კარგად უნარჩუნებს ამბებს პირველი განცდის სითბოს, სიწირფელეს, ბუნებრივ უშუალობას.

ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „პიასტის ნამუხლარზე“ მკითხველს თვალწინ გადაუშლის მისთვის უცნობი ცხოვრების ბევრ საყურადღებო მხარეს, რომელსაც სხვაგან ვერ იპოვის. რომანის წარმატებას ხელს უწყობს ცოცხალი ენა. მდიდარი ლექსიკის, თამამი გამოთქმებისა და ზომიერად გამოყენებული ვულგარიზმების წყალობით ავტორი კარგად იძლევა პერსონაჟთა სოციალურ-პროფესიულ და ეროვნულ-კულტურულ კოლორიტს.

„პიასტის ნამუხლარის“ სახით დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა ფონდს შეემატა ჰუმანიზმით, პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე საინტერესო საკითხავი წიგნი.





ჩვენს მიზანსა

არამოღერიზებული მოთხოვნები

მეოთხე

მართალია, ქალბატონმა ივი სოფლიდან ჩამოიყვანა, მაგრამ დაბადებითვე მუწჯი სრულებითაც არ იყო, მერე დამუწჯდა. თანაც, სანამ დამუწჯდებოდა, ქალბატონს ცოლს ეძახდა, მერე კი სიამოვნებით დაუძახებდა გველეშაპს, მაგრამ მუწჯი იყო. თანდათანობით შეეჩვია თავის მღვთაშარტობას და დაემგვანა დინჯ, მამალ ბატს, რომელსაც მხოლოდ იმითომ არ ეკითხებიან ტყუას, რომ ბატია და ჰგონიათ, სასიკეთოს არაფერს იტყვიან.

ქალბატონი, რომელთანაც ის ქმრად მუწჯობდა, მეტისმეტად ანჩხლი და აუტანელი ვინმე იყო და თუმცა მარცხენა ლოყაზე ხალი ჰქონდა, თავი მაინც უტყვიანეს არსებდა წარმოედგინა.

მუწჯი კა სრულებითაც არ იყო დაიძინილი სულის ბატონი და როგორც ყველა მუწჯი, უთქმელადაც ბევრ რამეს ხვდებოდა.

ერთხელ, მონკავშირის კონკურსზე, თოფის სამაგალითოდ მოვლისათვის ლეკვი აჩუქეს. ლეკვს გამოხედვაში ეტყობოდა, რომ წმინდა სისხლის ინგლისური სეტერი იყო. მუწჯს ძალიან უყვარდა თავისი ლეკვი და რაკი წმინდა სისხლის ინგლისური სეტერი იყო — მუწუ უწოდა, თუმცა, წმინდა სისხლის ინგლისური სეტერიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მუწუს დაარქმევდა, რადგანაც მუწჯები ყველა ძალს მუწუს ეძახიან.

ქალბატონი დარწმუნდა, რომ მუწჯს მუწუ ცოლზე უფრო უყვარდა და მამინვე აითვალწუნა უდანამულო ლეკვი. მას ეჩვენებოდა, რომ მუწუს ძალიან უხეში ბეწვე და უტიფარი თვალები ჰქონდა, რომ უზომო ჰამა იცოდა და მიტყნარებისას პირს ძალიან დიდ-და ავლებდა, ერთხელ ქალბატონმა სამასხურიდან დაბრუნებულ მუწჯს კატეგორიულად განუცხადა: „ან მე უნდა ვიყო აქ, ან შენი უჯიშო ძაღლი!“

ამის გაგონებაზე მუწჯმა ენას მიწოდოლი სააღერ-

სო სიტყვები გადაყლაპა, ხელი ჩაიქნია და თავის-ოთახში შევიდა.

მეორე დღეს საერთო სამზარეულოში ლაპარაკობდნენ — მუწჯი მთელ ღამეს ოხრავდაო. დიხს, მუწჯმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა

— თუკი გადაწყვიტა, შეასრულებს კიდევ, — ამბობდნენ მეზობლები და მეზობლები ამჯერად მართალი იყვნენ.



... მეორე დღით წყალს აღმა მიაპობდა ნავი, ნავზე ორი სულეიერი არსება იყო. ერთი მათგანი ლინიერად უსვამდა ნიჩბებს, მეორე კი კეუსტად დაკყურებდა წყალს. მერე პირველმა სულეიერმა არსებამ ნიჩბებს ხელი უშვა, მეორე სულეირ არსებებს კისერში ორი მოზრდილი რიყის ქვა ჩააბა, ახწია, თვალები დაუხუჭა და მღვრიე ტალღებს შეურია. პირველი მუწჯი იყო და არ გაუგონია წმუტუნისმეგაყვინ-შეკვიღება. არც წყლის შმაპუნი გაუგონია. მან მხოლოდ დაინახა, როგორ გარბოდნენ ნაპირისაკენ ზო-მაზე უფრო ფართო წრეები.



ერთი საათის შემდეგ სახლისაკენ მიაბიჯებდა სახეგანათებული მამაკაცი. იგი ნაწინობებს ღიმილით ესალმებოდა, უცნობებს კი მხოლოდ უღიმიოდა. მამაკაცს უხაროდა, რომ დღეიდან მუწჯი აღარ იყო, რომ შინ ელოდებოდა მუწუ, წმინდა სისხლის ინგლისური სეტერი.

ბალვიზორი

არაფრისმთქმელი სითეთრე... არაფრისმთქმელი სითეთრე... არაფრისმთქმელი სითეთრე.

— მოიცა, გახურდეს.

აღეგებული ქანდაკება, ატყვევებული პრეზიდენტი, ატყვევებული სტადიონი, ატყვევებული სკამი.



— მიდი, ბიჭო გაასწორე!
შუაზე გაჭრილი ბურთი, შუაზე გაჩეხილი მსაჯი,
მეხდაცემული კარები.

— მიდი გოგო, გაასწორე!
ღრუბლებადქცეული ტრიბუნები, წვიმადქცეული
სინათლე, მთვარედქცეული ბურთი, თევზებადქცეუ-
ლი ფეხბურთელები...

— მიდი ქალო, გაასწორე!
მთელი ოჯახი ფეხზე დგას; ბიჭი ტრანსფორმა-
ტორს ღებავს, გოგო ამპერიმეტრს უკირიკიტებს, ცო-
ლი ანტენიანად კედელზე ადის.

სამი ეუხებიო ვჯახება სამ პელეს და სამ ბურთს
ართმევს. დამტყრეული სამი პელე დგება და სამ
ხელს ართმევს ერთ ეუხებისს.
ნერგები, ნერგები!

არაღრისმოქმედი სითეთრე, აცკვებული ღრუბლე-
ბი, ზღვები, უღაბნო, უკუნეთი, შუაზე გაჩეხილი მსა-
ჯი, ბურთისხელა სტადიონი, სტადიონისხელა ბურ-
თი, ხუთი ბურთი, ხუთი პელე; სამი ბურთი, სამი პე-
ლე; ერთი ბურთი, ერთი პელე.

- კიდეც გაუტანიათ!
- როდის?
- აფუსუს.
- ეს რაღაა?
- ვერ კითხულობ? — „სარელეო ხაზზე შე-
ფერბება“.

- როგორ მოხდა?!
- სარელეო ხაზზე შეფერბება დიდბანს გრძელდება.
- დამთავრებულა.
- ანგარიში?
- ხვალ ვნახავთ გაზეთში.

იწყება სხვა გადაცემა.
ვიღაც ლაპარაკობს, რომ ცუდ დილს კარგი დილი
სჯობია, ცუდ აგურს — კარგი აგური, უღამაზო
ქალს — ღამაზი ქალი, მოღუნულ ლურსმანს —
სწორი ლურსმანი, უკულტურო კაცს — კულტურული
კაცი.
გამოსახულება ბრწყინვალეა, ხმა ნორმალური.

მენახირე

ძიების მოყვარულმა რეჟისორმა იგი იპოვა სწო-
რედ მაშინ, როდესაც კოლექტივის კორკიმელიდან
ჩამოვარდნილიყო და ბლაოდა.

ფეხზე კალთმებად გადაკეთებული ბოტები გეცა,
თავზე ძმის ფაფახი უხურა და ხელში შეინადის კომ-
ბალი გვირა. ერთი სიტყვით, მენახირე იყო, თანაც
კოლექტივის კორკიმელიდან ჩამოვარდნილიყო და
ბლაოდა.

ასეთი ბღაეილი მხოლოდ დიდ მსახიობს შეუძ-
ლიაო, უკამათოდ დაასკვნა რეჟისორმა (უკამათოდ,
რადგანაც ასლომანლო სხვა რეჟისორი არ იყო; ხო-
ლო რეჟისორებს მხოლოდ რეჟისორები ეკამათებიან).
მენახირე კი მართლა გულწრფელად ბლაოდა, რად-

განაც მენახირე იყო, თანაც კოლექტივის კორკიმე-
ლიდან ჩამოვარდნილს მუსლი სტკიოდა.

ჩამოყვანეს მენახირე ქალაქში და ათამაშეს მე-
სამე მენახირის როლში.

მერე ათამაშეს მეორე მენახირედ.
მერე ათამაშეს პირველ მენახირედ.

მერე ათამაშეს სარქლად.
მერე შეათამაშეს ფერმის გამგედ.

ო, რა კარგად ხსნისო ნახირთან დაკავშირებულ
ხსიათებს; გაპყვიროდნენ კრიტიკოსები.

ერთხელ მას ერთდროულად მისცეს იულიუს კეის-
რის და ბურგუნდიის პრინცის როლები.

მენახირემ კვლავ მენახირე ითამაშა.
მეორეჯერ მას მისცეს ნიუტონისა და ნორმანდიის

ქერცოვის როლები.

მენახირემ კვლავ მენახირე ითამაშა.
რა მოხდაო, გიჟდებოდნენ კრიტიკოსები.

სინამდვილეში არაფერი არ მომხდარა; ძიების მო-
ყვარულმა რეჟისორმა იპოვა იგი ამ ოცი წლის წი-
ნათ, სწორედ მაშინ, როდესაც კოლექტივის კორკი-

მელიდან ჩამოვარდნილიყო და ბლაოდა.

ასე რომ, მას მენახირის როლიც კი არასოდეს უთა-
მამაშნია. თვითონ იყო მენახირე.

ნახმზარი კაცი

„არა ეკალთაგან შეტყობიან ლელ-
ვი, არცა მაყვალთაგან მოისთელი-
ან ყურძენი“.

სახარება

— კაცი კაცს რკინიგზას აჩუქებს და გაგანია სიყ-
ხემი ქლიაზე აფეხაუნება, მე ისეთს არაფერს ვთხო-
უარს ნუ მეტყვი.

— რა გინდა?

— ჭკვიანი კაცი ჩინხარ, მეგობრები ვიყოთ.

ჩვენი მაგილები ერთმანეთს შესცქერიან. სამსა-
ხურში იგი ახალი კაცია, შე ძველი. მეგობრობაზე
უარს როგორ ვეტყვი; კაცი კაცს რკინიგზას აჩუქებს
და გაგანია სიციხემი „ბორჯომზე“ გაფეხაუნება.

პირველივე დღე.
— კლიმენტო!

— ა?

— სახლს მინგრევენ და მეუბნებიან თუ გინდა სა-
მთახიან ბინას მოგცემთ ცენტრში და თუ გინდა
ერთთახიან ბინას მოგცემთ შორსო, როგორ მო-
ვიძვე?

— მაგას მოფიქრება უნდა.

— მომიფიქრე ერთი თუ კაცი ხარ...

— კლიმენტო!

— ა?

— ჩემს სიღვრეს თმის ძირები უთეთრდება და

რეპაზ მიშველახაძე
არამოდირნიშავალი მოთხრობები



მარჯვენა ხელზე ფრჩხილები ეწრდება. ვის მივუყვანო?

- მაგას გაგება უნდა.
- გამიგე ერთი თუ კაცი ხარ...
- კლიმენტი!
- ა?
- ესოში ბჭოლა მიდგას, ბჭოლას ზოგი ფოთოლი დიდი აქვს და ზოგი პატარა. როგორ მოვიქცე?
- მაგას გარკვევა უნდა.
- გამირკვიე ერთი თუ კაცი ხარ...
- კლიმენტი!
- ა?
- ჩემს უფროს გოგოს ხშირად მაღალი ბიჭი მოაცილებს. ვუბნები ჩემს უფროს გოგოს, ხშირად მაღალი ბიჭი მოგაცილებს-მეთქი და გეჩვენებთ, როგორ მოვიქცე?
- მაგას დაზუსტება უნდა.
- დამიზუსტე ერთი თუ კაცი ხარ...
- კლიმენტი!
- ა?
- მეზობლის ძაღლმა ჩემს ძაღლს ნიკაპი მოაჭა-

მა. მინდა ვიცოდე, რომელმა ძაღლმა მოაჭამა, თუნდაც რომელი მეზობლის ძაღლმა მოაჭამა ჩემს ძაღლს ნიკაპი.

- მაგას მოძებნა უნდა.
- მომიძებნე ერთი თუ კაცი ხარ...
- კლიმენტი!
- ა?
- ცაზე რამდენი ვარსკვლავია?
- მაგას დათვლა უნდა.
- დამითვალე ერთი თუ კაცი ხარ.

ამალამ ოთხი საათის შემდეგ ჩემსავე სარეცელში მკედარს მიხილავენ.

ჯერ ისევ თბილ ხელებში მეჭნება ქალაქის კეთილმოწყობის გეგმა, სამედიცინო ენციკლოპედია, პოპულარული ბიოლოგიური ბროშურა, მიკროსკოპი, დეტექტური რომანი და ტელესკოპი.

ჩემს დასაფლავებაზე ყველა კარგი კაცი მოვა და ბევრ, ძალიან ბევრ ყვაილებს მომიტანენ

ჩემს სიყვდილს ვერავის ვერ დააბრალებენ.



გარეკანი და ტიტული ოთარ ჭიშკარიანისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მგ. მდივნის — 5-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-35, პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შვკვ. № 3311. უე 02229. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 15.000.

საჭ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

3560 60 353.

6 97/182

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ԼԻԿՆԵՐԱԿԱՆ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ԴԱ ԽԵԼՈՎՆԵԲԱ»

ИНДЕКС 76236